

# რეტენატუნა და ხეროვნება



N6

6/2007

სვ

1522  
2007

*მწიბვა*  
გურამ დოჩანაშვილი

*ქსეფრიკვა*

ნანა გერასიმოვა

*თაბუკაში*  
ნოვალისი

*მწიბვა*

ტარიელ სარსელაური

*თაბუკაში*

ედიშერ მაღალაშვილი

*ქიხი*

თემურ გაბლუანი





ნანა გერასიმოვა

ოჯახი



მზესუმზირები



ძველი თბილისი

# ლიტერატურა და სეროვნება

ISSN 1512-3189

N6(18)

06/2007



ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა

ნანა გერასიმოვა

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69;

(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge

## შეგვეწიეთ!

ვისთვისაც ძვირფასია  
ქართულ „ლიტერატურა და  
სეროვნების“ გამომცემა!

ჩვენი რეკვიზიტებია:

ი/მ „ვაჟა ოთარაშვილი“

საილ. კოდი 132540696

სს „ბაზის ბანკი“ კოდი

№ 220101956

ანგ. 9836295

### ს ა რ მ ე ბ

#### მისჯობა

3 ჭაბუა ანიხუიბი

- საქათველოს მწეხაღთა ჯავშით  
90 წღისაა!

#### ქოზა, ქოზა

5 გუჰამ ღოჩანაშვიდი

- ჩაქ უჯო მასსოვს,  
და მეტად მაგონებთა /ომანი/

27 ტაიედ სახეღაუხი

- ლესები

31 ნიკოლოზ ლევა

- გამზავებთა

33 ზაზა ქინღაძე

- ლესები

36 ეჟა ცაბაღელი

- Future in the fast ანუ

ანღეხსონი აი ბეუნებთა

- ლესები

49 იხაღი ჟაღაღა

#### ღარღმანი

51 ნოღლისი

- ლამის ჰომენბი

(ღაღმნა ჟონსტანსინე ბეღაძეშ)

56 ხათუნა მონიავა

- ბეღმენდი ჰოზიზა

58 ნოღაი მანიძე

#### წერიღებ

- ბეღმავი

(ეღღაი ბეღმეღაღის გასხენებთა)

64 ნათელა უეშაძე

#### იღაღლი

- სსოვნის სახეღი

(ეღმეღი მაღღაშვიდი)

71 ხაღია გაბეღაღა

#### ღინა

- აღამიანეღი ჟსაეღი

(თეშეღი ბაბეღანი)

75 ნინო ხუნღაძე

#### მხაღლომბ

- ნანა გუჰაღომოვას

შეშოქმეღებთიღი საშეღი

79 მიხიზა ბეღოღანი

#### არქიღღან

- ძვიღღასო ლეღა

(ნეღიღი ჟიღონღიღან)

82 ლეღი ჰიმნისთაველი

#### მეღღლი მეღ

- ლესები

84 ლოკოაღიღიღან


საქონსუფროსი საზღაო:

ქაზის ამირაქიანი, ზაჩარია ზარევაძე, ნანი ზარევაძე,  
პირაზ ზარევაძე, ანაგა ზარევაძე, მაყადათ ვინაშვილი,  
ნათელა ურუშაძე, ჯანსუღი ჩინკიანი, თეიმურ ჩიქოძე,  
თამაზ ჩიქოძე, ვაგი წერეთელი.



წიგნი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

# საქართველოს მწერალთა კავშირი 90 წლისაა!



ქაბუა  
ამირეჯიბი

## ქაბუა ამირეჯიბი

**ქაბუა ამირეჯიბი და ბატონები!**  
პატიებას გთხოვთ, რომ თავად ვერ გაეხელით და პირადად ვერ მოგახსენეთ ჩემი მცირე რამ სათქმელი. ასე სცოდნია ღრმა სიბერეს.

ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა ჩვენს კავშირს და ამის გამო უპირველესად ის უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონ კოტე მაცაშვილს, ბატონ პავლე ინგოროყვას და მთელ მათ დასს კავშირის დაარსების საჭიროება იმის განჭვრე-

ტამ უკარნახა, რომ ქართველ ერს ახლო, თუ შედარებით შორეულ მომავალში, არაერთგზის თავს დამტყდარ ჭირთან მოუხდებოდა ბრძოლა ოფლისა და სისხლის ფასად ჩვენი სულიერების შენარჩუნებისთვის და ამას კი ერთგულ-ერთსული მწერლობა ესაჭიროებოდა.

მიზანი გამართლდა, ქართული სულისა და ბუნების გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩვენმა მწერლობამ სძლია, — ჯერ რუსული შოვინიზმის მომსპოლველ მემკვიდრეობას და შემდეგ ახალი რუსი იმპერისტების მიერ დასაველეთში ნასესხები კომუნისტურ-ბოლშევიკური იდეოლოგიის სამკვდრო შემოტევას.

ვერც ცელიკორუსულმა და ვერც კომუნისტურმა იდეოლოგიამ ვერ იმუშავა ისე ნაყოფიერად, როგორც დიდი ილიას „ქვათა ღალაღმა“, აკაკის „განთიადმა“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებმა“, გრიგოლ რობაქიძისა და ტიცციანის ათასგზის ამოგლეჯილმა გულმა, დიდი კონსტანტინეს პროზამ, გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის პოეზიამ, პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიამ და მათმა თანამედროვე და მომდევნო თაობების მწერალთა ნაღვანმა. ყოველივე ეს სწორედ ქართველი მწერლების კავშირის ჭერქვეშ გახშიანებულა. კავშირისა, რომელსაც უხეირო ქართველები ბოლშევიზმის გადმონაშთს უწოდებენ. პირადად მე განმეორებით მივემხრობოდი ისეთ კავშირს, რომელიც ზემოხსენებულ სულიერებას დაუტოვებდა ქართველ ერსა და მსოფლიო კულტურას.

24926

საქართველოს  
პარლამენტის  
პროზისული  
ბიბლიოთეკა



ჭაბუა ამირეჯიბი, ბულატ ოკუჯავა და იური ანოხინი. მოსკოვი, 80-იანი წლები

ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ თქვენც, დამსწრე მწერალნო და ხელოვანნო იმ ღვანლისთვის, თქვენ რომ უკვე დასდეთ და კვლავაც არ მოაკლებთ მამულს. გნამდეთ, მომავალი მოგაგებთ კუთვნილ პატივს.

მითქვამს და ვიმეორებ, — ობოლი, უნათესავო, შარიანმინა-წყალზემოსახლე ერი ვართ და ძველებურ მკვიდრად და ურყევლად დგომა გემართებს ახლაც, მორიგ სამკვდრო-სასიცოცხლო კვეთებაში. წარსულის მტერთაგან განსხვავებით საქმე გვაქვს ძლიერ და დაუნდობელ მონინალმდეგესთან, რომელსაც გულახდილად და საქვეყნოდ აქვს დეკლარირებული მცირე ერების თანდათანობითი აღგვა პირისაგან მიწისა, მსოფლიო კაპიტალისა და ეკონომიკურად

დანინაურებული ერების ინტერესთა უზრუნველსაყოფად. ეს სოროს-ბუფეზინსკისა და სხვათა გლობალიზმის იდეოლოგიაა. ქართულ მწერლობას სახელდობრ იმიტომ შემოუტეეს გლობალიზმის ქართველმა მიმდევრებმა, რომ იციან, სანამ ცოცხლობს და ვითარდება ქართული მწერლობა, ცოცხლობს და ვითარდება ქართველთა სულიერება.

ფხიზლად ვიყოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაპატიოთ ერთმანეთს თუ რამ ცოდვა მიგვიძღვის. მოვიშოროთ ამპარტავნება, შევისმინოთ ჩვენი დიდი მოძღვრის, უწმიდესისა და უნეტარესის შეგონებანი, გავერთიანდეთ სიყვარულით და ბურჯად შევუდგეთ ჩვენი მამულის მომავალს.

ჭკუით ქართველნო!

05.05.2007წ.



# გურამ დოხანაშვილი

ჩაც უფიო მახსოვს, და  
მეტად მაგონდება:

(იბრეთნოდეგული  
„ავტობიოგრაფიული რომანი“)

(გაგრძელება)

თავი V, სადაც:

*აქა-ამბავი სასამართლომდე თუ როგორ  
გამყავდა დრო არადა ის მერე რა რომ ძნე-  
ლად, დრო მაინც გადაიოდა; აქა ამბავი თუ რო-  
გორ ერთიც — „სიყვარულო, ძალსა შენსა“...;  
სასამართლო; აგრეთვე აქა-ამბები ჩვენი დი-  
დად აჭრილი სტუდენტობისა ხოლო კიდევ-  
აქა? — აქა-იქ? — ჩემი ეგრეთწოდებული, რა-  
ბან-დილეუტანტური მუსიკოსობის აგრეთვე  
ჭრელი გახსენებები...*

დასაწყისი აბ. №1,2,3,4,5/2007

რომ მეგონა თუ, აი ზამთარს კელავ ვადა-  
ვურჩით — არადა, როგორც ყოველი ისე,  
ეს-დროც, ზამთარი, რა დიაღია თავისი გინ-  
დც-მჭახე თვლემით... — და მე რომ მეგონა  
ბეზიას ნათქვამი — სამშობიაროდან რომ გა-  
მოგიყვანეთ (ასე 2-3 აპრილს) თოვდაო, მე ეს  
ბეზიასი ჩემსა-გამო მის გადაჭარბებულ წარ-  
მოსახვათა ნაყოფი იყო — ხოლო ახლა კი,  
2007 წლის 16 აპრილს, —  
თოვს...

და თან მაგრად... ბარდნის...  
რა კარგი იყო თოვლის მოსვლა ჩემს არა  
მხოლოდ ადრეულ, X-კლასის ბავშვობაშიც,  
ფუნქიკულიორზე ჩვენი ძალიან მშობლიუ-  
რი იმ ძველებური ვაგონით რომ ავდიოდით  
თოვლის მოსვლისას მუდამ გადაჭყდილი რომ  
იყო ხოლო იქიდან ძალიან უბრალო, ვილატის  
მიერ ხელით ნაკეთი ციგით ისე ბოლომდე  
ვეშვებოდით ჯონდო და მე რომ ლერმონ-  
ტოვის ქუჩის 25-ში ზედ ჩემი ბინა-ოთახის  
კართანდა ვაჩერებდით ციგას, — ეზოშიც  
იღო, ეფინ-ეფინა ახალი თოვლი...

1957 წლის მარტში კი, სად იყო თოვლი, მო-  
გონებად-ლა, მხოლოდ, თან მაშინ ჯერ ვერა  
მქონდა (თუ, მყავდა?) ჩემი მთავარი საქმე,  
პროზა, და კითხვით თუმცა კი-ვკითხულობ-  
დი, მაგრამ, სასამართლოსი-მოლოდინში, მა-  
ინცდამაინც გულს ვერ ვუდებდი ჩემთვის ამ  
როგორ მოსაწინებელ, საქმეს...

გამოძიების დამთავრების შემდეგ ბევ-  
რჯერ ვიყავი კაგებუმი, იქ ჩვენს ასე ვთქვათ  
„საქმე“-ს, — ანუ უ.გ. —სი გაფორმებულს უნ-  
და გავცნობოდი, 6 ძალიან დიდი ტომი იყო;  
ყველაზე მეტად ბიჭების სურათების ნახვა  
მინაზოდა და ვისაც გინდათ გენიძლავებით  
რომ იზათსაცა ყოვლათ-უფასოთ გულდუ-  
ღებდა კაგებე, სურათს; არადა, ჩვენს გარდა  
ჩვენი ისეთი ნაცნობებისაც სურათები გადა-  
ულღიათ ფარულად რომლებიცა რომ პროკ-  
ლამაციებს კი არა და სოციალისტურს-გაზე-  
თებსაც ვერ გააკრამდნენ ცეკას კედელზე  
— უცნაურ-შიშით; რუსთაველის თეატრის  
აფიშებზე ხომ მაგალითმოსაყვანი-ლაპარა-  
კიც კი — აჰ!, ზედმეტი — შიღერის „ყაჩაღე-  
ბი“ ხშირად გადიოდა, იქ...

აჰ, როგორა თოვს, როგორ... თუმც სიკ-  
ტიკვარში არა ვყოფილვარ ფაცა-ბეზიასავით  
მაგრამ მაინც ხანდისხანობით ბეზიასავით  
მაინც მთლად იქა მგონია, თავი... ეს ბუნებაც  
რომ, აფვერია, თუ — ჩემი აგრეთვე

ხოლო გამოძიება რომ დამთავრდა, აი  
მაშინ კი გამიჭირდა რადგან გაურკვევლო-  
ბაში ცდა აბა ვისა სურს ხოლო ჩემისთანა  
სულსწრაფს? — ვეჰ... და თუმც ეგრეთწოდე-  
ბული „Домашний арест“-ი მქონდა, დღე არ  
იქნებოდა ქუჩა-ქუჩად არ გავსულიყავი და

ხოლო ამით ყ.გ.-სა აბა რატომღ ვენინააღ-  
მდეგებოდი — სოციალისტურობისას, სუ-  
ლაც სუყველგან ისი „Домашний арест“-ები  
არ იყო თუ რა? თუმცა, ყოველთვის როდი  
იყო — ბუთანელები გავიხსენოთ, თუნდ... და  
მუდამ დამყვებოდენ ჩემი ერთგული მეგობ-  
რები, ბიჭებიდან — ჯუმალ შუბითიძე და ჩემი  
კლასელი გოგონები განსაკუთრებით მურუნ-  
ველთოდენ და, მაშინაც კი, მაინც-ისერი ხი-  
ფათიანი ვიყავ — სუთაყოლიად დამყვა, ფა-  
თურაქიანობა და შიშის გრძნობა როგორ არ  
მქონდა — მთლადაც ყველნი კი არ ვიყავ და  
მგონია რომ სხვებზედაც მეტად ვიყავ შიშია-  
ნი მაგრამ, ვძლევდი, ხოლმე, შიშს, რაღაც იმ  
გრძნობით შიშზე რომ ბევრად მაღლა დგას  
და, შიშისაგან, განსაკუთრებით მგონი არას-  
დროს შემირცხვენია, თავი... ა! კიდო, კიდო!  
— ავტო-ქებაანი... — ვითოვე ეგებ მეც ავით-  
ქვიფე ამა-დროისსა-შესაბამისურ ნარცისო-  
ბაში? მე რავი, აბა... თუმც ის მამხნევეებს მა-  
ინცდამაინცურ-ტყუილებ-ტყუილებსა როარ  
ვახუთქებ... ჩვენ იქით ვიყოთ, სუფთა ქაღალ-  
დთან, რა უმნიკვლოსთან და ვითო-როგორ  
უსუსურთან რადგან — ამტანთან ყოველნა-  
ირი ბონიერებისაც კი, მაქვს-საქმე და, მის  
სითეთრესა და სიტათათეს აბადა როგორ  
ჩავაჭდევებ შურაცხყოფას, ქაღალდი ჩემი  
მასხურე კი არა — ჩემი სვირდისი და ნამუ-  
სია, გინდაც ვცდებოდე ხანდისხანობით...  
ოლონდ, ძალიან? — მე მგონი, არა.

იმას ვამბობდი მე-ლაზღანდარა რომ  
ერთი-ორჯერ კილამ ისეთსა ხიფათს გადა-  
ვეყარე ნაღდად ვასკდებოდა ჩემი-ფილტვ-  
ნაღვერასული „მერცხლის ბუდე“ — ერთელ  
ჩემს ერთ — ღმერთო, შემინდე მაგრამ მარ-  
თლაც ძალიან ვიგინდარა კლასელში შევე-  
შოლე ვაკელ მართლაცდა ვაჟაცებებად სა-  
მართლიანად ცნობილ ყმანვილებს — რომე-  
ლიმე ჩემს ნაღდ ძმაკაცში მაინც შეეშლოდით  
ის ვიგინდარა კი თავის უფროს-ძმიათა ძალი-  
ან ყალბი და ვითო-ვაჟაკი და ვითოგულიანი  
ბიჭი იყო და, აბა იმ-ფობის შენ რაღდა უნდა  
შესწირვოდი, ჩემო „მერცხლისა ბუდე“ ვ მაგ-  
რამ ჩემმა თანაკლასელმა გოგონებმა სწრა-  
ვად მოიაზრეს და საღდაც მიფარებულისა-  
ყენ რომ მიფავადით მე, დაგვენიღ და უთხ-  
რეს, აუხსნეს ვინც ვიყავი და იმ-სხვის ოხ-  
რობისას — საავადმყოფოში რომ ვინეკი და,  
ნაღდი ბიჭები იყვნენ, თავაზიანი ბოდიშებით  
დაგვემშვიდობნენ, მეორედ კი — ერთი ნამ-  
დვილი გიჟი დამზვდა თანაკლასელს — ჩემი  
უკვე-ნათლულის, ნანა ციმაკურიძის ბინაში  
ის საცოდავი ნანასი ვითო-სტუმარი მართლა  
გიჟი იყო — გადატანით და სიტყვაზე კი  
არ ვამბობ ამას, და ნებისმიერ ნაღდ სპორ-  
ტსმენზედაც კი მეტად, მართლა დღედაღამ

ვარჯიშობდა, და იმდენი ენერჯისა დახარ-  
ჯვით შემა რომ ეპო მთელ სვანეთს ყყოლოდა  
გრძელის-ზამთრობით იგი კი პანტილებსა და  
ესპანდერებში სდებდა ძალ-ღონეს და მეგრე-  
და, რისთვის — იმისი ერთადერთი და მარ-  
ცანება ის იყო რომ მთელი თბილისი ეცემნა  
მაგრამ დიდ-კარგა-ხშირად თავად ილაბეო-  
და — ხან ედევლს ლენავადა სიმწრით ისე მოქ-  
ნულ რომ განცვივრებულ მონინათმდეგის-  
სადმი დიდად აცდენილ მუშტს, ხან იმ მუშტს  
ისე გადაყვებოდა რომ სულელ-ცხვირ-პი-  
რით ეხეთქებოდა ასფალტს თუ ქვაფენილ-  
ზე, ერთხელაც ისე მოუქნია ხელი ერთ საკ-  
მაოდ ცნობად „დამრტყმელს“ რომ მკლავი  
მხარში ამოუყვარდა და, ავტოდ-სიმწრისაგან  
მთლად მოკუნტული, ის დაითოქვევ? მაგრამ  
არაფრით ანებებდა თავისი-მეორევე ამორ-  
ჩეულ ამა-საქმესა (აკი ბევრგვარია...) თავს,  
მთლად ტანისი იყო მაინც ამით აი ისე  
რომ... — რას შევადარო... — პო, როგორც  
თუნდ-აი, მოცარტი ოლონდ მოცარტი მისგან  
დიდათე განსხვავებით „მუზიკებს“ სწერდა  
ის კი პანტიფონზედაც ვერ დაუკრამდა რად-  
გან დაკვრამდე პანტილებისაგან ნაკედაც  
(— ანუ ამაჯადებულ... ისემც...) მუშტებს  
ალბათ ხასტიკად დასცხებდა რომელიც-გინ-  
და ფირფიტას; კი; ნარმოშობით თუმც დასაე-  
ლეთელი ქართველი იყო, გვარი „შვილი“ —  
უშთავრდებოდა, —

უცნაურია, წუთისოფელი — ჯავახიშვი-  
ლებს (უკლებლივ კარგი ხალხი) და იმასაც  
„შვილი“ უნდა პრეოდა, გვარში? და,  
არ მოვედრდი რატომღაც თვალში (არადა  
რომიელ თვალში-მოსასვლელი მე ვიყავი;  
სიგრძე — 190სმ, წონა — 54კგ), მაგრამ ნა-  
ნამ და მისმა ძმამ, კარგა-ჯანინამ და კე-  
თილგულიანმა ტუგომ, ძლიერ ჩააშოშინეს  
— შევინებებსლა, დაკმაყოფილდა, დიდსუ-  
ლოვნებით (აგრეთ-ბევრგვარია...); არადა,  
მერე, რომ გამოვჯანმრთელი და ძმბიჭე-  
ბიც გვერდით მყავდა, იმისი თუნდაც ჭკვა-  
ზედ-მოსაყვანად ერთი კაი-გალახება არ იქნე-  
ბოდა ჩვენთვის ძნელი მაგრამ არ ვიკადრე-  
დით, არაფრით, ამას — შემოლილი იყო; ჩვენ  
„აპაროტიბი“ —სათვის ყ.გ.-სთანებისთანე-  
ბთანებისთანა შეთანხანურად-გაქეჩილები  
უფრო მოგვეწონდა თუნდაც-სიტყვით რაც  
მართალია? — მართალია... იმას კი, იმ უშ-  
ნოდურად-დიდებისა მამიებელსა და ვერ-  
მპოვნელს და მაინც მედიდურასა, გულმზა-  
ობარსა, სრულიად ჯანმრთელს და ახალგაზ-  
რდას, ბოღმებისაგან გაუსკდა გული... აბა,  
რა-ღ იყო მისი სიცოცხლე, შეუნდე, ღმერ-  
თო...

ისე კი, ზოგი ძალიან კარგად მხედებოდა,  
ზოგიც — არც ისე... ბევრი ვითომ საერთოდ  
თუ უნებურად ვერ მამხნედა, — და გული

კი-მწყდებოდა მაგრამ ჩემს თავზე კი არ ვითუთმეობდი, არა — იმათთვის... — როგორ გვაძვირებს, ადამიანებს, ხანდისხანობით, დაუძლეველი შიში...

ერთხელ ჩვენს (ჯონდო, ზვიადი და მე) 47-ე სკოლის პირდაპირ დაედევნი ჯემალ შუბი-თიძესთან ერთად და იქ ველოდებოდი თანაკლასელ გოგონებს, ხოლო თავისის კაბინეტიდამ ჩვენი სკოლისა-დირექტორს დაფუნხივარ და, წამომხატარა ლომივით ზეზე და გარეთაც კი გამოიჭრა და — ახლაცე დატოვე აქაურობის ტერიტორია თორემ მე ვიცი მილიციით მე რასაც ვიზამ შე ანტისაბჭოთა ელემენტო-ო, რა ვინდა შენ ჩემ სკოლაში-ვო, მაგრამ მისი ეს-ნათქვამი-ესაც მაინცდამაინც არ მომხვედრია გულს რადგან სუარ გამკვირვებია — სახედ სიფათი ჰქონდა ისეთი... ხელმოცარულსა ხანშიშესულსა კინტოსა ჰვამდა — ანუ სკოლის დირექტურ-იყო, ზედაც ვალსკით... და კიდევ-კაი აი-ისა, რომ, ღანვის თავზედა რგელ-ხალი აჯდა, ბრტყელურ-ბრტყელურათა.

და ჩვენს (თემურ ცერცვაძის და ჩემს) I მუსიკალურ სკოლა-სასწავლებელს რამდენჯერმე მოშორიახლო ვეახლუ და, დიდხანს შევეცქეროდი... ასე განსაჯეთ, მონატრებულიც კი დაკვრა მე არ შემეძლო, რადგან ასე-წუთნახებვარში დაკვრის მცდელობისას ზურგი ისე მეტებდა რომ მივარდებოდა მარცხენა მკლავი; შევეცქეროდი ჩემს წარსულში როგორ-ზმირ შენობას, მუსიკალურს, ოღონდაც მარტო — მეგობრებს ვთხოვდი იქვე, ცოტათი ზევით, III საშუალო სკოლასთან დამიცადეთმეთქი და ისინიც იქიდან მითვალთვალებდნენ ემანდ გული არ წაუვიდესო მაგრამ როგორღაც მხნედ დათრგუნული ვიდექი, მარტო, და — „სხვა“-სთან ერთად? — რაც-გინდ ახლობელი და მეგობარი ყოფილიყო, ჩემი, მაინც იმ-„სხვა“-სთან ისე-ძალიან მონატრებული მუსიკალური სასწავლებლის ცქერა მაინც ვერ შეიძლებოდა; საღამოს პირას აეიტლუზებოდი ხოლმე ენგელსის როგორ ნაცნობსა და შეჩვეულ, ქუჩაზე, და, მახსენდებოდა...

მუსიკალურ სკოლაშიც 7 წლისა შემეყვანეს, ვილინიოს კლასში ანუ განხრით, მამაჩემის და ბებიასიც დათრგუნული სურვილი იყო, ეს — ამა-საკითხში სრულად დაემთხვა მათი განზრახვა, — კი; იქ ყველანი კარგი მასწავლებლები, ანუ თავიანთ საქმეში პროფესიონალები, იყვნენ, ეს მოგვიანებით ვერ აღმოჩნდა მათგან მხოლოდად ერთი მუსიკოსობის, ღირსი; მასწავლებლებში დიდად მწყალობდა ბედი, პირველ საშუალო სკოლაშიც ძირითადად კარგი მასწავლებლები იყვნენ ოღონდ ერთი სასწავლო ნაწილის გამგე გვყავდა, —

გ.კ.? აი ისეთი... რას შევადარო... არა, ვირრი კი არა — ვირი ძირითადად დიდად მშრომელი და თვინიერი ცხოველია, დიდი აშბავი ათასში ერთხელ თუ გოჭტდება, თანაც რა იცი რა აწუხებს, რა უდევს გულში... მოკლედ, ისა-კაცი (სიტყვაა როგორ-პირბობი...) კი მთლად გაუზრდელი ხეპრე იყო და თან ისეთი ნაღდი ჯალათი? ტანით რა-ოყრატს, კარგაც-ჯანაანს, მესამეკლასელი ბავშვისათვის ისე შევძლო სახეში მთელი ძალით ეხებოქა მუშტი რომ — ვითომც არაფერი, ხოლო ასე VIII-IX კლასელებთან კი, ერთდოდა, ყველას, — სუყოველიფერ-სიკეთესთან ერთად ლანჩონიც, იყო, და თუ რომელიმე შებრტყილი უფრისკლასელი თავში იქით წამოარტყამდა გ.კ.-ქეს, იმ დღესვე I-II-III-IV კლასელებზე იყრდა ხოლმე, ჯავრს — გულფიცხი იყო, და, ნერვინერიანი? — ისეც. ჯალათები ხომ არ არიან ნერვიულები, არამედ საქმიანად, კი, აკეთებენ თავიანთს საქმეს (მოგახსენეთ, ხომ, საქმე რომ აკი ძალიან ძლიერ სხვადასხვავე-ერული...), ...ესა კიდენა, როგორ ბოროტად აბუტტი, ჯალათამდე ვერ დაბლდებოდა კი არა — ვერ მაღლდებოდა; ერთხელ, გვიხ ხომერიკი და მე ისე გვცემდა? — მე მხარედ ერთად-დერთხელ გავლახულვარ ჩემს ცხოვრებაში (დაჭრები — სხვა... — რალაც ნაკლებად შეურაცხყოფელი, დაჭრა იმდენად არ მენალელებოდა, და თანაც რა ასაკისად მოგვერია და თანაც ვისი შუამავლობით... მოგახსენებთ თუ როგორ, რატომ:

ხატვამი ისეთი უნიჭო ვიყავი, დაახლოებით... რა მოგასახსნეთ, შესატყვისი... ჰო — რამდენადაც შუბერტი იყო თავის საქმეში ნიჭიერი; ისეთი დიდად-უნიჭო ვიყავ? — რომ ამიტომაც ამქვეყანაზე სუყველაფერზე ძალიან მეტად დიდადა მნაღდა მხატვარი რომ გამოვსულიყავი; რაც მე ამ ჩემთვის ფუჭსასაქმესა შევალეი ფუნჯები და საღებავები და ჩემი ოცნება და ხელი და თვლი, მაგრამ — შენც არ მომიკვდი, წურას უკაცრავად... არადა, სიზმრებში ისე ვხატავდი, რომ, ბარე ორი ფლორენციელი ვერ ამომიდგებოდა მხარში... მხარში რა იყო არამედ — მოლბერტთან... იმ სულით-მანბიჯ გ.კ.-სა კი (გარეგნობა თუმც კარგი ჰქონდა მაგრამ რად გინდა — ისეთი ბნელ-ბნელი შუქი ედგა გინდაც ღიასა-ფერის თვლებში? — მთლად მონამლულ... და ერთიც გულისა სწორი... ეე, არამედ სხეულისა სწორი ნაშა-ცა ყვანდა, ჩვენი ხატვისა მასწავლებელი — დიდცხვირა, დიდყება, უშნოდ მომწენა-გადმოკარკლულთვალეზოლონდ ფორმები ზე-მკაფურად ჩამომძიმებული ჰქონდაყე, დიან, და გ.კ.-საც სხვა რა უნდოდა — სულ-სუ თვალეზმშიდა-შუქს არ დაექმედა? მოკლედ, დიდათ შესაფერის-

შესატყფისსურრნი სატრფო-მეტრფე-ნი, იყენენ, და, მე კი, სწორედ იმ დღეს მხატვრობისაკენ როგორის ლტოლვით როგო-მოსილი ფერად-ფერადი ფანქრებითა და სახატავი სპექტრ-რეველითა დიდად აღტყველი ნარვედ სკოლაში და, ხატვისკი გაკვეთილზე შევუდექ მთელი ჩემ-ნიჭის ანუ უნიჭობისაც უკიდევანო შესაძლებლობით — არაა შესაბამისად ეს — და აგრეთვე უნიჭობის უზომო ფარგლებში ხატვის-დიდადა-მონდომებულს ხოლო გადმოსახატი იყო ქოთანნი, და ჩემის პაზრით რომ ძალიანაც დაეუსურათხატე საგანი-ისი თურმე ის-ჩემი ცოდვით საცხე, ქოთანნი, რომელიდაც ჩვენი თავანმა სწორედ იმ მასწავლებელს — ქვედაკაბიანსა და ასე შემდეგ (...ისემც...) აურია დაა, იმანაც, არც აცვიდა და არც აცხელა — თუ, ორივე ერთად?! — და მოიყვანა მეტრფე-თვისი, არ-და-საკარგი ის ყურუმსალი გ.კ.-ძე და, ასეა და ასე ჩემი საქმე ეს ლანჩრაკი თავგასულეები მირევენი და, ხოლო გ.კ.-მ პირველ ნამუშევარს, ვისასაც დახვადე, ეს — ჩემი იყო და, გავიპრანჭვი ისე რომა როომ, ამყადაცკი შევმართე მხატვრული-ჩემი, თავი, მაგრამ — ესაა, ბიჭო, შე გათახსირებული ქოთანო? — და იმ ჩემსა-ნამუშევრით ალბათ ისე ეგონათ-თუ, რომ სწორედ ეს-მე ეურევედი ამით და ვაბითურებდი იმისსა სატრფოს დიდ-იმიანსა ჩემის ნახატიც და, ისე გვცემა გვი ხომერიკი (რომელიც გამოქვეყნდა) და მე, რომ, იმ უთანასწორო ბრძოლის — სუცოტა მთლადაც მთელ-ბ ფუთი იქნებოდა დიდ-ლორებისა ასანონ-სასწორითა და გრინვიჩის დროით გ.კ. და ხოლო მე კი მაშინ ჩემი ზნაჯი 54 კგ.-ც არ ვიყავი, და ისე გვცემა რომ, როცა იჯერა თავისი გული რომელიც რომ როგორც ასეთი სულ არა შქონდა დედლურისასას თუ არჩავთვლით — დამიჯერებე? — ჩემი მაღალყელიანი „ბათინკა“-დან, რომელიც შვიდ-მაგად-მანინც იყო შეკრული, ფეხსაცმლის „ენა“ ფეხსაცმელისა-ჭვინტზედ გადმოშეფინა, და იმ საღამოს ყოვლად უსამართლობისაგან საკმაოდ მაღალი ისეთი სიცხე მქონდა რომ თურმე ვაბოდებდი კიდევ, და მამამ, სიმწრისაგან მთლად აცხცახებულმა ჯერ ჩემს მორჩენას დაუჩეადა და, მეჩერე კი, ბავშუს შიში არ დაჰყვესო და, სკოლაში წამომყვა სამხედრო ფორმაში ჩაცმული და, საკლასო ოთახის ნაცვლად სამასწავლებლოში შემიყვანა, დროებით იქ დამტოვა და ორიოდ წუთში შემოაფიქვია გ.კ., რომელსაც ჩემი თანდასწრებით დიდი ხაზგასმით და ყოვლად შეუნიღბავი მუქარით უთხრა, ჩემს შვილს კიდევ რომ თითი დაეპარო ამ ცემას ახმაგად გადავკიხდიო და, სამხედრო ოფიცრის დანაჯიხე კი არა და გ.კ.-ს დღესდღეინდელი შარფლიანი ოლონდ

ზორბა ქალი ვინმე-რამ რომ ეხობა აი იმაზე-დაც კი ისე აკანკალებდა როგორცრო IX კლას-სელებზედაც (ახცახებდავერხვის ქარიან-ფოთოლივით და, რომ დავინახე ასე-რიგ რარიგ გაფუჭებული — ზოგს ადგილებში მთლად ნი-ავექარი გასდიოდა — და, მართლაც მომეშვა, გულს.

მამა უყვარდა, ყველას... არადა, მეხამუშე-ბა ამის თქმა, რადგან, დღევანდელურა როგორ-დიდ-დიდად გავრცელებული თავისი-ნების ქება პრესაში თუ ტელევიზიით როგორ სასტიკად არ მომწონს — ყველაზე ბრძენი მამაჩემია! (— იგულისხმევა: „და ვისაც აი ესა-მე თქვენდა ბედნიერებად როგორმანა-ც-გამოვემგვანე“), „ყველაზე ჭკვიანი დე-დაჩემია“ (— იგულისხმევა: „მქონდა მე, კიკი, წინაპირობა“), „ყველაზე გონიერი და ხალხის ყველაზე საკეთილდუო აღმავლობისთვის პარტიის წევრი აი ეს მე ვარ მა სხვა ვინაა“ — წინაპირობათ-შემდეგომ? — მთლადც-მოკ-რძალებულ თავისსა-თავსზედ, ეს, და, გან-სამტკიცებლად: „ყველაზე ლამაზი ჩემი ცო-ლია რომელიც მე-მგავა ხოლო პაპიმამაჩემი? — ძანაც-მოქმედი ვუნდერკინდია“ და, ამე-ბის შემდეგ? — ამიტომაც მეხამუშეა მამაჩე-ვის ქება მკარამ ამით იმ ხალხში მკონი და იმა-ვითქვიფები — საქართველოში ასე-ვთქვათ „დაფუჭებული“ დაახლოებით სუცოტა 100-დან ორად-ორილა პარტია მეგულეობა მარ-თლარ რომ უნდა ყოფილიყო და იყოლ და იმათ-განაც კი დააქუცმაცეს მთლადაც ორივე მთლად ადრევეც და, „ხალხის ყველაზე მა-კეთილმდღეობებელ პარტია“-დ რომ ითვლი-ან, თავს? — მაგრამ... — განმეოხი, სხვაა, — აჰ! — სხვა კი არა თავად ისაა, 00ს, ხოლო მამაჩემს რაც შეეხება მე სხვათა ნათქვამებს მოვიშველიებ და არა ჩემსას, და, ვიმეორებ, მამსხვევებს ის, რომ, სიმართლედ — მანინც და მუდამ სიმართლედ და, —

ოლონდ უნდა ღირდეს თქმა რადგან სიმარ-თლედ, საქმისა არ იყოს ბეგრავარი, მაგრამ, ერთადერთთაგან, ერთადერთი? —

თვით თავად როგორ-ძალიან უკიდევანო ჭქუმარიტებაა, ეს, — ხოლო ზოგი-რამ, სიმართლისეული? — გაუშვი, უნდა მქონდეს.

არადა, ცოტათი რომ წამოვიზარდე მე ძა-ლიან განვიცდიდი იმას რომ ციხის ექიმები თურმე დახვერტას ესწრებიან ანუ როგორ-ღაც თანამონაწილეები — დაეუშვებო მთლად ბოლომდე არა მაგრამ იმა-დასწრებით გვერ-დითმდგომები-მანინც ხომ არიან და, რამ-დენჯერ შემხივდავს მამაჩემისთვის ზურგში — წუთუ ეს კაცი და, დახვერტას როგორ ესწრება-მეთქი, და, ერთხელაც, უკვე მოხ-

რდილმა, როგორც იქნა და ვაგებდე და, ვეითხე, ეს... — მაგრამ ამაზე, შემდგომ,

ხოლო ახლა კი იმასაც კვლავ დაჟინებით გიმეორებთ რომ ისეთივე ღირსეული-ვინმ არ გეგონოთ როგორც აქ ახლა გამომყავს თავი, არა, უბრალოდ მინდა რომ მხოლოდ მე-უღირსისა სიხარულები გაგიზიაროთ და არ მოგახვეთ თავზე ჩემს ცოდვებს და ცუდ მოვლენებს — თქვენ თქვენიც გკმაზრათ ვაჭირვებები და ამიტომაც ცუდი ხილახი, საცოდავები, მხოლოდლა საბრალოებად უნდა შევრაცხოთ და არა მტრებად მაგრამ ვერ გამომდის ძალიან ხშირა-ხანდისხანობით, ეს, არადა ვცოდავ — მტრობამ და ქიშპმა და გაჯიბრებამ — არა მე ვჯობივარ ჩემს პარტიიანა და არა მე "ომ დავგანარდა მთლად და ეგება ჩემი ბოლომდე მთლადაც გამოუმწვარი ატურის ფინჩხა საქართველოში თქვენთან ერთად ეგებ მეც დავდო, —

მიტყეებით, კი, თუძიცა  
სულაც-სუ ჩემსა სიტყვას არ უცდიან? —  
კი, როგორ არა, არ-აქვსთ სხვა მეტი-დარდი, იმათ დარდი ძალიან-უმფრო აი ისაა მესამეზედ რომ მეოთხ-სართულიც დაიქნონ და არ მოაწყინონ უცხოური ფრიად-ბანკები, მაგრამ, ესაცაა რაც მალაპარაკებს (ბევრგვარი, ლაპარაკი... მათ შორისაა, სიტყვების წერაც...)

მაშინ კი, სასამართლომდე, ჩემს მუსიკალურ სკოლა-სასწავლებელთან მდგარი, მე ვისხენებდი ჩემს | ვეჭოდა და | ქალთა (-47-ე) სკოლებსაც, მედიმებოდა მე-იმათსა, კი,

47-ეში ერთიც მასწავლებელი გვყავდა, ინტორისა, ვარდო — არ იყო მაინცდამაინც ცუდი და ამიტომაც ვანსაკუთრებით „ასარული“ ქალი არ გახლდათ მაგრამ ჩემი რატომღაც ისეთი შიში ჰქონდა რომ, პირდაპირ-სულე მთლად ცეცხლნაკიდებულ-განგაიანი, და, ყოველ ვაკეეთილზე ნამდა-უნუნად გაიძახოდა — მისგან რატომღაც „ლოჩანაშვილი“ — დ ვინოდებოდა: „ლოჩანაშვილი-ლოჩანაშვილი კაი ახლა დანყნარდი-დანყნარდი ლოჩანაშვილი“ — გაკეთილზე-რომ, ვთქვით, ჩამძინებოდა მაინც კვლა-ასეც გაიძახებოდა-იქნებოდა, — კი,

არადა, თუ მთლადაც როცა დამძინებული კი არა და გინდაც მთლადაც შატლოებზე ვიყავ თურმე ჩეულის ნესით ასე ხსნიდა ვაკეეთილს: „ივანე მრისხანე ძალიან მრისხანე იყო კაიახლა ლოჩანაშვილი დანყნარდი-დანყნარდი ლოჩანაშვილი-ლოჩანაშვილი“ო, ანდ:

„მეტრე პირველმა შექმნა სამავალითო ფლოტი მერა შენ დანყნარდი-დანყნარდი ლოჩანაშვილი-ლოჩანაშვილი“ოო და,

როცა მთელ კრძელ ხუთ თვეზე მეტს რომ არ ვიყავი სკოლაში, ჩემმა დაიკომ და თა-

ნაკლახელმა, ნანა გოგოძემ თავისი როგორ-ლამაზად გულიანი სიცილით ისე მითხრა რომ, ძლივს, ძლივსა —

იგუდებოდა პირდაპირ, სიცილით — „დანყნარდი-გურამ, აი ახლაც კი სულ — დანყნარდი-დანყნარდი ლოჩანაშვილი“-ს გაიძახისო,

ხოლო ერთხელ კი თუმც ყოველად უნებურად ვარდო-მასწავლებელს მე შიში ვაჭამე? — აჰ!

ყველაფერი კი, ჩემი მორიგი შეყვარებულ-ბანა-ს ბრალი იყო:

მე ჩემს კლასში თითქმის სუყველა გოგო მიყვარდა „სიჭაბუკურულ-მოძალატონურ-თავითა“ც, კი, ოღონდ ყველანი ერთბაშე-ერთბაშად კი არა არამედ — რაც მართალია მართალია რიგრიგობით და, ზოგი თუ შენიღბებულად, ზოგიც — უფრო ისეთურ-დანამდვილებით რომ? — სხვებისათვის დიდ-მოსაყირაყველ თავგასაბეზრებლად — იმდენს ვეყვებოდი ამასა სხვებს და არა გოგურ-ობიექტს-ჩემსას ჩემსა შეყვარებულ-ბანაზედა და, როომ, კიდევ ერთიც რომ შემეიყვარდა? თავქარიანს-მე-ს? წნორდაც ვარდო-მასწავლებლისა გაკვეთილზედ დავეჯედი ობიექტისა-გვერდით — უფრო სწორად კი ჯერ გადმოვეჯედი მის პირველ მერხზე ჩემი მთლად-ბოლო მერხიდან მის გვერდით, კედელთან, მერე კი ის — მერხებუა ვასას-ვლელთან და, ვსხედვართ ჯერ ხმაგაკმენდილ-მე — მე იმა დიდათე ძნელი „სტარტი“სა ნინ ძალიანც დიდად აღელვებული ხოლო ისა კი, ფრიადოსანი, ამ-ჩემს ვარდო-მასწავლებელს მთელის-არსებით უჯდებს ყურისა რომელიც იმა-შემთხვევაში სრულსა სიმართლეს გაიძახა: „დეკარისიტემა ვადანყვიტეს დიდი ამბოხი მოეწყობა დანყნარდი ახლა დანყნარდე უნდა ლოჩანაშვილი-ლოჩანაშვილი“-ო, — მართლაცაა, როგორ, საწყნარებელი, ვიყავ და მაგრამ აბალ-რაი შეყვარებულს-მე რა დამანყნარებდა — იქამდე მხოლოდ კარქა-უთქმელი მიჯნური ვიყავ ხოლო, ახლა კი? — დამანყნარებდა, რა! — შეყვარებულიო, ვიყავა, და, იმ გოგონას სახელი კი რომელ ბეგრაზეც იწყებოდა, ვუთხარი — უნდა გამოგიტყვე ჩვენს კლასში ერთი გოგო ძალიან მიყვარს-მეთქი,

ხოლო ამისა-გაკონტრაზედ ფრიადოსანსაც კი მივიწყდა (ადამიანია ისიც!) და სულ-მთლად განზედ გადასდო და ისედაც მკაცრი ბედის ანაბრად მიატოვა დეკარისიტეიც და ზედაც-მიმყოლი იანერისიტეიც და,

ვინ-ო, ძალიანაც ვაცნობისანადილა, მე კი ვუთხარი, როომმ, ამა და ამ ბეგრაზე იწყება მისი სახელი, მეთქი, მართლათა? — კიდევაც მეტად მონდობამისი გაგება გინდაც ძალიან ფრიადოსანობზეც:.....ო?

არა-მეთქი, — მე-მ.  
მაშინ.....ო?  
არა, არა-მეთქი, — მე-მემ,მ,  
დაა, მაშინოო, — მიმოიხედა, — უიოო.....  
ო?

არა, არა-მეთქი, — გადაჭრით ვუთხარი,  
მტკიცედ ვუთხარი მე-უშუბტიცესმა სწო-  
რედუც ხალიბურ-რელიგიითა და სტამბუ-  
რდურ-კაფიით ის მერე რა რომ — მე-გინდაც-  
სამოსანმა, —

შეცვარებულისტი, ვიყავ.  
და, რომ აღარ დარჩა ჩამოსათვლელი  
აღარავინ, გაკვირებული დამეკითხა: აბა  
ვინაო?

დაააა, —  
ვინ და ვინა და შენ, შენა-მეთქი და, ამისი  
თქმა იყო და რახან კედელთან ვიჯექი ფე-  
ხი სასწავლო მერხზე (— ისემც...) დავკარ  
და, თუმც დედალისივით ვერა მაგრამ გარ-  
კვეულნილად მაინც აფერინდი ხოლო დამი-  
ნებას კი, ჩემსას, აღარ იკითხავთ? — ის მეტი  
მარცხი იყო ჩემი ვინმე საბრალო იკაროსისა  
თავისი, კი — ზედ სწორედ ვარდო-მასწავ-  
ლებელზე, ასე ვთქვათ, დამინებამდე არ გან-  
საველო-ვმინდი?, და, კავებარდი კიდევ ჩვენი  
საკლასო ოთახიდან მე, მთლადაც ორმაგად  
დიდდარცხენილი და ის-მაინც კიდევ კარ-  
გი რომ ვარდოსა-ჩვენსა-მასწავლებელს  
(-ვითომ?..) ნაქცივის გარდა დაშავების არა-  
ფერი დაშავებისა თუმცა დაშავებაა აბა რაა  
დიდძალი-შიში? — და სულ ასე-ასე გაიძახო-  
ვოდა, თურმე, როგორ-ძალიან შიშატანილ-  
ზეც ძალიან მეტად თავზადაცემული: „ხო-  
გუებუნებოდი ლოჩანაშვილი-ლოჩანაშვილი  
დანყნარდი-თქვა და დანყნარების მაგიერა-  
თი თელათეთაზე რათ დემეცი?“-ო, — განსა-  
კუთრებულ ადელვებისას, მშობლიურულა-  
კუთხურადა უქცევდა, მე კი კუთხურობებს  
ჯერ ეგ ერთი კოლორიტისათვის (-ანუ სათ-  
ნოდ-შერთი „იქანა“ და „ბაღანა“ ჩემთვის ნაღ-  
დად, ძვირფასად უფრო მშობლიურია ვინემ-  
ლა — „დენტიფიკაცია“ ანუ მშობლიურათე?  
— გაიფიქრებდ — „გაიომასქენა“, - ანუ...  
და აღარ მივსულვარ, სამ დღეს სკოლაში,  
ჯონდოსთან ერთად მთლად ჩვენსა მაღალს  
ფუნისკულიორზედ, დავეყინობდი, იქამდე  
ვიყავ შემალღებულზე მინამ ყოვლათე-დაუს-  
რებლად ახალი ვინ-მ არ შევიყვარე, ვუიო-  
მართლაც ვინმ-მ,

რადგან — იმავე ბგერაზედ — მ-ზე, კიკი, —  
!?

ეპზე, ეპზე, იმავს-ბგერაზედ ინყებოდა  
მისიც როგორ-ტყვადი სახელი, კიკი, —  
უცნაურია, ნუთისოფელი, კი.  
რა, იტყვიო — არა?

მაგრამ ყველაზე მეტად, მუსიკალურთან,  
რალა თქმა უნდა ჩემს მუსიკოსობა-დილე-  
ტანტურს (რადგან კონსერვატორია — ხომ  
კარგად ვლერს იტალიურად — conservatio-  
ნო — უმაღლესი მუსიკალური სკოლა ვერდი-  
სავით არამცათუ დამიშთავრებია არამედ  
იგივეერიდისავით მთლადც ვერ-შევესულვარ  
რადგან ისტორიულზე ჩაბარებულს კონ-  
სერვატორიაში აბა ვინლა მიმიღებდა რაც-  
გინდა ბლატით — აქვითო-ვხუმრობ მაგრამ...  
ჩემი მაცეტროს, მიხედი თიროშვილის რა დი-  
დად სანყენად — უკონსერვატორიომა...) ვიხ-  
სენებდი, და რა თანაგრძობით ვიხსენებდი  
ჩემსაც იმ ბეჩვენსა-თავს როცა თუ რა წვალე-  
ბით როგორ ავიდგი პირველად თითები ჩემს  
ოთხისმიან სასუებზე, რომელიც, ამასთანა-  
ვე? — ჩემს საათიან-დაკერისა-დაშუაგულის-  
კენ ჭირის დღესავით, მთლად მძულდა — არა  
მაგრამ ნამდვილად არ შეპიტნავებოდა — და  
ეს მე ვიყავი, ისე ძალიან-მოუსვენარი, ვი-  
ლინოზე — რაცინდ დაიდა საკრავზე — დღე-  
ში სუსტოტა ნ საათით, დამკვერელი? —

მასწავლებელი გაკვეთილიდან გაკვეთი-  
ლამდე მუდამ მეკითხებოდა რამდენი იმეცა-  
დინო, — და მეტ-ტყვილს ვერ ვამბობდი და,  
სამი-მეთქი და, ლამის გული უღონდებოდა  
შრომისმოყვარე მაცეტრო მიხედი თიროშ-  
ვილს, მთლად დიდის რისხვით გაიყვარებო-  
და: რატომ ხუთი არა! და რატომ ხუთი არა!,  
დოჩანაშვილი!! — გვარს კარგა-სწორა გაი-  
ძახობ, ეკებ იმიტომ ჩემი გვარი რომ „დო“  
თი ინყებოდა ხოლო ვარდო-კი მასწავლებე-  
ლი მუსიკალურობით ჩემზედაც ბევრადაც  
გაცილებით დილეტანტი იყო, რადგან, იმისი  
თელათ-მთავარი საქმე? — ვანიტუა-მარისხა-  
ნე და პეტო-დიდი და დეკაბრისტიცა და ველი-  
კაია რევალუცია და იმისი ჯანი, იყო,

ხოლო მაცეტრო მიხეილს ის რომ სცოდ-  
ნობდა რომ, დღეში რთომ, მხოლოდ რომ  
ერთს-კინკილ საათს ვუკრავდი და, დააა,  
თანაც, ხომ გააჩნია, როგორ საათს:

ასე ოცი-ოცდახუთი ნუთის შემდეგ ვითომ  
ერთი სართულით დაბლამდებარე საპირ-  
ფარეშოში (აბა ამაღლებული საპირფარეშო  
მე არ გამიგია) მომინდებოდა-ვითო შესვლა  
და ვიდექი იქ ტყვილა-ტყვილა ასე-თხუთმეტ  
ნუთს და, რომ შემოვბრუნდებოდი, დარჩე-  
ნილი 20-ოდ ნუთის ასე უფრო იოლად გამყავ-  
და და ამა-ხერხით კარგა-იოლას გავდიოდი  
იმ მარტოკინა-დ 60-სა ნუთისა, ფონ-ფონს,  
და როგორ რაღაც-მეამაყებოდასავით-კი-  
დედც მე-სულელს აი ისა, რომ, თვით ბაბუა-  
ჩემს სილოვანს, თავადურსა კნისა ვეშვებარს,  
— ის მერე რა რომ, გინდაც ყოფილს — ეს მე  
გლენუჭა დლოჩანაშვილი, — მხოლოდ 10-  
ოდ ნლისა, თან, ეს, -როგორ კობტად ვატყვი-  
ლეთ-მეთქი,

არადა, ჩემი როგორღაც თანდაყოლილად მკაცრი ბაბუასი როგორ ძალიან, იმდენად ძაან მერიდებოდა, რომ, მგონი პეტერეთ-მეშინოდ-ვოდაც, კიდევ,

მაგრამ, ვჯობნიდი აშკარად იმა-ჩემი საპირფარეშოულ-გამოგონებითა და, სხვა რა მექნა, აი ანასა იმა-ყოველსა-სამოცნუსოთიან-დაკვრაშია გამოვიყენებდი, ვერ?

და გამყავდა, კიი, აი-ისი დროიი, აიი-ასე, ამითი როგორ-გახარებულს, — კიი, მაგრამ, ერთხელაც,

ბაბუას რომ ესტუმრნენ მისი სიყმანეილიდანვე მეგობრები, კნიაზი ვარლამ დადიანი — მათ თაობაში ვაჟკაცობითაც და კაცობითაც დიდად განთქმული ღირსება-როგორ-შენარჩუნებული-მანაც მაინც კნიაზი, და ასევე დიდად დაფასებული კნიაზ-ჩიქვანი რომის სახელი, სამუხაროდ, ვეღარ მახსოვს და, რომ შეუდგნენ „კონჩინა“-ს თამაშს, ერთმანეთს ძველებურად მთლადაც ბატონო-ბით მიმართავდნენ ოღონდ ხმადაბლა — „ბატონო“ს ხსენება სტალინაურსა-აშმახანა-გობიასას ანტისაბჭოთა სიტყვა იყო, კი (ისე, მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერც დღეს ვერა ჟღერს — აბა რომელი „ბატონო“-ბითა დღევანდელური თუნდ ასეთი რახშირი თქმა: „ბატონო იმანო, თქვენი ჩემდამი ასეთი არაკონფიდენციალური დამოკიდებულებით თქვენ პერმანენტულად გარენარი ბრძანდებით ბატონო იმანო“.)

და, კნიაზ-ჩიქვანს რაღაცნაირი შეჭმუნეილური უგუნებობა რომ შეატყო ბაბუა-ჩემმა, ჰქოთხა:

— რაღაც ვერ ბრძანდებით დღეს გუნებაზე, რაიმე სომ არ გიჭირთ ჩემო ბატონო?

რა ცკინდ ახლობლები, მაინც „თქვენ“-ობით მიმართავდნენ ერთმანეთს.

კნიაზ-ჩიქვანმა კი, ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენს ერთადეთილა ოთახში მაინც მიმოიხედა და როცა მყარად დარწმუნდა-რა რომ ქალბატონი ფაცა იქ არ იყო — ბებიაჩემი დედა ვაკულტას სამზარეულოში მორიგ გასტროლზე-დ იყო გასული, მე კი, თორმეტობიოდ ნლის ბავშვი, შედარებითურ არა-დ ჩამთვალა და, თქვა:

შეკრულობა მაქვს საშინელი, ვიტანჯები სილოვან-ბატონო,ო,

აქ კი ბაბუამ — რომელი ექიმ-თერაპევტი და პიპოკრატეს ფიც-გამოვლილი ის იყო, მაგრამ, აი რა უთხრა:

— მე ვიცი ჩემო ბატონო ერთი ისეთი კახურნი, ოციოდ წუთში რომ გიშველის,

აქ კნიაზ-ჩიქვანს ძალიან ძალზე აუცილსკოვნდა სიხარულისაგან, სახე:

— არიქა სილოვან, მითხარი ჩქარა მითხარი რა ხერხია, — აღელვებისაგან, „შენობით“ ზეც კი, გადავიდა,

ასე, ბაბუაც: — რა და, ჩემო ბატონო ავერ გურამის სკრიპკის მოკიდე ხელი და ურთიოცი წუთი როგორმე გაიჩერე თითებში და, დიდი-დიდი ოცდახუთი წუთის მერე აუცილებლად უბორნიაში გავარდები, — რაც, მომივიდოდა? მე-ს?

\*\*\*

მე კიდე, სულელს, ისე მეგონა-თუ, რომა, რომე —

კნიაზ-ემხვარსა, ვატყვილებდი, — ბაბუასაც, სომ? — თურმე სცოდნოდა მოულოდნელი ხუმრობების ადგილი, ნონა, და ფასი.

ვიდექი ჩემს მუსიკალურთან და, მე-ღმიებოდა, ამ სასწავლებლის ახლა ეგებ ყოფილ სტუდენტს, მე-ს... ვიღიმებოდი იმისადა მიუხედავად რომ არ ვიცოდი მე-ღმისეებოდა მისი დამთავრება და კონსერვატორიაში შესვლა, თუ არა...

ვიდექ, ვისხენებდი რაღაც-რაღაცებს... და აბა როგორ არ გამღიმებოდა, ერთხელ, სასწავლებლის I კურსზე ანუ მერვეკლასელი რომ ვიყავი ვალიანტ რაფაგა ნამყვად მუსიკალურში და იქ კი, რომელიღაც გაკვეთილის შესვენებაზე იქაც-მშობლიურ ტუალეტის რომ მსწრაფლ მივამურე ოღონდ ამჯერად „ნაღი“ საქმისათვის: სიგარეტო შეგულოდა და იქ, კედლის მცირედ ოთხკუთხა საშალავივითი გადამალული — მე, ჩვენი თაობის პირობაზე? — აკი მოვახსენეთ და რად მაშორებინებთ (—მარზე ვარ მა რა ვარ...) ძალიან ადრე მივყავ თამბაქოს ხელი და პირი და ფილტვები, და, რომ ჩავყავი ხელი იმ ოთხკუთხა ღრმულში, სიგარეტის კოლოფი კი არა და მონატრებული სიგარეტისათვის გზად კი უცხო საგანი-რამ მოულოდნელი შევიგრძენი და თანაც ცივი რომ ელღანაკრავივით მაშინვე გამოვიტაცე ღრმულიდან ხელი მაგრამ იქვე დიდად გავცნობისნადილდი და, ამოვიღე მაგრამ რა ამოვიღე — ცივი კი არა, მთლადაც ცეცხლივით-არყის ნახევარ-ლიტრიანი ბოთლი... ის კარგა მოზრდილი ტუალეტი მუსიკალურის შიდა, მთლად კლდეს მიბჯენილ ეზოში იდგა, ეზოში ორიოდ ოჯახი ცხოვრობდა და ალბათ იქაუბრი რომელიმე ქმარი უშალავდა ამ არყისა-ბოთლს რომელიმე რა იყო არამედ ნაღდ-კანონიერ — მთლად მმარ-ურსაურ, ცოლს, — უფროსკლასელების რომ ყოფილიყო ამა-დამბურძღვალ-თურმე სითხისა არსენალი არა მგონია რადგან უფროსკლასელები არაყს ალბათ მაშინვე გამოსცლიდნენ ხოლო ჩემსა ხელთ კი ოდნავ ნაკულ-

ლი ბოთლი გახლდათ — მხოლოდ ორივე კრ-  
კრ მოესწრო იქიდან მისსა და მამალს ალბათ  
ყოვლად უსადღეგრძელოდ, და, შევაცქერ-  
დით ერთმანეთს ვალიანტი და მე, რაც არის  
არის და, სადღეგრძელოსი თანსაღებოთ —  
ვაგვიმარჯოს—ო რიგგრილობითი კრ-კრ-იებით  
მთლად „ვაჯვაცობით“ შინაგანადაც მთლად  
ისე ძაან გაუფლენთილები, ვიყავთ, და, არაყიც  
რომ შევგეფდინთა? — რომელმაც, ნამდვი-  
ლად იცის მერუანტელური, საქმე?

ისე დავითფერით რომ, ნალდაც ვერა-  
თქვენი-მოწონებული და, რისი სოლფეჯიო  
და არბეჯიო და ამისთანები — კიდევ კარგი  
რომ იმდენი ქუთა გვეყო რომ იმ საქმიფო  
ტუალეტოდგან პირდაპირ შინსა-ა-კენ ძლივს  
ჩავიდინეთ ბანცალ-ბანცალა პერი-პერიი,  
ასე რომ, იმ დღეს მეორედ დავითფერი-ვერ-  
საზრიანად ესე ეს-მე ჩემს ექვს-ნოლობისას  
პორტვეინით დათრობის შემდეგ — მთელი  
მ წელი მქონდა საფხიზლურით ვრცელი-პაუ-  
ზი — მაშ... ისე კი არაა საქმე ასე უბრალოდ  
რომ მიჭირამ, თავი... და, —

და მეკუთვონდა თუნდაც ღიმილით და-  
ჯილდოება, ჩემ-სულელ თავის? —

ვიდექი ასე, მოგონებებში,  
ვიდექი, სალად მელნიმობადა,  
თუნდ დათრობისა გახსენების

ხოლო ღიმილიანი კი არა და, მთლადაც გა-  
დასაბჭირებელი მოგონებაც მქონდა, კი, ერ-  
თი; მაგრამ, მანადვე სულ სხვა რამის გასა-  
სენებლად ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ავიდ-  
ოდი ჯაფარიძის ქუჩაზე, საიდანაც ჯონდო  
უკვე გადასული იყო ჩიტაძის ქუჩაზე (ანუ  
რევალცუნირიდან რევულცუნიროსისაზედ-  
და — და აბა განა იყენენა ისინი, ისი-მგზნებ-  
ბალშევიკები ღირსნი იმისა რომ ამა-ჯონ-  
დოს იმითა წარწერებიანც-აბრულსც-სახე-  
ლობისა ქუჩაზედ, ეცხოვრა? — აჰ! — არაა-  
რა-აჰ!) და თუმცა სეროფა (ჯონდოს ყოფილი  
მეზობელი, რომელიც ჯაფარიძეზე დარჩა)  
სიხარულისაგან გადაიროდა მაგრამ მაინც  
არ ვეჩვენებოდი — ვერ შემქმლო ეს, უჯონ-  
დოვ,

და, რომ არ იკითხოთ რა-სეროფა და ვინ-  
სეროფა, ო, ახლაც გაიძობით თუ ვინც იყო —

სეროფა ჩვენი ხნისა იყო, ტანად დაბალი  
და უფროსი ძმების გამონაცვალისი პიჯაკი  
მუხლსქვემოთ თუ არა მუხლამდე — მაინც  
აუცილებლად სიგრძივ-სწვედებოდა, და  
ხოლო იმისი — მისი ისეთი გაბუსტული ცხვი-  
რი ხომ არც მანამდე და არცაჲ მერე მე ადამ-  
მიანზე არ მინახავს, არც ცხოველებში ბე-  
ჭემოთს თუ არ ჩავთვლით მაგრამ სეროფი  
ტანით გაცილებით მომცრო იყო ... ასე რომ,  
პროპორციულობით? — სეროფასი-ცხვირ  
ბეჭემოთისაზე კიდევაც მეტად წარმომად-

გენლობითი, იყო... ჯონდომ კი თავიდან  
ძალად იმიტომ დამამაზნანავა — პირველს —  
ნახავზედ დიდის-აივალისსუნებით ავხედ-  
დავხედე (ამისთვის კი მე თქვენ გეტყვით და,  
დიდი მძაძილი დამჭირდებოდა თვალისათ-  
ვის ამითი თუ, რა ...), მაგრამაც, მერე, უსე-  
როფოდ მართლა ვეღარა ვძლევდით, და აი  
რატომ — ისეთი მძაფრად კოლორიტული  
არსება მე ქვეყნად აღარასად შემხვედრია (ისე  
ვიძახი „ქვეყნად“ — მეთქი მითომდაც დიდძალ  
— ამერიკებში ნამყოფი იყო), ხოლო სერიო-  
ზული სეროფასი გლავნი ოცნება ჩვენთან  
გადაკვიდვის შემდეგ იყო ისა რომ ვინმე-  
სათვის ცხვირი ჩატეხებოდა (საკუთარი), ეს  
იმიტომ რომ — „მერე ჩხუბიში ცხვირიდან  
სისხლი აღარ ნამამიფა და პრატივისეს ვცე-  
მო — მაშ“, ასე ამბობდა, და დაფინებული  
ვედრების შემდეგ ბოქსზე ჩავენერე ოღონდ  
დიდის ნავალები — სეროფა VI თუ VII კლასი-  
დამ სკოლას თავსმინებებული იყო, საიმისო  
კრივისკოლას თავსმინებებული იყო, საი-  
მისო კრივეზ კი მხოლოდ „მოსწავლენ-ახალ-  
გაზრობას“ იღებდნენ დაა, ერთხელაც,  
ისეთი გახარებული მოგვაგვარდა, რომ? —  
რადგანაც ცხვირ-განზე მუჭისსიმხურად  
ჩატეხილი: „ვეეშს კურჯა ბუფუ ჩავანტვრე  
— ო („ჩამომტვრის“—ო უნდადა ეთქვა, ქარ-  
თულს ნამდვილად ვერა პფლობდა ლიტერა-  
ტურულ-სათანადოდ ისე ვით ა. კახალსი და  
ა. სეგოვია — პირიქით—ძალიან ფლობდნენ  
ვიოლინჩელსა და გიტარას), ისეთმა მაგარ-  
ბიჯმა იყო რო აი რო ნევიანსკზე მამეყვანა,  
არა? ხოუნდა ზლოსტი მამეყვანა და მე ზნა-  
ჩიტ იმას პერჩატკს როგორა დავარდლამი  
— დავარტყამიდი ო ... — არ მამკალ, სეროფ,  
თარგმნაბობებით? — მე-ხო ისედაც მე ესა-  
ჩემი უმართლენერ-ულრამატიკობანა რა, —  
არ მეყოფა?, და, მოზგი ნადა იმეც ... — შავა-  
გინე“ —ო,

და, ასრულებია კიდევ, სტაპარაცინტანა, —  
გულისხნადილი ...

ჯონდოს სეროფა ისე-ძალიან იმად ეპიტ-  
ნავედოდა, რომ, სეროფას ასე-ვთქვით მო-  
ქართულეობაზე დიდად „კაიფობდა“ —

ჯონდოს ქართულის შესწავლის, ფლობის  
გასაოცარი ალლო ჰქონდა; მერე, IV კურსზე  
დასავლეთ — ევროპული ფაკულტეტისი ინ-  
გლისური განხრით სტუდენტის რომ იყო,  
საკურსო შრომა დაენერა ძველ ქართულში  
და მოუხედავდა იმისა რომ განსაკუთრებით  
არც ერთ საგანში არ უმეცადინია, — ლექ-  
ცივც იმას თავისებდა საგნებსდა ოღონდ  
მერედაროვგორ! — და, ის საკურსო კი, რო-  
გორც დიდად სამაგალითო თვით ბატონ  
აკაკი შანიძისათვის რომ უჩვენებიათ და,  
გაცნობილა? — ჯონდო, აკაკი შანიძისადმი



დიდად უღრმესი პატივისცემით განწყობილი? — მისი დაჟინებული მოთხოვნით ძველი ქართულის შემსწავლელ დასწრებულ-ასპირანტურაში გამწესდა ხოლო უაღრესად შრომისმოყვარე და ისიც დიდად ნიჭიერი მაგრამ როგორღაც მხოლოდ პატიოსნად და არა ფონდოსავით აწყვეტილად — არაა შეუსაბამობა ეს — თურმე ჩემი მომავალი სიძე — მამიდაშვილის ქმარი, ზურაბ სარჯველაძე კი, ქართულის ფილოლოგი კი — დაუსწრებელ ასპირანტურაში (თითო-თითო ადგილი იყო), და ფონდოს მიტელი თავისი დარჩენილი სიცოცხლედ შეცნობილებად ჩვენი — ქართულის რამეველევარი, ბაქონიაკაკი შანიძე, ქართული ენის ყოველმწიროვლად შესწავლისათვის ფონდოსპრაქტიკაზედაც ატანდა სტუდენტებს ქართლში, სვანეთში სადაც ერთ-ორგან სტუდენტები დიპლომატიკაზედაც ალბათ მიჰხვებდებიან, რატომც და სეროგოსა-ულ-ვითარებაში, ხოლო ფონდოსკი ძველი ქართულის სიღრმეებიდან ამოსასუთქად რაღაც გადართვითად-დასკვნებისადა-მაგვარი ესაჭიროებოდა და, ვის იბოვიდა, სეროგოზე უკეთესსა და ამხშირე — უნატიფესს?

რადგან, სურო-არაფერი, გახლდათ საპოვნისი (აეხი სიტყვა-იგი-უკანასკნელი სეროგოსის შემთხვევაში ყოველგვარ „მეწაღე“-სადა „ხარაზი“-ზე გაცვილებითე ქართულად ჟღერს) გახლდათ ყრმა-იგი, სეროგ, ხოლო სეროგას მიმოქართულე ლექსიკონი? — ასეთი იყო: აბა რაღად იხმარდა სიტყვას „დაარტყა“ რადგანაც ატყპონდა მთლად ეფექტური — „დარღა“, და რად უნდოდა „თანაც ცხვირში“ რადგანაც — „შამაც ნდრცხვირში“ და ასე შემდეგ, ხოლო სეროგასათვის, წესით და რიგით? — იქვე მის სახლთან იღნავ ქვემოთმდებარე „კულტურისა და დასვენების ბაღი“-ში — „სტელა“ საზაფხულო კინოთეატრი იყო რომლის მესვეურებსაც სეროგასათვის წესით და რიგით და აგრეთვე სვინდისთი? — მაყურებელთა დიდად-მიზიდვისათვის „კინო-ატელიონის სტიპენდია“ უნდა დაეწინააღმდეგებებოდნენ, სოლოლაკისა სომეხ-ქართულებს — კინოსეანსზე დასასწრებ თანხას იქით ვიხდიდით. ხოლო სეროგას მიერ მაყურებელთა გამოცოცხლების მძლავრი მულაში აი, რა იყო:

მგონი მოგახსენეთ რომ სეროგას ეზოში, ჯაფარიძეზე, თვით დიდოსტატი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ცხოვრობდა, რომელიც, ყოველი დილით, ეზოში გამავალ სარკმელში, ანუ, დიდოსტატურად, სამერცხულ-სანათურში გადაადგებობდა და, თავის მძლოლს (იმდროისათვის დიდად

— უცხო ხილი თუმც რაღა ხილი რადგან ხილისა პირობაზედ შეუდარებლად უზარმაზარი — ავტომატისა „პოხედა“ ჰყავდა), და მესაჭეს თვისსას, ავტოსენტის, მეზობლებისა — გასავანად კარგა-ხმამაღლა ჩასძახებდა — „ავტოსენტი ამოდი ჩაი დალი“ (ეს რამდენიმე წლით ადრე იყო, მე მამის ავტოსენტის კი არა ზვიდასაც კი არა ვიცნობდი, გამსახურდიების მძლოლი მოგვიანებით გავიცანი მაგრამ, რად გინდა — მართალია ყოველად უბოროტოდ და შეუგნებლად მაგრამ „სევასტი“-ს ვეძახდი ხოლმე ოღონდ ზვიდთან და ფონდოსთან საუბრისას, — თვით სევასტურა-ავტოსენტისთან კი არ ვიჭერდი, აარა, საქმეს, — ვიცოდი, რომ აუცილებლად მაინც შემეშვებოდა მისი დაბადებიდან მყარად თანდაყოლილი სახელწოდება და ამიტომ მხოლოდ დამხოლოდდა „პატივისცემულ“ — ს ვეძახდი ხოლმე ... მართლა ისეთი მახსოვრება კი არ მქონდა ხანდახან ამით ისე-ძალიან რომ მომაქვს თავი ...) ხოლო ავტოსენტი თუმც არასოდეს ავიოდა თავის დაზოგითან რა იყო არამედ ამ-შეშვებაში დახვითა-შზრუნველ მისი მესაჭური ხელების ხელისუფალსა-ყოველმხრივულად მწერალთან, მაგრამ ეს დაძახილი მუდამ, ყოველდღე დღენიადაც ურად მერღვეებოდა, ხოლო იმდროინდელი კინოფილმების საბჭოთა-სამართლით ჩვენების წესი კი, ასეთი გახლდათ: თუკი საზღვარგარეთულსა ფილმებში მძაფრი კონცანი (იგივე: ამბორის-ყოფა, პეროფინა-ოპონოშტვა, ტლოშა-მტლამატლუში, მოხვევა) უროა და ფიგურირებდა, ბერს-იმათთაგანს ამოსჭრიდ-ხოლმე იმდროინდელი პირშიმ-თქმელური სოციალისტურ — ხელი. (რავიცი, ეგებ სჯობდა კიდევ, ეს, დღევანდელურსა ყოველკუთხურსა „თავისუფლება“ს ...) და მხოლოდ ერთ-ორ კონცინკოსა-ლა და იმასაც შემეცირებულურ-ამოჭრილურად, გვიტოვებდნენ, და აგრეთვე-სტოვებდნენ ყოველდ-ყოველათე ამოჭრილად შაეროვანსა კოცინებს, მაშ, მთლადაც-ისე კიარ იყო ჩვენური საქმე რაც მართალია მართალია, და იმ ერთადერთულიდ ამბორის წინ, თავ-ფეხიანა შევარებულნი დასანაფებლად რომ მიუახლოვებდნენ ტურურ-ბაგეთა, ერთიმეორეს, კინოდარბაზისეული მოხუციგნო სუბიექტები აუცილებლად აბლაღდებოდნენ: „სოროკ-სოროკი!!!“, — რომელ-„სოროკ“-იც-რუსულიცა „გამიყავი-გამიყავი“ —სა პნიშნამდა, კი, ხოლო სეროგა თუ ესწრებოდა თვისის პერსონით ჩვენსა „სტელა“-ში რომელიმე ფილმს? — ის მიხულოვანი ელემენტები გაფუჭებულსა-რადიოსავით აღუშენენ, რადგანაც — აკი ჩვენ — ზემოსოლოლაკურ-უბნელები ხომ ყველანი ერთიმეორეს ვიცნობდით, ცნობ-

დით, ხოლო კი ამა-ცნობაში განსაკუთრებით სტელას-კინოში მოარულეები ვლიანდებით ერთმანეთს და, — და, ჩვენს-სეროფას ძაან უთმობდნენ ასპარეზს, რადგან, —

სეროფა იმა-შახლონურ „სიროკ-სორო-ოკ“ ს კი არა და, არამედ არცთუ ხმაბალა მაგრამ ასე დაიძახებდა:

„აქსენტი ამოდი ჩიი დალიეე,“ —

და, მიუხედავად იმისა რომ „ავესენტი“-სა „ს“ აკლებდა იცოდა ყველამ ვისაც პბა-ძავდა სეროფი და,

და, იგუდებოდა მთელი დარბაზი და, მორიგ-მორიგ სენსებზე სეროფას ეხბით გამა-ლებულნი დაიარებოდნენ „სტელას“-ში ხო-ლო სეროფას, ვიმორებ, ამისათვის კი შაურ-კაიიკსაც არ უხედიდნენ,

ეპპ, —

უცნაურია, ნუთისოფელი, —

ვიჩგრავთა ხოლმე იმ ამა-სომხებს ე-ქარ-თველები, ხანდისხან-შაინც? — ძალიანო-ბით, კი, კი,

ხოლო ზვიადი, რომელსაც თემციკი ჩუმ-ჩუმით უღვამებში ელიმებოდა (ძაანაც ადრე ამოუვიდა), გვეუბნებოდა, ეს თქვენი სიანა ოხრები აყვირებთ სეროფასაო, მაგრამ აპ, არა, ღმერთი-რჯული, — ამ დაძახილის ერ-თპიროვნული ჰავტორი, ჰიყო, —

რადგან მუზაზედ მყოფმა სეროფიმ თავი-სით-თვითონ შაიგონავა კუთვნილი ვიი — „ვერიკააა!“

ვიდექი ხოლმე სტელასთან, და მელიმებო-და, მაგრამ მთელი გულით სრულად კი, ვერ, —

ჯონდო საკანში იყო. თანაც კავებესი.

მერე ჩავდიოდი ისევ მუსიკალურთან; მე-რე ისევ ჯაფარიძეზე, ბებიას სახლთან იქვე, ამოვდიოდი ...

მასხენდებოდა ... :

ერთხელ, ვდგავართ ჯონდო და მე სტე-ლასთან და, ამორბის მაგრამ რას ამორბის ეს ჩვენი (მართლა — ჩვენი, კი, უცილობლად) სეროფა აღმართში, აიი-ისე ამორბისა როო — ხომ ვაგვიგია „ისე გაროდა ქუსლებს სულ კევან ირტყამდა“ო და არ-კი გვეჯ-როდა, გადაქარბებულ-ჰიპერბოლორი გა-მონათქვამი გვეგონა, ეს , ხოლო ახლა კი — გარბის კი არა მთლადაც ამორბის ჩვენი სე-როფა ისე-ისე რომ, აღმართშიც კი თავისი ქუს-ლებს თავისივ (აბა სხვა ვისივ-ს ...) კევანზე-დ ირტყამს და, აღფრთოვანებისაგან გადაა-ლ-ტა-გადაღვრთოვანებული, გვახარებს ასე:

„ვსცემეე, ესცემეე (სომხები რატომლაც მორიგ-ბგერა „ს“-ს-ს-იან სიტყვებს არამცთუ აკლებენ, არამედ უმატებენ კიდენაც უ-ს-უო სიტყვას-ს ... ), ვაპ მ რა კარქმა რამე-ქენი, მევე, გურამჯან აბა შენ ერთი ვზგლიადი ქენი შენ მაღალმა ხაარ!!“,

და, ძალიან-დიდად აქოშინებული, ჰყვება კიდევ:

— აი, მოვდინვარ და, კაკრას არ შამხვდა ის ჩემის ტრულაილა? და , მე კიდემ ლევი პლეჩო გავკარამ აი, ის კურვა კიდენ? — შენ ვისა კრამ ბიჭო რო კრამ ბიჭო ეგშენი პლე-ჩოსო, ა ია სკახალ ვინ არი შენი ბიჭო, სკა-ზალ მე ემუ, რალა, პლეჩოში კოხტა ლიპა მი-დემ შენ კიდენ კაკრას ნეჭნი-მაროჭნი ხაარ ტი—მეთუქ? და შავუკუთხე ვინგრიალურათ, პლეჩოც ვუქენი, იმანაც კიდემ? პლეჩოცტ ეგეთი არ ჰუნდაო და, თავისი სუმკა (ვიგუ-ლისხმეთ: სკოლისა ჩანთა ანდაც სულაც სტუ-დენტური „პაპაკი“, რალა) გამამიქანა, და მე რა, ბიჭქმა ნაპრასნა იზუჩაო? ისეთმა კოხ-ტამ ატიოდი დავრდდი, როო, მამითქვენიამ (ესაცაა — ჩვენ ...) მონონებულსმა, დაა, შა-მაც პრავი პრიაში შიგ რძღცევიში ვგლიჯ-მე, იმანაც გლიჯნმა ჩემიცხვირლში მაგრამ მე რა — ნაპრასნა გავიკეთებინა ნცხვირის პრაკოლი? — კაპლი-კროვი არა ნამამსვლია ია ნე ურანილ ნიჩეო, რალა, ნაბაროტ ლევი ბაკეოო თრას! იმანა კიდემ (— ვეულ-ქართუ-ლადაც უქცევდა, კაცო? — ჯონდო, შენ კი რა გითხარ...) სუმკა მითომაც თავის რასწოტით თხლამ და მეკიდე, გურამჯან პრავი აპერ-კოტ რომამავარტყი არა, ჯონდოჯან? ლევა-ჩიმ კარტომკები დამიშინა (რა კარტომკები! — გადაგვრე, სეროფ), მე კიდენ აი აქეთა-კინი ი ორინ აბოყენმა იყო რო ხო არა მამდეც გურამჯან დაევი ერთი შენ გაიხედოს შენ ვისოქმა ღხარ,

დააა, მეცუ, ზღვისა-დონიდამ „კულტურნი სტელას“-ს სიმაღლიდან რაც კი შექმლოთა-ვი ავიყვლევაე და , —

როგორი ბიჭია სეროფ-მეთქი,

და,

ხოლო

იმან?

არა გურამჯან, ბიჭმა კი არა ქალმა იყო-ვოო, ხაზენიკა,-ო ... , ბალთავოი სუმკით შავა-ლა, ბაზარდან,-აო,

ვისხენებდი და, მელიმებობა, მაგრამ ძალი-ან უჯონდოოდ, კი,

ხოლო მართლა-კი ისეთი გულით მეცინე-ბოდა, ერისაც ამბავზე? —

და, ჩავდიოდი მუსიკალურთან ისევ, და ისევ მარტო ვიდექი ჩემი ერთგული, უერთგუ-ლესი ვემაღ შუბითიძე კი, III სკოლიდან შე-მომყურებდა და, აი, თუ-რა ამბავი მაციენებ-და ისე-ძალიან:

აი, ჯონდო ხომ ისეთი გონებაგახსნილი და ჭკუით როგორი საღ-სალამათი და კაიიკ თუქუსს-გაქექილიც ხომ იყო, არა?

მაგრამ,

სიყვარული რას არ შერება შეყვარება რასა შერება შეყვარებულობა—ბანა უ—ანაბანოდა? — რასარშერება—რასარშერება!

რლას არ შერება, ეგზ ... —

სასანაგლებლის II კურსზე რომ ვიყავი ანუ სკოლის X კლასელი, 16 წლისა, ჩემს კბილა ჯონდოს (2 კვირით მასზე ადრე ვარ დაბადებული და ამიტომაც ხშირად ვეუბნებოდით ჯონდოს უფროსს როგორ არ მიჯერებ—მეთქი) ჩვენი მუსიკალურის ერთიც პირველკურსელი შეუყვარდა, კარგი გოგონი; და, იარებოდა ეს ჩვენი ჯონდო გინდ დღისით, მზისით, სიყვარულისა ვარსკვლავების ქვეშ ... და მხოლოდ გინდაც მდელიოზე ყოფილიყო და მაინც ისეთად—ისეთია როო — აი ისეთსა „შიზნ ვაიარა ტყისანი“-ს, სჩადის? — და თანაც ენი ეს! — სწორედაცა—რომ როგორი ესი ყოფილიჭკუისდიდრონ—კოლოფისიეთ—ისეთსა სისულელეებს, ჰსახამს? აი, იმისი მსმენელი და მაყურებელი რაც გინდ ცინიკ—და—ნიჰილისტ იყვებე, არა? — მაინცაც გული მოგიკევდება, კი, დიახ — მაინც ... და, თუმც დაბინდული მაგრამ მაინც ერთგვარ—გონებით და მთლად გულითაც ისე უნდა რომ მოაწონოს, გოგონის, თავი? — დარჩეს ჩვენსში და, ისე ძლიერ და ნამეტნაურად უნდა და ჰსუსსაა, ესაა, მააგრამ, გენაცვთ, სიყვარული ხომ აკი ისეთი პრამე არი რომ ჭკუა—გონებსა არად დაგიდევს, თვით ჯონდოსთანსაც კი ისე ძალიან უბნელეხსაა გონების თვალსა, როო, გადასარჩენად? — რის პროექტორი ... და, — „დიდხანს გეძებე ბნელ—ბნელ ქუჩებში“-ო, გაგიგონიათ, ალბათ, მე მჯერა თქვენი — გაგებებინებათ, ხოლო ჯონდო კი ვის მოძებნიდა ძმბიჭობში ჩემზე ახლობელს, და მიჩრჩივამე ბიჭო—გურამ, ო — ეს თვად ჯონდომ, თვით—თითან ჯონდომ — ჩემზე—რადღეინად—ჭკვიანესმა მთხოვა აი—ეესა აი — ავერ—მე, და,

მეც ... — ჯონდოსთან ვერა მაგრამ ჩემდმცირეთავად კარგაოხერი პანათც მეც ვიყავი,

და,

რა მოვიფიქრე?

ბიჭო ჯონდო და თეიმურაზ (ორი სახელი ერთკვა და ჰქონდა ... გეორგ — ფრიდრიხიზით ... აბა იმისთანა ჭკუიან—ნიჭიერი ერთსახელს აბა—როგო დასჯერდებოდა), ხომ იცი შენ რომ მუსიკალურში სევტსკი ნაშები სნავლობენ— მეთქი, და შენ კი ახლა სევტსკობისათვის ევგენ ანეგინივით ტროსკიტთ საირულს მუსიკალურის ნინ აბა როგორ გირჩევე—მეთქი, არამედ მე შენ გირჩევე—მეთქი? — მუსიკალურის ნინ რაიმე—ძალდით ჩასეირნება—ასეირნებას—მეთქი ძალდით—ხო აღმა—დაღმური სეირნობები ტრადიციულად

სევტსკია, მეთქი, დაა, არ დამიჯერა? — იმდენად, რომა ?

გახარებულმა? —

კარგი ხარ, ო, ო, სასევტსკო—ჯონდომ ...

ხოდა, განვაგრძე ამ—მემ, ვიშოვთ ერთი კაიძალი და, ერთიც იმისი ყელსაბაში მე ერთიც ეკვი მაგისი რა იყო არამედ, ეე... შენი ქამარი მაკლბაბამედ უნდა გაუქეთაყო ხოლო იმ ყელსაბაშიან ძალღისა—თასმა კი ჩემზე იყოს ტყვილა ხოარ ვართ ძმკაცები—თქვა შენ და ეს მე—მეთქი და, —

მიდი—მიდიო, აბა შენ იციო, — ჯონდ—მა.

მეცაა, მივედ—მივედ და მივედექ—მოგდექი და იმ საღამომ თუმც უშედეგად ჩაიარა (კარგი სანახავი კი ვიქნებოდი, სოლოლაკურსა ღამენებელი ძალღებისადმი მწ—მწ—ს მძახინელი ...) მაგრამ მეორე დღითვე, მთლად—უშედეგო ღამიანობის შემდგომ ერთიც ისეთი კუჭ—ამომხმარი და უბატრონი მაგრამ ამეებს კიდევ რა უჭირდ—უშედად ისეთაც მძლავრად—ქეციანი მაგრამ საბავიეროდ დიდად—დაწყული ძალი აღმოვაჩინე, როომ? — და, ჯერ — ეს აბა რაში გამომადგება—მეთქი, მაგრამ, უცებ რა—რა—საოცრად ჰუცნაურულად თამაში აზრი მომივიდა თავში (აბა სხვაგან სად ...), რომ, იქვე ვიყიოდ რაღაცა ძეხვი და იო—ძალი ძეხვის—ჭამობით მთლად შედოს სახლთან მივიტყუე, და ქეციანგან ალაგ—ალაგ ისე გაღლეთილ რომ ტან—მელოტ ძალღს კი, ალბათ თავისსა როგო—დუხჭირ—ცხოვრებად მთლად არაოდეს ეგეშნა ხახისა—დრუთი (აბა სხვა რითი ...) ცინცხალი ძეხვი და, აღფრთოვანებისაგან თვალ—დრუნჩედი—დად ეტყობოდა (აბა სხვაგან სად ... თუმცა, მუცელზედ(ე) რომ იმ—ფიქრისა ექს—მვიგრობაზედ ალბათ სუ—ასე ყოქრობდა, კი: „ვაჰ ეს რასა ვჭამ მე—რადენიერ ფეხზე ამდგარ—ყის—მათიანი ვაჰ მერქმი კარქი, — ო, და, ესა ჩვენი ყოფილი ჯონდო კი, ახლა მხოლოდად ექს—გაქეილ—და გამოქეილი—კია, მაგრამ შეყვარებ—ვრცელდაბნევისაგან სულაც გზა—კვალ—არეული თავის ეზოდ რომ გამოვიდან — კი — იყუო ბრმათე—შეყვარებულობისაგან ძანაც ბრმათე—დაბრმავებული მაგრამ იმდენი და იმისი—საზრიანობა მაინცად შერჩენ—შთარჩენოდა, რომ, —

რაა ბიჭო კი, რას გავს ბიჭო ეს ეს—რაუბე—დურობა მოგიყვანია, ო,

მე კი, ჯონდოსთანა აგრეთე—ყალბობან—დმა ოღონდ მოქმედმა — იმდროინდელი ჯონდოსაგან დიდ—განსხვავებით, დაა, დიდათე შენიღბულმა? — ვუთხარა:

— ბიჭო, ერთი კაი და ყოვლად ჯანსაღი და ყელ—ბაბთით გამოპრანჭული ძალღის შოვნას დაეზარებდი განა მე შენთვის ჯონ—

დო მაგრამ შაბლონია, ბიჭო, ასეთი ძალის ყოლა-მეთქი, არამედ უმფრო იმას უფრო ძაან არ მოუნონები შენსა სა-ნაშეს რომ, მეთქი, ასეთი აეადმყოფ და საცოდავ და შესაბრალოს ძალის რომ-მეთქი, უფლი-მეთქი, ანუ შენისთანა ფუთულუხი მთლადაც ჭუმანურ ადამიანად მოეჩვენები ეს შენისთანა თუქუსუ - მეთქი, და ჭუმანისტა ადამიანსა კი, აბა რომელი ჭკეპანე მყოფელი არცაინა სიტესკი ნაშა გეტყვის შენ უარს ჯონადოვ-მეთქი და, —

აკი სიყვარული ხომ, აღწესებდა და დავეთქეთ უკვე რომ, რას აღარ შერება და,

აკი დაუჯდა, თავში (აბა სხვა-სად), წარმოიგინეთ, ხო - იცით სიყვარულისაგან ხანდისხანობით კი არა და ვრცელს - შემთხვევებში როგორ-და-როგორ როგორს ნაღრძობსა-ჭკეპანი ჩემი მკაფიო სიტყვები (ისეც ... ) და,

ამ ჩემ ქამარს კი - შევბამე ყელსაბამად, მაგრამ, სადავე რომ არ მაქვს? —ო ...

მოაკვივდეს ჩემი თავი-მეთქი, შენ ჯერ ყელზე გვ შენი კაი ქამარი შემოუჭირე, მეთქი, ხოლო მაგისა ღირსსა კაი-სადავეს მე გაგიხებებე, გიმოვინ-მეთქი, და, „პიგინა“-ს შენობას მსწრაფლვე მივაშურე, „პიგინა“-ს ხომ, ხშირი-მშველელი იყო ჩემი — ის შენობა დღეს აღარაა, დაანგრის და კარგიცა ქნეს, ქაშეთს ძალიან ეფარებოდა,

ხოლო

მე რაღაც-რულაცულ-საგანებობების აღმოჩენების და ჩავლებების უნარი ადრიდანვე დამცვა, რომელ-აღმოჩენათა შორისაც ერთერთი მეტად მოქნილი იყო: ერთხელ ერთი ცრუსულის მასწავლებლისთვის რომელიც მთელ კლასს ძალიან გვანწყინებდა-ხოლმე მოუხედავად იმისა რომ გ. კ.-სი ნაშა სულაც არ იყო — გამხდარი იყო — კლასელებმა გადავწყვიტეთ რომ დაეფაზე ჩამოკიდებული რაიმე ძალიან მასხარად ასაგდები წარწერა დაგვეხვედრებინა და რაღაცნაირი პლაკატ-ტრანსპარანტი აღარ ვიშოვეთ მთელმა კლასმა რომელი-გამოჭყენებულბოძშიც რომ, ტრანზბინე ნუკი ჩამომართმევთ, და, ჩემმა ნაშოვნმა ყველას აჯობა — მაშინ პირველად აღმოვაჩინე იმ-დასანგრევი „პიგინა“-სი განუზომელი შესაძლებლობანი — იქ განცხადებას ჩავაყვლე რომ? — სულა და გულა! — მთლად-დამშვენებად, ორად-ორილა ნინადა-დება უნდა მიგვეწერა ცარცით იმ განცხადებაზე, ჯერ თავზე:

„Дорогая Раиса“ — ასე ერქვა, კი, დოკუმენტურათ, და, დაეახვედრეთ:

„Дорогая Раиса!“

მერე ნაღდი ტექსტი:

„На сегодня все билеты в женские душевые проданы!“

— და, ბოლოშიაც აგრეთვე-ცარცითა მიწერილი

„Так что, напрасно не раздевайтесь!“

დაა, —  
იმოქმედა, როგორ არა, კი!, ამა-წარწერამ — რისა-მასნ.-ხედ, ისე ძალიან იმოქმედა რო, ემ-მომავალი ჟ. გ.-ს არ იყოს, იმანაც ქოში (ამ შემთხვევაში ბასანოუკი და არა — შტიბლტი) სულ-სუ უკუღმა, ჰყარათ ... ხოლო ბასანოუკისი-გარდა იმა-წარწერის დამსახურებით სხვა არფერი გაუხდია რაც მართალია მართალია, — კი ...

ხოლო, ჯონდოსეულსა მისთვის განკუთვნილ-ძალდა კიდევ? ერთი ისეთი სადავე ვუშოვე რომ, — მოწონებული:

ისევ ჩემს მხსნელსა „პიგინა“-ში, რალა თქმა უნდა მინამ-დაუნგრეველსაში (არადა, დასანგრევი კი არა და მთლად მინისა-პირისაგან აღგვა-ალსაგველი იყო, კი, კიკი — თუნდაც ჩემს გამო...) შევეფდი და, კარგა-რომ მივათვ-მოვათვალაიერე? აი-იმისსა მონინავეურს ტულაღტში, იქა, ერთ-ერთსა კაბინეტურსა-კაბინაში სიმპათიურის უნიტაზისა მალღივ-სარგომელა-ბოჭკაზე? — დიდძალ -ნვალისა ჩამოსარეცხი ჯაჭვი-ისეთი აღმოვაჩინე და ჩემოვსხუნი თიბ-გირი რა იყო არამედ უნიტაზ-გირი თითობითა, რომ, მთლადაც სულ რაღაც — მოვიაფურად თეთრად-მზინეფურა სახელურნიანი, და,

გახანებულმა როგორ, ჯონდოსი აეურბენინე — მალდა ცხორობდა, ავი ვინცა ჩიტაძის (ალბათ ისიცაა კაი გ.-იყო) ქუჩაზე, და:

აიი, ესაა ძალის სადავის ამ საუკუნის შუა-წლებების მოდური მოდის უკანასკნელი ძახილ-ყვირილად სიტყვა-მეთქი, და,

რაღაც-რულაცა მავთულებით რომ მიეფუ-მაგრეთ ი-ძალის ჯონდოსეულსა ქამარ-ყელსაბამზე ის ხელ-საფაიფუროსავით სადავნიანი ჯაჭვი და,

უკვე გულდაგულ შემოეჭირნა თვისი-ქამარი იი-ძალისა ყელსზე, დ —

მაგრად ისევა ისე-ძალიან სქამდა ძეხვეულს ისი-ძალდი რო, ნანლავეებისა გადახლართვა არ დაემართოს ამ-შეხოქელსა-მეთქი, ვიფიქრე, არ ჩამიყაროს მთლადაც ნყალში ჩემი „ნნ“ „ნნ“-უები და ჯერაც მყავად მდგარი „პიგინა“-თქვა, ხოლო არ იყო ეს გაფიქრება მთლადაც მცდარი რადგან რაცინდა უპატრონო და ობოლსა-ძალდს მშობლად ხომ-მაინც რაიმ-ძალდი ცეცოლე-ბოდა და სულაც არ იყო ამ შემთხვევაში მისთვის უპატივისმცემლად და ნაწოდი ეს-„მოხელბალი“, და

ხოლო ჯონდო კი და აკი ხო-შევთანხმდით, ხომ? - რო

ე-სიყვარული რეებ-ალარა სჩადის და, შერება, —

მუსიკალურისაკენა, ჩასასვლელად, მანი-პულირებდა? — ძალიანაც რომ, მოწონებუ-ლი, ხოლო ამ მეც —

აბა ახლა კი გაგიქეცი, მარტო ჩამოდი მე რად გინდოვარ ისედაც აისეთი ძაღლ-მა-ჩანს გავლენა გყავს ხელთ-მეთქი, მე სპეციალო-ვის გაკვეთილი მეწყებ-მეთქი, — მართალი ვამბობდი, სუსოველთვის კიარ ვსტყუოდი, და, როცა მასწავლებლმა, როგორც ყოველ-თვის, მაშინაც მიქოხა ეს ბოლო ორი დღე რამდენ ხანს უკარო-ო, მე — ოთხი-მეთქი, და, კვლავ აყვირდა: რატომ ექვსი და შვიდი არა-ო, — უკვე 16 წლისა ვიყავ, არადა, ჩემს იმ ტულაღეტემაჯალ-საათიანა კვლავაც იმა-პირობით ერთსა-საათს ვმეცადინებო-დი ოღონდ უტულაღეტოდ — ჩვენი კარის ზე-მოდთა ნახევარი შუშისა იყო და იქვე კართან ვდგებოდი იმ 15-20 წუთს ისე რომ ბაბუა მხე-დავდა რომ ტულაღეტი აღარ ვიტყუებოდი არამედ ისე-უმბრალოდ ვისვენებდი (დიდო-დალილი მე ვიყავი, კიკი ...) და ყოლინოზე ჩემზე ნაკლებად ერთი-ღ კნიაზ — ჩიქვანი თუ უკრავდა, ბაბუაჩემის რჩევისა-და მოხუცეა-ვად, კიი, არადა, ჩემი მუსიკის მასწავლებე-ლი გარეგნობით კაცი იყო, რომს — თუმც მშვენიერი შესახედაობა-გარეგნობისა გახ-ლდათ მაგრამ მრისხანებისას თვალეუბი რა-ღაც კულურ-მომწვანოდ ისე უღელვდა, რომ, და ეკრავ-მკაცრი წიაირვეიც ვრძლად რომ ჩამოსდევდა მთელ ლოყაზე? — უცხოს ნამ-დვილად ავაზაკი-ვინმ ეგონებოდა, არადა, ის წიაირვეიც? — თურმე ბავშვობაში ლიწონა-ისი ბოთლიანა მწარედ ნაქცულა და ლოყა ძალზე დაუშავებია,

მერე, ჩანყვარდა და,


გურამ, მე ძალიან მიხდა რომ წელს სპეცი-ალობაში უმაღლესი შეფასება მიიღო, ო, უკ-ვე მომწიფდი, ამისთვისო, — ვაჰ! — მე და სპე-ციალობაში უმაღლესი შეფასება? ჩემი-იმ ორმოცწუთიან-საათიანა? მაგრამ მაესტრომ სწორედ რომ ჩემი კომპოზიტორი შემირჩია — თვით თავად ბაზი და ვისა, მერე — მე ყოვ-ლად უღირსს, ძალიან ყოველად,

მე მუსიკალურ სკოლაშიაც და პირველ-მეორე კურსზეც მანამდე ოთხიანენი მქონდა სპეციალობაში, ჯერ ბატონ ოთარ ჩანჩალე-იშვილის (კარგი ებრაელი კაცი იყო, მართლა მუსიკით ედგა სული) და მერე ბატონ მისიელ თიროშვილის წყალობით; და აქ ისევ უნდა გადავუსწრო მოვლენებს და III კურსზე სპე-ციალობაში მართლაც ფრიალოვსანი გავხდი, რომელ-სპეციალობაშიც ვ-რამ აუცილებე-ლად ხუთოსნობა შედიოდა — თავი და თავი

სოლოდ-ვიოლინო (თუმც აკომპანიმენტთან ერთად), II — ანსამბლი, სადაც პიანისტთან — ოთარ გურთიკაშვილთან ერთად ფრიალდუ დაფუკართი შიადნის ერთ-ერთი სონატა, და, ოღონდ სპეციალობის III სახეობაში, ორმაგი ნოტებით გამების დაკრასში რა შეშველებო-და არ ვიცოდი — გამებზე ოქტავეში დიდის გა-ჭირვებით ოთხიანზე კი-ვემე ვიყავდი, მაგრამ, ტურცებით? — აჰ, ჩემი მეცადინეობების პატრონს, „ტექნიკა“-ში დიდად ჩამორჩენილს აბა რალ მეტურციებითმეგამევევოლოდა, მაგრამ, ამ-მხრივ გამოცდის ოროდ დღით ადრე მაესტრომ დიდის ლიწოლით მითხრა, რომ — როგორ გაგიმართლა, გურამ, კულ-ტურის სამინისტრომ (იყო მაშინ ასეთი დანე-სებულეუც) ორმაგნოტიან გამებში გამოცდა „ЧИТКА С НОТ“-ით, ანუ უცნობი ნოტებიდან ეგრევე-დაკრით შეცვალაო ხოლო ამა-კითხ-ვაშიც, მე? — ისევ და ისევ გევედრებით ნუ ჩა-მითვლით ტრანაზად და, ისეთი ალღო მქონდა რომ თვით გამოცდილი, ამაში, მაესტრო მისიელი ვერა და ვერ მაღალდა გაკვირვება-სა და აღტაცებას, მოკლედ, სპეციალობაში ფრიალოსანი გავხდი სწორედაც მაესტრო მი-ხეილის მიერ ჩემთვის როგორი ნაწყალობევი ძირთადად ბაზის წყალობით, —

მაესტრო მიხეილს ნაწარმოების სწავლე-ბის ერთი შესანიშნავი მეთოდი მქონდა:

I-II კურსებზე სხვადასხვა კომპოზი-ტორებისა ჯერ ისე მაკვირვინებდა რომ ვიზარაციის (ხმის გასაკუთრებლობებზელი ვაშუალება, სიმზე დაბეჭეტილი თითის რაც შეიძლება სწრაფი თრთოლვა...) ნებას კარ-გა ხანს არ მრთავდა — ჯერ უვიზარაციოდ უნდა ჩახვებ ნაწარმოების ღირსებასო და, მართლაც, თუმც ვიზარაცია ეგრეთწოდებუ-ლი კლასიკური გაგებით არ მივარგოდა (— მხოლოდ ხელის მტყუნებით კი არა მთლად იდაყვიდანმოყოლებულობებორირებდი, ბგე-რებს), მაგრამ, რაც კი შემეძლო ისე გუნდებო-დი ასათვისებელ ნაწარმოებს და, მერე ვიზ-არაცია რომ ერთოვდა ამას, ზედ, მე რამდენ-ნად უკეთ ვგრძნობდი-უკვე თვითი მუსიკის ზე-იდუმალებებს ის მერე რომ დილიტან-ტურის, წვდომით, მერე კი მაესტრომ რა ილ-ბლიანად შემირჩია ჩემსთანასი უზადრუკი-სა-მუსიკოსისათვისაც კი თვით უშუალებევი კომპოზიტორი, უპირველესი, თავი და თავი მუსიკოსობისა — ბაზი, ვისაც მთელი რიგი ისეთი ნაწარმოებებიცა აქვს რომ — შედარე-ბით ძალიან ადვილად დასაკრავი მაგრამ ეს — ტექნიკით, ტექნიკურად, ხოლო მის თუნდაც რარიც გამარტივებულ სიდიადეშიც კი თვით-თავად-თავი ბაზისეული მუსიკისა-სიბ-რძნე-ულევი, როგორა ძეგს, და როგორც ბა-ზი იმეორებს ოღონდ ნვეთურად იმა ყოველად



უსაზღვრო — რისი მატერიკთაშორისი ოკეანეები — იმ სიღიადეს და ბედნიერებას თვით მამა-ღმერთი რომ ბრძანდება, არს, ოღონდ წვეთურად — ძალიანდიდად ენიშნება ამას, კი, მეც იგივე წვეთობით თვით ბახისა, — ოკეანესა ადამიანის პირობაზე განუსაზღვრელის, ვიმეორებდი, ნამცეცურად, მის სიღიადეს ჩემი ის მერე რა რომ დიდად მცირედი შესაძლებლობებით ხოლო ფრიადსათვის ბახის ეს ჯილდო და წყალობა — მეყო, ასე მაგალითად მისი სავილინო კონცერტის (სოლ მინორი) მეორე ნაწილს და მის იმ ყველა დიად ნაწარმოებს (სხვაგვარები კი ბახს არა აქვს, ამ შემთხვევაში — ერთფეროვანია!) რომლებს დაეკრავც მე ხელ-მწიფა ოღონდ კინუ-რად, და ოღონდ რაოგ ბედნიერებად, ჩემი იმ-უბადრუკი ორმოცის წუთით, სანყაულით იმ ალუსებელით, — ბახი რომაა, რომ ბრძანდება, რომელიც — სუფვეს,

და მე, ვისაც რომ იმ-მოვად როგორი-ტანჯვის უფრცესც პროზაში ძირითად წერად მუნდელის კანონი (გამობობთ შემდგომ, რაც კანონია) ძაან მელოდა, მე სწორედ ბახით შევიცანი პოლიფონია და ვინ თქვა რომ თუ — სიტყვა არაა მრავალხმიანობა, რომ მხოლოდ ერთსა-ღ სიბრტყესა და ხმოვანებაში, უღერს, — არაა, არა, არაა ასე! — რადგანაც სიტყვა არა-მრავალხმიან ბეგრებს-უძლიველთ, იმა დიდ-დიდად საერთაშორისო ხმოვნებთან ერთად თანხმოვანებთან? — დიდად, აღსავესთა, ჩვენით-ქართულით რაღად არ გინდა თუნდაც რა-ძნელად გამოსათქმელად უცხოელთა-თვის ხოლო ჩვენთვის კი — რა დიდ წყალობად, ამ მოველური სინაზეთი როგორ მშობლიურთ, დაემორჩილდებოდ და კი არა და მთლდაც ფერხთა ქვეშ გავეგებოდ მე უნდა, და, არქოლოგიასთან ერთად — ადრეულსა მუსიკას-ჩემსას და ეგებ მეტად — ეს რა წყალობად მარგუნა ღმერთმა თუნდაც ისი-ის ჩემი ი-საცოდავი საათიანი მუსიკოსობა, 24-ფრცლად საათიანსა დღეში და ღირდა, თურმე, რა ძლიერ ღირდა ის არასრულად საათიანი ტანჯვა, — კი, ჩემი, და, მე ძალიან ჩამომეგობისა მერე მოკარტი მე — როგორც მსმენელს, სამაგალითოდ რადგან მოკარტი — ვინ ვისშიაც რომელშიც რომ მთლად-მთელ საერო კაცთაგან იდო და ძვესაც, სამარადისოდ, თვით სულისმიდა, რომელმაც სწორედ სულიწმიდათი შეგვიქმნა, გვიქმნა და გვიწყალობა სულიწმიდასი ერთის როგორი უცნაური ბედნიერება — ჰაეროვანი ტრავიზმი, თვით,

და, მიაშობს ბახზე როგორ უღრმეს-პატივისცემებს ჩემი მავსტრო მიხელილი და, უცებ ისეთი კისკის-კასკასად სიცილი მესმის, რომ, მიგრძნო გულმა თუ რაშიაც უნდა-პყოფი-

ლიყო მიზეზი ამა იმა-საქმისა — სიცილ-კისკისის და, გადავიხედე აკოშვიდამ და, რასა ვხედავ! — :

მოდიეს ეს ჩვენი მოყმე-ვინმე ჯონდო მაგრამ რას მოვიხსნა:

ძალდას-ისთვისა მუხასერნეფს, რომ? — იმაქეცითა? — ზურგსა და თავზე სულ კუნძულები და მეტიც უფრო — ნახეუარკუნძულ-არქიტექტურაში მოტიტვლებულად-ძაანდ დასწემებ-ამოხსენებშია, კი, და ჯონდო კი მითომც იქით ძლიერ თან-კისკასია ( ანუ მარჯვდაცქვიცი) ოღონდაც ძირიალირისეულადაც რადგანაც ხელშიმოდღევანდღურადის უკანასკნელი თასმა-სადავე-ყვირილი — უნიტაზისა ბოჭკ-პაწონიდან ჩამოსარტეხი წყლისა იმა-ძალითა საბრალო ჯაჭვი-უადგელიური უპყრია ხელთა თან მოფაიფურის რუჩკითა, დიახსით, და, იმა თავისი წყვილ-რწყვილ ხელთაგან ერთითა რომა ისი-სადავე დაუჭირამს იმა წყვილურა ხელებითგან, მეორეთი კი — მთლად კეტე ჭიბთანა შარვალი ააქვსა ჩაბლუჯული იმ-უქამრობით რო-არ ჩაპვარდეს, და ჩვენი იმა-მუსიკალურის „სვეტრსკი ნაშები“ კი ერთ-ერთ-მათგანის „ტვატრალნი - ოპერის ბინოკლ“-ს სულ-სუ ხელიდან სტაცებენ ერთიმეორეს რათა ესი მოყმე-რამ ჯონდოკო-ჩვენი, დენდივით ვაფი, — დაჯონ-ტელილორი თუ კემბელი-რამ რომა იხილონ,

და, მამინ ლორკა არ ვიციოდი მაგრამ ახლა, ამ გადასახედვან? ლორკას ნაბაძვით, რომელსადა, აქვს:

„მოდიოდა ხალხი, და ახლოვდებოდა შემოდგომა“

ეს ჩვენი ძაანც-სასვეტსკო კაბალიერო კი, ჯონდ და მდირნიევირ დე მეტრეველასი კი, ისე ამაყად მოაბიჯებს, ხელჯაჭვიანობით ხელ-იმძალიანნი, რომ? —

„მოდიოდა ჯონდო, და ახლოვდებოდა გაზაფხული“ ოღონდ ისეთი რომ, „შუვა-ამერილიზი მაგრა რო-მოსთოოვოს, დაა, — ვაიმევევაიით, და, მთელს-ჩვენს სვეტსკურა ნაშებიანა, ამათსა გაბმულ კისკის-კასკასში ამიჭებდა მეტა ისეთი უწმოლ ხმიო-ხმამალალი უგვან-ხარხარი ისეთი რომაა, —

მთლად გადანცვიფრდა მასწავლებელი, ჩემი, —

როგორ, შეკაცო, თავად მავსტრო-პედაგოგი თავის ალსაზრდელს, შეგირდს-თვისას თვით იოპანსა სებასტიან ბახზედა უთხრობს ამაღლებულსა მსხვილმანებას, მთლადაც ბახიან- საქმეშიდ გაპყავს და, ესკი, ხარხარებს?

ასეთურისა დაშავების თუნდ მევსედი რომ ჩამედინა იცოცხლე ჩემი ნაღდი-მავსტრო ყვირილ- ბლავლითი ჩამოაქცევდა, ჭერს,

მაგრამ ესი-ხარხარი ჩემგან იმდენად დიდმეტისმეტი იყო რომ, რომა, რომეე, როო, ჩემმა მათსტრომ? —

ხელით მანიშნა, უსუსურად (—!) — წადი, წადიო, კარისკენა ჰქენა ხელისა ზურგი, მეც, რალა მექენა, გამოვიდი და, ახლაკ-კი მიჰხვდა ფონდო (აკი სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს), იმ-სიცილებზედ, რასაც შეეჰყარე და, ამოარტყაც იმა უმნიველ-ძალს (ისემც ...) კიპანლური, და

ხოლო იმ ძაღლსა, ჯერ თავის მართლაცდა ძაღლურ-ცხოვრებაში როგორ-ფარდისფერ პერიოდის — ძეხვებითა — მაგრამ მერე-კი შეშინებულსა იმ პანლურით აი ისე რომ სულ სხვა უბანში (მგონია სულაც ნახლოვ-კამი) გადაბარგებულს (თუმც, უპატრონოს სად ჰქონდა ბარგი გარდა ქეცისა) ალბათ სიცოცხლის მთლადაც ბოლომდე დასთრე-და ყელთით უნიტაზისა-ასამოძრავ-დინა-მო, დეაჰვი, თავის კონტურავ-სახელურინან-რადგან ფონდოსი გარდა სხვა აბა ვილა მია-კარებდა იმა-ძაღლსა, ხელს

ფონდოსი გარდა, საერთოდ დიდად-თაღ-ითისა, ოღონდაც? ოღონდ? — გარნა ას-რერიც შეეყარებულის, გარდაიასი, —

მისი. მუსიკალურთან, ვიდექ და ვიდექ, და, როგორ ძალიან მენატრებოდა ფონდო, ძმა-კაცი, და განა მხოლოდ მარტო-ძმაკაცი, — რეკომენდატორიც, კიი, ისა ჩემი, და, კიდევ კარგი, მოდიოდაც და, გადიოდაც, დრო, —

ახლოვდებოდა, სასამართლო. მაგრამ, მინამდე, მაინცად ველარ მოვით-მინე, და, — ერთიცა დიდად უცნაურული საქმეცა? — ვეჭმენი.

\*\*\*

მაგრამ, როგორ ძალიან ძნელად ველოდი სასამართლოს, და, ერთსაც დღესაც ველარ მოვითმინე და მე მაშინ, სასამართლომდე ერთი ისეთი-რამ ჩავიღინე, რომ?

თუმც უნებური მაგრამ მსგავსი სადისტო-ბა შესაძლოა მარკიზ დე სადასაც ვერ ჩავდი-ნა, და ახლაც მოგახსენებთ თუ როგორ მოხდა ჩემგან ეს ყოვლად გადაპიზინებულ და მუხ-თალი მუხანათობა, ეს:

მომენტარენე, კი, ძალიან როგორ ჩემი ბი-ჭები, განსაკუთრებით ვოვა და ფონდო, — მე მაშინ თუმცა ყველანი ერთნაირად მიყვარდა მაგრამ ფონდოსთან და ვოვასთან უფრო გაბმულად, და დღენიდაც შეჩვეული, ვიყავ,

მერე სხვაგვარად წარიმართა ჩვე-9-ს გზები მაშინ კი — როგორი ერთნი, ვიყავით და, მაშინ კი ჯერ არ ვიცოდი რომ თამაზ გუნჯუა ჩვენში თურმე ყველას გვეჯობდა და ის თუ რა-ტომ, მოვცინებთ ვიამბობთ ახას.

და, მენატრებოდნენ, მომენტარენე ჩემი მუსილი-ნუმერ -58, 10-11-სეულიც კი დოს-ტები და, იმდენა მენატრენე რომ ერთ დღე-საც ველარ გავეტელი და, მამარემს — გავი-ვლი ხადმე ჯემალი ქვემოთ მიცდის-მეთქი (ტყვილი ჩემობატონო ...) და, დავადე თავი და ძმა-ბიჭების ხვედრის გასაზიარებლად, კაგე-ბეს ჭერ-ქვემოთისსაც კი გასაზიარებლადც კი სულლად ჩემითაც მივაშურე კაგებ-ს საშვთა ბიუროს — ხოლო იქ რალა თქმა უნ-და კარგა-მცნობდენ (კარგაო ... —ისემც!) და, დავარტყე უ. გ.-სთან და, „ნახვა მინდა თქვენი“-მეთქი, და, წამსვე დაყვანიდა ეს-მე თავის კაბინეტში და ის კი არა და კართანვე, დერეფანში დამხვდა — რადგან გამოძიება უკვე დამთავრებული იყო და სასამართლოს დანიშნვამდე მხოლოდ ისღა რჩებოდა რომ იმ ქექს სქელ ტომს საგულდაგულოდ უნდა გასცნობდნენ მოსამართლე, სიმართლის პირმითქმელი აღმოსავლეთის მჭინვარე პროკლო-პროკურორი, ჩვენკენა-ადგოკატი და, ალბათ მოსკოვის შესაბამისი დანეესე-ბულება-ორგანოები და ამიტომ სხვა საქმე რომ აღარაფერი აღარ მქონდა და არ მეება-და უ. გ. -სთან? იმან ალბათ იფიქრა, აი ახლა კი დამინდა ალბათ როგორც წესი და დედ-გა სწორ გზაზედ და ისა და ალბათ თავისი ტყავისთვის სასჯელის შესასამსულებლად თუმცა მოვციანებით მაგრამ — მაგრამ მა-ინც ბარაქლა და, კი-გეტყვიის იმ აქამდისინ როგორ -შენიღბული მათი უფროსი გზაზე-ამცდენი დაპრიებულის გვარ-სახელსა და კო-ორდინატებსო,

და, გაბარებული, დიდად შემიძლვა მისად-მი-კუთენილ კაბინეტში («каждому - свое - помещение» — გუნებაში ვუთარგმანენი,) და, მისდა ჭირად? —

მე კი, ვუთხარი, ჩემი ამხანაგები ( ამ „ამხა-ნაგი“-ს სუთავიდანვე აკი ჰქონდა ბევრად უკეთესიც გაგება ვინემ ის ერთმანეთისსაც-მხვერტია სოც-„ამხანაგები“, იყვენე) სადაც არიან, მეც იქ უნდა ვიყო, ჩააყვანინეთ, მე-ც, კამერაში, მეთქი ...

სხვათაშორის, კაგებში ჩემი სიცხიანობის გამო იმ სამიოდ დღეს „პრაგულკა“-ზე (პა-ტიმრის უმფრო -ტანგბადიანისა-ჰაერზე“-დ 1 საათით ყოვნა) არ გავუყვანივართ და მე, ფრიად-ნამეტურ ცნობისწადილიანს? — მეცნობისმოყვარეობდა, ეს-ც, მაგრამ გა-ცილებით უფრო მთავარი რალა თქმა უნდა თუნდ კაგენ-ში ბიჭების ხვედრის განაწილე-ბა-განწილება მსურდა დააა,

მაგრამ,

ფ. გ.-ს კი სახე ისე მოექცა და ყვირისფერი თვალები ისე ჩაუშავდა და, თავზარდაცემულ, ფერი დაეოო ისეთი რომ კინალამ ჩემი მომვლელი პოდპოლკოვნიკურ-პოეტი — აი სწორედ ის, თანამოსაკენი, იმში არასწორი მანევრისათვის ჩვენს-კამერაში მზის სხივს რომ უშვერდა ქალბრა-შუბლისა — კინალამ სასწრაფოდ არ გამოვაძახე კინკილა-ბადრავს, იმას ხომ აკი ჰქონდა ჩემი მოვლისა გამოცდილება თვითპოეზიით-უტყუარაით, კი, მაგრამ აბა რა-ლ პოეზია უშველიდა ახლა ფ. გ.-ს, ჯერ ეს ეგ ერთი უშფერო პროზისა - აფიცერ იყო (— ისემც ...), და სულ რომ ერთიმეორეზე დაგედოთ თუნდა „დე“—იან პროზაიკოსთა (დე მოპასანი, დე ბალ ხაკი, დე სერვანტესი, დე-მირჭიანი — ესა-ერთიკარა-იკომებულ-ცეკას-ფლობერი — და ასე შემდეგ ...) კი სქელ-სქელა ტომეულებზედ რომელთაც ასე ინტელექტუალურადა უცდიდა ფ.გ. (ისემც ?!) და კიდევ ზემოდან გოლგამეშიდან მოყოლებული გამოჩენილი პოეტები პომეროსი და ვირგილიუსი და დანტე (აჰ! — არა, არა, აპაპაპაჰ! — დანტე? — არა, არა, — ემ ფ. გ.-სათვინა მოუკრეფავში გადადიოდა ეს რადგანაც მისთვის როგო-მოსაკრეფო ფო-ფოხეთში... — მოუკრეფემო ... — იფიქრეთ ასე შენ და იმა-შენისთანებში, ფ. გ. ...) და მხოლოდ ისინი კი არა არამედ აგერ ეს ჩვენი რუსთაველი (ალბათ რუსულად ნაკითხული ფ. გ.-სა მიერ) და პეტრანკა-სამზღვარგარეთული და ევდოშვილი და უიტმენი და ედგარ პო და მამაშვილი და იმათი დასტა, — ბიჭები იყვნენ, კარქი; და, აგრეთვე, ალბათ პრინციპში-ქუჩურსა-ბიჭის ფაფარიძისა ქუსის 13-მაც, ამ მხოლოდ ერთმა-ლა ეზომ, რამდენი სახლიდან განსხვავებით მხოლოდ-მარტოკ-ლ მან მოვეცა — ამას, ამ-გაგაბეულ თაღლითობისას, დამფაჯებლური პატიოსცემით ვამბობ — ჩვენ, ქართველებს, ლიტერატორთა მთელ წყება — ჯერ მხოლოდ საკავშირო მწერალთა კავშირის წევრები? — სამინ: ჯ. და ზ. გამასხურდები და ჩემი როგორი ნაღდი რედაქტორი და უფროსი მძა პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, და აგრეთვე ჩემი როგორი მძა კი არა და ტყუპისცალივით (ორი კვირა სა სათაღლიტო ჩასაგდებობა) მძი და პირის ზიარება (—ერთად ესვამდით, კი...!) ქართლის ... — მართალია სპეციალურად არა-ნამეცადინევი მაგრამ დიდ-განსაკუთრებულ უმეცადინეობადაც როგორი ნაღდი სპეციალისტი ფ. მეტრეველი, და, და, დაა, სიტყვებმწამდობების ისეთი მართლაც-დიდოსტატი რომელთა-ნაც მე ჩემ — უნართა და გრამატიკით ქჭუა, რაც-გინდა მონდომება და ტვინი და ხელი აბა როგორღა მიმინედებოდა — სიტყვაქმნადო-

ბის დიდ-სხარტ-კორიფე-სეროჟი იყო, ეს, და მე, ვინც გრამატიკებს აი-ახლაცაც ისე სუსტად ვაფლოვ რომ „თურმეობითი“—ეზზედ მხოლოდ ის ვიცი რომ თურმე ორია, სხვა — არაფერი, სეროჟია კი, აგრეთვე-იმ ზომადან წამორიტულ-და-აფრენილი ჭაბუკი, იგი, ისეთს გამოთქმებს პფლობდა რომე — მე ნამდვილად არ ჩამივიდოდა იმ გამოთქმების ჩემი მამინდელი ნუმერი 44 ფეხი ხოლო სეროჟის კი თავისი 37 —ანა ნუმერ ფეხი? ის მერე რა რომ თავისი უფროსი ძმების №41—42 ფარღალაური ფეხსაცმელი ვრცლუნად ემოსა მიუხედავად იმისა რომ იყო საპოეზიკი და იგივე-საპოეზიკობისადა მიუხედავად? — მე ჩემი გინდაც დღეინდელური გამოცდილებებით სიტყვათ-ქმნადაში მოვიასრებოდა აბა-განა ისეთს სატყვებსა როგორებიცაა: „დარდალა“, „ნდღეცხირი“, და რთულ-გამოთქმათაც თვით: „მამითქვენისამ გახარდება“, „პრაიე-ავერკოტ“ და ასე შემდეგ, რამე, მაგრამ აქ ძაან გადაეხუხვი, ფილოლოგიით, არამედ ისევე ნაღდი საქმე უნდა ვირჩიო ვინემ —ეს მეცნიერებებ-პუმანიტარულეგია, და, მოკლედ —

ფ. გ.-სა, თურმედ როგორმა პოეტციურმა ჯალათმა მე — მ, ვუთხარი რომ „სადაც ჩემი აზნანაგები იქ მეც“—მეთქი და, რა დამავიწყებს ფ. გ.-სისა? — ეგრეთნოდებულ რეაქციას:

ეს ჩემი გამონათქვამი ისეთი ზედ-მწოდ რეაქციული აღმოჩნდა მისთვის, რომ ... სახე-თვალეზა და ფერზე-დ, უკვე მოგახსენო მაგრამ მის ტვინში რაც ხდებოდა? — ესა ცოტათი კი არა და ურთულესივით, აღსაწერი, მაგრამ მინც შეეცდებოდა რომ ყოველგვარი ქილიკის გარეშეც კი, როგორც ვახისნათ:

იმ ფ. გ.- სათვის, რომელსაც იოტისოდენა-დაც საერთოდ არ სწამდა არავითარი მეგობრობა, ადამიანების ურთიერთ-თანადგომა, პატიოსნება, სვიდისი, ნამუსი, რომლისათვის მხოლოდ უცხო ხილი კი არ იყო არამედ მთლადაც საერთოდ არ არსებობდა ადამიანებისათვის მოყვარული-ღვითი ბოძებული ყველაზე დიდი ჯილდო ანუ სიყვარული, თვით, და, რომელ ფ. გ.-საც მისთვის არ არსებულთაგან უნებურად ვაჩვენე მისთვის ყოველად მიუღებელი-რამ — თანადგომა, — ამ ჩემი ყოველად უნებური უნებლიეთად უცაბედა-და-შეუგანებელი დაუნდობლობით ვაჩვენე მე იმა-წუთას იმას და, რაც ვაჩვენე? — ჩემი ამ საქციელით ფ. გ.-სთანამ ამით როგორი უ-უბედური კაცი იშვიათადაა მინახავს, მერეც — ჯერ მხოლოდ ის არ ეყოფოდა ჩვენ რომ ერთმანეთის მიმართ ძალიან კარგად ვიყავით და ეს სხვათა გადასარევად კი არა — არამედ მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიან-

ნურად-ამხანაგური წესით მაგრამ რომელი ამ-წესისაც შევეთრად დარღვევებს წამდა-უნუმ და დიდად გაჩვეული ზედავდა მისდა სასიხარულოდ უ. გ.-ა კაგებე-ს როგორც პა-ტრირებში ასევე თანა-მუშაკებშიაც (სიტყვაა პირობითი) — ხოლო არამედ მთლადაც ჩემივე საკუთარ —ნებით კაგებე-ს საკანში გამოსამ-წყვედედა რომ მიყვირი —

ეს რაღაც ისეთი ნამეტნაურად-გადაჭარ-ბებული საქციელი იყო მისთვის, მის-„კრე-დო“ —სათვის, რომ, მისთვის დიდად უცნაური, განსხვავებულობა-რამ ისეთი რომ, ისე ძალი-ან ყოვლად-დიდად მიუღებელი, რომ, რამო-დენიმე რამ მთლად-ერთდროულად ეტაკა და დაემართავა — ერთი ის, რომ იმა-თავისი როგორად ვრცელი და ფესვ-მყარად გამდგარი ბოროტებისათვის დასაუძლურებელი ჩემი-ამ საქციელისაგან ისე მოტყდა, რომ, მთლად დაჩაჩანაკდა ეს მაიორი-კაცი (ხოლო „კაცი“ კი ბევრგვარი კი არა და, აუარებაგვა-რია, მათ შორის — „არაკაცი“), და, ამასთანა-ვე ამ დაჩაჩანაკებით თანაც ისე აეთ-ალეგ-ზნო, რომ, და, აცახცახდა? — მთლად გრი-გალისას მხმარ-ფოთლივით, თრთოდა კი არა, მთლად ზანზარულად-ეკანკალდა შინა-განურეც კბილთა კბილზეც ქან-ქუხ-ცეამამ-დე, ყრუანტილობდაც, ოღონდ ეს ისევე-მხო-ლოდ შინაგანადვე და ხოლო იმ გარეგნობით გარეგნულად კი ისე უძრავად, რომ — ნებით სხვითც არ ჩამოვარდნია იმა-თავისი არცთუ-ისეთი მიმზიდველი სახიდაგანა და, მიყურებ-და მე-როგორის ზიზლით, მე-მიუღებელს ყოვლითურ-ყოვლად რადგან მის გინდაც უნებურად მაგრამ როგორ-დამანგრეველს — და მის მინასთან გასწორებას კიდევ რა უჭირდა — მთლადაც ექსკენელში გადასწო-რებლად გრძობდა თავის-სახიან თავსა დაა, თანაც, როგორ უმადურ-ჩემზე და რამდენად მე-დაუნახავზე — როგორ, ავი ის მერე რა რომ მისით არა — სამაგიეროდ მისი სრულშეზოვით (ისემც ... ვიცით, კი, თქვენი თანადგომანი ...) უნდა ვავემვით ჩვე-გადასახლებებში — ამო-სალაპობები ჩვენ — უღირსათვის რამდენად მეტად „ნესიერ“ ხალხში ანუ სოც.-პარტიუ-ლიხალხის გვერდით გვესუნეჩა — უნდა ერთი ჰაერი და, ამას გარდა, ჩემისავე ნებით მთლად ჩასაჯდომად მივდივარ იმა კაგებე-სი თანამ-შრომელთან-იმ, რომელმაცა-რო კაგებე-მა, ასერივ ექვლმა, ჩემს 8 ჩემნაირს მთელ ოთხსა გრძელ თვეს (ეს ჩვენთვის, გრძელი... იმათთვის კი მთელი 15 და 25 წელიანად ძა-ლიანაც რომ ჩვეულებრივი, მორიდ-მორიგი მისჯა იყო მათთვის ყოვლად მიუღებელი „უღემენტები“სათვის), და ის სამაგიეროდ ზოგ-შემთხვევაში „მთელი“ 120 დღე ყო-ვლად უფასოდ ჩემს მშაკაცებს ამდღე-დღეო-

ბით და მე კი თუმც მხოლოდ რაღაც ორიოდ „სუტკა“ ყოვლად უფასოდ კაი გვასვეს, კაი გვატამეს (ისემც!), ფოტოსურათები მთლად უკაპიკოდ გადაგვიღეს თანაცაც ორსა-პო-ზაში, აბა? და, თავისებურ პიანინო-ზედ ათი-ვე თითით დაგვაკვრივის ის ურჩხული ელემ-გები ჩვენს ათთა-თითთა სადოსიე-აოდ, და ასეთური პატივისცემებით მხოლოდ ჩვენ კი არ გავგებოტორირეს არამედ ჩემი ბებია ფაცაც ყოვლად უფასოდ ატარესა თბილის-ქალაქის სოლოლაკურსა ქუჩებშიდ თავ-თავიანთი კარგმოტორიანი, აკუმულატორი-და კარ-ფანჯრიანი, კარგსატყიანი (—ისემც!) და ასე შემდეგ, „პობოდა“-თი, და, ამ აურაცხელ დიდ-წყალობათა, შემდგომ, მე კიდევ იმათგან ერთ-ერთს ანუ უ. გ.-სა ასე სასტიკად და დაუნ-დობლად მოვქეციდი-უნდ? შა? მთლად-ვერა-გულად, ასე? და,

მხოლოდ ის მითხრა, — გადაფითრებულ და გაცივებულს იმდენად სახეზე რომ მთელი ზეუბი ზედ შემყინოდა? —

ნაღი ... ნაღი ... —  
говори-ю, —

თუმც — კი ძაანაც მისუსტებულად მაგრამ მუქარივც, მითხრა,

და, რაღა დამრჩენოდა, მეც... კაგებე-ში „პრანულია“-ს ნახვა შუბლზე თურმე არ მენერა და,

ჩემი ეს საქციელი რომ გაუგია ჩემი სახტად დარჩენილი და თან ერთგვარად მომამყე მამის გარდა (— გაუფოთხილებიათ — Домашний арест“-ს თუ არ დაიცავთ მერე ჩვენ ვიცით-ო ...) თვით კონსტანტინე გამსახურდიას, მიუხე-დავად იმისა რომ ზვიადის ყველა, ყოველ მე-გობარს დასანახავად ვერ გეტიანდა — მშობ-ლებს ხმ სუყველას აკი ისე შეგონათ რომ შეიღს შეიღისავე ამხანაგები „უფუჭებენ“, არადა, ეს მერამდენედ მამეორებინებთ, არ გამოიჭიროთ საქმე? — ზვიადი მაშინ ყველას გეთავკაცობდა, ჩვენ მაშინ და მერეც კარ-გა-ხანს ზვიადის დიდი გავლენის ქვეშ ვიყა-ვით, მაგრამ, მომდევნო წლებში, ზვიადთან ყველაზე მეტად ორ დამეგობრებულს — ჯონ-დოს და მე თავის კოლხურ კომკში რომ გვიბი-ლაედა — ეს კი თითქმის ყოველდღე ხდებო-და, — როგორ ძალიან ღირხანდებოდა, კაცი, მაგრამ თუ არ ვიყავით ასე ექვს-მ დღე დაჭე-რილები (უიპო, მაროლა, არ გეგონოთ რომ მხოლოდ ჩხუბისთვის გვიჭერდნენ — არამედ „ბირჟა“-ზე დგომისათვის, რესტორანში უფა-სო ქეფისათვის, „ვიტრეზიტელ“-ში ნასაყ-ენად ...) მოულებოდა გული ჩვენზე, და, რა-ღაც მოფერებოდაც კი მომმართავდა, ჩემი-იმ საქციელით ცოტა არ იყოს, მოხიბლული: „მობრძანდი ცოტნე დადიანო“-ო, და ხანდა-ხან ასეც მეტყოდა: „ამაოდ კი არ ყოფილხარ

ბაბუსის დედით დადიანი" -ო, — ბაბუაჩემი და ბატონი კონსტანტინე გიმნაზიაში ერთ ჯგუფში სწავლობდნენ, ერთად დამითარეს (ზაბუა თუმცა მასზე 2 წლით უფროსი იყო, 1889 წელს დაბადებული მაგრამ გიმნაზიაში ხშირად ხდებოდა 2-ოდ წლით განსხვავებულიების ერთად სწავლა) მაგრამ ბაბუას, რატომღაც, არასოდეს არაფერი უამბნია მასთან ურთიერთობაზე მიუხედავად იმისა რომ ბატონ კონსტანტინეს გვარი „ემზვარი“ დიდად მოსწონდა და პატივს სცემდა, თუნდ „მთვარის მოტაცება“ გვიხსენოთ, ხოლო ჯონდოს კი „ჯონდი ერისთავს“ უწოდებდა და ჩვენში მხოლოდდა ის, ჯონდი ერისთავი მოსდგოდა თვალში, რადგან, ჯვარდიზე კარგახანს ერთ ეზოში ცხოვრობდნენ; ჯონდო ასე -10 წლის რომ იყო, იმათი სახლის კომენდანტი სხვენში ასულა ჯართისაგან რომ დაიცალა იქაურობა და, ერთ მძიმე-რამ ჩვენს დაჯჯგურებია და რადგან საკმარის მძიმე იყო აუღია და თავისი ჭკუით „ცარიელ ეზოში“ გადაუგდია მაგრამ სადაც ბავშვები თურმე „დახუჭობანა“-ს თამაშობდნენ,

და, გამოვიარდნოდა ჯონდო მძებნელის „დასასტუკებლად“ და, ის მძიმე ნივთი მესამე-დიდადმალი სართულის სახურავიდან თუმც მხოლოდ მცირე ჯანაპირით-რამით გინდაც ოდნავდა ჩამოკანვრია ჯონდოს მაგრამ კეფა ჩამტვრევი, ბავშვს, და, მთელ სამ თვეს უფარნოდ იყო, ხელოვნურად კვებად-დნენ, და ურთულესი ოპერაციისას პლატინის გრძელი ფირფიტა ჩაუდგეს კეფაში რომელ ფირფიტაზედაც, ბევრი, ასე-30 წლის შემდეგ ყოფა სიხარულიდემ ანდერძი დატაცებულია რაბა თქმა უნდა, მთვარალს: „ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემს პლატინას ვუტოვებ ვლადიმერ ვასილის-ძე სიხარულიდეს პირადად ხელში“ — ბევრს ეციზნოდით, ამასზე, რადგან გამოფიზიკებულზე ჯონდოს მაინცდამაინც ვერ მოეწონა ანდერძი-ესი, და მერე დაუფე-ვარმა გოვამ კი სადაც, იმანაც სიმთვარელე-ში მიაკარცა ისი ანდერძი და, მაინცდამაინც არ უფარნოდა რახან იქამდე წამაღუნუმ ცხვირ-წინ უფრიალებდა მებანდერძს და დიდ-ცელ-ქურად ეკითხებოდა „რაა ბიჭო აღარ კვდები“ -ო, ბატონ კონსტანტინეს კი, რომელსაც დი-დად შეწუხებულს ახსოვდა ჯონდოსი სიკვდი-ლის პირას მყოფობა ( ჯონდო მანამდეც, ათ წლამდე რომ არ ყოფილიყო ასეთი გამორ-ჩეულად ნიჭიერი ვიფიქრებდით რომ იმ ნივ-თის წყალბოთ ხომ-არ მთლიან-აღურაცხ-ელ ნიჭიერებისაკენ შეერაცხა გონება-ო), და, მართლა ისე იყო გამწარებული რომ იმა -კომენდანტს ჯერ მოსაკლავად გამოუდევნა თოფით და მერეც დიდხანს ისე დაეძებდა (უკ-

ვე პისტოლეტით) რომ ი-კომენდანტი თავის მშობლიურ სამტრედიაში გადაბარგებულა, ხოლო ახლა ვიცი რომ არ დამიჯერებთ, მაგ-რამ, რადგან სიმართლე-სიმართლე და, ის მძიმე ნივთი დიდრონი უნიტაზისა-მიე-რულად ჩამოსარეცხი მომცრო ეძახე და, აე-ზი ჰყოფილა და,

სწორედ რომ საკვირველი— ჯონდოსა და მე ეს უნიტაზი და მისეულე-ბი და ჩამოსარეცხი ჯაჭვ-მოფაიფურო-სა-ხელურიანები და ტუალეტურ-უბორნიები სუთავიდანვე ისე დაგვყვა რომ ვიქნებოდით ძმატაც-ბიჭები აბა რა, სხვა რაღა დაგვრჩნო-და,

ხოლო ამ მომძიო ამბებზე რომ ასე შედარებითულ-ლაბად ვენრ ეს ჩემი დამსახურება კი არაა, არამედ ძია ვახტანგისაგან, ცქიტვილიისაგან ბავშვობიდანვე ჩამებეჭ-და — „ასე გვიჭირს და, არც ვინუბროთ? —

ხოლო მე, ვახტანგ-ბიძისაგან განსხვავე-ბით ადვილზე ანუ „ჩავილი“-ებზე ვხუმრობ რაც რამდენად მეტად ადვილია ვახტანგ-ბიძის მაშინდელურ ხუმრობებთან შედარე-ბით და სწორედ ამა-შემართებამაც გადაგ-ვატანინა ჩვენ, ქართველებს, ჯერ რა დროი-დან მოყლებული, თავი,

და ჩემს ეგრეთწოდებულ „ცოტნე-დადი-ანობა“-შიც ვერ ვხედავ რაიმე დიდძალ დამ-სახურებას, და, არ გეგონოთ რომ მომაქვს თავი, — უბრალოდ, ისე მოვიქციე რაც დიდ-მარტივად სწორი იყო, და თვით ცოტნე და-დიანის იმ ცნობილ საქციელსაც მაინცდამა-ინც დიდურის-დიდი გადაღვრთოვანებით არ ვაფასებ რადგანაც ისიც იმდენად მხო-ლოდდა სწორად მოქცა, რომ, მონაღლებ-მა თურმე თუმც მშვენივრად იცოდნენ რომ მათ ნინაღმდეგ შეთქმულება ეწყობოდა, მაგრამ, ამ ფ. გ.-საგან განსხვავებით იმდენად ალუფრთოვანებით ცოტნე დადიანის მართლაცდა მხოლოდ სწორს კი არა, საუბე-დუროდ დღეის დღისათვის დიდ-იშვიათად გამონაკლისურ, საქციელს, რომ, ცოტნეთი მოხიბლულებს, ტანჯვების შემდეგ ტყავის გაძრობის დიდ -ოსტატებს ცოტნე და მისი თანამდგომლებიც, დიდსულონად გაუთა-ვისსუფლებიათ და, იმავე ღამეს, მინოლილი, — მაშინ მხოლოდდა 8 საათზე იწყებოდა ტელემაუნეც ლობა — ეკრანს ვითომდაც ვუყურებდი მაგრამ ტყვილად, მთლად, და მე-ნატრებოდაც-კია ჩვენი განკითხვა იმ-„უმაღ-ლესი“ ანუ უმაღალესიც-კი სასამართლოთი თუნდაც ჩვენსაც კი შემთხვევაში — ჩვენ კი დაგვიანდეს მაგრამ ჩვენი მაინც სპეკულა-ცია იყო სუფთა და მერე ვისგან — რა მუთიუ-რი ჭკუით აღსაესედ-გადაბუნტილ თავკაც-ყოვლათე-გაუზრდელისაგან და, უბიჭობოდ

როგორ-ძალიან ვიტანებოდი, მაგრამ, და-  
ილოცოს და, მოდიოდა, რაღა თქმა უნდა,  
დრო, სასამართლოსავით, და, გადაიდაც,  
და, რადგან ისეთის დიდი ერთგულებით, გა-  
დიოდა? — და, ამიტომაც, მოდიოდაც კიდევ  
და კიდევ, დრო,  
ახლოვდებოდა, —  
სასამართლო.

\*\*\*

იმ „უმალღესი“ სასამართლოს შენობისა  
ნინ, ათარბეგოვზე (ვილაცა გვაგინებს ამ  
გვარს რაღაი ვახსენებ...), თუმც ცრუმორ-  
ნმუნე სულაც არ ვარ; კი) იმდენი ხალხი  
შეკრებილიყო თურმე დილის 8 საათიდანვე  
— ბიჭების მოყვანა არ დავგასწორრო — ის  
„უმალღესი“ სასამართლო კი ათ საათზე იწყ-  
ებოდა, მე ათის ნახევრისთვის მიყვავდით  
ახლობლებს, და მეც ზღვა-ხალხთან ერთად  
ეუცდიდი „Черная ворона“-ს, რომელიც  
ათამდე ასე-15 წუთით ადრე მოდიოდა; ის  
ხალხი როგორი სიყვარულით, მორიდებულ  
შიშითაც კი, შემცქეროდა, და თანაგრძნობით  
მაყოლებდნენ თვალს რადგან იყოდნენ ჩემი  
მძიმედ დაჭრის ამბავი მაგრამ რომელზედაც  
აგერ ახლახანს, ერთმა, ვითომდაც ჩემმა  
მოყვარემ „ზერელ“ უნოდა რადგან არ მოე-  
კვდი... რა მართალია ზოგი ანდაზა ოღონდ  
კიდევ კარგი რომ მხოლოდ ზოგიერთისაღის:  
„სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“, ო, და ალბათ უფ-  
რო იმიტომ აღნიშნა ასე საავადმყოფოში რომ  
არ მოუკითხავს; მაგრამ აქ აკრძალულ-რამ-  
სში გადაედი — განმსჯელი, სხვაა...

ჩვენი მისი-„უმალღესობა“ კი 1957 წლის  
აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყო, მესამე  
სართულზე, ყველაზე დიდ დარბაზში რომელ-  
შიაც ძალიან ცოტად იყო ხალხი — მისი „უმალ-  
ღესობა“ ჩვენდამი თანამდგომი საზოგადოე-  
ბისათვის დახურული იყო... მაშინ გალიებში  
არ მკვავდათ განსასჯელები, ამ მხრივ მაშინ  
მეტი „თავისუფლება“ იყო, მხოლოდ იმ  
მერვე პოლკის ჯარისკაცები ცვლა-ცვლად  
გვყარაულობდნენ რომელთაგან ასე ათიო-  
დეს-მანცვალ ბოძებული ექნებოდა ჩვენი ხე-  
ლებისა თუ ფეხებისაგან მათთვის არცთუ  
სასურველი სუვენირი, ის მერე რა რომ, გამა-  
ვალ-დროით უხილაი... — შეგვინდე ესაც,  
ღმერთო, ადამიანებისაგან უპატრონობებს  
და „политрук“-ებით მონამულულებს, თავისა  
აღარ ეყოფოდათ?.

მაგრამ, გვეგონა, სწორი ვიყავით... — ჩვე-  
ნი ბავშვობით, ჩხუბები თუნდაც... ის კი არა  
და, გავეამაყებოდაც.

განსასჯელთათვის მერხები სამ რიგად  
იყო, პირველზე მხოლოდ მე ვიჯექი — იმდენ-  
ნი ფართი მანამდე და მერვეც კარგახანს არ

მქონია, II და III მერხზე კი ოთხ-ოთხნი ის-  
ხდნენ ბიჭები, რომელთაგანაც რამდენიმე  
უკვე სრულწლოვანიც ვიყავით; გურამ სხირი-  
ტლაძის ძმამ თურმე როგორღაც მოახერხა  
და, შესვენებისას ამოფარებია სანდო ხალხს  
და მისი-„უმალღესობის“ დაგმანული კარის  
ჭურჭრუტანიდან ორი სურათი გადაიღო; მე  
ერთში არეარ — სასაუზმოდ გარეთ გავყავ-  
დით; მოეცათ იქაც კავებე-სი ბორმ-და-  
კატელტი, რა იქნებოდა... დამზარეს, ასე,  
სასამართლო სამ დღეს მიმდინარეობდა,  
ჩვენ დიდ-გულწრფელად ვაღიარეთ ჩვენი  
„შეცდომები“ — ასე ვიყავით დარიგებულები  
შესანიშნავი ადვოკატისა და პიროვნების, ბა-  
ტონი აღხაზიშვილისაგან;

და, მესამე დღის ბოლოს, ჩამოთვალეს-რა  
ჩვენი აქტიურათე-ანტისაბჭოური მუხლები  
რომელთაგანაც რომდღენიმე (მიუხედავად  
იმისა რომ ხულიგნობაც ჩვენგან ანტისაბჭო-  
ური იყო აბა რა...) 58, 10-11-მა გადაფარა,  
და, გამოგვიტანეს განაჩენი, თავიდან ძალიან  
მკაცრად — მოგვსჯავა პატიმრობა 5 წლით  
ზვიადს, 4-4 ტოლიკას, და მგონი მერაბს თუ  
ვოვას დანაჩენებს კი, სამ-წელი და, დას-  
ძინა მერე მოსამართლემ, რომ,

„უმალღესმა“ სასამართლომ გაითვალისწი-  
ნა-რა ჩვენი არასრულწლოვანებით გამოწვე-  
ული და ამასთანავე გულწრფელად აღიარე-  
ბული შეცდომები (—ისეც...), პატიმრობას  
პირობითი სასჯელით გვიცვლის,

ათი, მისმა როგორ-რაც გინდაც- „უმალ-  
ღესობა“-მ, სინამდვილეში კი — რადგან  
ხრუმოვის „შუამწერობით“ მთლად უბრწყა-  
ლებოდ — უმდაბლესობამ — და ებრ ახლა  
ჩემისთანას განაჩენურად ასეთ-პატივი მაგ-  
რამ მე რა ვქნა, რაწემი ბრაღია — მთლადაც  
უჩემოდ, დაბალი იყო ი-ხრუმოვი მა რა —  
ფინთი ვიყო თუ, ვიტყვილებოდე... მაგრამ  
ჩვენები სასამართლოდანვე არ გაუშვიათ —  
იმ ზღვა ხალხმა განაჩენის გაგებისთანავე  
ისეთი ტაშისცემა და დიდი გრილიც და ბედნი-  
ერი შეძახილები ატეხა რომ, — იქ მხოლოდ  
ჩვენდამი კეთილგანწყობილები და თანამ-  
გრძნობები იყვნენ, ავის მოსურნეებს რა მო-  
იყვანდათ იქ, „შავი სისის“ კანდიდატობის,  
შიშით, — მოსაბჭოთაოები აკი მთლად-მუ-  
დამ სწორედაც სუ-სხვაგან—სწორედაც იქა  
არიან, კი, უმალღესები, გინდუც კათედრებზე,  
იდგნენ, და სასამართლოდანვე რომ გაუშვათ  
ბიჭები, კავებე-მ: რაიმ დემონსტრაციამ არ  
გადაიზარდოს მათი გაშვებო და კვლავ კა-  
ვებეში შეიყვანეს „ლევკაიო“-ვით ყოვლად  
უფასო „Черная ворона“-თი თუმც მონაც-  
რისფრო მანქანა იყო მაგრამ ამა-წოდებით?  
— დიდდ პალალი, და, ეს იმიტო-რო, ო, —  
მშობლებსა უთხარეს, — უნდა ნამოიღონ თავ-

თავიანთი ნივთები წინდა იქნება ეს თუ პერანგი და კრუჟეკაო — სუ ამეგებს მოხიკვისა დარდი არ ჰქონდათ? და, იქიდანაც, მხოლოდ ცალ-ცალკე, ასე-ოცნითიანი ყოვებით ვამოუშვს — განმიცდნა, კი, სიხარული, — და, ყოველ მათგანს ლამის ხელში ატაცებულებს აცილებდა შინამდე, ხალხი... ყოველთვის იყო, ქართველობა;

ყოველთვის-მეთქი, ვამბობ. იმავე საღამოს ბატონმა კონსტანტინემ გრიბოედოვის ქუჩაზე გადაიხადა წვეულება; კოლხურ კოშკში ჯერ არ იყვნენ გადასულიები; ის ამოღუნა ავტორიტეტისა და ნონიანი მწერალი მუღღლითა და შვილებით ორ-ოთახიან ბინაში ცხოვრობდა; სუ-კის რიგით ოფიცრებს რა ვაცოლებით უკეთესი, კი, კაბინეტები ჰქონდათ შინაც, და ვარუთ, ც. იმ დღეს კი ზვიადმა თურმე ძალიან დაიჭინა და, ჯონდო და მე გვერდით მოგვისვა თავის სუფრასთან; ზვიადი ერთადერთი ადამიანი იყო ქვეყნად, ვისაც ბატონი კონსტანტინე ძნელად, მაგრამ მუდამ ყაბულდებოდა;

არა მგონია დიდად აღეფრთოვანებინა ჩვენს (ანუ, როგორც ვთქვით ყოველი მშობლის მიხედვით ძის ამხანაგებით ანუ მისი შვილისაც) — „გამფუჭებლები“ — ს... სტუმრობას, მაგრამ, ზვიადის ხათრით? ლიმილითაც კი გადაიტანა ჩვენი პერსონების ნევეა: „ოო, მოზრძანდით ჯონდი ერისთავო და ცოტნე დადიანი“ — ო, და მხარზედაც კი დაგვაო ხელი ხოლო დეიდა მირანდამ კი? — ისე ჩაგვიხუტა, ისე გვეფერა... რა ქალი იყო... — დიდად ბრძანდებოდა.

აი, ასე უბრალოდ აღვიწერეთ ჩვენი სასაბარტოლო არადა რამდენი გემუქრეთ — „მოდიოდა—მეთქი“, და კვლავ იგივე-სასამართლოზედ რამდენი ვიძახ-ვავიძახებ — „ახლოდებოდა, მეთქი“, თურმე, სიტყვითადა, მოდიოდა და ენდეთ სხვიმის, ჩემისთანას, ა, მაგრამ,

არა, არ იყო ისე უბრალოდ, საქმე — იმდენი ხალხი გვითანაგრძნობდა... — საქართველოსათვის, კი.

და, როგორ ძალიან მსიამოვნებს განმეორება: ყოველთვის იყო ხალხი-მეთქი; დღესაც კი, სრული სიძარბით ვამბობ ამ ვითო-„ყო“-ს...

ზვიადი ადრე განსაკუთრებით ახლოს იყო ტოლი ვასთან, თამაზთან, მერაბთან, ჯონდოსთან ხომ... — ყველაზე მეტად, მაგრამ ჩვენი VIII და განსაკუთრებით X კლასიდან ერთად ვითო-სწავლისას... — არადა, ის, ჯონდო და თამაზი მუდამ ფრიადოსნები იყვნენ ჩვე-ზოგიერთისაგან დიდად განსხვავებით, ხოლო ჩემი იმ ნაღდად არა-ზურეულად აჭრის შემდეგ — არ ვიცი, თავიდან მითანაგრძნობდა გადატანილისათვის თუ რა, ჩვენ ორს იმდე-

ნად მეტად დაგვიახლოვდა რომ იმ-თავის უნებური და თანდაყოლილი ქედმაღლობის მიუხედავად სუსტ-ამაყურადაც კი არ ეჭირა ჩვენთან, თავი, და რა ნაღდი მეგობრები ვიყავით, მაშინ, ისე ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს რომ უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით, მე და ეს ჯონდი-ერისთავი ჯერ გრიბოედოვის ქუჩაზე (სანამ ზვიადის ოჯახი საბოლოოდ არ იყო გადასული კოლხურ კოშკში) და მერე კი თვით კოლხურ კოშკში უფრო ხშირად ვიძინებდით — ოლონდაც გათენებისას — ვიდრე ჩვენს სახლებში, გათენებისას იმიტომ რომ ზვიადს შინ მუდამ ეგულდებოდა მამამისისათვის დიდად-მრავალრიცხოვანი თავყვანისცემვებისაგან მირომეული ღვინო, პურ-მარლი ხომ...

მაგრამ სანამ მარტოები დაერქობოდით, ანუ ბატონი კონსტანტინე სანამ დასაძინებლად წავიდოდა თავის ბეგრძირე კარგ კაბინეტში, მაგრამ ვნაყოლობდით — სიგარეტს მისი თანდასწრებით ვერ ვეჭაჩებოდით, ოდნავ თუ მოვიხრებოდით ან მაგიდაზე უნებურად ჩამოვდებდით ხელს, მაშინვე „გაიძარათე, ყმაწვილებო! ქართულ სუფრასთან დღენიადაც სულ სმენა-ზე და გაჭიმულები და გასუსულები უნდა ისხდეთ!“ — ო, დეიდა მირანდა კი მისგან უჩურმად ლიმილით გვიჩვენებდა ხელისგულს და თვალს გვივარავდა — ცოტაც და, გავა-ო, და, ჩვენს ჯავრს კი — მთლად ჩვენსკენ იყო, — ერთი უტყუარი რამით, იყრია:

საქმე იმაში გახლდათ რომ ბატონ კონსტანტინეს ძალიან მოსწონდა და ეამაყებოდა თავისი სახელი „კონსტანტინე“ თუნდაც იმიტომ რომ ბგერა „ნ“ სამგან ერია და, ასე ამბობდა თავის თავზე: „მე, კონ-ნ-სტან-ნ-ტი-ნ-ე“, ო, დეიდა მირანდა კი, ვითომდაც სახელ-მიმართულად მიეაღიერებოდა მაგრამ სინამდვილეში კი ჩვენს გამო იყრია და ჯავრს და, ეფერებოდა-ვითომ, თანაც ორგანიზი მიმართეთ: „ლობიო ვადაილე, კონიაა“, ან: „ბოლოკი მიატანე ოხარაზუსი, კოტიკოოო“, — ვაიი — არც ერთი „ნ“ ხომ აკი სულაც არ ერია არც „კოტიკო“ — სა და, მით უმეტეს „კონიაა“ — შიდა, ბატონმა კონსტანტინემ აღარ იცოდა გაბრანზებულიყო ამ უ-„ნ“-ობით თუ, მევეფერებოდა რაცგინდა ცოლისა და მუღღლის მაგრამ ისეთი ლამაზი, მომიხებულელი ქალის აღერსი და, მისი ჭოჭმანისას, ჩვენი როგორი მეგობარი, კვლავ-მიმართავდა — „რა იყო კოტიკო, ხომ იცი შენთვის კარგი მინდა შენს ცოლს, მირა-ნ-დას, გადაილე ტარხუნა ჩემო კონია“ — ო, და, გინდაც ისე-დაბნულ ბატონ კონსტანტინეს ესი-ჩვენ ორნი-თავადურები, გინდაც — ერისთავი და დადიანი, იქვე არ ვყავდით? — მაშინვე, ისევე: „გაიძარათე, გაიჭიმეთ! შემართეთ თავი!“ და, გადადღობდა

— უკვე სამოცდაათს იყო მიღწეული, ჩვენს დეიდად-მკაფიოდ გასაგონად რომ იტყოდა: „ღვინო აღარაა. ყველაფერს ზომა უნდა. უნდა დაეძინოთ. ნავედი მე“, და მითვლები ვრჩებოდით — დეიდა მირანდაც ჩვენი იყო, 4 ძმაკაცი ვუსხედით სუფრას, — დეიდა მირანდაც, მამაკაცი თ ასეთი შეთამამება მაგრამ რა ვქნა რომ, როგორ ძალიან მეამყებოდა, — როგორ-ჩვენი ბრძანდებოდით, ბრძანდებოდა ახლაც, ის მერე რა რომ შორიც ქვეყნიდან, და, ვამოგვიტანდა თიხის მოზრდილი დოქით ღვინოს, დაჯდებოდა ჩვენთან, ჩვენს გვერდით და სულაც არ გვეხამებოდა მისი ღობილიანი, რა დედობრივი სითბოთი აღსაესე მზერა და, ოღონდ მისი ხანდახანობითი გასვლისას — ახალი კერძის შემოტანა იქნებოდა თუ ისე, განგებ გადიოდა, — ხვდებოდა, მუდამ იცოდა ჩვენი-ყოველივე და ნაქარევად ვე-ნოდით სამივენი ზვიადის მიერ ჩვენთვისაც მუდამ შემონახული იმ-დროისათვის ყველაზე ძვირფას, მამამისის სიგარეტს, — „Дыр“, რომლის თავსახურზეც გერმანული ნაგაზი იყო გამოსახული ხოლო სა-ტურქედ ოქროს-ფერი ქალაღვი ჰქონდა,

და არ გეგონოთ რომ ბატონი კონსტანტინეს მიმართ არ გექონდა მადლიერებისა და გინდაც-ერთგვარი სიყვარულის განცდა, მაგრამ როგორღაც მომძვინვარედ-კოლორტული ბატონი ბრძანდებოდა ხოლო დეიდა მირანდა კი — როგორი თბილი, უშუალო და რა-დედობრივად მომხიბვლელი? — რა გვექნა, აშკარად მეტად გვიყვარდა და მიყვარს-მეთქი ახლაც, კი, ახლაც, რადგან — ცარიელადა სითბო-სიკეთე ოღონდ ამით სუსე-ვალფერისა ვადამწინი, იყო, თან როგორ, ეს ცარიელადა-ობა, მისი, როგორი ლაღი, დამ-ყვავებელი ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მზერაში, ყოველ სიტყვაში იყო და, დაა, და რა ღიმი-ლით ისმენდა ჩვენსა-დანამღერს, ის მერე რა რომ განზრახ-დამახინჯებულს, ღრამატიკუ-ლათე:

— ტირია-ან თუ-მის ქა-ლეე-ბას!  
არ მოგვი-ვიდ-ნენ ქმა-რე-ბო!  
ვაითუ დაბ-ვდნენ ლე-კე-ბზეედ!  
დააყრეე-იინეეს თავ-ზეე-და! —  
ჰეი!  
ჰააი!  
ჰააა!!!

ხოლო როდესაც კარგა ქართულ-ხალხუ-რად დავძმომ-და-ავმჩატდებოდით-სავით?, ზვიადს ეტყოდა ხოლმე:


— აბა ერთი ის მიმღერე მე რომ მიყვარს, და, ზვიადიც, რომელიც შეთრობისას რა-ტომღაც მუდამ ნალღვინდებოდა, დიდის-მწუხარისა ხმით, წამოიწყებდა:  
„აადმოსავლეთისს პრიოკლოვოთი,  
სიმართლის მთქმელო სესიასა“...

და, საკუთარ შვილზე? — ახლა ჩვენ — ერისთავებ-დადიანებსა-შვილობილებს გვიკრავდა თვალს თავად დეიდა მირანდა, და რთი ვადაფიხადით ჩვენ-ყველას, ზვიადის ის მერე რა რომ ყოფილმა მეგობრებმა ის ამაგი ჩვენ რომ თქვენი როგორი ხანდომი-ანი მადლით, თქვენი სულიერი სიღამაზით, თქვენი იმ განუშორებლად ამაღლებული თავმდაბლობით, დავგვედ, მხოლოდღა იმით ვინუგემებ თავს რომ ახლაც, დღით, ყოვე-ლი დღით დიდის ლოცვებში უახლოეს გარ-დაცვლილთა შორის, როგორ გრძელ რიგში თქვენ განსაკუთრებულ სიყვარულთა და სიამაყით რომ გიხსენებთ — რა მცირედა, ეს, თქვენი რადიდი, პიროვნებისათვის... და რა საოცარი სიმტკიცით, ისეთით რომ — როგორ მთლად ლაღად და მხიარულადღაც კი, როგორ იცოდით და შეგეძლოთ ჩვენი ყოველი მარცხის ატანა და ეს იმიტომ კი არა რომ გე-ლაღებოდათ და გემხიარულებოდათ? — არა, უბრალოდ, როგორი ძნეულებისა და, მაინც როგორ, გვეუროდათ ჩვენი...

ეს თვით თავად თქვენ გვენდობოდით მთლა-დეველაფერში, დეიდავ, და, მეტოც უფრო — ჩვენი ძალიან დედობილო, დიდ-ქალბატონო, დედო-მირანდა...

ბატონ კონსტანტინეს კი, ახლა განსაკუთ-რებით ვხვდები და მაშინაც გვრძნობდი რომ ჩვენის-თვალთახედვით ერთი გასაოცრად მომხიბვლელი თვისება ჰქონდა. ახლაც შო-რიდან დავიწყებ, როგორც ყოველთვის:

ერთიც ვითო-მწერალი იყო, გვარ-სახელ-ში ცალი „რ“ერია (აბა გამოიცანით — რომე-ლია თუ მაგარი ხართ...) და ერთსა-ერთსაც ვამომცემლობაში ასე ვთქვათ „წამყვან თა-ნანმდებობაზე“ მუშაობდა და მართლაცადა კარგა-„ნაიყვანა“ უფრო თავისი საქმე და უფრო — თავი: მიუხედავად იმისა რომ მაშინ მწერალს ორ წელიწადში ერთხელ ჰქონდა წიგნის გამოცემის ასე ვთქვათ „უფლება“ იგი კი ყოველ წელიწადს მისგან დათრეულ გა-მომცემლობაში ერთნახევარს (—?) თუ არა თითო წიგნს მაინც ჰსტამბამდა, და მგონია რომ ვერც-ერთსა დეს არ დაუტოვებია ისე-თი წონიანი (ოღონდ ეს „საექიმო“ სასწორით) შემოქმედება ძალიანც ანტი-ბრავო-ული რაც ამ უ-დე-ურს, გამოდიოდა ტომეულები მისი, მაღაზიების თაროდებზე ძალიან ჰქუხდა ოღონდ თვალში მცემი რაამ, ესა? — მთლად გადაუშლელად სხვებისაგან რადგან მგონი არავენ კითხულობდა მის თხზულებებს მომ-ლიქვერლო-თანამშრომლების, გარდა, და, ამისათვის, შემოქმედებითი „პროდუქტუ-ლობა“ რომ მაქსიმალურათ გაგრძელებოდა, ძალიან ძლიერ უვლიდაყე „გამართლებულ-სა“ — თავსაც:



კუჭი რომი არ გადაელაზა რადგან გადაღლილ-კუჭითა თავისის-მხრივ არ გადაელაზა გული და გადაღლილი გულითა კი რომ არ შემენებებოდა „შემოქმედებითი ღწმა“, კუჭისა ხათრით-თავიდანა-სი, მხოლოდ წვერებსა ჰსვამდა სამ-ოთხ საათში ერთხელ, მაგრამ ნებისმიერს კი არა, არამედ მხოლოდ შინ და-ბურულს და, კომპლექტურად-შეზავებულს: ბრონქულისა მხოლოდურ-წვეის (აბა კუჭებს-თან ჭიდილშია, გადაიღლიდა, კუჭს?) სტაფი-ლოს მორბილი წვენი ანეიტრალდება და შემკავეშირებულად კი ფორთოხლის ხსნარ-სა უმატებდა დოკუმენტურულ-ნატურალურ-რით, ხოლო ლიმონის მჭახ-თხიერებას კი ჭარხლისა-წვენი შეზავებულსა რღა თქმა უნდა უსაღვეგრძელთა სვამდა, არაფრის-მაქნის სიტყვისის ნაცვლად ალუბლის ნა-წურს ამატებდა ანდაც — ატამ-მსხალისას ნელინადისა დროთა მიხედვით — მთლად ვი-ვლადივით იცოდა, კი, ნელინადისა, დრონი, მაგრამ, —

ვემ,  
მაგრამ,  
აკი,

რადგანაც ძლიერ და თან ძალიან, უც-ნაურულია, არა? — ხომი? — ნუთისოფე-ლი? —

იმანა ბატონ კონსტანტინეზე გაცილები-თურ-ბითურ ნაკლებ-იცოცხლა ფიზიკურა-დაც კი,

რომიელ ბატონ კონსტანტინესაც ვთქვით შედარებით რბილად და, ფეხებზე ეკიდა საკუთარი ჯანმრთელობის 2 და 10 შაური: ცაცურად სვამდა და „Дыр“-საც ზედიზედ, თავდამოჭრული ენოდა და იოტისოდენა-დაც არ ეშინოდა თვით იმ საშინელი ძალის, მურა-სი, რომელსაც მის გარდა მისი ოჯახის ვერც ერთი წვერი რომ ვერ ეკარებოდა —

მურა რაღაც ხერხებით (სიბნელეში ყოფ-ნა, ქვა-სროლიობით და წყლისდასხმით ნვალება) საგანგებოდ გაუბოროტებითა ერ-თსაც ორგანო-დანესებულებაში „პაციენტე-ბი“-ს დასაშინებლად და ბატონმა კონსტანტი-ნემ კი ასეთს გაბოროტებულ ანუ საცოდავ დღეში სრულიად შემთხვევით რომ დაინახა მურა, ამას მე წაიყვანო, მბრძანებლად უთქვამს, და თურმე მაშინვე დიანად ცბიერ-ლის-ღიმილით დაეთანხმენ — კაიბატონოო, — ანუ მოდი და აბა თუკი ასეთი მაგარი ხარ, წაიყვანო, მაგრამ, ვერ გამოშომეს თანხმო-ბა-თავიანთი — ძალმა იგრძნო-რა მასთან მისულის სიმტკიცე, ფინია-ძაღლივით მორ-ჩილად გაჰყვა, და „ხაზენის“ კი გაფითრებუ-ლი სევასტის რა იყო არამედ ავესენტის უკან ჩაუჯენია თავისი თავიც და, მურაც, და შინ მისულმა კი, კოლხური კომის მალად ჭიპ-კართან ახლოს მტკიცე ჯაჭვით ხეზე მიიბა

— ამისი ნებაც კი მისცა მურამ — და, არ გე-გონოთ რომ, გათინიერდა ძალი — არა, ყვე-ლასაქენ, ოჯახის წევრებისაქენაც კი მუდამ გააფთრებული ყვეით იწებდა, და საჭმელსაც მხოლოდ ბატონი კონსტანტინესაგან კუდის ქიცითაც კი იღებდა; ზვიადი ერთი პირობა შეეცადა საჭმლით რომ მოეთაფლა და, მარ-თლაც, მურამ ორიოდჯერ ზურგზედაც კი გა-დააფხვეინა ხელი, მაგრამ აქარამდე უკანყოფი-ლოდ; ხოლო ზვიადის ინგლისურის მასწავლე-ბელი, ძალიან კარგი კაცი (არაა აუცილებელი მისი გვარ-სახელის სხენება) მაგრამ ცოტათი დაუდევარი და ამიტომაც მურასთან ახლოს ნებადართულობაზე ახლოს ჩაველილისებდა გე-ლიჯა რომ კარგა ხანს საავადმყოფოში იწვა, ხოლო როცა ზვიადი ერთხელაც მაგრამ-ნასვა-მი დაბრუნდა შინ, და მურა თვალში რომ არ მოუვიდა ეს კიდევ არაფერი, ეცოტავა კიდევ და, — „რა გულზე ხარ შე შობელძალო“-ო და დრუნჩუე ნიხლის დარტყმა მოუწოდომა მაგრამ, მურამ, აგრე არ უნდაო და — ზვიად-ის ტერფი მთლად-კოჭამდისინ მურას უზარ-მზარ ხახაში აღმოჩნდა და მაშინ კი იკადრა ეგრევე გამოფხიზლებულმა ზვიადმა, მაშინ ძალიან უშიშარმა, რომ: „მამი, მამი, მიშ-ველე მამიი“-ო, და, ბატონი კონსტანტინეც მაშინვე გამოენთო მათკენ გერმანულ-მაუ-ზერთა და კავკასიურის-ხანჯლითა და ჯერ მალეზერი რომ ჩასჩარა ზვიადის ფეხის ჩაყოლე-ბით მურას, მაინც ვერასდიდებით ვერ იღებ-და უსაყვარლესი ვაჟის პირობაზე ერთადერ-თულა ვაჟის ფეხს გააყებულად განმარტებუ-ლი მურას ხახიდან და, კარგა ხანს რომ ვერ შესძლო სი, ბატონმა კო-ნი-სტა-ნი-ტი-ნი-ემ, რაგი-ნე და განმარებულმა მაგრამ შვილის ფე-ხი რომ არ დაეზიანებინა ხანჯალი ხორხამდე ფრთხილად ჩაუყ-მეუყო მურას და უჩველიცა და, იმანაც უშვა პირი-ძალთაპირი ზვიად-საკბილოს და, მაგრამ, თურმე, ხმოვანებისა სიმბით მთლად არ გადასჭრია?,


და,  
მას მერე კი,  
შენებურად ისე ნახად ჰყვფდა მურა, ისე-თი ნაზის ჩურჩულითა ამბობდა „ჰავ-ჰავ“-ს, რომ,

უცხო ყურს ძაღლია-ესი პირნავარდნილი „სწორედაც-ქანკრაზ ფიდარასტი“ გგონებო-და ისე მერე რა რომ ხმა-ვანაზებული მაგრა-მაც მაინც ჭრელ-ჭრელ ფოცხვერთაც და პი-ფაშოიან-ადამინათაც ეს რისხვად, ძაღლი.

მაგრამ ეს-შემთხვევა შემდგომ იყო, ახლა კი, თანამიმდევრულად მივყვები ამბებს, ხომ მაძლევთ ნებას, —

კარგი?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ქართული  
ხანის ლიტერატურა

\*\*\*

ვერ აგაცილე დაღლა —  
გბანდი, ცრემლებით გრწყავდი.  
ვერ აგიყვანე მაღლა,  
ვერ აგამალე ცამდის.  
სტირი,  
უჩემოდ სტირი,  
ნანობ, უჩემოდ ნანობ,  
ვერ გიმკურნალე ტკივილს  
ჩემი ტკივილის გამო.  
მე გაგიბუნე ფერი,  
ცრემლი გიქციე წყაროდ,  
ვერ შეგაშველე ხელი —  
ვერ გაგიფრთხილდი ქალო.  
ისევ გავრიდებ თვალებს,  
წარბებს ქვემოდან გიმზერ,  
ვერ დაგისვენე მთვარე  
მკერდთან შებნეულ ღილაზე.  
ტვირთად გიქციე წლები,  
ჩასცქერ ჩაღვენთილ სანთელს,  
ვერ გაეუმაგრე ფრთები  
შენ რომ მიზრდიდი — მართვეს,

გნუხვარ, ველარა გმველი,  
არც სურვილი მაქვს ამის.  
ვდგავარ ნისლიან ველის  
და გასაყართან ლამის.  
გასვლა შენგანაც მიწა,  
გავალ ღრუბლების ზემოთ,  
მზე მე გიქციე ბინდად,  
მე დაგაღამე ჩემო.  
ვერ აგარიდე დაღლა,  
გბანდი — ცრემლებით გრწყავდი.  
ვერ აგიყვანე მაღლა,  
ვერ აგამალე ცამდის.

\*\*\*

დევეს მაგიდაზე შენი ბარათი  
შემოცრეცილი ყვითელი ფერის,  
სიცარიელეს ებრძვის საათი  
დანყვეტაზეა ყოველი ნერვი.  
საკუთარ თავთან ღირს კი კამათი?  
არა —  
ამ კითხვას გიტოვებ ღიად.  
როგორ უღმობლად დროს თვლის საათი,  
ძირს ნაფლეთ-ნაფლეთ ფურცლები ყრია.  
მოვსინჯე ყველა რითმა და ფერი,  
ეგ სახე სისხლით და ცრემლით ვწერე.  
დანყვეტაზეა ყოველი ნერვი,  
ქარი კი უფრო ახელებს წერვებს.  
გავიღე, თუ რამ მეგბადა სითბო,  
დავყურებ ფეხქვეშ გაფენილ წერილს,  
დრო კი მრისხანებს, დრო პასუხს ითხოვს,  
დრო კი მრისხანებს და პასუხს ელის.  
მე ვარ მდუმარედ, კედელზე ლანდებს  
დასდევეს და ცრემლებს არ მალავს თვალი.  
მე აგამალე, ძვირფასო, ცამდე,  
მე შეეჭმენ შენგან ხატება ქალის.  
მე ვაქანდაკე ყოველი ნაკვთი —  
ახლა რომ ვანგრეე და ვფარავ მტვერით...  
დროს რა უღმობლად მარცვლავს საათი —  
დანყვეტაზეა ყოველი ნერვი.

\*\*\*

დაზამთრდა...  
თოვლი არც ისე მიკვირს  
და არც სიცივე — სისხლში რომ ატანს,  
მე მუშინია ამ ატმის კვირტის  
გაზაფხულზე რომ ვერ გახსნას მარტმა.  
მე მუშინია დამშრალი ღელის,  
თოვლის ქვეშ წევს და უგონოდ სძინავს  
და გვირილათა გაყინულ ველის  
გამოღვიძება ვერ შესძლოს ნვიმამ.  
დასანაყისი არ მაფიქრებს ზამთრის —  
როგორ შევხედები ზამთრის დასასრულს?!  
ვაი, თუ ისე დაეობდე სახალში,

რომ ცეცხლთან მუდომი  
დავხვდე გაზაფხულს.  
მე მეშინია შენი — შენს გამო,  
არა თებერვლის ცივი ქარების,  
გავიღვიძო და აღარ ვენამო,  
არ მომწყურდე და არ მეყვარები.  
გავიღვიძო და მთათა კალთებზე  
აღარ მიცდიდნენ ლეგა ნისლები,  
იქნებ სჯობია, აღარ ვავთენდე,  
მოგვედე და ნულარ გარდაეცვლები.  
არ მინდა შენი ჭკნობა ვიხილო,  
ვიხილო შენი დაშლა ფერებად,  
ჩემს მერე შენთან მოვა სიკვდილი  
და მკერდზე ცივად მოგვეფერება.  
დაზამთრდა...  
თოვლი არც ისე მივიკრს,  
არც ეს სიცივე — სისხლში რომ ატანს,  
მე მეშინია ამ ატმის კვირტის —  
გაზაფხულდეს და ვერ გახსნას მარტმა.

\*\*\*

შენ თუ არ მიცნობ, აგერ ის მიცნობს —  
ჩემს ნაცნობობას ტყუილად მალავ,  
არც მე არ გამოვიჩრცივი სიბრძნით,  
კიდევ ბევრი რამ არ ნამცდვს ქალავ.  
დაუკარ!  
მძლავრად ჩამოჰკარ სიმებს,  
დღეს აღარ მინდა ჰკენესდეს გიტარა,  
ქარი ქვითინებს,  
ქარი ქვითინებს,  
ქარმა დალალი ჩამოგაყარა.  
დაუკარ!  
ოღონდ ახლა დაუკარ,  
დღეს არის ენება თავისუფალი,  
დღესაა დღესა — თორი ხვალ უკვე  
ველარც შენ მნახო ქართან მბუქნავი.  
გემუდარები — თავს ნუ დაზოგავ,  
დაუკარ, ვიდრე გვეოფა ძალა,  
დაუკარ! სიკვდილს უნდა ვაჯობო,  
დაუკარ! ქალავ!  
დაუკარ ძლიერ!  
ო,  
უფრო ძლიერ!  
ნუ დაანებე თრთოლვას თითები,  
შენ, შეგიძლია,  
ო, შეგიძლია.  
დაუკარ და მე გარდაეცვლები...  
ნუ ჩამოჰფინე ცრემლი ნაშნამებს,  
უფრო თამამად სივრცე აპხიე,  
მერე ჩემს საფლავს შენი ნაწნავი  
უსურვა ზევით შემოახვიე.  
ნუ შეანედე, დაუკარ ყველავ —  
შენს გარდა ჩემთვის დაუკარავს ვერვინ.  
გადაუმტკრიე გიტარას ყელი,  
რომ დაწყდეს ჩემში ყოველი ნერვი.  
დაუკარ ქალავ...

\*\*\*

აღელდა,  
მკერდი აივაზა,  
ვარსკვლავთა მიღმა ჩაქრა ალივით,  
რად მეჩვენება ასე ლამაზად  
ქალი, რომელიც გვერდით ჩამავლის.  
წუხელის მთებში ირმებს ვსდიე და  
მუხლები მთებზე  
ქროლვით დამცვდება,  
რად მეჩვენება ასე ძლიერად  
ქარი — რომელიც გვერდით გამცდება.  
იქნებ დაცემის ნიშნავს შესავალს  
თუ დაგაღამდა სადმე ნაწნალით,  
რად მეჩვენება ასე ბეჩავად  
კაცი — რომელსაც გადავასწარი.  
მე დალილი ვარ მხესთან დავაში,  
ქარი მხრებიდან ამყრის იალქნებს  
და მაინც ვფიქრობ შენს ფანჯარაში  
ძალიან მკრთალად მოჩანს სინათლე.  
არათუ მოჩანს — კიდევაც ქრება,  
გადაეფარა თვალის საწიურს,  
სულსთვის როგორ იქნება შეება  
მზერა თუ არსად ნამომანიე.  
იქნებ დაცემის ნიშნავს შესავალს,  
თუ დავიღამე სადმე ნაწნალით,  
რად მეჩვენება ასე ბეჩავად  
კაცი — რომელსაც გადავასწარი.

\*\*\*

ქარაფზე ქარის სიმღერას ვისმენ,  
შენს ხმას მაგონებს სიცოცხლევ ჩემო,  
მოჰნატრებიათ სიმალლე ნისლეებს  
და ინვიან ზემოთ და ზემოთ.  
ნვეს ლურჯი ბინდი მწვერვალთა ზედა  
და ღრუბლებს ზემოთ მთვარე მიცურავს,  
მთვარეში მხოლოდ შენს სახეს ვხედავ,  
მუხლს მოვიდრეკ  
და კრძალვით ვლოცულობო.  
ვერ შევიშლები ამაზე მეტად,  
თავს არ გაბრალებ და არც გაწონებ,  
მცდარი აზრია, რად ფიქრობ ნეტა,  
რომ უშეშობა გამომასწორებს.  
თავს მოვავსებ ფეხებზე დეკის,  
ზევიდან ნისლის კალთას ვიფარებ,  
რა უნდა გთხზრა ამაზე მეტი —  
რაც ვთქვი — ან ისიც რატომ გითხარი.  
თავით ვარსკვლავი ცისკრის მინითა,  
რომ დილით დამსვას კალთაზე ზეცის,  
მწყურიზარ, ესეც დროებითია —  
დროებითია, გული რომ კენესის.  
ქარაფზე ქარის სიმღერას ვისმენ,  
სიმღერა შენ გგავს, სიცოცხლევ ჩემო,  
მოჰნატრებიათ სიმალლე ნისლეებს  
და ინვიან ზემოთ და ზემოთ.

\*\*\*

როგორ მაშინებს დაო,  
ფერისცვალება შენი,  
შეთხლებული სახე,  
შემოჩვეული ცრემლი.  
როგორ მაფიქრებს დაო,  
ნარბს ზემოთ ნისლის ნოლა,  
საფეთქლებამდის თითქმის  
ჩამოინია თოვლმა.  
ო, როგორ მტკიავა დაო  
ოდნავ მოხრილი მხრები,  
ყელთან შემჭკნარი კანი,  
მომატებული ნღები.  
როგორ მალონებს დაო,  
ჩემო სისხლო და ნილო,  
ჩემი დაშლილი ძვლები  
შენ რომ არ დიტირო.

\*\*\*

ამ დაღწილ აღვისხეთა რიგებს  
ქარიშხალთან ვინლა შეარიგებს,  
ფერებს მღვრიეს მწვერვალების სწორედ  
ვინ დააწყობს, ან ვინ შეასწორებს!..  
დგას სამყარო შეღახული ყოვლად,  
მოცუეული ბინდებად და თრთოლვად,  
განწყობაა მეტისმეტად მძაფრი —  
არცა რისგან,  
არცნაირი,  
არცრის,  
რომ ნისლივით მოფეფინო ტრამალს —  
ღმერთო ჩემო!  
ღმერთო მომეც ძალა —  
ავირიდო ეს შეშლილის ხიბლი...  
ო, რა მძაფრი ფერებია ირგვლივ.

\*\*\*

შენყდა ჩოჩქოლი...  
მთებზე მინვა მზე,  
ეს ჩუმი წამი მეტკა ნამებად,  
მე ახლა ვეგავარ ქართულ მიწაზე  
რა ვქნა, თუ ეს ცაც მეცოტაეება.  
მშვიდია სივრცე, ვბუბუნებ მძლავრად  
და ასაფრენად მიხმობენ ფრთები,  
მე როცა ქართულ მიწაზე ვეგავარ  
მთელი სამყარო მიჭირავს მხრებით.  
შენით ვარ დიდი,  
შენით ვარ დიდი,  
ცდება, ვინც შენთან ყოფნას ართულებს,  
ამ სამყაროსთვის შენა ხარ ხიდი,  
იმ სამყარომდე მიწაზე, ქართულო.  
შეუნდოს ღმერთმა, ვინაც ვაგნირა  
და სისხლს გინოვდა, როგორც აფთარი,  
ვერ შესძლო ყველამ, ვერ იარნივია  
და იმათანაც დარჩი მართალი.

რა გჭირს ისეთი, მე რომ გიცავდე,  
როცა შენთან ვარ, ვინვი ნებ-ნება.  
ღმერთო! მე ვეგავარ ქართულ მიწაზე,  
ნათელი შენი სულში მეღვრება  
და მქუხს გრავალი, ბანს ვაძლევ მძლავრად  
და ასაფრენად იწვევენ ფრთები...  
მე როცა ქართულ მიწაზე ვეგავარ —  
მთელი სამყარო მე მიმაქვს მხრებით.

\*\*\*

რისთვის მინდოდა, ცა გავხსენ,  
ან ვარსკვლავები ვფანტე რად,  
ვინ გასხა წამი ბალახზე,  
ასე ვინ ააფანტელა.  
ასე ლამაზად მბრწყინავი  
სხვა რა ვიპოვე — რა ვნახე,  
დავჯექ, ხელ-პირი ვინამე,  
რომ ჩამოვყარე ბალახებს.  
თურმე რა ახლოს მყოფიხართ,  
მე სად გეძებთ, სად არა,  
ცის ანგელოზნი მგონიხართ,  
თქვენლა აცოცხლებთ სამყაროს.  
რა გამრიალვებთ, შემკრთალნიო,  
გამანდეთ თქვენი სურვილი,  
უნდა მზეს ჩამოვფარო —  
მზემ ცით მოიკლას წყურვილი.  
მეც თქვენში უნდა გაეზნა,  
ფრთხილად ამკრიფოს ნიაგმა,  
რომ თქვენთან ერთად ხვალეიდან  
გაეზნდე სიკვდილის ზიანად.

\*\*\*

ჩემს წინ დაეშვა ცის ლურჯი სვეტი,  
მზეს ღრუბლის შავი ღიანდი აუძღვა,  
პოეტის შუბლებს სიმკვრივე მეტი —  
მათ ზოგჯერ ტყუილს უნდა გაუძლონ.  
პოეტთა შუბლებს — სიმაღლე მეტი,  
რომ ციხედ ედგნენ მბორგავ გონებას,  
პოეტს ქარისთვის ნუ გაიმეტებთ,  
არა, არც ქარებს დაემოივება...  
პოეტი, სცენა?! — სისულელეა...  
ხედები ცისკენ ვინ აღულელეა...  
როცა პოეტი ვენება ერევა,  
სცენას კი არა, სამყაროს მართავს...  
პოეტებს სივრცე,  
სივრცე და ფრთები,  
სისხლი სულივით თუა მღელვარე,  
თქვენი კი თუ გინდათ, იკმარეთ მთები,  
პოეტი თქვენთვის ტოვებს მწვერვალებს.  
პოეტს სიმაღლე  
და უფრო მეტი  
აქვს საბალახო — თქვენ არას არ გთხოვთ,  
სიცოცხლე არა — აქვს ჯოჯობეთი,  
სიცოცხლე თქვენთვის  
მრავალჯერ დასთმო.


\*\*\*  
(დაგვიანებული პასუხი ლამა ბულაძეს)

შენს ლანდს როგორღა ვეფერო  
ცრემლად ჩამდგარო თვალშია,  
გაგნირეთ თამარ მეფეო —  
არც შენთან დავრჩით ვალშია.  
ჩვენი კაცობის გვირგვინი  
გაგზგიეთ ცოფვა-ბრალშია,  
შენი აუგად ხსენება  
რად მოგვივიდა თავშია —  
სახელი ხატად ქცეული  
რად ამოესვარეთ ლაფშია,  
საქმე ვქენი მტრის სალადლობო  
არ მოსასვლელი ჭკეპშია —  
რად გვიყვარს კაცნო, რად გვიყვარს  
სხვას რომ ეხვევთ ცეცხლის ალშია,  
წინაპრის ლანძღვა-გინებით  
ეპატარავებით საშინლადა.  
არც განმკითხავი არა გვყავს  
ტეინს შემოგვივლოს არშია,  
რატომ ვერ გაგვირჩევია  
სახედარისგან რაშია.  
იმას ვაფურთხებთ ნიადაგ  
ვისაც მიეყვებით კვალშია,  
ვერ განვიკითხავ ვერავის  
არ ჩანს სურვილი ამისა,  
ან ვინ მქნა განმწესებლად —  
მომრიგებლად დავისა,  
უფლის ნებაა განკითხვა  
საქმის თეთრის და შავისა.  
მე უფრო სხვა რამ მადონებს —  
სადა პქრის სიო შარისა.  
დღეს მეტი გემართებს სიფხიზლე  
და გაფრთხილება ზვალისა,  
მოსმენა ლამის წყვდიადში  
სამრეკლოების ზარისა.  
მტერს მოყვრად მოსულს გვერჩიოს  
ცხადად დამმტერევი კარისა,  
უნდა შევიძლოთ გარჩევა  
საუფლო სამართალისა;  
ვის რა ტკივილი აწუხებს,  
ვინ რანაირად ბლავისა,  
ვის უმონყალოდ მზე ნაცრავს —  
ვის შუქი ჰყინავს მთავარისა.  
რად ვცდილობთ, სადაც არ გვთხოვენ  
იქ დაელმებას თვალისას.  
იქნებ ნატვრადაც გამიხდეს  
არ გათენება ლამისა.  
დღეს შენ გიტვირთ მეფეო —  
როგორც მშობელი თავისა.

\*\*\*  
მზეთა მძინეწარებს შტორმი  
და ჰორიზონტებს ჰბზარავს,  
დროა საცესებით სწორი  
და ვწერ სისხლიან დრამას.  
ფერთა სიმძაფრეს კალამს  
სთხოვს სისხლიანი ფონი,  
რომ დაეასრულოთ დრამა,  
ბორჯენა მსოფლიო გონის.  
ბრძანებ, ბატონო, მოვრჩე,  
მირჩევ ლირიულ სურათს,  
მილიარდობით ჩონჩხებს,  
ვარსკვლავთა მტვერით ვზურავ.  
მე შევიშალე გგონი,  
თვალებს ცრემლებით ვნამავ,  
ო, რა შავი აქვს ფონი,  
ფონი — სისხლიან დრამას.

\*\*\*  
რალას უყურებთ, დაკალით,  
კურატი სვილისფერიო,  
ჯერ იმ საბრალო დედაბრის  
გასჭერით ქადის კვერიო.  
სულ უკან რომ დგას რიგშია,  
ყელთან უბრუნავს ცრემლიო,  
რალას უყურებ, რას უცდი,  
რა გჭირს, ან ვიღას ელიო.  
დღეს ბევრი მოვა მლოცველი,  
დღეს დღე გექნებათ ცხელიო,  
სისხლი დის, წითლად ენთება,  
სისხლი მთებს დანამცვრევიო,  
სისხლისფერია მდინარე,  
სისხლისა ბრუნავს მტვერიო,  
მზე წითელია, ზეცაცა,  
მთელი სამყაროს ჭერიო,  
სისხლია ქვაშიც, ყვავილშიც,  
სანთელიც სისხლის ფერიო.  
დადუმდნენ ტაძრის ზარები,  
ჟამი დაუდგათ ძნელიო,  
შენც გაგიჭირდა უფალო —  
უკვე ვეღარც შენ გეშველიო.





ნიკოლოზ

ლექვაძე

### ბამბზაჰიბა

ორიოდე დღეა, რაც გადავწყვიტე სამუდამოდ იქიდან შორს გამგზავრება, სადაც აქამდე მთელი ცხოვრება დაუფიქრებლად გამიტარებია. ფიქრებში ჩაძირული შორიდან ვუმზერ ვაგზლის შენობას და მას თანდათან ვუახლოვდები — უზარმაზარს, მუქს, რკინით მოჭედილს, თავზე მრგვალი, თეთრ ციფერბლატისანი საათი რომ ადგას — საათი, დროის მაჩვენებელი... რა არის დრო? დრო არის ის, რაც არავისთვის არ იცდის! ვიცი, მისელა დავაგვიანე და ეს დავაგვიანება არის ზუსტად ჩემი განვლილი ცხოვრების ტოლი! თუმცა დაგვიანების გამო ნაკლებად ველაგ — დარწმუნებული ვარ, მატარებელი ბაქანზე დამხედება... მატარებელი ჩვენ, მგზავრებს მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე გვიცდის!

აი, ვაგზალს მივუახლოვდი. ნაბაჯს მოვეუკელი და ფიქრებს კიდევ უფრო ჩავუღრმავ-

დი: რამდენჯერ აღმოჩენილვარ ამ შენობის სიახლოვეს, მაგრამ არასდროს მომჩვენებია ის ასეთი დიდი, ბუმბერაზი, ყოვლისმომცველი. ის იდგა უზარმაზარი სივრცის ცენტრში და მის ირგვლივ იყო გაშენებული სხვა დანარჩენი — უსუსური ქალაქი. ქალაქს ვაგებდე... გამიკვირდა, იქ მთელი ცხოვრება როგორ გავატარე-მეთქი! მიუხედავად უეტარი გადანყვეტილებისა, ვიგრძენი, რომ ამ მგზავრობისთვის, ქვეცნობიერად, მთელი სიცოცხლე ვემზადებოდი! შენობის ზღურბლზე, ჩემდა უნებურად, ნამით შევეკონდი, ისევ გამექცა ქალაქისაკენ თვალი — იქიდან თან არაფერი ნამომილია... არადა, სამუდამოდ მივემგზავრები! ისე ცივად მივაცცი ქალაქს ზურგი, თითქოს იქ, არც არასოდეს მეცხოვროს! შენობაში შევდგი ფეხი — სითბო, სივრცე და ვაგზლებისთვის არადაშახასიათებელი სიმშვიდე, როგორც არაამქვეყნიური სამყარო, ისე შევიგრძენი. ეს არ იყო ჩვეულებრივი, სხვა ვაგზლების მსგავსი ვაგზალი! არა და, წინათ, მე აქ მარავალჯერ ვარ ნამყოფი, განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია, მიმაჩნდა, რომ აქაურობა იყო ქალაქის მთლიანობის შემადგენელი ნაწილი. წინ წავინიე, თვალებით სალარო მოვძებნე და მივუახლოვდი.

სალაროს სარკმელთან, ცოტა არ იყოს, დაბნეულობა ვიგრძენი, შიშიც; ახლა უფრო გარკვევით გავაცნობიერე თუ სად მივედი; საკუთარ თავში არა საკუთარ თავს, არამედ, იქ ჩაყუთებულ ვილაც უცხოვს დავევითხე — ამ შენობაში არის კი ჩემი ადგილი?! პასუხმა არ დააყოვნა — სალაროდან მომზირალმა, საოცრად თბილმა თვალებმა უსიტყვოდ დამარწმუნა, რომ მე აქ მელოდენე! ბილეთი მინდა... ფული კი არ მაქვს (ყველაფერთან ერთად, ისიც დავუტოვე ქალაქს). მაგრამ ფული რომც მაქონდა, ბილეთს მაინც ვერ ვიყიდდი, რადგან აქ სალაროში ფულზე, თურმე, არაფერი იყიდება! ფულით თუ არა, მგზავრებმა საფასური რითი უნდა გადაიხადონ? გულით? ესე იგი, გული უნდა გადაუშალო? და აქ, ცხოვრებაში პირველად შემერცხვა საკუთარი თავის(!), რადგან გულში არაფერი აღმომაჩნდა თავმოსანონი! არ ყოფილა ჩემი ადგილი არც აქ და არც ამ მატარებელში! თვალზე ცრემლმომდგარი მოლარეს ვუმზერ და ჩემდა გასაოცრად, ის ბილეთს მინვდის.

საკუთარი სინდისისაგან მწარედ ნაგვემი, გავედი ბაქანზე და იქ დამხვდა უმშვენიერესი სანახაობა — ზღაპრული მატარებელი, მგზავრებით სავსე, მშვიდი... მგზავრთა

შორის ბევრი ნაცნობი სახე აღმოვაჩინე — თუმცა არცერთ მათგანთან არ მიმეგობრია! არა თუ არ მიმეგობრია, რამდენი რამ დამიშაყებია კიდევ მათთვის — ზოგს ვატყუებდი, ვერჩხუბებოდი, შარსაც ვუდებდი... მაგრამ რატომღაც, ყველა მილიმის თავი დავხარე, გავშრი, თვალები დავხუჭე — ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ჩემთვის ასეთი მძიმე ასატანი აღმოჩნდებოდა მართალი კაცის ღმირი! რა ვქნა, როგორ მოვიტყე? ასეთ მატარებელში ჩემი ადგილი არ არის! უკან ვერ დავბრუნდები, იქ ჩემთვის აღარაფერი არსებობს! მზად ვარ ვიფვირო, ვცემო, დავსაჯო საკუთარი თავი... მაგრამ ეს რას უშველის?! მოგტყდი, მოვეტყე... და ამ დროს, თვალწინ წარმომიდგა მოლარე, მისი თბილი მზერა, მის მიერ გამონვდილი ბილეთი — მე მას მიეწედი... მოლარე არის ის, ვინც ჩემზე ბევრად უფრო მეტი იცის!


ბილეთისთვის არ დამიხედავს, რომ გამერკვია, თუ რომელ ვაგონში იყო ჩემთვის განკუთვნილი ადგილი, მუჭში დავმაღე და თავდაბრილი გავემართე უკანასკნელი ვაგონისაკენ — ერთი ვაგონი, ორი ვაგონი, სამი ვაგონი... გამოჩნდა ბოლო ვაგონი! მაგრამ, რა? ბოლო ვაგონიც ისეთივე ბრწყინვალეა, როგორც პირველი ნაბიჯს ვუყუდი — ბოლო ვაგონის პირველ კარებს გავცდი... ვაგონის ფანჯრებში შეხედვაც კი ვერ გვატემა! შემადგენლობის უკანასკნელი ვაგონის ბოლო კარამდე მასობრებს ხუთიოდე ნაბიჯი, ოთხი, სამი, ორი, კიდევ ერთი და მატარებელს გავცდები! ისმის საყვირის ხმა, მაუსწყებელი იმისა რომ, მაღლ უნდა დაიძროს მატარებელი! და ამ დროს, მთელი სხეულით აცახცახებული ადგილიდან დაძრული ვაგონის კიბის საფეხურს შევახტი, სახელურს მყარად ჩაეებლაუჭე — მატარებელი სიჩქარეს იკრებს... მე ქალაქს მოვწყედი!

სად მიდის მატარებელი? ის მიდის იქ, სადაც ადამიანი გათავისუფლდება ცხოვრებაში წარგოვები საკუთარი სულიერი სიმძიმისაგან! რატომ მძიმდება ადამიანი? მძიმდება იმის გამო, რომ ის საკუთარ თავში კეთილს ებრძვის! არა და, ადამიანი თავიდან ხომ სრულიად კეთილი იყო — ბავშვი... რა კარგად მზრდიდნენ და როგორი ცუდი გავხდი! მეკვლი — საკუთარ თავში მოვეკლიე ბავშვი, ის ბავშვი, რომელადაც მოვეკლიე ქვეყნიერებას! უნდა მოეძებნო საკუთარი ბავშვობის, თუნდაც, საფლავი, ეს გამგზავრება დამეხმარება მე მის პოვნაში! სად ვარ

ახლა — მატარებელი სრული სისწრაფით მიძქრის... ისევ კიბეზე ვდგევარ და სახელურს ვებლაუჭები! ფიქრებისგან ცივმა ქარმა გამომარკვია, მთლად გავითოშე — უნდა შევიდე ვაგონში... კარი ღიაა! მაგრამ ადგლი ვერ ვწყდები — როგორ გავუსწროო იქ მყოფთ თვალზე?! როგორ გავუტოლო იქ მყოფებს თავი?! სადაც ვარ, აქ უნდა ვიდე, აქ არის ჩემი ადგილი — ვარ მატარებელში და არ ვარ ვაგონში!

მატარებელი სრული სისწრაფით მიძქრის... კიბეზე მდგომი, თანდათან ვრწმუნდები, ველარ მივალწე იმ ადგილაძმდე, სადაც მატარებელი მიდის — გათოშლი ვარ, გონებას ვკვარავ და საცაა კიბიდან გადავვარდები! ვერაფერს შევცვლი... ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი! რომც მიმდინია დანიშნულების ადგილაძმდე, გავძლებდი კი იქ, თუკი ვაგონშიაც ვერ მიპოვია ჩემი ადგილი?! ჩემი ძეგლები ტყელრეში გაიფანტება — ასე სჯობია, თუნდაც ამ სახით, მაგრამ ქალაქს ხომ მაინც დავაღწიე თავი! ასეთი სულიერი სიმშვიდე არასდროს განმიცდია — ველარც სიცოფეს ვგრძნობ, ველარც ტკივილს, ზუსტად ისიც არ ვიცი, ისევ კიბეზე ვდგავარ თუ გადავვარდი?! არა, ჯერ ისევ კიბეზე ვდგავარ, გარემოს ბუნდოვნად ვარჩევ. ვარჩევ? ჰო, ვარჩევ! აი, ჩემს წინაა პატარა ბავშვი — მე შემოშტეტკრის, ჩემსკენ მოიწევს, ჩემს უმწეობას ძალზედ განიცდის! ხედება, რომ აღარ შემწევს ძალა ვაგონში დამოუკიდებლად მსვლის, მკლავებში მეტლაუჭება და ცდილობს, შიგნით შემართიოს. — ეერა, პატარავ, ვერ დამძრავ, მე საშინლად ვარ ცხოვრებისაგან დამძიმებული! ატირებული, თვითონაც ხედება ამას, მაგრამ არ შეუძლია რომ დამტოვოს, შემომაქციოს ზურგი. ვფიქრობ იმაზე, ასეთი კარგი, კეთილი აქ საიდან გაჩნდი, ვინ გამგზავნა? ღრმად ჩავეძიე მის ცრემლით სავსე თვალებს და... და უეცრად, ყველაფერს ვხვდები: თვითონაც ცრემლით მსველება თვალე — ეს ბავშვი მე ვარ, ჩემი პატარაობაა, ისაა, რასაც ვეძებდი! მაღლობა ყველას ყველაფრისათვის... გონებას ვკვარავ.

მატარებელი სასიამოვნოდ ირწევა და სწრაფად მიქრის. ვგრძნობ, — კიბეზე არ ვარ, არც ტყელრეში გადაჩენელი, შუა ვაგონში თბილად, ფაფუკ საგარძელში ვარ ჩასვენებული. აქ როგორ გაეჩნდი? თვალზე ცრემლი ღვარად მადგება და ხმამაღლა ვტყრო



# გაზა ქინკლადი

## დიონისეს დაბრუნება დედუღეთში

მზის შევარდენს მთვარის მტრები  
უპყრა ლალის ბრჭყალებში,  
ილვიძებდა დედამიწა ალიონის ალებში,  
გახვეული სურო-ვაზის  
ფოთლებში და პნ კალებში,  
ბრუნდებოდა დიონისე,  
ნატურის ცრემლით თვალებში,  
გზად ხობები მამხლებივით  
იფრქვეოდნენ ქალებში.

გუთინული დანახა: „ღმერთო, რა გამახარეთ,  
ჩემო ნიშაუ სანთლიანო და ნიკორაუ სახარეე,  
თქვენ რომ ქოჩორს მილოკავდით,  
ის ბიჭი ვარ, მახარე.

დედის სიტყვა მომენტრა, კერით მონაგებები:  
„აგრემც დავლევ შენს ავ დღეთა!  
აგრემც შემოგველები!“

ნანაია, ჩემო დედი, დედილაო, დედაგე,  
როგორ გვერუდუნებოდი,  
როგორ გადაგვედაგე.  
დიონისე: დიონ-ნე-სე, —  
მაჭრის ღმერთი მეგრულად,  
აქ შემარქვით, ეს სახელი აგუნასგან მერგუნა,

როცა სავესე სანახელი  
ბავშვმა, ჩალოს ღეროთი,  
თამაშ-თამაშ ამოვნურუძე,  
დავთვერი და ვმღეროდი.

ავადობას მკურნალობდნენ  
დადალული ღვინითა,  
ისეთ ჰანგებს იმღერებდნენ,  
ერუანტელი მივლიდა.

ლაშრობისას კოცონებით  
კუდს ვუნწავდით იანვარს,  
ვაძინებდით ავსულებს და  
მაძახურებს იავარს.

აქ პირველად შემეყვარდა  
დალი, დალ-დალალითა,  
აქ დამთუთქა ბაგეთუთამ  
კოცნის ნალვერდალითა.

ჯიხვს დაცლიდა სანადიმოს  
და ქურუმის მაგიერ  
მამა — მანალმართებელი  
მღერდა: „მრავალეამიერი! —  
ესააო ჩვენი რჯული იმიერ და ამიერ!“

ფერხულებში დედამიწას  
ცერზე ვატრიალებდით,  
მზეს და მთვარეს ნაბდებივით  
მხრებზე ვაფრიალებდით.

ვლალობდით და ცას ვეთელავდით  
ყრმა, წული და ჭარმაგი,  
როგორ გველაშაზებოდა მთა-ბარი და ჭალაკი.

მომენტრა დიდქადობას,  
გამომცხვარი დედისა,  
ჯვარდასმული ბედიკერა —  
სამკითხაო ბედისა.

დედი, როგორ იგუჟანე:  
„მოშტაცებენ შენს თავსო,  
უცხო ხალხი თავის ღმერთს და  
თავის ნიშვას შეგერთავსო.“

ჩემი სისხლი — ღვინო ახლა  
დედამიწის სულშია,  
მაგრამ ხვითო აქ დავტოვე, —  
ვაზის გულისგულშია.

სად არიან ჩემი ძმები: იახსარი, ანთარი?  
სად ნაილეს ის კვირბები, წინაპართა ნათალი?

სად ნახვედით: აგუნაო, ოდოიავე, კვირიკევე?  
საით გადასიზმარდით და საით გაიბილიკეთ?

მოუხდიათ ქალღმერთებსაც  
თავსაბური, ქოხური,  
მთელ კოლხეთში ალევებს შერჩათ  
ნანნავეები კოლხური.

ძველი ტაძრის ძუძუხატო, ძუძუმ ნამოგოყარა?  
რმე მოგანწა შევიღებისთვის?  
ო, რარიგად გიყვარან!

შენ სადა ხარ, ფუძის დედაც,  
იმ კეთილი გველებით?  
აგრემც დაველევ თქვენს ავ დღეთა!  
აგრემც შემოგვევლებით!

ხალხის სულის ნადურია,  
ხალხის გულის ნატრული  
ლექსი, მღერა, ჩუქურთმებში,  
ცეკვა, გზნება ქართული,  
მარადიულქართულია  
ჯვარი ვაზში ჩართული —  
ქრისტესა და დიონისეს სული გადანათლული.

დედულეთო, დადგა ჟამი, —  
ზღაპრებით და მითებით,  
გიბრუნდებით დაკარგული  
ისტორიის მკვიდრები.

ნანინანატრ დღესასწაულს მოელიან ბედობას: —  
ყველა სკნელის საქართველოს  
აღდგომას და ერთობას!

იზიემით: ოდოიავ, აგუნაო, ვოისავე,  
იასარო, ლილევე, ქრისტევე —  
მზეო ახალ დროისა!

ისევე დანვიშს ნატვრისთვლები,  
ზურმუხტები, ლალები,  
აგრემც დაველევ თქვენს ავ დღეთა!  
აგრემც გენაცვალებით!"

გათენდა და მზეს გაქეცა  
მთვარის მტრედი ბრჭყალიდან,  
აღაღანდა დედამინა ზურმუხტისფერ ალითა.  
ბრუნდებოდა დიონისე,  
ნატვრის ცრემლით თვალებში,  
ბრუნდებოდა დედულეთში, დედაენის მხარეში.

2004

### ადეკი, ლომო!

ადეკი, ლომო! არ დაგკიციღოს  
ფეხზე ცხოვრებამ! რა დროს ძილია?  
მიმშილი გვაძლევს სიცოცხლის ძალას,  
მუდამ მამლარი გარდაცვლილია.

რა ვუყოთ ზოგჯერ პურსა და ღვინოს  
შხამი და ღვარძლი თუ გაერევა?  
პე, ანტეოსო, არ მონყედ შენს ხალხს  
და პერკულესი ვერ მოგერევა!

ადეკი, ლომო! დაარტყი ტორი,  
დედა უტირე აფთრებს და ტურებს!  
იგი იმარჯვებს, ვინც მუდამ უტყევს  
და ბედისნერას შუბის ტარს უმტვრევს!

მინის რინგზე თუ ცის პოდიუმზე  
ისე დექ, როგორც გულით ლამობდი!  
ჯერ ცოცხალი ხარ? — ბედნიერი ხარ!  
გნამდეს — მზე მუდამ შენთვის ამოდის!  
ვარდაიცვლები? — გადინავარდებ  
მარადისობის სასაფლაომდი!

### ღიაღი საქართველო გზაში!

თქვენ ამბობთ — ღიაღი საქართველო  
მხოლოდ წარსულშია, ცაშია,  
თქვენ ამბობთ — იგი მინაშია,  
ზღვაშია, ნემაშია, ქარშია,  
იქ არეინ არასოდეს აღარ კვდება,  
არეინ იტანჯება, არ შია,  
იქ ყველა ღმერთი და ყველა მეფე  
ერთია და ბარიბარშია...

მე ვამბობ — იქ მხოლოდ ფესვებია,  
სამ ზღვას რომ მოველია არშიად,  
კასპიის, პონტოს და ხმელთაშუის  
ფსკერზე ნაქერქალი ჩაშლია,  
კლორტები ხალხია დღევანდელი,  
ახლა რომ კავკასიის რკალშია!  
ის ცოცხლობს, იბრძვის და იტანჯება,  
ის ხარობს, დაგვაშია, ღვწაშია!  
მაშრიყ — მაღრნითან ბობოქარობს,  
უმეტეს კვლავ სისხლის ღვარაშია,  
ის ზოგჯერ გაყიდულიცაა, —  
ამიტომ აღარავის ვალშია!

ღიაღი საქართველო წარსულშია?  
ო, არა! — ის მომავალშია!  
ღიაღი საქართველო ბორჯღაღაშია!  
მეფის გვირგვინშია! ჯვარშია!  
ყველა კურთხეული გენიოსის  
ღიაღ ნებაში და ცდაშია!  
ჩვენ გენის ლოდები ვართ, ქართველებო,  
ჩვენს ქეთიკირ ვერასოდეს დაშლიან!  
ექესი საუკუნის ნამარხულევს  
მნამს! არ მეშინია! არ შშია!  
მე მესმის მისი ნაბიჯები —  
ღიაღი უფლისწული გზაშია!!!

### გრილი გურიში გარამზე\*

გურიში გურულები  
გურილებით გარამზე,  
ბულბულები, გუგულები  
გავსვით მზის ქანდარამზე,  
ჩვენს მღერაზე რუდუნებით  
ცრემლი ჩამოღვარა მზემ.

როცა ღმერთიც გავაქეზეთ —  
კრიმანჭული ავნით,  
ღელის გაღმა ალაგზე  
ბანით მოდგა წანიე:

\* გარამი — წყაროებიანი ბორცვი კოლხეთში

პურ-შარილით, ხილის არყით  
 სუფრა შეაბარაქა,  
 ლექსებს ჭერეზივით ვაყრი,  
 ვიცლი ქანცს და არაქათს.

ყველა სადღეგრძელოს — მღერია!  
 ასეთი გვაქვს წესიო!  
 გიზომ ყელი მოიღერა,  
 შა, გაშკარით კეცსიო!

აბა, ერთიც „ოდელია!“  
 აბა, ერთიც „შარიო!“  
 ანგელოზებს მოდენიან,  
 დემონებიც არი რა.

რას მღერიან ეს ბიჭები!  
 რა ძალაა, რა პანგი!  
 რა გენი და რა ნიჭები!  
 რა ბანგი და რა თანგი!

ხუთიანი — სიმღერაში  
 გიზო, ელგი, ჩაკმეტიავი!  
 ეს ამდენი ბულბულ-შაძვი  
 რა ყორყაში ჩაგეტიათ!

რუდუნებით, გურგულეობით  
 ბინდის კარი ვაერაზეთ,  
 ბულბულეობი, გუგულეობი  
 ისხდნენ მზის ქანდარაზე,  
 გურიანში გურულეობი  
 ვგრილებდით გარამზე!

2006

### ასეთი ვართ ძარტველები

ღვინო ეშობეთ და მსოფლიო  
 დაეიპყარით სრულიად,  
 ყველგან, სადაც ღვინოს სვაშენ,  
 ქართველების რჯულია!

ალავერდი, წინაპრებო! —  
 წინ ლამპრებო სულისა,  
 ზეციურნი საქართველოს ცისა უსასრულისა!

საქაოც ჩვენია და საიქიოც ჩვენია,  
 როცა გვინდა წაეღოთ, მოვალთ,  
 ყველგან მოსალხენია!

როცა გულით იხედები, გონი ვერ მოგერევა!  
 ჩვენ ღვინო და სიყვარული  
 არასდროს დაგველევა!

სიყვარულით ვცოცხლობთ, ვკვდებით,  
 ერიან და ბერიან!  
 ერზე დგება დედამინა —  
 ქართველები მღერიან!

2005

### ოდა ვაჟ ღვინოს

ჩემს კერასთან მოგუზგუზე  
 რკინის შავო ღუმელო,  
 მუდამ წითლად მსხმოიარე  
 ნაკვერჩხლების კუნელო,

რაც რომ მახსოვს, ჩემი ძველი  
 ოდასახლის ბუხართან  
 სულ ლულუნებ ჩონგურით,  
 ბებიას რომ უყვარდა.

ბებო უკვე აღარ არის,  
 უთვალავი წელია,  
 მის სითბოს ვგრძნობ შენით და ეს  
 განცდა ძველისძველია.

ბაბუ ბაცად მახსოვს და თუ  
 ცოდაა არის ამაში —  
 კუბოს გაეყვე მანქანაზე  
 ბავშვი თამაშ-თამაშით.

ოღამ თუ არ, საშა ბებომ  
 ნიკოლოზას რუსული  
 გვირისტულად იცოდა და  
 ჩააქსოვა გულ-სული

გიტარაზე დამღერებულ  
 მარშებსა და რომანსებს,  
 ნანინებს და კრიმანჭულებს,  
 სულს მერცხლებით რომ აეხებს.

შენ და სახლის თაგუნა ხართ  
 ჩემი კერის მცველები,  
 წელან მარტომ გადღეგრძელეთ  
 ათრთოლებულ ხელებით.

წელს ქალაქმა მოგვერდულად  
 ნამომილო კისრულით,  
 მაგრამ მაინც ფეხზე ვდგავარ  
 გულ-მკერდ გადაისრული.

ისევ წავალ მალე თბილისს  
 პოეტების რინგზე და  
 უფლის ნებით გაზაფხულზე  
 დამიხედებით რიგზე და

საახალწლოდ რომ დაგლოცავთ  
 ქალაქური ლიქნებით,  
 მაშინ ალბათ შენ და ოდა  
 გაყინული იქნებით.

2005



75

წაგარეო

Future in the past\*

ანუ

ანდესხონი ახ ბუნება

ვერ გამოვიკა, ასე ერთბაშად, ყველას ერთად, გამოვინება რამ შევიცვალათ?! შთაბეჭდილებები გრძობა, რომ უკანასკნელი ათი წელია „სარკის“ გარდა თავს ვერაფრით ირთობთ.

თქვენი არ ვიცი და, საკუთარი ქმნილების გადაკითხვისას, რამდენიმეჯერ „какой кошмар“ აღმომხდა და ნანური იატაკზე დავეყარე. შემდეგ ერთი ბრძნული გამონათქვამი გამახსენდა: „საკუთარი წარსულის უფლებებელყოფა და ფეხით გათელვა არსებულ სინამდვილეს არ ცვლის“ (გამოეტყვები - საკუთარი გამონათქვამია, ბოლო დროს იმდენს ფეილოსოფოსობ, ერთი კასრი—ლა მაკლია). თანაც ეუფვიუ (მგონი სწორედ გამოვთქვი) მენვია - 12 წლის ასაკში დე-

\* მომავალი წარსულში

დაჩემსა და მის „პადრუშკაზე“ გაცოფებულმა, ჩემი ქმნილება დაეხიე და ნავაეს გავატანე (აი ის, თითო გვერდზე სამ-სამი გველი რომ ეგდო), დღემდე ვნანობ. ვინ იცის, რა აგატა კრისტი ჩაკალი საკუთარ თავში. ფურცლები სასწრაფოდ ავეკრიფე და ჩემს ოთახში „საჭურნალო“ მაგიდაზე დავასვენე. (ყველისა და პურის კომბინაციას კომუნისტების დროს თუ „ბუტერბროდი“ ერქვა, ორიენტაციის ცვლილების გამო - დღეს „გაგვისენდვიჩნდა“; ამიტომ, კომუნისტების დროინდელ „საჭურნალო“ მაგიდას თამამად ყავის მაგიდა შევიძლიათ უწოდოთ. ამერიკაში სწორედ ასე ეძახიან - „კოფი თიებლი“). ჩემს ქმნილებას, ყოველ შემთხვევაში, კარგად მოზრდილი წიგნი დაეადე - ღამე სიტყვები სიზმრად რომ არ გადაიქცენ და ძილში კომშარად არ გამოემეცხადონ.

სული არ მინდა ნამიწყდეს, ამიტომ ვაღიარებ - წერის სურვილი არ გამინდდა. პირობით, რალაც „urge“ -ად გადამექცა. აი, ისეთად, ბავშვი ცხვირში თითის შეყოფას რომ ანდომებს. მშობლებმა რაც არ უნდა უშალონ, არცხვირის, ტუქსონ, დასჯის ფიზიკურ ზომებსაც კი მიმართონ და მდოგვიც მოიშველიონ, სანამ თავის „urge“-ს არ დაიკმაყოფილებს, ვერ ჩერდება. თვალს მოეფარება, კუთხეში დადგება და თავისას გაიტანს.

ასე რომ, ჩემო კარგებო, განვმარტოვდეთ, ცხვირში თითი შევიყოთ და დავინყოთ.

თუ არ ეცდები, პირველი წერილი ჩემს ოთახში შეყუჟულმა, მუცელზე დანოლილმა და უკანალზე მაგიურ ნამალდადებულმა შევთხე. იმ დროს ჩემი ყოფნა-არყოფნა მსუქანი კითხვის ნიშნით ბოლოვდებოდა. იმ დროს ძალიან მეეჭვებოდა შეგზვებოდი თუ კი ოდესმე ერთმანეთს? გაურკვეველი სენით შეუპრობილი იმას ვდარდობდი, ამ უცხო ქვეყანაში, ასე უპატრონოდ, დამტირებლის გარეშე როგორ უნდა მოეკვება და დაეღმე - მეთქი. ეს ურჯულო ქალი (ურჯულო ნამიერების დახმარებით) ჩემს ნატანჯ სხეულს რომ „garbage bag“-ში გაახვევს და ზუთმაბათის სანაგვე მანქანას გაატანს (ნაგვის მანქანა ზუთმაბათობით მოდიოდა, ქაღალდებს ყოველ მომდევნო კვირის ოთხშაბათობით ვყრიდი, კონსერვების დღე კი სამშაბათი იყო. ამგვამად განსხვავებული გრაფიკი გვაქვია).

მაღლობა უფალს, არ გინახივართ! ვერ მიცნობდით! თქვენ კი არა, საკუთარი ახარეული სარკიდან უცხოსავით მიყურებდა. დღის ექვსი საათიდან დღის ორ საათამდე სახლის პერიმეტრში ვიყოვით ემოქრაობდი - მოხახუნე პარტნიორს მოკლებული ბროუნის ნაწილაკვით. ორიდან ოთხ საათამდე ვარაფში აღმოჩენილ და ჩემს ოთახში ამოთრეულ გაურკვეველი წარმოშობის ფიცარზე ვინეკი - ზურგს ნაადგება - მეთქი. ოთხიდან ექვსამდე იმ ჯოჯოს სალაფავს ვუმზადებდი. ექვსი საათიდან საწოლზე ვნებობდი და წირვანაში ვვარდებოდი.

\* ნაგვის პარკი

ყველაზე მეტად მადის დაკარგვის შემთხვევაში (ისე, სახლში არც არაფერი იყო ადამიანის კბილი რომ გაეკრა. როგორ ფიქრობთ, ორი კიტრი და სამი ბანანიორ ადამიანის ერთი კირა რამდენად დანაყრბებს?) საქმე ის იყო, რომ არაფერი მენატრებოდა. ბოლო ერთი თვე „პერკულესზე“ ვიყავი, ძალით ვიტენიდი – შიმშილისაგან გულ რომ არ ნამსვლოდა. იდეალურ წონის მივაღწიე, მაგრამ არ ეხარობდი.

უმაბობა მეტად სამიშ და შეუქცევად სიმპტომად მიმაჩნდა. წელის წვას, ტანის ბუფილსა და ხერხემლის შიგნიდან ფხანას ვინ ჩიოდა!

ბოლოს ავბუნდი – „ორ კვირამი გტოვებ-მეთო“ – ჯოჯოს განუცხადე, ის ფაშისტი ვიყავი „გარაჟთან“ იჯდა (ნიახ რომ არ დეკრა). ისე მოიბუზა, ემანდ არ გასკდეს-თქო, შევინდი. შევსვამე სასწრაფოდ გადავურეკე და ასეთი დღეები შევთხზე, იმ დროს ძველ ბერძენს რომ ჩამოვკვლო, ამქარად ილაგატივდა.

სალამოს, პირველი სართულის საძინებელ ოთახში შევედი, კარ-ფანჯარა მჭიდროდ ჩაერაზე და ერთხაათიანი გინებით გული ვიკვრე. სხვადასხვა ენაზე, რაც რამ უნდასურობა ვიცო-ლი, ყველა ვთქვი – გამოთქმით, დამარცხებით, ნაღმა-უკულმა ტრილით.

მომეშვა.

დადა ნანატრი დღეც. ჯოჯოს შვილმა (ისიც ჯოჯო) ავტოსადგურამდე დიდი პატივით ჩამიყვანა და good luck მისურვა, რასაც მომლონარი სახით – შენი კეთილბედიც! ვუპასუხე – ჩვენებურად აგუდ ბიხ“ ნიშნავს – მეთქი უფთარგმნე. მგონი მიმიხვდა. ძალიან კარგი თუ მიმიხვდა, მეტიც ღირსი არ იყო.

ჩავეყვი ავტოლუსში და „პაკა პოპოკუს, პე-ლოუ ნიუ-იორკ?“

ბევრი საუბრითა და დეტალით თავს არ შეგანყენო, როგორც დიდი შოთა ამბობს – „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ (შაირის რა მოგახსენით, სულაც არ მემოი-რებოდა.)

პარასკევ სალამოს ათი საათისათვის, ტანი ნიკლაურების ბინაში შევიტანე და სავარძელში ჩავასვენე. დასაწყისში დები მამშვიდებდნენ, მაგრამ ნახევარი კატელეტისა და ორი ჩაის კოფე-ნი ნიშნურას მეტი პირი რომ ვერაფერს დაე-აკარე, ერთმანეთს გადავლაპარაკე – „რალაც არ მოგვწონს“, შემდეგ ხმას დაუნისე და ეკრძოდა, რა არ მოსწონდათ, აღარ გამიგია.

შბათ-კვირას კონი-აილენდისსაავადმყოფო-ში შეღწევის გზებს ვსახავდი შემდეგი სამუშაო დიაგნოზებით:

1. მუცლის აორტის ატიპიური ანევრიზმა.
2. დერმოიდული კისტა.
3. არადენტიციტიკორბული ამერიკული მწე-რის ნახებით გამოწვეული დღემდე აღსუნერე-ლი და შეუსწაველი ინფექციურ-ალერგიულ აუტიკომუნური პათოლოგია უმეტესად მცირე ყალიბის სისხლძარღვების დაზიანებით.

სიტუაციაში რომ გაერკვეთ, მცირე გადახვე-ვას გავაკეთებ. ამერიკელებს ეს არალეგალური, მართალია, არ ვეპიტინავებთ, ვეპიტინავებთ კი არა, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გა-მოგვიცხადეს. ზოგი არალეგალი ემიგრანტებს, ზოგი – undocumented alien-ებს\* გვიწოდებდნენ. არალეგალი ემიგრანტების ხსენებაზე თავს შუა მანქანებზე გამოვლებული და ბრაიშე-მოსვეულივით ვგრძნობ და „ეილინებს“ რომ ამბობენ, კვლავ ვისინჯავ – ანტენები ხომ არ ამომსვლია-თქო. მოკლედ, კი გვებრძვიან, მაგ-რამ ჩვენს „მოკვდაობასაც“ ითვალისწინებენ. ესმით, რომ „ეილინი“-ც შეიძლება ავად გახდეს და მოკვდეს. ამიტომ, სადაზღვეო კომპანია, ჩვენებურების მომსახურებისათვის, რამდენიმე კლინიკას აფინანსებს.

კლინიკაში მისულს, მთავარია, კარგი თვა-ლით შემოგხედონ და დაზღვევა მოგცენ.

ეს ტექსტი ძალიან მაშინებდა. თვალში რომ არ მოუვიდე და პირში ჩალაგამოვლებული გამო-მიშვან – იმას ვენეროვლობდი.

კლინიკაში შეღწევის რამდენიმე სათადარი-გო ვარიანტი შევიშუშე. ცხოვრებამ მიჩვენა მიზნის მიღწევის რამდენიმე გზა „დაზაპასებუ-ლი“ თუ არ გაქვს, მაგრა დაგენძრევა (ზრდილო-ბიანად მიხდოდა მეთქვა, მაგრამ სინონიმებს ვერ ვიხსენებ).

1. გამოვიძახო ტაქსი და საავადმყოფოს შე-სასვლელთან მძღოლს შევევადრო – მძაო, ეგებ ექიმებს საშველად უხში, მგონი ვკვდები.

2. მიემართო 911-ს და ვუთხრა – ვკვდები.


3. საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარე-ბის განყოფილებამდე საკუთარი ფეხით მივაღ-წიო, შემოსასვლელში დავეგვლო და ვიყვირო – ვკვდები! (ან არ ვიყვირო, ვიმოქმედო სიტუ-აციის შესაბამისად. ეს „შესამე ვარიანტი“ „ბ“ პუნქტად ჩავენერე).

4. ბერძნული ტრაგედიები ცოტა ხნით დავი-ვინყო და ცივილიზებურად მოვიქცე – პირველ ეტაპზე ამბულატორიას მიემართო და დაზღვე-ვის ბარათის გახსნა ვცალო.

911-მა თუ მიგიყვანა, გაცილებით სწრაფად მოგხედავრო, გამაფრთხილეს; მაგრამ გადაუ-დებელი დახმარების მუშაობის გამოცდილება მიღებული მქონდა და გამოერების პერსპექტი-ვა არ მხოლავდა. (არ მახსოვს, გითხარით თუ არა, რომ კარგა გვარიანი თანხის საფასურად ნიუ-არკის კოსმობალმის სიტყვებით – „ტრაიპერი არ გჭირს და ორსულად არ ხარო“ – გამომისტუმ-რან). უტრირებას ვაკეთებ, მაგრამ სიმართლი-დან არც ისე შორს გადავუხევი. თანაც დაზღვე-ვის უქონლობის გამო ისევ მჭვარი „მრგვალი“ თანხის „ბილი“ რომ მომსვლოდა, ამერიკის ვა-ლიდან მომდევნო წელს ვერ ამოვიდოდი ან ცი-ხესთან მჭიდრო ნაწილს ვერ ამოვიდოდი.

საბოლოოდ, სალმა აზრმა იმარჯვა და ამბუ-ლატორიაში ვიზიტი, დაზღვევის მიღების მცდე-ლობით, პირველ პუნქტად ჩავენერე.

\* გასაწყვეტი უსვოლები



მრავალჯნის გადაამონუმბული ინფორმაციით (ინფორმატორები - ამ ეტაბამოვლილი ქალბები) ზუსტად ვიცოდებ სად უნდა მივიდებ, რა ვთქვა და როგორ მოვიქცე. ქალბებმა დამამაშველეს - „ნენარად იყავი, შენი სტატუსი არავის აინტერესებს“-ო. არ მინდოდა ისედაც მრავალ მეტყობის (საკუთარ თავს რომ შევარქვი), კიდევ ერთი მიმატებოდა. მოგვიანებით ახალგაზრდობილი ადამიანის შეკითხვაზე - „ვინ ბრძანდებოდა?“ ჩემი პასუხი - „მე ვენაცვალე, დემორტირებული ვარ“ - რომ არ მშავსუხა. ლამაზად არ უღერს. სიბერეში მემუარების წერისას არ გამომადგებოდა.

თითქოს პირი შეკერეს, ყველა ძალამ გამაფრთხილა - „რაც შეიძლება ცულად უნდა გამოეყურებოდე, ფორმაში არ იყო“-ო.

იმ დროისათვის მე და უფორმობა ერთობ შევისისხსხორცდვით, ამაზე ნერვიულობა არ ღირდა. საკუთარი გარეგნობის სარკეში კრიტიკული შეფასებისას, მივხვდი ვის ვეკავდი.

ერთხელ, სამხატვრო სკოლაში, ვუბრამ მისწავლებელმა, ნონეზოვის მიერ თაბაშირის თავის ფანქარში შესრულებული პორტრეტის დაკვირვებულად შესწავლის შემდეგ დაასკვნა: „портрет дедушки после смерти“ ვიყავი, ოღონდ „ნახუაში“.

მაისი დადგა უკვე. თვე, რომ დგას ცველა ჭკუაათმყოფელი ადამიანი ზაფხულის ტანსაცმელს ერთობ „злорадство“-თი ნაფტალინში ინახავს. ნაფტალინისათვის და მაისისათვის ვის ეცალა. ისევე ჩემს განუყოფელ ტყავის ჯუბაში, მაისის მარგალსა და დათბილულ ბუციებში გამონეობილი, კონი-აილენდის საავადმყოფოსაკენ მივეშურებოდა.

გამაფრთხილეს - საავადმყოფოს შესასვლელიდან შუა „ნავესით“ გადახურული გჭირდებაო. „Пожалуйста, навес так навес“.

დავინყე თვლა: ერთი, გადახურებული დახმარების შესასვლელი, კი ბატონო; მეორე, რაღაც აქვს გადახურული, თუ მოინდომე „ნავესიც“ შეიძლება უნდოდ, კი ბატონო; მესამე, ამ უმატრონო მესამე შესასვლელისათვის რაღაც „ფანჩატურივით“ მიუბამთ და მეოთხე შესასვლელიც რომ დავაივალე, რომელსაც „კახორკი“ ამწვინავდა, დავიბნეი. „ვაფშე“ ეს მეოთხე რა შუაშია და თუ შუაშია, იმ ქალბებმა რატომ არ ახსენეს-მეთქი. შეკითხვა მაინც იმ „ნავესებში“ რას გულისხმობდნენ - ვნახოდი. გამორიცხვის მეთოდს დავიხმარე. აშკარად შუა შესასვლელი მჭირდება, ე.ი. მეოთხე „კახორკიანი“ - გამოირიცხა. დარჩა ორი შუა, მაგრამ რომელი?! უფრო მარცხენა „ფანჩატურიანი“, თუ უფრო მარჯვენა - ვითომდა „ნავესიანი“. ბოლოს, არქიტექტურული „ტრიუკებით“ დაბნეულმა, დახმარებისათვის დაცვას მივმართე. დაცვამ შუა, უფრო მარცხენა - ფანჩატურიანი შესასვლელისაკენ მიმითითა - ამბულატორია იქ არისო.

დღის შეიდი საათი არ იქნებოდა, როდესაც

კონი-აილენდის საავადმყოფოს ამბულატორიული განყოფილების მოსაცდელში სკამზე დავეშვი და „დალოდების საათების“ თვლას შევეუდექი. დრო გადის, გამოვიცვალე ლამის დადგა, დამლაგებლები, ლამის ექთნები დღის ექთნებმა შეცვალეს, შიგადაშიგ ექიმებიც გამოჩნდნენ - გამოკვეთილი, თავდაჯერებულმა ნაბიჯით სხვა სამედიცინო პერსონალისაგან მათი გარჩევა არ გამოვალა (მოკლედ, რაღა სამამულოები და რაღა იმპორტულები), ავადმყოფის ჭაჭანება არ არის. მე ვარ მარტო ავად.

სამსალათის ლოდინის შემდეგ გაიჩქარა, რომ იქ არ ვარ სადაც უნდა ვიყო, სად უნდა ვიყო ჯერ არ ვიცი და საერთოდ მოვხვები თუ არა იქ, სადაც საჭიროა, ღმერთმა იცის. მკაცრი გარეგნობის ქალმა რაღაცა ფორმებისა და საბუთების ჩამოთვლა რომ დამიწყო - ჩუმად „კარაულ“-ის კვილი დავინყე.

ბომჟმა ვადამარინა. შორიახლო ტრიალებდა და გვიყურებდა. (ვფიქრობ, ღმერთის გამოზავნილი ხორცქესხმული ანგელოზი იყო). „ანგელოზმა“ ჩემი შემოდინის სახის დანახვისას მასზე წყაღნაღებულად ჩამთვალა და შეფობა იკისრა. „შენ ნუ გეშინიაო“ - მიხიხრა და ხელი მომხვია. - ისე მოგიდებენ, როგორც მიღინეებო“; მე რომ მიყურებ, დღეგამოვებით აქ ვარ, არც სამსახური მაქვს და არც დაზღვევაო - პასმელიაშეზავებული ოხშივარი ამოშუვა, - შენ მთავარია „take it easy“-ო. მოკლედ, მიმიყვანა სადაც საჭიროა, „ფორტიოკაში“ მჯდარი ქალი მოიკითხა, „ერთი ამ გუგოს მიმიხედო - დაუბნეა. - თუ რამე გაგაჭირდეს, მე აქ ვტრიალებო“ - მომაძახა და ხალხს შეერია.

ნაცნობობა ყველგან ჭრის თურმე! „ფორთოქის“ ქალმა ზემდეტი მიკითხვის გარეშე რომერი გამომინროდა. 36-ე ვიყავი.

ღმერთის შენეენითა და ბომჟის დახმარებით დაზღვევა მივიღე.

შემდეგ ექთანმა ჯანმრთელობის მდგომარეობა ზოგადად შემოფასა: ნონა-ნორმა, ტემპერატურა-ნორმა, წნევა-ნორმა, ოჯახური მდგომარეობა-განქორწინებული, სახლში ვინმე ხომ არ გყავს - არაა ნარკოტიკები? - არასოდეს! სიგარეტი? - ერთი კოლოფი დღეში. - ჩვენთან მწველთა დახმარების ანონიმური ჯგუფებია, შეგიძლია მიმართო - „არა გამადლობ“ - რაც შემქმლმ თავაზიანად ვუპასუხე, (ნიკოტინის აბსცინენცილა მაკლდა).

შეთკინებს - აღზნებული ვარ თუ დეპრესიული, ორივეს დადებითად რომ ვუპასუხებ - ეგ როგორც, გაიკვირე. დეპრესიაში იმიტომ ვარ მეთქი, რომ მგონი ვკვდები და აღზნებული იმიტომ, რომ არ ვიცი რა მკლავს.

პარტნიორებს, შემთხვევით კავშირებსა და კონტრაცეპტივების პუნქტებს რომ მიადინა - მავ ნაწილი შეგიძლია გამოტოვო-მეთქი - მოეუჭერი. გაკვირვებულ-შეცბუნებული მზერა

\* ფეხზე დაიკიდო

რომ მატკაია, ავუსხენი — ენერჯული სნეულე-ბების პრევენციისა და კონტრაცეფციის უზნარ მეთოდს ვიყენებ-მეთქი. რასა? რასა და „ვაფშე“ არ ვტიზობ-მეთქი.

რა ვაიფქრა არ ვიცი, სახეზე ემოციის ნასახი არ დასტყობია. თავი დავიშვინდე — ეს ქალი ჩემნაირ გადარეულებს დღეში ვიდრე-მანეთობით ხვდება და სიცოცხლის ბოლომდე მოგონებები მინცადამინც ჩემზე ხომ არ ვაპყვება.

ექთანმა ექმითან კარგა მსულანი პაპკით ვა-მომისტუმრა.

ვინაიდან ჩემნაირი „უპატრონოები“ საავად-მყოფოებსა და ექიმებს სრულიად მოულოდნე-ლად აცხრებიან, ექიმიც იძულებულია ბევრი, თვით ადრე შედგენილ „სქეჯულებში“ შეტყუნოს. რის გამოც ექმითან კონსულტაციაზე შესვლის დალოდების საათების“ ხანგრძლივობა ერთობ გაურკვეველია. სხვა რა საქმე მქონდა, ვიჯექი და ველოდი.

ჩემი ექიმი შუა ხნის, ჩაფსკვნილი, ცხოვრე-ბით კმაყოფილი ამერიკელი ენრაელი გამოდგა. აქაც პატარა გადახევის გაუაქეთებ. კარგი, მე, ვთქვათ, გავგეჟდი და გავგეჟდი და რაც იყო და არ იყო დავებრალებ და დრამატულ როლებში მეთხვადი. რომელიმეს მაინც, ან იქ ნიუ-ორკის უოსპიტალში, ან რუსების სამედიცინო ოფისში ან აქ, კონი-აილენდზე, ელემენტარული ყუ-რადღეა რომ გამოეჩინა და ჩემი ბუჭტურისათვის ცალი ყურით მოესმინა, ამდენ დავიდარბას ხომ გადავრჩებოდი და იმითაც მოვასვენებდი.

ვინწყებდი იმით, რომ „გასული წლის აგვისტო-ში დავინყე ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა, რასაც ხანგრძლივი ცივი შხაბით ვავკორგვინებ-დი. შემდეგ, მსულუქი სიმპტომები უგულვებელ-ყვათ, ფიზიკური დატვირთვა გავზარდე და შხა-პის ხანგრძლივობა გავაორკეცე, რის ფონზეც დამწყნო ის, რაც არც ერთ სამედიცინო ნიგნში არ წერია და არც არავის გაუგია. ამახ დავმატა მარცხენა ბარძაყის მედიკალურ ზედაპირზე აღ-მორჩენილი ნაკბენი (სავარაუდოდ მწერის), რაც სიმპტომების დაწყებას დავმთხვა. ამ ყველა-ფერს ჩემი ემოციურობა და მდიდარი ფანტაზია ემატებოდა.“

შეიც არ მომიკვდი, ვინ გისმენს, თავისას ერე-კუბიან.

მოუწყვეი ამ კაცს ზოგი მართალი და ზოგი ტყუილი. (აბა მაშინ ხომ არ ვიცოდი, რომ ტყუ-ილს ვამბობ). დაბადების მომენტსაც შევხეხე. ის იყო, უნდა მეთქვა ჭობლარი ორჯერ მქონდა შე-მობვეული და ნყლებნაყლაბი — ვამაჩრა გასა-კვბია-ო თქვა. მაინც რას ფიქრობთ ექიმო-მეთქ-ვი — იმედიათი თვალდებ შევანათე. (ატიპიური ანევრიზმა ჯერ კიდრ ნახსენები არ მქონდა. ეე-ლოდი ჩემი ჩივილებით თვითონ თუ მიიტანდა ექმს). — წარმოადგენა არ მაქვს-ო — მიხატუხა. შემდეგ კომპიუტერს მოუტრიალდა, თბოთმეტი წნული რაღაცა ბეჭდა; რაც დაბეჭდა, ამობეჭდა, ქალადლების ცხრამეტმეტრიათი შეკერა მომა-ჩქრა, ამ ყველაფერს ჩემი ჩაიტარებ, გამეორე-

ბითი ვიზიტი მაშინ გვექნებაო“ და გამომისტუმ-რა.

ენაცვალის ჩემი თავი. არც გამოკვლევები და არც სპეცილისტიები არ დაიშურა. მაგრამ ისე იყვენი დროსა და სიერცეში ვაბნეულნი, რომ უახლოესი 4 თვე საავადმყოფო უნდა „გე-ხება“. პირადად შე ნანანაალდეგო არაფერი მქონდა — ოღონდაც ჭკუშარბიტმა დაადგინათ და დროს ვინ ჩიოდა. მაგრამ ძველი რუსული ან-დაზა - „ТОТ КТО НЕ РАБОТАЕТ, ТОТ НЕ ЖИВЕТ, სხვა-გან არ ვიცი, ამერიკაში კი მაგრად ამარტყე. ვინ შემინებახა? ქმარი მე არ მყავდა და საყუ-რელი.

მომდევნო სამი დღე „აპოტიმენტების გადას-ქეჯულებას“ დაჯუთმე. ნევროლოგიურ განყო-ფილებას ვერაფერი მოუხერხე. არც „ატიპიურ შემთხვევებთან გვაქვს საქმე და თერაპეიტს სასწრაფოდ ნევროლოგის კონსულტაცია სჭირ-დება“-მ? გაჭრა. ყურმილი მონოტონურად მპა-სუხობდა - „ექიმებს ძალიან ვადატვირთული „სქეჯუალი“ აქვთ და ვერაფრით დაგებმარე-ბით, მეშ“-ო. ვანდაბას შენც და შენი „სქეჯუა-ლიც“-მეთქი, ორი თვის განმავლობაში სხვებმა ვერაფერი თუ ენრ მომიხერხეს, ნევროლოგს რაღა სასწაულს უნდა მოუხდინა. (ნევროლოგის კონსულტაცია ივლისის შუა რიცხვებისათვის დაშინიშნეს, მოქმედება მაისის შუა რიცხვებში ვითარდება).

მოთხებ დღეს პირველ „აპოტიმენტზე“ - ზო-გადი ქიურურგის განყოფილებაში გამოეცხად-დი.

შევედი განყოფილებაში, გავფორმდი, დავე-ჯექი. მოსაცდელ დარბაზში ტევა არ არის. აღ-ნიშნულ დროზე ნახევარი საათით ადრე მივე-დი „რა იცი, რა ხდებას“ გათვალისწინებით. ამ უპატრონოებს, თურმე, მუშაობის განსხვავე-ბული რეჟიმი აქვთ (არსს ვერ ჩავწვდი. ის არც დროზე, არც სქესზე, არც ასაკზე, არც წონა-ზო-მაზე იყო დამყარებული)

ჩემი ვიზიტის დანიშნულ დროს კარგა გვა-რიათი გადაცილებული იქნებოდა, როდესაც ქიურურგულ სამანიპულაციოში ფეხი შედგო, სადაც ახალგაზრდა, შვევერემანი, ძალიან სიმპატიური რუნიდენტი-პელო, დაბრძანდი-მემ-ით — მომიგება.

კითხვა-პასუხობანას თამაში დავინყეთ. სხვებისაგან განსხვავებით, ამან, იცოცხლე, არაფერი გამოტოვა. მართალია, ჭობლარსა და ნყალა ნყალაზე საუბარი არ ჩამოგვივდია, სა-მაგიეროდ თუ სადმე რამე ჯირკვალი, მეჭეტი, ხორკლი თუ გამონაზარდი მაქვს, ყველა დეტა-ლურად აღმანერიანა. განსაკუთრებით ინტე-რესს ჩემს გენიოლოგიაში სიმსივნური დაავადე-ბისადმი იჩენდა.

საუბრის თემა აშკარად არ შესაბამოვანა. მცდარი ვერც ავილია — ვფიქრობ — ეს რა სისუ-ლეებს ბუჭტურობ-მეთქი. სიმსივნეები და კიბო-ებიღა მაკლდა — ვერაზობ. თითქოს ატიპიური ანევრიზმა და უცნობი მწერის ნაკბენით გამო-

ვეული ინფექციურ-ალერგიულ-აუტოიმუნური პათოლოგია მცირე ყალიბის სისხლძარღვების უპირატესი დაზიანებით, ერთი ადამიანისათვის საცმარისი არ არის.

შევეცადე მისი ყურადღება ჩემს ინტერესების სფეროზე გადმომეტანა. აქა-იქ ხერხემლის ფხანა და ტანის ბუთული ჩაფურთე. ვითომ არც გაუვია, თავისას მიერეკება.

ბოლოს — „მემ, გაიხადე-ო“ მოწოდება დამთავრებული არ ჰქონდა, ნახევრად მოშველი უსინდისოდ სიმპათიური სამხრეთელის პირისპირ ვიჯექი. თვალის სასწრაფოდ ჩემს „ლონფორე“-ს გადავაველე — ხომ წესრიგში არის-მეთქი. მართალია, ბიკინსა და ბიუსსპალტერზე ამოქარგული ყვავილების ფოთლები რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვეოდა (ერთი კენტი იყო, მეორე ლუწი), მაგრამ ამ გაცხარებულ მუშაობაში ფოთლების თვლას ხომ არ დანიწყებდა ის მამაცხონებული?! მადლობა ღმერთს, წინდებიც წესრიგში მქონდა. ამ უმატრონებს ადამიანის უხერხულ მდგომარეობაში ჩადება უყვართ. ჩემს ერთ ნაცნობს (სახელსა და გვარს არ ვასახელებ, არ იცნობთ, ის შორეულ უზბეკეთში ცხოვრობს) დიდი ხნის ოცნებად ქცეული სექსი ჩაუშალეს. „უნებაშალი „Roly““-ში ფეხსაცმელები რომ გამძვრო — მიყვება — ჩუღეტის ნახევრიდან ამოყოფილი წითელი ფრჩხილის დანახვისას ცივმა ოფლმა დამასხა.“ სამარცხენო ფაქტის დასაფარად ფეხის ფეხსაცმელში შეტურება უცდია. ისეთი ტრიუკებისათვის მიუმართავს, პარტიორის სასიყვარულო თამაშების ახალ სტილად ჩაუთვლია. ბოლოს ამის მოთმენა აღარ შემძლო — განაკრძობს — ისეთი ისტერიული ხარხარის წამსკვდა, რომ იმ საცოდავს, ვფიქრობ, სულ ცოცხა, ერთი წლით იმპოტენცია გაეწალიყო“.

ხო, რაზე შეეყრდნე? მოკლედ, ვზივარ შიშველი იმ უსინდისოდ სიმპატიური შავრემანი ახალგაზრდა რეზიდენტის პირისპირ და საკუთარ „ბალიაჩკების“ ჩამოთვლას ვერ ავუღვივარ.

საერთოდ ასეთი წესია — ექიმი „ქალბატონო გაიხადეთ“ რომ გეტყვის — სამედიცინო და ეთიკური ნორმებით, გასინჯვის პროცესი უნდა დაიწყოს. პრობლემატიკის წიგნშიც ეს თანმიმდევრობაა აღწერილი.

შენც არ მომიკვდე! ჩემი ქირურგი არ ჩქარობს. (იგნება ეს ამერიკული მეთოდია, არ ვიცი?) განვაგრძეთ საუბარი. საუბარმა ინტიმური ხასიათი მიიღო — ჩემი აქსიდიალური ჯირკვლებიდან საზარდულის ჯირკვლებზე გადაინაცვლა.

მოულოდნელად, შუა წინადადებაზე მანყვეტინებს და ისტორიის საპასპორტო ნაწილის შევსებას იწყებს. ეს პუნქტი პრობლემატიკაში შესავალ ნაწილსა და ფონენდისკოპის ფოტოსურათს შორის არის მოქცეული.

ჩაცმული რომ ვიყავი, რას მიკეთებდი — დუღილს ვიწყებ, მაგრამ არ ვიმჩნევ. (ხომ იცო „არ შემეჩნევის პოლიტიკა როა მთავარი). ასაკამდე რომ მიეფიქრე და — „მემ კარვად გამოიყურები-თო,“ — რომ მტყორცნა, ოფლმა დამასხა. „აბა, აბა, რა დროს ეგეთებია, ხომ ხედავ გვედები“ — გენეგნებაში თითები გადაეუპარტყე. ისევ არ ვიმჩნევ.

საუბარი განვაგრძეთ. თემები ზუსტად არ მახსენდება. თავს დავდექი, ჩემი სხეულის დეტალურ აღწერას არ ვაცვილებია.

ვზივარ და ვცდილობ ტუნებს თავი მოვეუყარო, რომ იმ ჩემი უზბეკი „პადრუგასავით“ ხარხარით არ წამსკვდეს. ასეთ ღურაქულ სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვარ. ისეთი ტონით ვსაუბრობთ, თითქოს ბარში ვართ და ჯინ-ტიონის ვცხვამთ. მე რატომღაც ლიფსა და ტრუსიკში — ვითომ პლიაჟზე ვარ.

კვლავ შუა წინადადებაზე მანყვეტინებს — უკაცრვად მემ (მაგრად მომწონს მემ-ით რომ მომმართავენ) — თავი არ წარმოგიდგინეთო. — მე ეს და ეს (სახელი არ მახსოვს) ლოპესი ვარო. ხომ ვიცოდე ლათინოამერიკელი რომ ხარ — ჩუმად გადავივარ. ის იყო, მართა ლოპესთან რა ნათესაობა აკავშირებდა — უნდა მეკითხა, ენა მოუკვირებდი. ჯერ ერთი „პროსტო მარია“, ალბათ არ უნახავს და ოუმორს ვერ ჩაწვდებოდა.

მეორეც — შექმნილ სიტუაციაში ჩემი რეპლიკა შეიძლება „სხვანაირად“ გაეგო და „ექიმობა-ნა-პაციენტობანას“ თამაში აღმარსოდეს დაესრულებინა. მე კი ის უფრო მანუხებდა — ფარდით გამოყოფილ კუთხეში რა ხდებოდა და მე თუ მებუდოდა.

გაცნობას და კომპლიმენტების გაცვლა-გამოცვლას რომ მოვრჩით — „იქნებ ახლა მაინც დაიხსენოს სად ვართო“ — იმედი მომიცეა.

შენც არ მომიკვდე! ეს ახალგაზრდა, სექსუალური ენერჯის მორქვეველი ლათინოამერიკელი ჩემს საბოლოოდ მწყობრიდან გამოყვანას ცდილობდა.

აღსანური ლიმფური ჯირკვლების რაოდენობა კატასტროფულად მცირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ლათინოამერიკელი განსაკუთრებულ ყურადღებას ჯირკვლების მიმართ იჩენდა, მე კი ორი რამ დამრჩენოდა, რომელთა „გამომზეულება“ მოცემულ სიტუაციაში ცოტა არ იყოს „მიტყდებოდა“.

მე შენ ვიჩვენებ სიერს - ვფიქრობ — შე ლათინოამერიკელი რეზიდენტი. შიშველი რომ დამსვი „არედლოგი“ ვითომ აქაოდა ექიმი ვარ და შენი უმართულობა მანუხებსო, ამ დროს მთორავ, შესაფავებელ „შკალაში“ „პტირებს“ სევამ — სადაური წესია! თუ ორთაბრძოლაში მიწვევ ძმაო, თამაშის წესებს დაცეა უნდა, გა-შიშვლდი და საუბარი მერე განვაგრძობ-მეთქი. ისე ვაგვირეთ უნდა მონოლოგი, ბოლო შეკითხვის არსს ვერ ჩავნვდი და „ექსკიუზი“ — თქო.

სარძვევ ჯირკვლების სიმსივნეების შემთხვევა ხომ არ ყოფილა თქვენს გენიალოგიაში? — კითხვა გამომეორა და სწენად იქცა.

\* როლის თამაშში შესული

თავდაცვითი ტექნიკით არაფერი გამოივიდა. იერიშზე გადასვლის დრო იყო. თორემ ვიკაობასა და არ გავიხიდი, არ გარქვენებ-ის კვილის სომ არ დაეინყებდი. ბოლო-ბოლო ამერიკაში ვართ.

მარცხენა ფეხი მარჯვენაზე ნახად გადავიდე, სხეული 90°-ით შევატრიალე, რომ საბოლოო ტკბობის საშუალება მიმეცა (არ მითქვია, ამ ხნის განმავლობაში - დაახლოებით ერთი საათი, ლათინოამერიკელმა სამჯერ შეიცვალა ადგილი, ამ დიალოგის დროს კი მეც მარჯვნივ, მაგიდასთან იჯდა), მისკენ გადავიხარე, თვალზე მივლულე და მკერდისმიერი ხმით შევეკითხე — „როგორ ფიქრობთ, სერ, დერმოიდულ კისტასთან ხომ არ ვაქვს საქმე?“

ასეთ სწრაფ ცვლილებას არც ველოდი. ბიჭი ფაშა, კარგა ხანს კომპიუტერის დისპლეის მიაჩნდა. მამაკაცური ფლოიდები შეუმცირდა და გაიფანტა. ბოლოს მომიტრიალდა და დარცხვენილი - დამწაპვე ტონით მეკითხება - ეს რა არისო?

„ესეც შენ - მეთქი, ღირსი ხარ. თუ არ გარქვდები, შენთვის უცნობ კიდევ ბევრ ტერმინოლოგიას მოგაყრი. ბოლო - ბოლო მედიცინას 18 წელი ტყუილად ხომ არ შევწირე — ტერმინოლოგია მაინც ოხრად ვიცი“, — ეხვიმობ გუნებაში.

გარქვდა. ფარდით გაყოფილ კუთხეზე მიმოითათა და დერფანში გაუჩინარდა.

ფარდის უკან დანაშობილ ინსტრუმენტებს თვლი რომ შევავლე, თუ კი მანამდე - რას მიპირებდნენ - კითხვის ნიშანს ვსვამდი, ახლა ძახილის ნიშნით შევეცაღე და თვალეში რკოლები დამიტრიალდა. მთელი დღის ლოდინს, ნერვიულობას, შიშობას და ლათინოამერიკულ სექსს, უკვალოდ არ ჩაუვლია - გონებას ეკარგავდი. ბედზე ექთანს რომ არ შემოესწრო, იმ ინსტრუმენტებს გულნასული დაემხოზობდი.

გვარიანმა დრომ განვლო. ლათინოამერიკელის ჭაჭანება არ არის. გაგებრაზნი. — თუ მჭრით, ბარემ გამჭრით და მოგაყენით და იქნებ თქვენც დაოკდეთ - ვლადლვარ.

ბოლოს ვხედავ, იშკილებიდან ჩამოსულ ლათინოამერიკელს ასაკოვანი ინდოელი მოყვება - დერმოიდულ კისტას წონასწორობიდან გამოუყვანია და დასახმარებლად გამოცდილი კოლეგისათვის მიუშვარავს.

იმ დღეს სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. დერმოიდული კისტა გამორჩევა. საერთოდ, ჭრა-კერვას გადაერჩი და სიამაყის მეგრძმებით, რომ ქართველი ქალის ღირსების შეუღაბავად ლათინოამერიკელ რეზიდენტს დერმოიდული კისტა საშვილიშვილოდ შევასწავლე, ქირურგიული განყოფილება თავანულმა დავტოვე.

სხვა კონსულტაციების აღწერით თავს არ შეგანყენთ - იგივე წარმატებით, მაგრამ თავდადასავლების გარეშე ჩაიარეს.

ერთ თვეში თერაპევტმა განაჩინი გამომიტანა - იცოცხლებო.

დერფანში ქირურგიული განყოფილების კარს ნერწყვმოკრული უიმედობით ჩავუარე - სად ხარ ექიმო ლოპეს-მეთქი, მერე ერთი შენიც! მივაყოლე და კონია-ილენდის საავადმყოფოდან სრულად ჯანმრთელი გამოვედი.

დამთავრდა ცხოვრებისეული პროზა - Part 1 და დანყო Part 2 სათაურით - სამსახურის ძებნის ციბე-ციხელბა.

ბევრ აგენტთან ვაგაბე მჭიდრო და არც ისე მჭიდრო ურთიერთობა, რამაც კიდევ ერთხელ, მათი გენეტიკის შესწავლის აუცილებლობაში დამარწმუნა.

წერილ-წერილ 2-3 დღიან სამსახურებს არ აღვინერთ, დროის კარგვია. ერთი დღე ალთას რომ ვიყავი, მეორე დღეს - ბალთას გავრბოდი. არაფერი საინტერესო.

ჩემი ძველი აგენტი - ძვირფასი ვანდა - ვილაც მერის მატენიდა. ეს მერი ერთი აშარი დედაკაცია. დიდი დოზებით ვერავინ უღლებს, ყველა გაურბის - ვანდაც, სამსახურს, წელიწადში რამდენიმეჯერ ყიდის და კარგ მავსუსსაც აკეთებს. არ მფეხავს მაგ დედაკაცი, თუ ღმერთი გნამს, მაგის სახელს ნულარ მახსენებ - უხეზად მივახალე (სად არის ზრდილობისა და ოჯახიშვილობის დრო).

ბოლოს, რაღაც მიმოვი. ისევე ფანდებს ატარებდა, დროზე გავუგე. დროებითი აღმოჩნდა. სხვა „პრასვეტი“ არ ჩანდა. უსაქმოდ ჯდომას, ისევე უსაქმოდ შრომა ვაჩრდი.

მანქანაში ვანდას კატეგორიულად განვუცხადე - ფულის იმედი კარგა ხანს არ გვქონდეს-მეთქი. გაიბლუსა, ბედს კი დამორჩილდა, არა იმიტომ, რომ მატეუს ცეცხლ ან გენდობოდა ან ამგვარი, „Теплые нежности“, გამოსავალი არ დავეუტოვე. იმ დღესვე ვჭირდებოდი, თორემ კლიენტს კარგავდა - ოჯახსაც გვარიანად წენავდა.

მოვხვდი 90 წლის ხელმოტეხილ ქალ-კარუზოსთან (დიდი კარუზოს ნათესავი არ არის). ურიგო ქალი არ იყო, მაგრამ „სვეტსკი“ ლაბარაკი რომ აუტყფებოდა, ველარ ვაოკებდი. ორ-სამ დღეში მისი ოჯახის ყველა „поважное течение“-ების საქმის კურსში ვიყავი. ჩიტვიით ჭამდა, მაგრამ ნაირ-ნაირებს ითხოვდა.

ზოად, გვატარე ზაფხულის ცხელი თვეების ნაწილი სამზარეულოში, ნაწილი „სვეცკაობაში“. თან, ჩემი ცოფვით სავსე ინსტიტუტი მქონდა აკიდებული, რომელსაც ღამის საათებს ვუთმობდი.

ოჯახში შესულიც არ ვიყავი - ქორწილში რას იცვამო-იკითხა. მისი ნაბოლარა, 50 წლის ვატი მესამეჯერ ბედნიერდებოდა - 25 წლით უმცროს ჩინლად ირთავდა. ბედად, ერთი ავადსახსენებელი „გაიმოსასვლელი“ შარვალი მაქვს, რომელსაც აქეთ-იქით შტატოვანი-შტატები დავატარებ. ვაჩვენე. მომიწონა. - ფეხზე რას იცვამო? ისიც მომიწონა.

შარვალი, როგორც ყოველთვის, გადასაკეთებელი იყო (მანამდე ჩაცმის შანსი არ მომიცა

— ქორნილი და შარაფი არავინ დაუგუბატიყვი-ბიჯარ). ქალის მოვლის ნაცვლად, პირველი დღე შარვლის შეტეხვა-მორგებებს მოეუნდა. კარუ-ზოს ქალი საძინებლადან რეკლიკებს მესროდა — არ იჩქარო, შარვალი არ დაღუპო, მე არაფერი მჭირდებაო.

ქორნილის დღეც მოვიდა. ჩემი ფერ-უმართი-ლი თან არ მქონდა (ჩანათბი ადვილი ვერ გამო-ეუძებნენ). კარუზოს ქალმა თავიანი გადმომილა-გა. სიტყვებმა — ისედაც ლამაზი ვარ — არ გაჭ-რა. დაღუპა სტაფილოსფერ ტუნსაცხზე ფეხი გაეჭიმე — შანსი არ არის-მეთქი. კრიტიკულად შემეფასა და კარგო — დამყაბულდა.

პატარა ქორნილი იყო. სულ 25-30 ადამიანი — ნათესავეები და რამდენიმე მეგობარი ესწრე-ბოდა.

ჯერისწერამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. კარ-უზოს ქალი ჩემით თავს იჩინებდა — ნახეთ რა სიმპათიური ეკა მყავსო. რამე გადარია, არ ვიცი. ჩემს გარეგნობაზე ასეთი აღფრთოვანება 35 წე-ლია არავის გამოუთქვამს. მოტყეხილობის გამო გამაყურებელს იღებდა. მეგონი ნარკოტიკნარე-ვი იყო.

რეტორიანში როგორც „приближенная к императору лицо“ ანუ სიძის დედის პირადი (რა დეარქეა? ალბათ „ლამაზისუღი“) ნეფე-დედოფლის მიადგინათან მოეხვდი. კარუზოს ქალი ისე გაერთო ნათესავეებთან სვეტსკაო-ბით, სულ დაიმოიწყა და საკუთარი თავის ბა-ტონ-პატრონად დამტოვა. ღვინო ნამეტნავედ მეიპა. მივცაღე. „ხაუტსკას“ და „სტიკის“ შო-რის დრო პატარძლის შესწავლას დავუთმე. ისე ცახცახებდა საცოდავი, ხელში „მეჩიუს“ ვერ იჭერდა. ამკარად „გრინ-კარტის“ უახლოესი მომავალში მიღების მოლოდინი აცახცახებდა. ამ დედაკაცის ყურება მალევე მომზებრდა. ამ დროს „სტიკიც“ მოგვართვეს, რაც, უახლოესი ნახევარი საათი, ჩემი ყურადღების ცენტრად იქ-ცა. ღვინოთ ისე გავერთე, სად ვარ და რა როლს ვთამაშობ, გადაამოიწყა. ხალხი ზუსტზე იყო გადასული, როდესაც, გვარიანად შეზარბოშე-ბული, ბარში გადავედი და აუცილებელი რიტუ-ალის შესრულებას შევედგეი — ყავა შევუკვეთე და სიგარეტი გაეაბოლე. გვერდით სასიამოვნო გარეგნობის ასაკოვანი მამაკაცი მომიჯდა — კარ-უზოს დის შვილი და საუბარი გამიბა.

რეტორიანიდან გადაღლილები (ყველა) და მთერალები (მე) დავბრუნდით. კარუზოს ქალი სასწრაფოდ ლოგინში ჩავაწვინე, გვერდით მი-ვუხვედი, „ჩუ, შენი კონიტი არ გავიგო“-ს ზრდი-ლობიანი ფორმა — „დაიძინე გენაცვალე, გადალ-ლილი ხარ“ — ვუთხარი და გავეითძე.

მეორე დღეს კარუზოს ქალმა დისშვილზე — როგორ მოვეწნაო, მკითხა. ძალიან „ჩარმინ-გი“\* არის მეთქი. ჩარმინგოო. მეტიც არ უნდა. მთელ სანათესაოს გადავარეკა — ეს საქმე უნდა მოვაკვარაჭინო, სარძლოდ მომწონსო — იძახ-და.

ადამიანი ამ პერსპექტივაზე შეიძლება კი-დეც დაფიქრებულიყო, ერთი ხელისშემშლელი „მაგრამ“ რომ არ ყოფილიყო. ეს ჩვენი „ჩარ-მინგი“ 70 ნელს უკაკუნებდა და 95 წლის დედას-თან ერთად ცხოვრობდა — ვარსკოების თრევა სამსახურშიც მყოფი-მეთქი — ხომ არ ვერცხო-დი. პასუხად კეკლუცად ვილიმეზოდი. აბა რა მეთქვა?!

სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. თენ-დებოდა, ღამდებოდა, „გსვეცკაობდი“, ესტუ-დენტობდი, ვმზარულობდი, ვდისახლისობ-დი. ასე მიილია ზაფხული. აგვისტოს ბოლოს, მოულოდნელად, ერთმა ქართველმა აგენტმა „მუღმივი“ სამსახური შემომთავაზა. წამოს-ვლის დრო იყო და ნამოვდი.

ქარუზოს ქალი 32 წლის დროებით უმუშევარ ქალიშვილს დაუტოვე. ოჯახმა იფიქრა — ფუ-ლი რაღა უცხოის ვუხადლო, ავერ „ბალანამ“ ორი კაპიკი იმოვოსო. კარუზოს ქალი შემეხდერ-ა — არაფერის კეთება არ იცის და იქნება რამე ნაუცბათევედ ასწავლოო.“ რა გეთხრათ?! რით გაგახარათ?!

პირეს სხენებაზე, როგორ კეთდება? მო-ხარშული კარტოფილის ხსენებაზე — ქვების ზო-მის, წყლის დონისა და კარტოფილის რაოდენო-ბის დემონსტრირება მოითხოვა. კარტოფილის მზაობის დასადგენად მასში ჩანვლის ჩარჭობის ტექნიკას 10 წუთი დავეთმეთ.

ისე, რას ვერჩი საწყალ გოგოს. არ ქირად-ბოდა ამ უბედური პირეს მომზადება და არც იცოდა. პირეს გარეშეც თავს კარგად გრძობ-და. მერე ცოტა მოტყდა, მაგრამ თავი მაინც ამყავდ ეჭირა. თავი ასე ეჭირა, სანამ ვილაც ვარქნარს არ გადაეყარა, რომელმაც ბინის სა-ყიდელი თანხის „ბე“ დააწერა და გაუწინარდა. ამან ბოლო მოუღო. ფსიქიატრიული 3 თვე გა-აიხარა. კარგა გვარიანად დავრუზული და out of space\* გამოვიდა. არ იცოდა ეს პირე და ნუ იცოდა. რომ სცოდნოდა, რომელი პრობლემის გადაჭრაში ნაადგებოდა როო?

ქარუზოს ქალი მუღმივად ილარიბებს უჩიო-და. მეც ღარიბი ვარ და ჩემი უფროსი ვაჟიცო. (დანარჩენ სამზე კრინტსაც არ ძრავდა. ალბათ, ისინი „ღარიბებში“ არ გადაინა). არ ვიცი, ამის უფროს ვაჟს ერთი სახელი ფლორენდამო აქვს, ორი ნიუ-იორკში, მეუღლე მალაზიების მეპატ-რონეა. ალბათ, ერთსა და იმავე სიტყვას დე-დამისის ნახევარსფეროებზე განსხვავებული დატვირთვა აქვს. არ ვიცი, ალბათ.

ეს სამსახური გასული წლის აგვისტოს 24-ში დავიწყე. თუ განიტყრესებთ რა სჭირს, გა-დამალეთ სამედიცინო ცნობარი, დაიწყეთ ა-ნით, ჩადით შავ-მდე და გააგებთ. ექიმი ვაოცე-ბული მეკითხება — „როგორ ახერხებ, რომ ჯერ ცოცხალია“ო. — „ვლოცულობ მეთქი“ — ვპა-სუხობ.

ერთი ბუნწულა, უხმო კაცია. მთელი დღე

\* მომზიბეკული

\* რეალობას მოწყვეტილი

უპატრონოდ რომ მიავდო, ისე ნაიყვანს მიქელ-გაბრიელი, ვერც გაიგებ. უყურადღებოდ კი არა, თვალის ჩინივით ვუფრთხილდები. ვარ ამ კაცის ექიმი, ექთანი, დედა, მამა, და, ძმა და მთავი სანაღესაო. შეიღო არ დღეში ერთხელ „პროვოზიას“ შემოყრის და ვარძის.

ახალგაზრდობაში დიდი პრანაქია ვინმე იქნებოდა – სულ თავის მოვლაშია. უნდა ნახოთ, ექიმთან ვიზიტის დღეს რა დღეშია – სარკეს არ შორდება, თმას ნახევარ საათში ერთხელ ივარცხნის და ძვირფას „აკოლონს“ ისხამს. ექიმის ოფისში კი ყვეგილობს – ყველა ექთანი ვარს ეხვევა და კომპლიმენტებით ავსებს, უყვართ, საკოდავი.

რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში? არც არადერი განსაკუთრებული. ერთი დღე მეორეს მავსეს. თქვენი რომ მსაყვედურობით – სად ივარგებოთ – თქვენი ერთი თვე ჩემთვის დღეა. უკვდავი ხედები, მამ.

რა მოხდა და, როგორც იქნა, ძვირფასი ინსტიტუტში დავაშთავრე. სპეციალობა – ინგლისური. გამოცედაც ჩავაბარე და დიპლომიც მივიღე. თანაც უბრალო კი არა – honour\*-ით.

როდესმე თუ გიფიქრიათ რას აკეთებენ მოსამსახურეები, მზარეულები, კარისკაცები და სხვა ამისთანა ნაყარ-ნუყარი, მაგრამ ნაწარმოებისათვის აუცილებელი გმირები, როდესაც თავის წილ – დიახ ქელბატონო, არა ბატონო, кушать подано, Ваше благородие, слушаюсь ваше величество, კი ბატონო, სერ და ამისთანებს – წარმოთქვამენ და ნიგნის ფურცლებში უწინარდებიან.

ფიქრით თავს ნუ შეინუხებთ – გამზადებული პასუხი მაქვს. რას აკეთებენ ჩემო ბატონო და, ინგლისურს მეცადინეობენ! დედას გეფიცებით. საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. არ იფიქროთ სხვის სიტყვებს ვიმორებდე.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილს წარმოთქვამ (Благородие-სა და Величество-ს ვარდა), გივით ჩემს ოთახში შევრბივარ და თავში ინგლისურს ვიტენი. სადილის დროს გავრბივარ, კაცს სუფრას ვუშლი, მაგადასთან ვსვამ – dinner is ready\*- ვეუბნები და კვლავ ჩემს ოთახში ვიქტენი – კვლავ ინგლისურს ვიზუთხავ. სეინრობისა – this way, be careful\*- გავრთიხილბ. ასე რომ, საკუთარ ტყავზე ამომართული გამოცდილებით ვამბობ – რას აკეთებენ და, ინგლისურს მეცადინეობენ.

ისე მოხდა, რომ ინსტიტუტში ჩარიცხვა ჩემს აბუნტებას, გამოცეკვას, ბინებისა და სამსახურის ცვლას დავამთხვა. მისამართების პერმანენტულმა ცვლამ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ყველა პროფესორ-მასწავლებელ-მწიფეურ-ტილფონისტი ნყობიდან გამოიყვანა. სასწავლო მასალას ერთ მისამართზე მიგზავნიდნენ, გა-

მოცდას-მეორე მისამართზე ეაბარებდი, შედეგები – მესამეში მომდიოდა. ერთხელაც და, ახალი მასალა ძველ მისამართზე გაავაზენეს (ჯოჯოსთან). პასუხი რომ დაუფრევიან, მოკითხვის წერილები მომეყარეს (ახლა ყველა უკვე ახალ მისამართზე, თქვენც ხომ დაიბნინო?), სად ხარ, რატომ დავეცქარე, რამე ხომ არ გიჭირს ან დასვენება რომ არ გადასწყვიტო, შეგვეზიანეო. მე ამ დროს კარუზოს ქალთან ვსვეცეკაობ.

ამიტომ დიპლომი „პონონი“ რომ მივიღე, ძალიან შევიფრე. ყველაფერს რომ თავი დაანებო, მარტო შტატიდან-შტატში სიარული იყო „საპონონო“. ახლა ჩემი დიპლომი წინა წერილით ავადახსენებელ ემილიატორთან ერთად ნიუ-ჯერსის შტატშია (მა ნიუ-იორკის შტატში ვიმყოფები).

კარუზოს ქალთან სამეცადინოდ ჩავდომად დღე ტრიუქარობას მოითხოვდა. როდესაც პეკენინებით, ვუდ-პეკენინებით და იუზ-თუებით თავის გამოტენას ვცდილობდი, რძლებიც გაჭორვა მანცადამაინც მაძინ აუტყდებოდა. მეც ეტრიუქარობდი, სახლის დალაგებას ვიჩემებდი, ხან სარცხს, ხან სადილს, ხან რას, ხან რას. ამ დროს ეზოში ვიპატრონობდი და გრამატიკას ვიზუთხავდი. დროების არეიდარევაზე და ერთმანეთში აღრევაშ სულ გადამირია. ერთი ვიფიქრე – ამათ გარეშეც იოლად გავალ-თქო. ცხოვრებამაც აჩვენა და დროების არეიდარევა დიდი ვერაგი და არასანდოა. აი, მაგალითად, წარსულში დედაჩემის ხედვით მომავალში მე პროფესორი, ოჯახის ქალი, საქართველოს პატივცემული მოქალაქე და დიდი გიტარისტი ვიქნებოდი, წარსულში ჩემი მომავალი კი დიდი ხანია დედოფლის კეურის უნდა ვფლობდე და ჭინჭელი ტონით ბრძანებებს ვიდლოდდე.

ყოველ შემთხვევაში, წარსულში, არც ერთს არ გვიფიქრია, რომ მომავალში მწ ნლის ამერიკელი მამაკაცის jobey-ს ფირმის საცვლებს რეცხვით თავს შევიქცევდი.

არა ბატონო – შევეშვით ამ დროებს და მხოლოდ პრეტენტ კონტინიუსით ვიტხოვროთ.

ღამით მოისმენ შენ ხმას ჩემი ნაბიჯებისას, ღამით მოისმენ გაჟღერებულს მათ გაცვეთილ ქვაფენილებზე, გაჟღერებულს მათ შორეულ ყეფაში ძაღლის, იმ დროს, როდესაც სხვა არავინ არ დაბიჯებს, იმ დროს, როდესაც მათ ეკუთვნით ეს ქვაფენილი ... და იქნებთან ზეცისა და მინის ბატონნი, შენ მოისმენ მომავალთა მოახლოებას და მშვიდ უკანსვლას შეჩერების გარეშე, ნელა ... და რომ იცოდე, მათ ვერაფერი ვერ შეაყოვნებს ამ ქვეყანაზე და რომ იცოდე, უკანსენელად მოუსმინე შენ ამ ნაბიჯებს.

**იხედს**

გიხაროდეს, რომ მემშინია, ზოგჯერ იქნებ დამჭირდე მაინც. ... გიხაროდეს, რომ მემშინია, შენს გარდა სხვა დროს რომ არ მექნება სხვა არჩევანი

*მიხალის პიერისი*

ზ - 22

ნუ შემომხედავ შენი ცხოვრების ბნელი კუთხიდან და ბსოვნაზე სიცოცხლეში არ მესაუბრო. შენი ხელი მოვისურვე, რადგან გიხილე - გამობრწყინდი მაგრილებელო ცისკრის ვარსკვლავო თმაში ვარდებით, დაცვარულო ჩრდილოეთიდან.

შენი ხელი მოვისურვე და საშინელი სიმჭიდროვით მე ღამეში ბზარები ვძებნე, განთიადის მოსახილველად, რადგან მე შენ შემოიყვარდი

და დავარღვიე კანონი ყველა. თუმც ცხოვრება შენი იყო უნაყოფო და ოცნებას მოკლებული - ვერ დამაბრალებ გარყვნილებას.

ვერცხლი, მალამო, ბაჯალლო ოქრო არის ჩემთვის შენთან ყოფნის ყოველი ნუთი.

*დინოს ხრიასტიანოპულოსი*

**სინდისის ქანკნა**

სულში ვგრძნობ ბზარებს შეუმჩნეველთ, გადიან დღენი და მიაქვთ ნღები მოკრძალებულთ ვუნოდებთ რომელთ და მრავლდებიან ეს ბზარები ღამით ღამემდე: გზებით განვლილი დახრილი თვალებით და უმონყოლოდ თავსდატეხილი სინათლის შუქით, უესტებზე უკეთ გამომატეხილი სიტყვებით ურცხვით, ყველაზე მეტად კი დედის მზურით... საღამოს გვიან, როცა ვბრუნდები ის კი მომელის ნივით ხელში დადუმებული, უძინარი და უფერული.

*მალაკასისი*

**როპორც სიზმარი**

მაშინ, როცა დარბაზმა ჩვენმა, გააჟღერა გალობა ორი - სევდიანი და მზიარული, აფრქვევდა სურნელს ყვავილების და საკმეველის მშვენიება შენი, ჯერაც კიდევ მირონმდინარი, ძილმა ნამართვა თავი ტკივილით დამძიმებული მაშინ, როდესაც დარბაზმა ჩვენმა გააჟღერა გალობა ორი. და ანთებული მქონდა სანთლები, იყო ნათელი, ისე, ვით ღამეს ჩვენი ქორნილის, ოდეს შევერთდიო გვირგვინებით ჩვენ სახატრელით - და ჩემს სიზმრებში, ჩემს ღამეულ ფანტაზიებში მოხვედი ჩემთან, საქორწინო საშოსით თეთრით და ჩამიქრე სათითაოდ ყველა სანთელი.

*ბერძნულიდან თარგმნა ხათუნა მონიაჯამ*



# ნოდარ შანიძე

## ბედშავი

ალარაის მოსვლია აზრად მათი სახელების უკვდავყოფა, რადგან განსაცდელის ფაშს, დაზაფრულ დღეებში გმირებსაც ეწვევა ხალხი, გმირობა იშვიათი და უჩვეულო მოვლენა აღარ არის, არსებობენ ისინი, როგორც აუცილებლობა, როგორც პური.

რიდკე

80-იან წლებში კიდევ ერთი თაობა იყო სრულასაკოვანი, მონაშენი ქვეყნის სალიტერატურო ცხოვრებაში ღირსსაცნობი როლით. წერა-კითხვის მოყვარულთ ზიარი ჰქონდათ თანაგვარი ბედიც.

არავინ იყო მათზე ბეჩავი, გულის ამაჩვილებელი, მისანდობელი, პირდაპირი.

ქართულ მწერლობის ტაძარში თუ კელაპეტრებად ვერა, სანთლებად ხომ ენთენენ. ნავიდნენ წუთისოფლიდან და ყველამ მიიფიხნა, ვხედავ, მათი კვალიც იშლება.

ქონობიჭობის დროს იმ ხალხის ნაზრევს უზადოდ ვრაცხდი, ხოლო პატიოსნებას შუერყვნილად.

თითოეული მათგანის სულდგმის ბოლო თხუთმეტწლიელს თვალი ვადევნე. ხსოვნა და მოგონებები უმცროს მეგობარს, მცოდნეს — რას ფიქრობდნენ, როგორ სწამდათ, რის მიხედვით ეცვლებოდათ შეხედულებანი, ბილოს და ბოლოს მათი ინტელექტუალური ვაუკაცობა ამ თაყვანისცემას მავალდებულებს. ჩემი ამფსონების ავტობიოგრაფიაში მრავალი მშვენიერი ეპიზოდია. საუცხოო მონოლოგებმა, დაუვინყარმა ფრაზებმა, განუმეორებელმა, უიშვიათესმა ამბებმა დე მომავალ ანთოლოგიებში იცოცხლონ.

80-იან წლებში, ფერისცვალების გულდასანწყვეტ და გასატირებელ დროში, მწერლების კიდევ ერთმა თაობამ მიაღწია სრულასაკოვნობას. ყოველმა საკუთარი გზა იპოვნა სანავარდოში, განკერძობით ილოცა, მაგრამ ამას უნდა დაემატოს, რომ ერთი მათგანი, ყველაზე გახმაურებული, მრევლს წანწალითაც ამახსოვრდება. მისი ყოველდღიურობა არაჩვეულებრივი მოვლენებითა და თავგადასავლებით მდიდარ საზეპირო სამახსოვროდ ივარგისებს მათთვის, ვისაც ხვალ მწერლობაში ყოფნა მოუხდება.

ვიწყებ წერას იმ ერთზე, გულწათხრობილზე, მგრძნობიარესა და სათუთზე. აი, წნდება იგი ჩემი სენაკის უმფოთველ სივრცეში და განუსაზღვრელ სიხარულს მანიჭებს. კაცი, ვისთანაც ჩვენი სათუთი გრძნობები შევძენეთ.

**ელდარ კირაძე** დაიბადა თიანეთში 1942 წლის 7 იანვარს. წლის ნაჭდევი — ბედაური; თვისა — თხის რქა; ნატყეფართა შეთავსებით — პასუხისმგებლობით საცეო ჩანი, განუმეორებელი და ერთადერთი, პრობლემები ექნება.

ანტროპოსოფიული სამშენიველი ასეთია: ოდეს სულის სიღრმეებში ვარ, სიყვარულის სფეროებიდან თავკერძობათა სიცარიელე აღიხსება სამშენიველის წიაღში სამყაროს სიტყვის ცეცხლოვანი ძალით.

მოყვარული ნათესაებით გარემოცული არასოდეს ყოფილა, ახოვანებით არ გამორჩეულა. ფერმკრთალი და ანემიური? პირიქით, — ძლიერი, ჯანმრთელი, მოძრავი და მოუსვენარი გახლდათ, თუმცა 49 წელი იცოცხლა.

1955 წლიდან თბილისელია. სოფელი საყარაულო სიონის წყალსაცავმა დაფარა. ფესვებთან დამაკავშირებელი ჭიბლარი გადაიჭრა.

დაამთავრა რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლა. მათემატიკოსის შვილმა სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო.

მუშაობდა პუშკინის ვაცოცხლდაო — ხელში აუყვანიათ თანაკურსელებს.

კერძევაძის მომავალი — მწერლობა იყო და საბუთები უნივერსიტეტში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე გადაიტანა.

9 კრებული გამოსცა. არასოდეს უფიქრია მისი ნივნი პოლიგრაფიულად იშვიათი და განსაკუთრებული ყოფილიყო, ან სურათიანი დაბეჭდვოს. ამისთვის თავს არ ინუსხებდა.

ეს სიგევე გაცივებს, მაგრამ როდი გხიბლავს

**ჟ. რუსო**

ალბათ, არავის ჰქონდა ისეთი ბრიყვეული „კარმა“ ელდარის რომ აწვალდებდა.

მას თითქოს ენება უხემი კაცის რეპუტაცია მოეგო.

ბევრი ვერა იმგვარი, რომლის შესახებ იმდენი განსხვავებული და სანინაღმდეგო აზრი გამოთქმულიყო, რამდენიც მასზეა ნალაპარაკები.

გალანტურობა უფლისგან არ მიენიჭა, ცერცეტობა ეობრა, თუმცა მის არისტოკრატიკას ბევრი სტრიქონი გვიდასტურებს. ელდარის პოეზია მაღალი ინტელექტის შედეგი გახლავთ.

ეს მოაზროვნე, მისტიკურ ფიქრზე შეყვარებული კაცი ჭკვიანიც იყო და გამბასრავიც, საკმაოდ მახვილი, სატირული ნიჭიერებით. ვიცნობდი დაღვრემილ, დაფიქრებულ ადამიანს, უბრალოს, თითქოს ჩიტრეკიასაც, სულის სიღრმეში კი საოცრად ჭირვეულს.

პატიოსნად ცხოვრობდა. ერთი შეხედვით თხემით ტერფამდე მოქალაქე, ნებადაურთველ ადგილზე ქუჩას რომ არ გადაივილიდა.

მსოფლშეგრძნებით პესიმისტი. ალტაცებული არ მინახავს. მომავალზე გულგატეხილს წარსულზე ფიქრი უფრო უყვარდა, მკითხველი კი არც წარსულისკენ ნაუყვანია და არც მომავლისკენ. მისი შემოქმედების თემა მხოლოდ თანამედროვეობაა. ახალგაზრდობა კი არა — ახვარგაზრდობა. ამხანაგები? — წერას უკაცრავად — ამხანაგლები!

დაძრწოდა ღამის თბილისში და მეც ქუჩებს მატყეპნივდა ახირებით — ვინმე გაგვეღვიძებინა. უგზო-უკველო სიარული თანდათან მიზანდასახულ ძიებას ემსგავსებოდა, თუმცა არავითარი გეზი არ გავგანინდა მაშინ, როცა კაცი სიამოვნებით დასახავდა თუნდაც მოუღწეველ ოცნებას. არ მახსენდება, ღამის თევითა შეწყვეტა წუთით მაინც მენატროს, მე ხომ თავს ტკბილ მოგონებებს უუშნადებდი.

მისი ბოჰემანარევი ბიოგრაფია, მისი ყოფიერება ამგვარი ამბებითაა შეზავებული:

კეკელიძის ქუჩაზე ერთ ცნობილი სახლის წინ გიგლა სარიშვილს მანქანა შეაჩერებინეს. ელდარმა მარჯვენა მხარეზე ტელევიზიის ნითელი ფერის ნივნაკი ჩამოიკაეუნა — ჩინოსანი ვარ-ო.

ვასილ პავლეს ძი-ს დაცვის უფროსი ავტომობილს მიუახლოვდა. მაიორი ესა და ესა, თავი გააცნო.

- როგორაა ტახი?!
- ვინ ტახი? ვის გულისხმობთ, ბატონო?!
- მიმიხედეთ ტახს!

ყმანელი მწერლები კონსტანტინე გამსახურდიას ენივენენ. გიგლა სარიშვილი ძველებრძნული ტრადიციით ფეხზე ემთხვია, ელდარი დიდოსტატს მკლავზე.

ცოტა ხანში კერძევაძე თამარის მეტს ევლარავის ამწნევდა, ყველა დაივიწყა, ათას რასმე უამბობდა, კითხვას კითხვაზე უსვამდა, მისი კულანარა იყო. ბატონი კონსტანტინე ქალიშვილს გამოქომაგებია და სტუმრისთვის შეუნიშნავს: „ყმანელი! ნუ ეარშიყები შენ თამარს!“ წლების მერე, როცა მამა-შვილის საფულებები ერთმანეთს დაუშვობდებოდა, ეს ჯამბაზი და ექსცენტრიკოსი პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლად გვევლინება. სურათოვანი ენით, მხატვრული ტაქტით ნაწერ ღრმად განსაცდელ სტრიქონებს შექმნის, პოეტის ნიჭზე რომ მეტყველებენ.

- ... გვესაუბრა ...
- გავგამხნევა
- წერეთ;
- ჩაფიქრდა და უცებ მოიწყინა ...
- გააბოლა ...

- აგრე ბრძანა მერე
- შეილო თამარ, მოიტანე ღვინო ...


- ვბრუნდებოდი ჩრდილით ფენილ გზაზე
- ღვინითა და სიხარულით მთვრალნი,
- და კოლხური კოშკის გალაგანზე
- გუშავივით იდგა თეთრი მთვარე ...

გადასულ შუალამისას ტაქსით გლდანისკენ მივქროდი. ვინ უნდა გაგვეღვიძებინა, ვინ იყო მონიგი მსხვერპლი — კოტე მელაშვილი? — არ მახსენდება.

უკან ვისხედით. მძღოლის გვერდით უცხო მგზავრი იჯდა — ბაქია, იქნებ თვალთმაქციც. ქლესობდა, ფახიფუხობდა, გული გაანწყალა!

ელდარმა მარცხენა ფეხი საზურგის აყოლებით ააცურა და მხარზე ხელივით გადახვია.

შემოკვირბრუნდა ტარაბუცია, მუშტი შეკრა, მაგრამ კერძევაძემ ბრაუნინგი დაუმიზნა.



ნახბა გაქნილი, დაიფუშა, მანქანიდან ისე ჩაივლი, ხმა არ გაუღია.

დაძრწოდა ღამის თბილისში და მეც ქუჩებს მატკეპინებდა. ჟინს ვინმეს შეძერისა და გაღვიძებისა განზრახავაც თან ახლდა — გონების ვარჯიში და გრძნობათა ანალიზი. სხვაც — თავი დაგვეტონა მარტოობისათვის. დე შექეტულებოდით! — ათვალუნების არ გვემორდა. უნიღბონი ეიყავით და სახიფათო რა იყო. ნაცნობ-მეგობრებს ვცდიდით. თუკი არ შევეჯავრდებოდით — „ღვიღვა“ იქნებოდა. „ღვიღვა“ს მტერი გვტულდა და „ღვიღვა“ს დოსტებთან ვტოლ-ამხანაგობდით.

დალოცვილია წუთი, როცა პოეტი გაირინდება, ეძებს შეგრძნებას და საკუთარ ვალს აღასრულებს.

ფურცელაძის ქუჩა ამოვიარეთ, შეჩერდა, ბესო ჟღენტი რომ ცხოვრობდა, იმ სადარბაზოს გახედა ...

— ახსოვს ამ საფეხურებს ნატო ვანნაძის ნაფეხურები ...

შემდგომშიც ბევრჯერ ვყოფილვარ მონათესავე გატრუნების მონმე. განწყობა წედომისა თუ შეთვისებისა ხანდახან შარყდებოდა.

გალაკტიონს „გალაბტიონს“ ეძახდა. მარჯვნივების 4-ში მდებარე სადარბაზოში იმ კიბის შესათვლიერებლად რამდენჯერ შევესულვართ, წლების წინ პოეტის ტერფი რომ ეტებოდა.

კიბე მარჯვნივ მკვეთრად უხვევს, საფეხური ვინროვდება.

— აქ უჭირდათ მისი აყვანა!

— ?!

— მძლავრი იყო ტანად და იმიტომ!

ეს უკვე აღარ იყო ზემთაგონებული მდგომარეობის ხანი. ელდარი პოეტური ყილის რომელიღაც ჯურს გეთავაზობდა, მასთან ერთად დასრულებულ ორიგინალურ სახეობას შემოქმედის არსებობისა, ყოფნის გამოჩენითი ვგარისა, ვერაეინ რომ ვერ ნარმოიდგენს.

სულერი საზრდოს უხვად იძლეოდა. კერძეაძესთან გატარებული ყველა წუთი ინტელექტუალური ვარჯიში იყო. სულ გონებაფიზიოლოგია და ახალ-ახალ უცნაურობებს იგონებდა:

— შეგიძლია ვართიმო მიქელანჯელო?! დისონანსია, ვურული სიტყვა, შენც ხომ გურული ხარ, გამოიცანი!

ვერ გამოვიცანი.

— მოქანჯალეზული! ნაშობი, ერთ პოეტს ვაჩუქეთ, გეფიცები, სულრას გაგვიშლის!

ზოგჯერ მეგობრების მიმართაც დაუნდობელი, თითქმის უღმობელი!

ლენინის მოედანზე მეტროსთან გივი ჭიჭინაძე იდგა. მისალმებისთანავე გული ატკინა — საბავშვო სიგარეტი გვექნება და მოგვანეინო.

ენყინა გივის, ზურგი შეგვეკვცია.

რამდენიმე დღის მერე, რუსთაველზე, პირველი სკოლის წინ კვლავ შევხვდით ჭიჭინაძეს. ჩვენ მოედნისკენ მივდიოდით, გივი — საპირისპიროდ. გაბუტულეშმა ერთმანეთს თვალი აარიდეს, მე სადღაც შუაში დავჩრი, მაგრამ უცერად გივი შებრუნდა:

ელდარიო.

ესეც შეტრიალდა.

გივიო, და გადაეხევიენენ.

ავგისტოს მზეში რუსთაველის გამზირზე, მხარმხარ მდგომი ორი პოეტის ქანდაკების წინ (ხომ ცნობილია მათ შორისაც იყო ინადი) ელდარი და გივი ერთმანეთს ეფერებოდნენ.

თანხმობა იყო საჭირო და ურთიერთობისთვის პირი არ უნდა მიექციათ. თუმცა გველოდა სამშროუბა დამლისა გათითკაცებისა, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა.

მწერალი ადამიანების შეხედულებების, კასტური ცრურწმენების რვეზორია, კიროვის სახეობის ბაღში კერძეაძემ პენსიონების თავშესაყარი კლუბი აღმოაჩინა, მიაკვლია და შეეჩვია. მერე რა რომ, მათ ოფიციალურ დოგმატს „სანეერო, ყოველდღიურად მანეთ“ არ სწყალობდა. პენსიონერებმა ვერ გაიშინაურეს, დომინოს არ ათამაშებდნენ, იგი მაინც თამაშობდა.

სამაგიეროდ, ადამიანურ ვნებათა მეთვალყურე და თავგადასავლების დაუცხრომელი მაძიებელი, მათთან ერთად, იმ მოხუცებთან ერთად გარდაცვლილი პენსიონერის პანამვიდზე ნავიდა.

იმ დღეებში ძმამ მონაცრისფრო კოსტუმი აჩუქა. ცოტათი გაცრცილი, მაგრამ რა უშავდა. მით შეიშოსა ადამიანი, რომელსაც საკუთარი პოეტური მონადებისა სწამდა, მოქალაქეობრივად მართალი იყო. მოვლენის მეთვალყურეცა ანალიტიკოსის, კოსტუმი რომ მორარგო და საშუალოდ გამოიყურებოდა, თავდაჭერილი პოზით მხატვრის მისია უნდა შეესრულებინა, პირადად უნდა განეცადა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ერთადერთიც ყოფილიყო. ხოდა განიცადა, უცნობის სამძიმარზე უტყვა საზოგადოებასთან ერთად წასულმა უდაო დებულება აღმოაჩინა, სიბრძნე გამოზიხდა, სევდა შეთხზა — ყველა საკუთარ პანამვიდზე იყო მისული!

ავთო ვარაზის ნახატების განცდით შეფერადებული განწყობა. არ, თუ ვერ აღიარე-



ბული სოციუმი. ხელმოცარული რეჟისორის, ღანი (ყაკოია) მიქაძის ბინა პეროვის ქუჩაზე, შესაბამისი ანტიურაფიო. სარეცელი, რომელსაც სკოლიდან დაბრუნებისთანავე ყოველ ჯერზე ყნოსავდა ჭაბუკა (მასპინძლის ერთადერთი ვაჟიშვილი) და სუნზე იგებდა მის ლოგინზე ვინ გამოიძინა: თენგიზ არჩვაძემ, გიზო სიხარულიძემ, ელდარ კერძეაძემ, ჯემალ ანჯაფარიძემ თუ ნოდარ შანიძემ.

ფსევტის არისტოკრატიაც, სხვადასხვა ნაცნობ-უცნობი. ჯიბეცარიელობის დროს ანთებული ბუხარიც განცხრომა იყო სოციალური კონტრასტის ამ სფეროში. ბუხრის სამკაული, ვეება ტილოზე გამოსახული უკანა ფეხებზე დგომელა ცხერის ტყავმოსხმული მგელი, ყბაზე ხელნაფარებით ასულელებს ზორბა ეგრძს და ზეზეული ყოჩი ცთუნებულია. ის ყველაფერი თითქოს მანამდე სადღაც მენახა. უზარმაზარი ძველი ოთახი, დამტვერილი ავეჯი, საბრძოლო ვაზნების კოლექცია.

კიროვის ბალთან მთვარათან რაღაც დავაშვეთ, მაგრამ სუფრასთან ხომ მეგობარი დაეტოვებ. იგი მაშინ მეფის სამსახურში იყო. დარეკა ბატონმა მუშნი ზარანდიამ და გამოსაფხიზლებლიდან გაგვათავისუფლეს.

რომ დავინახოთ, გეჭირდება თვალე, ხილვის ობიექტი და კიდევ სინათლე, მაგრამ არმაზის მოსანახულებლად პოეტისთვის შემოდგომაც აუცილებელი ყოფილა. ვაზაფხულზე ვუთხარი — მცხეთას ხომ არ ვესტუმროთ - მეთქი და ექსკურსია შემოდგომისთვის გადამივიდა — არმაზი შემოდგომაზეო!

ოქტომბერიც დადგა. თავად მოაგონდა, შემახსენა და გავეშურეთ.

„ჰორაციუსი აკადემიის ქალათა ნიაღში ექებდა ჭემმარიტებასო“ რა ემართებათ ჩვენს ახალგაზრდებს, ამ ადგელებს ქვა ვით მიაგორეს?!

ჰორიზონტმა თვალე დაასვენა, ვნახეთ ლამაზი პეიზაჟი, არმაზხევისკენ დაშვებული გორაკები, შემოდგომის სიგრილე. ცის ქვეშ ვიდექით ორი უშნეო ადამიანი. მუხლს გვიმაგრებდა რწმენა, მაგრამ მას სხვა სახელი ერქვა. ეს იყო გულდაჯერება მეგობრების სახელების წარმოთქმისა, ლოცვის ძალას რომ იძენდა და ჩვენთან ერთად ცხოველმყოფლობდა.

ვიდექით მალეობზე არმაზ ციხესთან, უსაზღვრო სივრცეთა დუმილს ვისმენდით, ჩვენც ვდუმდით, ვფიქრობდით, აქეთ-იქით ეციქირებოდით და წარსულს ჩვენ-ჩვენებურად განვიფიქვდით, სანახებობს ორი მზარძანებელი კი არა, ორი მხატვარი.

იმ დღეს დაიბადა ჩემი გამოუქვეყნებელი პოემა „ელიოზ“, მისმა გულმა კი სულ სხვა სურათი შეინახა და დედაქალაქში ჩემგან განსხვავებულ ემოცია ჩამოიტანა. ყური მიუგდეო:

«ცაზე ტრილებს მიმინოსავით მცირე ღრუბელი, ვუცქერი მშვიდად ... ედგავარ მიწადროში ვით მშვიდლისანი, მაგრამ ვაი, რომ არა მაქვს მშვილდი. მსურდა ამოსვლა ნანანეთა კებით, მსურდა მენახეთ შენ და უფალი ... მაგრამ სხვა დროა — არ მშვიდლობს მშვილდი და არც მიმინოს არ ჰგავს ღრუბელი».

არის ლექსში სიღრმე და ოცნება, ვინაიდან ამ სტრიქონების შემქმნელი გონება ღმერთის გვერდით მდებრსაც წარმოსახავს, მეტაფორულად კაცობრიობის გამჩენ დედას რომ უწოდებდა.

პოეტის გონება შეუეჭვებლად, ინტიუციის საშუალებით ადგენს სუბსტანციას. აქ იგი ბრწინვალედ აზროვნებს.

კინო „რუსთაველთან“ ღამის სენასზე შესასვლელად ხალხი შეკრებილიყო — კონიუნქტურული, მოწყენილი. იქვე ვაზონის პირზე ჩამოყვადარი გიჟი მარინა გამკვლელ-გამომვლელს ქარ-ცეცხლში ატარებდა.

გვერდით მივუსხედით თბილისის კოლორიტს.

ელდარი კითხვას კითხვაზე უსვამდა, მის სულსა და გულში იქეებოდა, იქნებ იყო სიბრალულიც? მარინა თავის ქმარზე გვიამბოდა, იგი რამდენიმე ათეული წლის წინ გარდაცვლიდა და თურმე უკუკის სასაფლაოზე განისვენებდა.

პოეტმა სულით ავადმყოფის ტრაგიკული ბზარის განთელება დაიწყო. სახის წანვეტებული ნაკეთები უფრო ნაემახა და დაემანჭა. ასეთ დროს მისი იერი სისხლმომყურებულისას ჰგავდა და ქარაფშუტული მოქმედებისათვის მზაობას გამოხატავდა.

მეუღლეტი პოეტური სიგიჟის ინსპირაციას. ვიყიდეო ღვინო, „ზაკუსკა“ და შუალამისას მამაცი სულების სამკაციაწმა გუნდმა უკუკის სასაფლაოზე შევამიჯეთ.

საფლავებს შორის მიხვეულ-მოხვეულს უცნობი მიზნისკენ მივყავდით. გოჟ მარინას ქმრის საფლავის პოენის მზუტავ კანდელს მივყვებოდით. ლაბირინთიდან თავის დაღწევას აღარ ვცდილობდით.

კერძეაძემ მთელი ღამე ამ ზინს მიუძღვნა, მე კი ჩონჩხების ცეკვა მელანდებოდა.

მიცვალეხულს ვერ მივაგენით. აკროპოლისიდან ნეკროპოლისში ღამეულად წარგზავ-

ნილმა სამმა პარლამენტორმა ერთი საფლავი შეეარჩიეთ, გაღავანში საწოვადე გავშალეთ დ ღმერთი ვახსენეთ. ფერიცვალება თენდებოდა.

ეს ქართველი მეფისტოფელი ბედისწერას შესტადებოდა. ერთ გვიან ღამით ქალღმერთი თეთრი სახით მომადგა რამდენიმე ბოთლი ღვინოთ ხელში. კარამდე რომ ვერ მოსულა, ლიფტში დამჯდარიყო. მეზობელმა შემატყობინა (გგონი შენთან მოდიხო), ვფიქრობ, პირველი მიკროინფარქტი მაშინ დაემართა.

— თავს რატომ იკლავ-მეთქი.

— ძიძია სველი ეყოლა! წამოდი გივის მიველოცოთ!—ო.

— ღმერთმა გაუზარდოს, მაგრამ შენ რომ კვდები?!

— იცი, ძიძია რატომ დაარქვა? რუსებს ენა უნდა მოეტეხო, ძიძია ძნელადე როგორ ფლერსო?

მე სიტყვა ბანზე აუუგდე, თუმცა არ მიმატოვა, იცოდა ჩემი ყინიანობა ხანმოკლე იქნებოდა, ხოდა მაჯობა. ბოთლები გამოვართვი, მკერდზე ხელს იკიდებდა, მხარში ამოვუღექი, გვერდი-გვერდ მივაბიჯებდით და ფფიქრობდით: ამას ახლა გული ტკივა. ჩემი რომ არ სწამდეს, ამ შულამისას კარზე არ მომადგებოდა, მაგრამ ამდენმა გამოცდამ დამოადა. კი ვარ მისი კეთილსამიფლო მეგობარი, მაგრამ ერთგულების წარამარა შემოწმებამ გაათანავა.

ეს გაუთავებელი ცდა ერთმანეთის მიმართ პირიანობისა, თითოეულ მათგანს ძვალბრძოლა უკონდა გამჯდარი. ვერ ამ სტრუქტურებს, ისინი ცოცხლები აღარ არიან და მეჩვენება, — მათ წინაშე კვლავინდებურად გამოცდას ვაბარებ.

ვესტუმრეთ გივის. მის მოხუც დედას უთხრა, შენი ქელები ხარჯი მე უნდა გადავიხადო და ნუ გეშინიაო, თვითონ კი სული კბილით ეჭირა.

ხომ არ მოგებურდით, იქნებ დატალათ დაბეწნილი გონების გრძნობათა წაგონამ, ადამიანისა სულ რომ გონებაფხიზლობდა საკუთარ ჯანმრთელობის ფასად მუდამ მოულოდნელი სიხარულის მომნიჭებელი, ორპულსოვანი ბუნების კაცისა — აკადემიური-საც და ყაჩაღანისაც.

უამ-უამად ეს თვითრჯულიც ცდილობდა „გამოსწორებას“, მეუღლეს უჯერებდა, შინიდან აღარ გადიოდა და რაც შეუქმნია, სწორედ ისეთ დღეებშია დანერლი.

წიგნები, ყვავილები, ჭიქა ჩაი, მზიანი დილა, მაგდაზე ლოპე დე ვეგას „დანაშაული არ არის სასჯელი“ — მისი უკანასკნელი საქმი.

თარგმნა დაუგვიანდა, წინასწარ აღებულო პირობარი დახარჯული, ხოლო, თამაშ ბაძა-ღა ყოველი შეხვედრისას შეახსენებდა: „ბატონო დვიღვა, როდის თარგმნით წიგნს?“

მაგონდება, ცალკე ცხოვრობაზე ფიქრიც დაინსო, მეტი ხალვათობა მოენატრა, სამუშაო პირობების უქონლობა მოიჩივლა, თუმცა 1980 წლიდან მხოლოდ ლიტერატურული მოღვაწე იყო, მაგრამ პოეტი, აღარსად მსახურობდა.

ოხ, ეს სიბოიზიც! — სისხლი რომ გაუშრო არაერთ შემოქმედს.

ასეთი იყო მისი ისტორია და იგი ჩვენი, ელდარის მეგობრების ბიოგრაფიის ნაწილიცაა.

შშობელი რომ დაასაფლავა, ორჯერ წინფარქტალმა თავი სასთუმალზე არ მიდო — მამა პირველ ღამეს ათევს საფლავში! მესამე ინფარქტსაც არ დაავიანდა.

დაბნეულმა ქალიშვილმა, ვერაფერი რომ ვერ მოეფიქრებინა, სათბურა მიუტანა. პოეტმა შეთავაღიერა და იატაკზე მოისროლა — ოხრად მრჩება ყველაფერიო. გკვდები შეილო, და არ შეგეშინდესო. მალევე გათავდა.

„ჩემო უბედურო მამავ“ მხოლოდ ამ სიტყვებით დაიტირა უმცროსმა ქალიშვილმა.

ირინეს შავციანი შშობლის და ჩვენი ბედანავსული მეგობრის წარმოუდგენელი აქტიურობა ხის ტალავარში გაყურებულყო. უსამართლოდ გამკიცხველთ უნდოდათ მკვდარსაც ურჯულად მოყრობოდნენ. მაღალი საზოგადოებისაგან მიუღებლის თუ საშუალო რეპუტაციის პოეტის ნეშტს მწერალთა კავშირში ნუ შემოასვენებთ, ხალხი არ მოვაო. კერძევაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ფსიქოლოგიური ტიპის ყველასაგან განსხვავებულობა. თავი მის დაცვას მიუძღვენიო, მაჩაბელზე მაინც მივიყვანეთ და ოსტრაკისმოსი სიცრუე გამოგდა.

იგი დავსაფლავეთ მორალური და სოციალური გახრწნის წლებში. დაკრძალეთ მაშინ, როდესაც ნაცარტუბად იქცა ყველაფერი, რის წინაშეც უწინ ქედს იხრდნენ. მინას მივაბარეთ მაშინ, საყოველთაო გულგატეხილობამ რომ მოიცვა საქართველო.

ფიცარი ფიცარს დაუახლოვდა, სადაც იყო დააფარებდნენ. უკანასკნელად გეზადვით კერძევაძის ნაკეთებს და უეცრად ამირან ასანიძემ ხელი შეჰყო — მეგობარს ყური აუწია.

საფილოსოფოსო დანართი როდის! სხეულის მოძრაობამ სული შეატოკა და თავიდანვე, რაც მაშინ ვიგზნე, ნათელი და გარკვეული



იყო ისევე, როგორც სადის იდეა უცხადესი.

საიდან მოდიან და საით მიდიან ისინი?! — ვუბასუბოთ ლუი არაგონს!

ბუნებრივად წარმოშობილი მკაცრად განსაზღვრულ დროსა და სივრცეში იმევენ. მათი გაჩენა სულაც არ გახლდათ აქციდენცია. ჩაიკვენეს სულიერად და მატერიალურად განფენილ არსთა-კარგად დაფუძნებულმა ფენონმენტებმა. იქნებ მცირედათ ნაკლოვანებმა — რა უშავდათ! იტირეთეს აზროვნება, გონების სუფერენობა, რაციონალიზმი. ზედროულ არსებობასთან ერთად ისაგზულეს სიყვარული, მერე რაა, თუკი უკანასკნელში გული გაუტყდათ.

უმაღლესი არ დამდაბლებულა, უმაღლესი არ ამალღებულა. არ იყო კიბური, რომლის დაბალ საფეხურს მაღალი მოსდევს. არამედ იყო არენა, სიბრტყე და არსნი სწორედ იმ არენაზე განლაგდნენ.

ღვთაების ჭვრეტის გვერდით, პოეტური მოწოდების პარალელურად მორჩობდა ინტუიცია, შორსმჭვრეტელობის სიზუსტე და გეომეტრიული ალღო. ლოგიკით იარეს მეტაფიზიკისკენ, მეტაფიზიკის საფუძველზე აშენეს ლოგიკა. პოეზია ფილოსოფიას დაეკონტაქტა, ფილოსოფია პოეზიას. მათმა აზრებმა ბევრი ააღლეს, ხოლო რეაქციამ აიძულათ თავიანთი ნამდვილი ფიქრები დაეშალათ.

იმევენ სხეებიც — პასიური ყოფით. სხვა სიბრტყეში, სხვა განასერში, ნამდვილი არსებობით, სამყაროს სარკეში ისინიც აირეკლენ.

ტრანსცენდენტალური რეალობის შვილთ იმ ემპირიკოსების ბნელი პერცეფციების აპერცეფცილება დაევალიათ. სცადეს ძელები შეემაგრებინათ მათთვის, ფრთები შეეხსორებინათ, თუმცა დასახულ მიზანს სიცოცხლის ნახებარზეც ვერ მიაღწიეს.

და სწორედ მაშინ გამოჩნდა პრობლემის გადანყვეტის უმჯობესი საშუალება — აღსასრული დააჩქარეს!

სხეულის მოძრაობამ სული შეატოკა და მე დავინახე მათი ფაქტიური კავშირი. ჰოდა, გაუნახულდი გრძობას, რომლის გამომწვევი მიზეზი ჩემთვის მიუწვდომელი დარჩა.

არამეული მოდემის სათავეებთან დანამომარჯვებული აბრაამ სისხლის დაღვრას აპირებს — ყულგაღადვრას განტეგების ვაცისა. იქნებ ის მსხვერპლი იმთავითვე არსებულ სამებათა რომელიმე ჰიპოსტასია, ხოლო თვით სამებაში — ერთი გაგარეგებისაა.

რაა ის სულიერი მდგომარეობა როცა კაცი ორს უზავდება, ხოლო მესამე გასადგენად უჩანს?!

ვინ ემსხვერპლენ კერპებს? ძვირი ხომ არ დაუჯდა წარმართობისდროინდელ პოეტთა ჯილბაგ თვალგამტერება?

სისხლი, ხორცი, მირონი — იტყვიან ჩვენში.

მნამს, მეიმედება, მიყვარს — ღალადებს ტყვედქმნილი პეტრეს სასოება.

გული, ბაგე, გონება — ახსენებს ზენაარს მუსლიმი.

სიბრძნე, ნება, სიყვარული.

სისრულე, სისწორე, სიღამაზე.

განუყოფელი, თანაარსი, ცხოველმყოფელი ...

რომელ მათგანშია ჩაბუდებული პოეტი პლერომა. რა ჰქვია ჰიპოსტასს თავიდან რომ იცილებს უპრაქტიკულესი ერის — არამეული რასის მამამთავარი?!

მუდამ ვენდობოდი ალღოს! ძველბერძნულად ἄχθω თევზია. სიტყვა წინაპარი იქნება სოტ-ის. ხმელთაშუა ზღვაში გაიზარდა და აზიის ნაპირებთან მიცურდა შავლაპლაპა კანზე ზედწერილ, წყლიდან ამოზიდული კონცეფციებით. მიწა იცდის, ეშვადება, თავს იყრიან პლერიმები.


ცხენთა რემა კი არა, ალბათ ძესამა ესეც ძველბერძნული სიტყვა გახლავთ და მდინარებას ნიშნავს. დინებისთვის თვალგამდგენები პელონიის მხარისკენ, თესალიის ტყეებში სიბრძნით სხივმოსილ ქაროსს ვიხილავთ. უკვე ვხედავ, როგორ ეშვადება იგი აჩრდილთა სამეფოდან გამოსასვლელად ცხენოსნობის, მშვილდოსნობის, მუსიკისა და სამართლიანობის მასწავლებელი, რომ კვლავ დაუკრას ოქროს ქნარზე და უმღერს პირველქმნილ ქაოსს.

მიზანმიმართულ ნაკადს ჩვენი მეგობრის პლერომაც შეერწყა — მონადა პასუხისმგებლობით სავე ორანისა, განუყოფელის და ერთადერთისა. პრობლემები, — ალბათ, აღარ ექნება. ...

გიგი კემულავა მეგობრის ქელებში არ შემოვიდა, სასტუმრო „ივერიის“ შესასვლელთან დამემშვიდობა და წავიდა.

გულით მიწოდდა საფლავში წოლის პირველ ღამეს მეუბიზლა ელდარისთვის ჩემი ოთახის დამწუხრებულ გარემოში, მაგრამ სწორედ იმ ღამით, მაინცდამაინც იმ ღამით, ტყვიასავით დამძიმდა, უსაშველოდ დამძიმდა ქუთუთოები.

ადიშვილ მალალაშვილი



ნათესა  
ურყმანი

## ხსოვნის სახეში

ადიშვილ მალალაშვილი

ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ამიტომ შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან ვიცნობდი, არც სკოლის დამთავრების შემდეგ დაგვიკარგავს ერთმანეთი. ვიცოდი, რომ ძალიან უყვარდა თეატრი, მაგრამ უმადლესი განათლებისათვის რატომღაც პოლიტექნიკური ინსტიტუტი აირჩია.

მოულოდნელად კინოში აღმოჩნდა, არა საკუთარი სურვილით — რეჟისორ დავით რონდელს სადღაც შეუნიშნავს და სინჯზე დაუბარებია. წასულა. რატომ? აჰი, სარკინიგზო ფაქულტეტიო?

სინჯის შედეგად ფილმში არ დაუკავებიათ, მაგრამ კინოსტუდიასთან არსებულ სამსახიობო სკოლაში ჩაირიცხა. ჯერ კიდევ ამ სასწავლებლის მოსწავლე, ნ. პიპინაშვილმა გადაიღო „აკაკის აკვანში“. შემდეგ ვ. ტაბლიაშვილმა „ქეთო და კოტეში“ მოქეიფე სტუდენტის როლში

და იმავე ვ. ტაბლიაშვილმა შინწია უკვე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შერკუცის როლზე შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“. ასე შედგა მისი თეატრალური დებიუტი — ტექნიკური ინსტიტუტიდან კინოსკოლისა და კინოროლებში გავლით დრამატული თეატრი 1948 წელს.

ძალიან მდიდარი იყო იმ დროის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა საოცარი შემადგენლობა: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, შალვა ლამბაძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულძიძე ... მათი პარტნიორობა უკვე იყო თავისებური სამსახიობო სკოლა. რეჟისორები? — არჩილ ჩხარტიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე და მისი აღმოჩენი ვახტანგ ტაბლიაშვილი!

ასეთ გუნდში ქმნიდა ახალგაზრდა ედიშერ მალალაშვილი თავის პირველ სცენურ სახეებს. ესენი იყვნენ: აკმია ხუცურაული (შიხ. მრევლიშვილის „ხარატანთ კერა“, დადგმა ა. ჩხარტიშვილის), შალვა კარსანიძე (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, დადგმა ლ. იოსელიანის), ლეთისო (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, დადგმა ა. ჩხარტიშვილის), ბახუტა (უ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“, დადგმა ვ. ტაბლიაშვილის), დირექტორი (ა. კასონას „ხეები ზოზეურად კედებიან“, დადგმა ვ. ანჯაფარიძისა და თ. კანდინაშვილის), იაზონი (ევროპიდეს „მედეა“, დადგმა ა. ჩხარტიშვილის) და სხვ ...

არც ადრე, არც შემდგომ განხილვებზე, კონფერენციებზე, იუბილევებსა და სხვა ხალხმრავალ შეკრებებზე საჯარო გამოსვლა არ სჩვეოდა, თუმცა სიტყვას ფლობდა და მისდამი განსაკუთრებული დამოკიდებულებაც ჰქონდა. იმდენად, რომ ეს საჯანგებოდ აღნიშნა მისმა კოლეგამ და პარტნიორმა, ქალბატონმა ზინა კვერენჩილაძემ თავის მილოცვაში, მაშინაც კი, როდესაც ედიშერ მალალაშვილს 75 წელი შეუსრულდა:

„... სულით ხორცამდე ქართველი ხარ და შემადრწუნებლად განიცდი შენი სამშობლოს ტყვეობს, სამშობლო კი დედაენის გარეშე არ არსებობს. ადამიანებს არაფერი არა აქვთ სიტყვაზე უფრო პატიოსანი და გასაფრთხილებელი. იმდენად ძვირფასია სიტყვა, რომ მისით, სიტყვის წარმოთქმითა და მაღლის მიძღვნით, ჩვენ შეგვიძლია ღმერთს მივაგოთ პატივი. და თუ მშობლიური ენა დაკნინდა, ქართული სიტყვა გაუფასურდა, ქართული ბგერა შეირყვნა, მაშინ ერს შესაძლო განადგურება ემუქრება.“

მე მჯერა, რომ თავად დახეილით, უზადო მეტყველების პატრონი, ლეთით მოზადლებული შენი ხავერდოვანი ხმითა და შეუპოვრობით კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევ, — ჩვენი საამური ქართული სიტყვის მიხერა-მოხერას, სიმადრეს ქართული სიტყვიერებისა და უნიკალური ქართული ხმოვანი ბგერების ხმინობას,

მის მელოდორობას, — მელოდორობას. ამიტომაც სულზე ბორკილად ნუ დაიდებ ასაკს, ჩემო კარგო. ნელთა სიმრავლედ გერადფერი დააკლო შენს იმ მარადიულ ღირსებას, ადამიანობა რომ ჰქვია და რომელიც ყველაზე დიდად ფასობს" ( გაზ. „ქართული თეატრის დღე“. 2000 წ. 14 იანვარი).

**გულახდილობით ადრე არ გამოირჩეოდა, სიტყვაფერიც იყო, მაგრამ თანდათან, მასთან შეხვედრის მოსურნე ჟურნალისტების სისშირემ, ალბათ ასაკმაც და პოპულარობამაც, აალაპარაკა, თანაც როგორც მისთვის იყო დამახასიათებელი, — გულწრფელად. ორი ნიმუში:**

**გაზ. „დრონი“ 2000 წლის 26 თებერვალი. ესაუბრება ნანა ჯოხარაძე.** „... მე ხშირად მომდის ახალი შეცდომა — წინასწარ ვერ ვხეივ, ვერ ვანგარიშობ, რა არის საჭირო, რა ვფიქრო, რას ეყოლება მაყურებელი, რას — არა ... ერთი სიტყვით, პროგნოზები ჩემი საქმე არ არის ...“

**გაზ. „ჯორჯიან ტაიმი“ 2004 წლის 21-28 ოქტომბერი. ესაუბრება ირმა ვარსიმაშვილი.**

**ირმა — რა არის ცხოვრება?**

**ედიშერი —** გულახდილად გეტყვით, არასოდეს მიფიქრია ამ საკითხზე... ცხოვრება, ალბათ, დიდი სიხარული და ამავე დროს, ძალიან დიდი სევდაცაა ... ორივე ერთმანეთშია შერწყმული. ცხოვრება დიდი გამოცდაა ადამიანისთვის. სიცოცხლე თვითონ გასწავლის ცხოვრებას, ყოველ დღეს ახალი მოვლენა ხდება და ან წინ ნახვალ, ან უკან დაიხვე ...

**ირმა — ეს რაზეა დამოკიდებული?**

**ედიშერი —** მგონია, რომ პიროვნებაზე. ცხოვრება სკოლაა: ყოველდღე ახალი გაკვეთილი გიტარდება და შენ ვალდებული ხარ ჩააბარო გამოცდა უფალს ... კონკრეტულად თეორემას ვერ ჩამოვყავალიძებ ...

**რამდენი რამ შეიძლება შეიტყო პიროვნების შესახებ, თუ მასთან მოსაუბრე ჟურნალისტის შეკითხვებია დროული და საინტერესო!**

**თავშეკავებული კაცი იყო ედიშერ მალაღაშვილი, მაგრამ რასაც ფარავდა, იმდენად მტკივნეული იყო, რომ მაინც ძალუმაღ ამოხეთქავდა ხოლმე. სწორედ ამგვარი შემთხვევის შესახებ წამიკითხავს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს ნერილში:**

„... სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მშვენიერ სააქტო დარბაზში კინემატოგრაფისტების მიერ შექმნილ „ჰამლეტს“, ე. ი. ლორენს ოლივიეს ჰამლეტს აჩვენებდნენ. ფილმი ინკლუსურ ენაზე მიდიოდა და პირველი ნუთებიდანვე ახმურდენ ვასართობად მოსული ახალგაზრდები. თითქმის შეუძლებელი გახდა ფილმის ჩვენება. უცებ ... გაჩუმდით! — აღმოჩენილი კაცის მჭექაერ ხმა გაისმა უკანა რიგებიდან. ყველამ იმ კაცისკენ იბრუნა პირი — შეწუხებული მაყურებლის სახითა და სახელით იდგა ედიშერ მალაღაშვილი, ერთადერთი ადამიანი ხალხით გაჭედული დარბაზიდან, რომელმაც ხმახალდა თქვა სათქმელი! ( გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1999 წ. 12-19 თებერვალი)



**ჯონ პროქტორი — „სელიემის პროცესი“ გურამ საღარაძე, ედიშერ მალაღაშვილი**

მეორე შემთხვევას თვითონ ეცხვრებოდი ეროსის დაკრძალვის დღეს 1982 წლის 31 იანვარს. შემდეგ ეს ფაქტი მ. თუმანიშვილმა გაიხსენა ეროსისადმი მიძღვნილ კრებულში:

„... სამგლოვიარო მლოდიები, „ავე მარია“ ... რიტორი უკრავს შოპენს... შემდეგ, სიტყვებში, სიტყვებით ... ბოლოს ედიშერ მალაღაშვილმა ილაპარაკა. ყოველ სიტყვას გულთან იღვრედა, სულიდან, გონებიდან იღვრედა. სიტყვის ბოლოს გაბედა გარშემო მყოფთათვის თხოვა, უკანასკნელად მშობლიური თეატრის სცენიდან ეროსი ტაშით გაეცილებინათ და ხალხიც აჰყვა — გულამოსკნით ქვითინებდა და ტაშს უკრავდა მთელი სცენა, მთელი პარტოტი, იარუსები, და ტრანსლაციით ეს ტაში გადავიდა ქუჩაშიც, პრესაზეც — მთელი ქალაქი უკრავდა ტაშს ჩვეის ძვირფას მეგობარს“ ( კრებ. ეროსი მანჯავალაძე. საქართველოს თეატრალური საზოგადოება. თბ. 1985. გვ. 81)

ეს მოხდა 1982 წელს. მანამდე კი, როდესაც ედიშერ მალაღაშვილი ჯერ მარჯანიშვილის თეატრშია და მისი შემოქმედებითი ცხოვრება ნამდვილად აღმავალი წარმართებით მიმდინარეობს, 1964 წელს ის ტოვებს მარჯანიშვილის თეატრს და მიდის რუსთაველის თეატრში. ძალიან მოულოდნელი იყო ეს ყველასთვის. მიზეზის ახსნას თავს არიდებდა ნლევის განმელობაში. მხოლოდ 2005 წლის თებერვალში განაწილა გაზ. „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს ლელა ჯიყაშვილს:

„... შემომჩინდნენ რუსთაველის თეატრის ბიჭები — ეროსი, გოგი, ბადრი, რამაზი. მარჯანიშვილის თეატრში კი წყალი ამოვლო — გვიამ ახალგაზრდები წაიყვანა და რუსთაველ შექმნა თეატრი ... თანაც დიდი სურვილი მქონდა მემუშავა მ. თუმანიშვილთან. რამდენჯერმე მოვიწვიეთ მარჯანიშვილში. ვერ მოვიდა. კარგი ქვენი, რომ რუსთაველში მოვედი. მ. თუმანიშვილთან 7 წელი ვიმუშავე, მსაქმეკაცი ვითამაშე. იმათგან მხოლოდ ერთი როლი იყო ეპიზოდური, დანარჩენი, ყველა მთავარი.

რუსთაველის თეატრის სცენაზე გასვლა გა-

მიჭირდა. ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, იქნებ საერთოდ გავიპარო აქედან- მეთუი ... »

არ გაბარულა. განასხივრა: კიკვიცი ე. დარასელის „კიკვიციში“ (დადგმა მ. თუმანიშვილის. 1964 წ.), ჯონ პროტორი ა. მილერის „სელიემის პროცესში“ (დადგმა რ. სტურუასი. 1965 წ.), კრეონი ჟ. ანუის „ანტიგონეში“ (დადგმა მ. თუმანიშვილის. 1968 წ.), თეზევი ჟ. რასინის „ფედრაში“ (დადგმა მ. თუმანიშვილის. 1969 წ.), ევგენიძე ა. ჩხაიძის „ბიდიში“ (დადგმა მ. თუმანიშვილის. 1970 წ.), ანტონიოსი „ოულიუს კეისარში“ (დადგმა მ. თუმანიშვილის. 1973 წ.) და სხვ.

ძალიან მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი, მაღალი მხატვრული დონის სცენური ქმნილებანი, უპირატესად მ. თუმანიშვილის დადგებები — მასთან მუშაობის სურვილიც აუსრულდა! რამდენაირად მომართულა მისი პიროვნება იმისთვის, რომ საკუთარ შესაძლებლობათა მომარტებით, ადამიანურ თვისებათა ამდენი და თანაც ესოდენ განსხვავებული „კომბინაცია“ შეექმნა. ისინი იმდენად განსხვავებული იყვნენ ერთმანეთისგან ასაკითაც, ეროვნებითაც საზოგადოებრივი მდგომარეობითაც, ცხოვრებისეულ მრწამსითაც და პიროვნული თვისებებითაც, რომ სრული უფლება გვაქვს მივიჩნიოთ — ედვიურ მაღალაშვილი ვარდასახვის ოსტატი იყო.

ჩემთვის მათ შორის ორი მაინც განსაკუთრებით საინტერესო იყო — ჯონ პროტორი ა. მილერის „სელიემის პროცესში“ და ანტონიოსი შექსპირის „ოულიუს კეისარში“.

თბილისში მყოფმა ა. მილერმა აღიარა, რომ ქართული თეატრი მის პიესაში ჩანდა ისეთ სიღრმეებს, რომლებიც მისთვისაც კი მხოლოდნელი აღმოჩნდა. ასეთი სპექტაკლის უმნიშვნელოვანესი მოქმედი პირი იყო ჯონ პროტორი, რომელსაც ედვიურ მაღალაშვილი განასახიერებდა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეკუთვნის პიესასაც და მსახიობსაც.

ა. მილერის პიესა „სელიემის პროცესი“ დაწერილია იმის შესახებ, თუ როგორ თრგუნავს მაღალი ზნის ადამიანებს ბრმა რწმენა და რასაშიწეული ძალაუფლება, რომელიც უგუნურთა ხელშია, რასაშიწეულია დიქტატურა. ამ თემაზე დაწერილ პიესებს მაშინ ყველა ერიდებოდა. რუსთაველის თეატრში კი, მ. თუმანიშვილის აღზრდილმა ახალგაზრდა რეჟისორმა რობერტ სტურუამ გაბედა მისი დადგმა, თანაც მას შემდეგ, რაც თეატრს „ჭიჭირაქას“ დადგმის გამო 1963 წელს უკვე ჰქონდა ნაყენებული პოლიტიკური ბრალდება ზოგადი კრიტიკოსისგან.

... სპექტაკლი მთავრდებოდა ა. მილერის პიესის ვრცელი რემარკით. იგი გურამ სალარაძემ ჩანერა მავნიტურ ფირზე და სცენის მიღმედან მოისმოდა, ვითარცა ხმა ნარსულიდან. გვაუწყებდნენ რით დასრულდა მოქმედ პირთა ცხოვრება მას შემდეგ, რაც შეწყდა სცენაზე. მთხრობელის უკანასკნელი სიტყვები იყო: „დიქტატურა მასაჩუსეტსში მაინც შერყვა“ — და ნელ-ნელა უმეტიოდა რკინის ფარდა.

იმ დროს ადამიანებმა კარგად იცინარს ნიშნავდა მაშინ იმის თქმა, რომ დიქტატურა შეიძლება შერიყეს ( თუნდაც მასაჩუსეტსში) თანაც მიიმედ მორბავი რკინის ფარდის ფონზე.

დარბანი გაირინდა. მე უკანა რიგში იჯექი და ვხვდებოდი დამსწრეთა ზურგებს. ამდენი მეტყველი ზურგი ერთად არასდროს შენახა. ყველა დღეში — იცოდნენ, რომ ამ სპექტაკლს არა ერთი ადამიანის ბედი შეეძლო გადაწყვიტა ...

სწორედ იმ დროს, როდესაც სიწუმე აუტანელი ვახდა, ნინა რიგში, კრილოსნით ხელში მწვიდად მჯდომი ირაკლი აბაშიძე დარბაზისკენ შემობრუნდა და დამსწრეთ მიულოცა: „ადინაბა შესანიშნავი ანტიფაშისტური სპექტაკლი...“ დარბაზმა შევებით ამოისუნთქა ...

რა მოიბოქმედა ირაკლი აბაშიძემ ამ ერთი ფრაზით? პირველი ყოვლისა, როგორც მოქალაქემ, მხარი დაუჭირა იმას, რისთვისაც დაწერა ეს პიესა ა. მილერმა და რისთვისაც აირჩია იგი დასაბეჭდელად რუსთაველის თეატრმა. გვერდით დადგდა ქართულ თეატრს მაშინ, როდესაც მას ძალიან უჭირდა. ვადაარჩინა ახალგაზრდა შემოქმედის დიდებული მხატვრული ქმნილება, სპექტაკლი, რომლის გარემუც არც რ. სტურუას და არც იმ დროის ქართული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების წარმოდგენა არ შეიძლება. მისი მხატვრული დონე დიდად განაპირობა ედვიურ მაღალაშვილის მიერ შექმნილი ჯონ პროტორის მხატვრულმა სახემ.

სულ სხვანაირი იყო მის მიერ შექმნილი სახე ანტონიოსისა შექსპირის ტრაგედიამ „ოულიუს კეისარში“. სულ სხვანაირი შემოქმედებითი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტასაც სთავაზობდა მ. თუმანიშვილი მის ახალ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს.

ამჯერად ოსტატი რეჟისორი თავის სათქმელს, უპირატესად, სცენურ სივრცეში განლაგებულ და ამოძრავებულ მოქმედ პირთა სხეულებს საშუალებით გამოზატავდა. იმის მიხედვით, თუ რამდენი მოქმედი პირია ამ დროს სცენაზე და რა არის სათქმელი ამ ეპიზოდით, „ოულიუს კეისარისთვის“ უამრავი სახის მიზანსცენა იყო შეთხზული, მათ შორის ისეთი რეჟისორიერიც, როგორიცაა ადამიანის მიერ ვადადგმული ერთი ნაბიჯი, მაგრამ ვისი? როდის გადადგმული? სად? რაწაირად? — მას შემდეგ, რაც კეისარი მოკლეს სენატში და ანტონიოსისათვის ნათელი გახდა რას ნიშნავს ეს, იგი ტოვებს სენატის დარბაზს. გასასვლელისკენ მიმავალს, წინ დახვდა იატაკზე პირქვე გართხმული კალპურნია, კეისარის მეუღლე. არ დაუხვდავს ანტონიოსს, ნუთითაც არ შეყოვნებულა — გადაბაიჯა კალპურნიას და გზა განავრდო.

ეს ჩაიდინა კეთილშობილმა ანტონიოსმა, კეისარის უახლოესმა, უსაყვარლესმა მეგობარმა, სულ ცოტა ხნის წინ რომ მასთან სახლში სიატტილობდა! თუმცა რა — კეისარი თუ აღარ არის, ვიღაა მისთვის კალპურნია? რამი სჭირდება? ეს ყველაფერი ნაშში გამოავლინა ერთმა ნაბიჯმა, რომელიც უმადურობისა და შემზარა-

ვი ცინიზმის მხატვრულ სახედ იქცა. ერთი ნაბიჯიც შეიძლება იყოს თურმე სახეობრივ მეტყველო, თუ სცენის ხელოვანმა თავის სათქმელი ჩააქსოვა და ამისთვის ყველაფერი, რაც იმ წუთის სცენაზეა, ამ სათქმელს დაუყენა სამსახურად.

ამოცანა ურთულესი იყო — ხალხმრავლობა, მასობრივი ემიზონდები, ხალხისა და პოლიტიკანების ურთიერთობათა წარმართვა ლოზუნგებითა და სიტყვიერი მონოდებებით — და ასეთ სპექტაკლში ანტიონოუსის განმასახიერებელი მსახიობის ერთი ნაბიჯი! რამდენი უნდა ჩადოს მსახიობმა ფეხის ერთ გადადგმაში, რომ ის მხატვრული სახის მნიშვნელობისა აღმოინდეს!

დიდი შინაგანი ძალა, სულიერი სიმტკიცე და ნებისყოფა ედიშერ მაღალაშვილის პიროვნული თვისებები იყო. მათი სხვადასხვანაირი შენაერთი გამოსჭვივდა ყველა მის ქმნილებაში, დადებითოც და უარყოფითოც. ისე კი, ვანა არსებობს მხოლოდ დადებითი ან მხოლოდ უარყოფითი ადამიანი? არ ვიცით, რომ ნებისმიერ ადამიანში ჩაზუღდებულ ნათელ — ჩრდილთა შორის, რომელიღაც მაინც ჭარბობს და ჩვეუც ვამბობთ — ეს კარგი ადამიანია (გარკვეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად), ეს კი — ცუდი (გარკვეულ ღირსებათა მიუხედავად).

ედიშერ მაღალაშვილს ამნაირივე განუსახიერებია და იმნაირიც. ერთ დროს ე. წ. უარყოფითთა რაოდენობა იმდენად მომრავალდა (განსაკუთრებით კინოში), რომ ხშირად უკითხავთ ჩემთვის — ეს თქვენი სკოლის მეგობარი ასეთი ცუდი ადამიანია, რომ სულ უარყოფითი ადამიანების როლებს აკისრებინებენ? საჭირო ხდებოდა იმის ახსნა, რომ ასეთ ადამიანთა განსახიერებაც დადებითის დამკვიდრების საშუალებაა.

რას ხედავდა ედიშერი სხვა ადამიანში და როგორ ყალიბდებოდა მისი შეხედულება სიტყვებში, ამას საუბრებით ნათელყოფს მისი წერილი ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ეს წერილი გამორქვევებულია იმ კრებულში, რომელიც გამოცა 1985 წელს, ეროსის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ. მცირე ამონარიდს ვთავაზობთ მკითხველს ამ წერილიდან, რადგან ბევრის მოქმელია იგი მისი დამწერის შესახებ.

**მოქალაქე აკროფსიონალი**

«... არ დამაინყვებდა პირველი დღე რუსთაველის თეატრში. როგორ შემხედნენ ყველანი, ჩემი მეგობრებიც, სხვებაც. განსაკუთრებით თბილად კი გოგი და ეროსი. გოგი უფრო აქტიურად, ენერგიულად, ეროსი უფრო მორიდებით, მაგრამ დიდი ყურადღებითა და სიყვარულით.

სულ რამდენიმე სპექტაკლში ვიმონაწილეობდი ერთად, მაგრამ იქაც, სამწუხაროდ, როგორც პარტნიორები ერთმანეთს თითქმის არ-სად შეხებენდივართ. მხოლოდ სამ სპექტაკლში — „ხიდი“, „იულიუს კეისარი“ და „დაბრუნება“ — ისიც სულ 2-3 წუთით, თითო-ორი რეპლი-

კით. ამიტომ ერთობლივ მუშაობაზე ბევრი სათქმელი არაფერი მაქვს, ჩვენ უფრო ადამიანური ურთიერთობები გვაკავშირებდა და საერთო მონიცია ყველაფერში, რაც თვატვის ეხებოდა. მაგრამ ზოგი რამ მაინც მაქვს მოსასურარი.

ერთ-ერთ სპექტაკლზე მუშაობის დროს ჩემი თაობის თითქმის ყველა მსახიობი ვიყავით დაკავებული. მართალია, მე და ეროსის ერთად სცენები არ გვქონია, მაგრამ რეპეტიციებზე ისიც ყოველთვის იყო. და აი, ერთ რეპეტიციასზე მოხდა ჩემთვის არასასიამოვნო რამ, იმ დღეს რეპეტიცია საკმაოდ ცუდად მიდიოდა. ერთი მეორეც მოჰყვა ძალზე სუსტად გავლილი რამდენიმე სენა. ბოლოს ჩემი ვჯრივ დადგა. ალბათ, მეც ვერ ვმუშაობდი ისე, როგორც საჭირო იყო და რეჟისორსაც, სხვა დროს ყოველთვის ძალზე ზრდილობიანს და ტაქტიანს, როგორც ჩანს, მოთმინებამ უღალატა, მომდგა და მისასთან გამასწორა. მითხრა ის, რაც არც მანამდე, არც შემდეგ ჩემთვის არ უკადრებია. დარბაზში ყველა სულგანაბელი იჯდა, უხერხულობისგან ყველას თავი ჩაეღუნა. ყველაზე მეტად კი ეს ეროსის ემწეოდა. იმდენად, რომ რეპეტიციის შემდეგ როდესაც ოთახში ჩავედი გადასაცმელად — არ შემოვიდა (ჩვენ საერთოდ ერთ ოთახში ვიცვამდით), სადღაც დაიშალა. თავი მომარია და მხოლოდ მაშინ გამოვიდა, როცა მე თეატრიდან წავედი. შემდეგაც რამდენიმე დღე დარცხენილი მხვდებოდა; ცდილობდა შორს დაეტოვრა თავი ჩემგან.

დიდი ტლანტი და დიდი სიმართლე განსახლვრავდა ეროსის არტისტულ ბუნებას. საოცარი კონტაქტი ჰქონდა ყოველთვის მაყურებელთან. გამომწებდებოდა სცენაზე და ვიდრე ხმას ამოიღებდა, მაყურებელი უკვე მისი იყო.

არსებობენ დიდი შემოქმედნი, მაგრამ მათ შორის დიდი მოქალაქეები ცოტანი არიან. ეროსი სწორედ ის გამონაკლისი იყო, რომელიც საოცრად იყო შერწყმული ნიჭიერება და მოქალაქეობრიობა. როცა ეროსის უკანასკნელ გზაზე ვაცილებდით, ვიღაც უცნობისგან გავიგონე — დღეს ასეთი ამბავი იმიტომ კი არ არის, რომ ეროსი დიდი არტისტი იყო, ის დიდი მოქალაქეც იყო. მართლაც, დიდი მოქალაქე და შესანიშნავი მეგობარი იყო. როგორ უხაროდა ამხანაგის წარმატება ... როგორი სიამოვნებით უუბნებოდა კეთილ სიტყვას ...

ერთი საოცარი თვისება ჰქონდა — ცხოვრების მშრალ ყოველდღიურობას დიდი სიმართლეთა და არტისტიზმით აღამალლებდა ხოლმე, სიღამაზეს აძლევდა, თეატრალურობას ...

... ადამიანები ცხოვრებაში ხშირად ვუშვებთ ხოლმე შეცდომებს ... მერე ვფიქრობთ ... ვაანალიზებთ ... მას შემდეგ, რაც ეროსი ჩვენთან აღარ არის, როცა მე შეცდომას დავეშვებ, ვფიქრობ ხოლმე — როგორ მოიტყუოდა ამ სიტუაციაში ეროსი, რას იზამდა. იმიტომ კი არა, რომ ვაიდვალებ მას და მეგონია, რომ ეროსის არ ჰქონდა შეცდომები. არა, მაგრამ მისი შეცდომები, ალბათ, მინიმალური იყო და ძალიან ადა-

მიანური. მისი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ასე მგონია, თვითონ მოიკლა ძალით თავი — არავინ შეაწუხა თავისი ავადმყოფობით, არავინ დატეროდა ზედმეტად და ამიტომაც ვერ მოუარა თავს ისე, როგორც საჭირო იყო.

პირველ ხანებში განსაკუთრებით ძნელი იყო შეგუება ეროსის სიკვდილთან. ლამე, მარტო რომ ვრჩებოდი ხოლმე, ჩემსათვის, ჩემს ფიქრებთან, ველაპარაკებოდი ... ვეკამათებოდი ...

დრო გავიდა ... ტკივილი თითქოს მიყუჩდა ... მაგრამ ახლა მგონია, უფრო ძველიც კია უეროსობა. უფრო დიდია დაბნალობის გრძნობა — ვერ გავუგებ, ვერ მოვუარებ, ვერ ვუერთვარ. ვერ ვიპოვებ, როგორც თვითონ იცოდა და როგორ ერთგულდებასაც ყველასგან იმსახურებდა". (დასახელებული კრებულის გვ. 169-172).

რამდენს გვაუსწყებს ეს ნერილი — მოგონება არა მარტო ეროსის შესახებ, არამედ სხვათა შესახებაც. რაც მთავარია — დამწერის შესახებ, — როგორ პიროვნებად ჩანს ედიშერ მაღალაშვილი!

ასეთივე ბევრის მთქმელია 2000 წლის 26 თებერვალს გახ. „დროის“ კორესპონდენტ ნანა ჯობარიძისადმი მიძღვნილი მისი ინტერვიუ სათაურით „შე არ ვთამაშობ ჯინს“. ამონარიდი ამ ინტერვიუ — საუბრიდანაც:

... ამ რამდენიმე წლის წინ ერთმა ახალგაზრდა რეჟისორმა მოისურვა სპექტაკლზე ჩემთან და ზინა კვერცხილიაძესთან ერთად დემოშავი. პიესაც მოიტანა. ნავეკითხე. მიინტერესებდა არ მომწონდა — იყო მხოლოდ დიალოგები და მოქმედება არ ვითარდებოდა. შევედი რობერტ სტურუაძესთან და ვუთხარი: ძალიან მინდა ვიშუშო, მაგრამ პიესა რაღაც არ მომწონს, არ ვიცი, რა ექნა-მეთქი. არც ნაუკითხავს, მითხრა: მე მოცემით პიესას, ხვალ რომ მოხვალთ, აქ დაგზავნებია, ის დადგათო. მეორე დღეც პიესა მართლა დამხვდა თეატრში. ამ სპექტაკლში ნანახი მყავდა ვიღაცეები, მაგრამ ვულახდილად გითხრათ, არ მომწონდა. ნავეკითხე პიესა. ვიფიქრე, არც ეს არის ჩემი როლი-მეთქი. მინდოდა ისევ შეესულიყავი რობიკოსთან. მეთქვა, იქნებ სხვა რამე მოფიქრნოთ-მეთქი, მაგრამ მითხრეს — სტურუა ორი თვით უცხოეთში წაეიდაო. დაგერჩი ასე — ე. ი. უნდა ვითამაშო, სხვა გზა არა მაქვს.

ნავეკითხე ჩემს მეუღლეს, გაადიდა, ისე მოეკონა. ზინაც აღფრთოვანებული იყო. სპექტაკლი ისე დაიდგა, სულ უკმაყოფილო ვიყავი. თან ვმუშობდი, თან რაღაც შინაგან წინააღმდეგობებს ვგრძნობდი, საბოლოოდ ისეთი კარგი შედეგი მივიღეთ ... ეს არის სპექტაკლი „ვთამაშობთ ჯინს“. მოქმედება ხდება ამერიკაში, სათიურების სახლში. ორი საათის განმავლობაში სცენაზე ვართ მხოლოდ მე და ზინა და ვთამაშობთ კარტს. მე მას ვასწავლი თამაშ და ის სულ მიგებს. საიმოვნებით ვთამაშობდი ... სხვათა შორის, მე ხშირად მომდის ასეთი შეცდომა — წინასწარ ვერ ვითვლი, ვერ ვანგარიშობ, რა არის საჭირო, საჩვენო, რას იყოლება მაყურებე-

ლი, რას — არა ... ერთი სიტყვით, პროგნოზები ჩემი საქმე არ არის.

მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა განთქმული განთქმული სპექტაკლი „ჩემი ზუნე-ურად კვდებოდა“. მთავარ როლებს ვასრულებდი ვერიკო, მედია ჯაფარიძე, ალექსანდრე და მე. პიესა რომ წავიკითხე, ძალიან მომწონდა, ვფიქრობდი: კარგია, მაგრამ წესით ჩემი მაყურებელი იღლის ამაზე? (ერთი, რა ხდებოდა? წყევტა იყო. ექვს თვე შვიდ წელიწადს იდგმებოდა და ბილეთს ვერ იშოვნინდა).

ნანა ჯობარიძე — თქვენი ყველაზე დიდი თეატრალური შთაბეჭდილება —

ედიშერ მაღალაშვილი — „ჩემი პირველი როლი იყო მერკური „რომეო და ჯულიეტაში“... წარმატება მხვდა და გაყურებული ვიყავი. ერთ დღეც ჩემი სპექტაკლის შემდეგ რუსთაველის თეატრში მოვედი და ენახე „ყაზაღების“ გენერალური რეპეტიცია. აკაკი ვასაძის ნიჭიერებამ და არტისტობამ გაბოჟნა, აქედან სახლში მივდიოდი და მთელი გზა ვფიქრობდი: ამის შემდეგ ღირს კი ჩემი მსახიობობა?“

ამის შემდეგ ედიშერ მაღალაშვილი კორესპონდენტს გახანობს იმას, რაზედაც უოცნებია და სხვაგან და სხვასთან არ გაუშვია. და რადგან ის, რაზედაც ადამიანი ოცნებობს მუდამ ახასიათებს მას, ამ სტრუქტურასაც მოვიყვანო:

„ორი წლის წინ მომიტანეს არაჩვეულებრივი ლიტერატურული მასალა — გრიგოლ რობაქიძის სასიყვარულო წერილები სრულიად ახალგაზრდა დიდგვაროვანი ავსტრიელი ქალისადმი. ცოლად შერთვასაც აპირებდა თურმე, მაგრამ ჯვრისწერამდე სამი დღით ადრე გრიგოლი გარდაიცვალა. ჯერჯერობით ვერ ვნახებ დრამატურგი, რომელიც ამ წერილებს პიესად აქცევდა. რომ ნახოთ, რა წერილებია ... გაგიყვებთ ... ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს გრიგოლ რობაქიძის წერილები საყვარელი ქალისადმი, მაგრამ დრამატურგია არ არის...“

თურმე რას განიცდის შუახანს განსივრცელებული მსახიობი, რომელსაც ამქვეყნობის სიცოცხლის მხოლოდ რამდენიმე წელი აქვს წინ! თურმე რანაირი ადამიანის განცდათა განსახიერებაზე ოცნებობდა! გაგიყვებოდა ის საიდუმლო და რაღაც სხვა შუქით განათდა ჩემთვის მისი პიროვნება...

ხელოვნების ყოველი სახეობა შემოქმედებით პრობლემათა საკუთარ ჯგუფს მოიცავს. მსახიობის შემოქმედებაში ერთ-ერთი ასეთია დულბირობა, ანუ ერთ როლზე ერთზე მეტი (ჩვეულებრივ, ორი) მსახიობის დაკავება. ამ შემთხვევაზეც არაერთი ვარიანტია, ერთი — როცა როლზე თავიდანვე ორი მსახიობია დანიშნული და სპექტაკლის მომზადებისათვის განკუთვნილი დრო მათ შორის თანაბრად ნაწილდება. სულ სხვაა, როდესაც მეორე მსახიობი (დულბირობი) სპექტაკლში ჩაერთვება მაშინ, როდესაც ერთობლივი სარეპეტიციო მუშაობა პარტნიორებთან ერთად დასრულებულია. სპექტაკლი მოქმედ რეპერტუარშია ჩართული და

უეცრად, რაიმე მოულოდნელი მიზეზის გამო პირველი შემსრულებელი ვერ მონაწილეობს. იმისთვის, რომ, თეატრში სპექტაკლი შეინარჩუნოს, აუცილებელია პირველი შემსრულებლის დუბლიორით შეცვლა.

სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა რუსთაველის თეატრში, როდესაც სერგო ზაქარიადის მოულოდნელმა ვარდაცვალებამ შეწყვიტა არსებობა ისეთი უბრწყინვალესი სპექტაკლისა, როგორც იყო ჟ. ანუის „ანტიგონე“.

მართალია, როლების განაწილებაში იმთავითვე იყო მითითებული კრეონის როლის ორი განმასახიერებელი — სერგო ზაქარიადე და ედიშერ მაღალაშვილი, მაგრამ მოხდა ისე, რომ რეპეტიციებსაც მხოლოდ სერგო ზაქარიადე გადიოდა და მზა სპექტაკლშიც ის თამაშობდა ბრწყინვალედ. 1971 წელს მოულოდნელად შეწყდა მსახიობისა და მასთან ერთად სპექტაკლის სიცოცხლეც.

ერთი წლის შემდეგ სპექტაკლს სიცოცხლე დაუბრუნა ედიშერ მაღალაშვილმა. მ. თუმანიშვილი ორი თვე მუშაობდა მასთან. პარტნიორებიც. დუბლიორმა დირიჟორად გაართვა თავი ურთულეს თეატრალურ პრობლემას და „ანტიგონე“ სიცოცხლე გაუხანგრძლივა საკუთარი კრებით. ეს პირველსავე წარმოდგენაზე ხათელი იყო.

ედიშერ მაღალაშვილის კრეონი იყო ადამიანი, რომელსაც ჰქონდა მტკიცე ცხოვრებისეული პოზიცია — არავითარი დაეჭვება, არავითარი სულიერება, არავითარი ემოციები ... საკუთარი სულის წამიერ გამოხატებასაც კი მყისვე აქრობდა ... და გეჟინოდა ამ ლამაზი და ღიმილიანი კაცის ...

მოუხედავად ამდენი, ჯერ მარტო სახელწოდებითაც ცნობილი როლისა, ედიშერ მაღალაშვილს რომ შეუქმნია, ყველაზე ხშირად რატომაც დაც მავნდება იმ ორი ხანდაზმული ადამიანის სიცოცხლე, რომლებიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში თამაშობენ ჯინს. ალბათ, იმიტომ, რომ წარმოდგენაში, შეიძლება ითქვას, მსახიობს არაფერი ეხმარებოდა — არც მძაფრი კონფლიქტური ვითარება, არც სამიჯნურო ეპიზოდები, ანუ ის რაც ჩვეულებრივ, თავისთავად მუშაობს ხოლმე დრამატურგის მხარიდან. და მოუხედავად ამისა, მაყურებელთა ყურადღება ნუთნითაც არ მონყვევტიასცენას. უნებურად მახსენებოდა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ფრთიანი ნათქვამი: გამოვა მსახიობი, იატაკზე პატარა ხალჩისა გაშლის, სხვისი სახით ამოქმედდება და თქვენს წინაშე იბადება თეატრი. სწორედ ეს იყო იმ სპექტაკლში — თვით არსი ხელოვნების იმ სახეობისა, დრამატული თეატრი რომ ეწოდება. ურთულესი ამოცანაა.

თვითონ ედიშერ მაღალაშვილმა 2004 წლის გაზ. „ჯორჯიან ტაიმს“-ის კორესპონდენტ ირმა ვარსიშაშვილს თავისი ჩანაფიქრი ასე გაანდო: „მე და ზინაიდა კვერცხნილაძე ვთამაშობდით კოუბურნის პიესას „ეთამაშობთ ჯინს“, სადაც ვახსიერებდით მოხუცთა თავშესაფარში მოხვედრილ სიცოცხლეზე ხელჩაქეხულ, მარტოხე-

ლა ადამიანებს. სპექტაკლის ფინალი აღმოჩნდება, რომ ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ და ცხოვრებასაც მივიცა აზრი“.

მე რატომ ამოვიჩრჩიე ეს სპექტაკლი და ეს როლი ამ, როლები განებიერებული მსახიობის შესახებ წერილის დასასრულს? წემმა მეხსიერებამ ასე რატომ შემოინახა იგი? მაგრამ ჯერ პიესაზე, ჯერ ატლოზე, მის სათქმელზე — საძირკველი ხომ ისაა!

დ. კოუბურნის „ეთამაშობთ ჯინს“ ორმოქმედეზიანი ტრაგიკომედიაა. ორი მოქმედი პირი — შუახანს გადასული ქალი და მამაკაცი. სათნების სახლის ბინადარი. ჯინს ისინი თამაშობენ ორი მოქმედების განმავლობაში.

ავტორი ძნელად სათქმელ სიმართლეს გვეუბნება: ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც ის, ხანდაზმული, აღარსჭირდება სისხლბოცეულად ახლობლებს — დებს, ძმებს, შვილებს, შვილიშვილებს. თავშესაფარში მყოფი ეს მოხუცებიც ქალადს ასეთი თავგამეტებით იმიტომ თამაშობენ, რომ რამენიარად მოახერხონ და ცოტა ხნით მაინც ვათავისუფლდნენ იმ ამაო მოლოდინისგან, მარტოობის განცდით რომ უღრნით გულს.

რეჟისორმა ოთარ გვაძემ პონსია და უელერი სცენაზე ზინა კვერცხნილაძესა და ედიშერ მაღალაშვილს გაეცოცხლებინა.



„ანტიგონე“  
ზინაიდა კვერცხნილაძე და ედიშერ მაღალაშვილი

არჩევანი შეუმცდარი აღმოჩნდა, რადგან ორივე ამ მსახიობს ჰქონდა ის თვისებანი, რომლებიც აუცილებელია დ. კოუბურნის პიესის ამ მოქმედ პირთა გასაცოცხლებლად — სცენური სიმართლის ზედმინევიითი შეგრძნობა, გულწრფელობა, დრამატიზმი, იუმორი და ის მამაკაცური და ქალური ხიბლი, რომელსაც ასე იშვიათად ინარჩუნებენ ადამიანები ხანდაზმულთაში, ამიტომ ყველაფერი, რაც ხდებოდა მათ სცენურ ცხოვრებაში, არა მარტო საინტერესო, არამედ წარმტაცოც იყო. ყოველი მათი სიტყვის მიღმა იგრძობოდა კიდევ რაღაც უთქმელი, რის გამოც ორივე ეს სცენური სახე უთქმირდილების უთვალავი შეხამებით იხატებოდა.

მათ ჩაგვახედეს თავის სულში და ამ გზით ჩვენ საკუთარ სულშიც — ეს პრობლემა ხომ ყველას ეხება, ან უკვე დღეს, ან ხვალ?! აქ იდგა სიუჟეტზე ფართოა.

ნებისმიერი პიესის სცენური სიციცხლე ჩანახება მაშინ, როდესაც რეჟისორი მას აირჩევს დასადგმელად, რადგან მიიჩნევს, რომ ეს ნაწარმოები მისცემს შესაძლებლობას თავისი სათქმელი თქვას. დ. კოუბურნის ეს ორმოქმედებიანი ტრაგიკომედია დასადგმელად ახალგაზრდა რეჟისორმა ოთარ ევაძემ აირჩია. უნებურად გვბადება კითხვა — რით მიიზიდა ახალგაზრდა რეჟისორი ამ პიესამ? რატომ წარმოიდგინა მან, რომ მაყურებლისთვის საინტერესო იქნება ორი საათის განმავლობაში იმის ყურება, თუ როგორ თამაშობს ქალაქის ორი მოხუცებული?

პიესა მოვლენებით ძალიან ღარიბია. აქ არაფერია სწადის უჩვეულო საქციელს, არაფერი იბრძვის ტანტისთვის, არ არიან ერთმანეთზე ანაკედრო-სასიციოცხლედი ვადამტყერბული საგვარეულოები, არც ვერაგები არიან, არც პორტრეტოქმედები და რაინდები. პიესის გმირები არ ცხოვრობენ სახალხეში, არ არიან შემოსილი თვალისმომჩქრელი ტანსაცმლით ...

სათნობის სახლში, სადაც ჯინის მოთამაშენი ცხოვრობენ, რა თქმა უნდა, სხვებიც არიან, მაგრამ ავტორი უარს ამბობს მათ ჩვენებაზე, ისინი არ მონაწილეობენ პონსიასა და უელერის ცხოვრების იმ მონაკვეთში, რომელიც ავტორს აინტერესებს.

ინიც ამ ორი მოხუცის ცხოვრებაში არსებობს, ისინი აქ არ არიან. მათ ეს მოხუცები დღენიდაც ელოდებიან — უძვირფასეს ადამიანებს, რომლებიც ენატრებათ, ამიტომ ელოდებიან. ოღონდ ამაზე არ ლაპარაკობენ, მათ გასამართლებლად ათასწარი ტყუილსაც ეგონებენ. მეტისმეტად მტკივნეულია ამაო მოლოდინი — იმის ნიშანი, რომ უახლოესთ და უძვირფასესთ არ ახსოვხარ. მაშასადამე, არ უყვარხარ. ამაზეა დ. კოუბურნის პიესა. მისი ენარი სულაც არაა შემთხვევითი — მან კომედიის ფორმით სთქვა ძნელად სათქმელი სიმართლე: ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც ის, ხანდაზმული, აღარავის სჭირდება.

ეს ჭეშმარიტება იმდენად საშინელია, რომ ცხოვრებაში მის აღიარებას ყველა თავისებურად ერიდება, არ ერიდება ხელოვნება — გავიხსენოთ, რამდენი ნავეკითხავს ამის შესახებ, რამდენი ფილმი გვიჩვენებს, რამდენი სპექტაკლი ... და აი, ეს კიდევ ერთი.

რას სთავაზობს დ. კოუბურნის პიესა თეატრს? — ორი ხანდაზმული ადამიანის ცხოვრების ერთ მონაკვეთს, რომელსაც ისინი ჯინის თამაშში ატარებენ.

რას მოითხოვს თეატრისგან? პასუხს კითხვაზე: რატომ თამაშობენ ეს მოხუცები ქალაქის ასეთი თავგამეტებით? ადრეც აქტიურად იყვნენ ჩართულნი აზარტულ თამაშებში? ასე რომ ყოფილიყო, ხომ უკეთ თამაშებდნენ და ხან ერთ-

თი მოიგებდა, ხან — მთავრად. ახლა კი მხოლოდ პონსია იგებს, ისიც ყოველგვარი მცდელობის გარეშე!

ეს იმიტომ, რომ არც ერთია მოთამაშე და არც მთავარი. თამაშობენ კი იმისთვის, რომ რამენაირად მოახერხონ დე კოტა ხონის მაინც გაათავისუფლდნენ ამაო მოლოდინისგან.

ამ ორი საწინააღმდეგო დინების შენაერთია დ. კოუბურნის პიესის გმირთა ცხოვრება: ზედაპირზე ქალაქის თამაში, თანხლები იუმორით, ხილრმეში — მანვალბებელი მწარე ფიქრებით დასერილი სული.


ვის შეიძლება მიანდო ასეთი რთული, ორფენოვანი ავტობიოსის როლი? ვის შეუძლია რამდენიმე ასული ადამიანის ყურადღება ჯინის მოთამაშე ორ მოხუცს მიაჯაჭვოს? — მხოლოდ დიდად ნიჭიერ ოსტატებს და ოთარ ევაძემაც პონსია და უელერი სცენაზე ზინა კვერცხილიაძესა და ედიშერ მალალაშვილს გააცოცხლებინა. მათ ძალიან მსუბუქად, ამავე დროს ძალიან ზუსტად მიგვყავართ მოქმედ პირთა ცხოვრების გზაზე იმ მომენტამდე, როდესაც უკვე დაუფარავად ვამეღვანდება, რომ არც ერთი მათგანი, მართლაც, აღარაფერ ახსოვს და არც ათაფრის შეცვლის იმედით შეიძლება მოიტყუო ოთარ. და სწორედ ამ დროს, ამ უმძიმესი განცდის ვაშს გამონათებას კიდევ ერთი, ახლა უკვე ნათელი ჭეშმარიტება — თუ არ უნდინხარ სისხლით ახლობულს, სულთ ახლობულს ძალიან სჭირდება. და მათ იპოვნეს ერთმანეთი. ეს ხომ ბედნიერებაა! იმიტომ, რომ, ადამიანს არ შეუძლია მთავრად, სულით მონათესავე და მოსიყვარულე ადამიანის გარეშე. ასეთი კი აუცილებლად მოიქმნება ... იქნებ, სულთ ნათესაობა ყველაზე მთავარია?.

ეს პრობლემა ყველა დროის პრობლემაა და ასე თუ ისე, ყველას გვეხება, ან უკვე შეგვეხო, ან ხვალ შეგვეხება. დ. კოუბურნის პიესის კამერულად მოწვევებითა, ღრმა აზრებსა და ღრმა განცდებს იტევს იგი.

სპექტაკლი „ეთამაშობთ ჯინს“ რუსთაველის თეატრში 1995 წლის 28 მარტს დაიბადა. მისი ახალგაზრდა რეჟისორი და შესამე ასაკი ორი მსახიობი ინახავდნენ ფსიქოლოგიურ თეატრს, რომელიც მაშინ უკვე დიდი საფრთხის ნიშნად აღმოჩნდა თვალისმომჩქრელ სანახაობით დატვირთული, ევექტური ადამგმითი საშუალებებით გამდიდრებული სპექტაკლების მომრავლების ვაშო. სახილველად საამონი, დასრულების შემდეგ საფიქრალს თან არ გატანენ. სულს საპრობლად არ უხმობენ. თუ არ შევინარჩუნეთ ფსიქოლოგიური თეატრი, ქართული დრამატული თეატრი დაკარგავს თავის სასამუშაო დანიშნულებას.

ნეტავ, არ ქრებოდნენ დრამატული თეატრის ქრონიკებიანი ნეტავ, დღესაც ცოცხალი იყოს ჩრმოდენი „ეთამაშობთ ჯინს“ ან რომელიმე სხვა — სულის გამადიდებელი! ეჭვიც არ მუპარება იმაში, რომ დღევანდელი მაყურებელიც მისი სულგანაბული თანაშემოქმედი იქნება.

თიმურ ბაბლუანი



# საქსა გაბედავა

## ადამიანური ფსეხი (თიმურ ბაბლუანი)

ხელოვნების ნებისმიერ სფეროში, ახალი თაობის მოსვლას ახალი სუნთქვა, სტილი, გარემო, გმირი, მსოფლმხედველობა, მხატვრული გადაწყვეტა და სამყაროს ახლებური აღქმა შემოაქვს. ასე უნდა ქართულ კინოსისტორიაშიც. უკვე ჩამოყალიბებული ქართული კინოს ფენომენის 80-90 იანი წლების თაობათა რეჟისორებმა, (რომელთა მოღვაწეობაც საქართველოსათვის საკმაოდ მძიმე პერიოდს ემთხვევა,) იტალიელი „ნეორეალისტების“ მსგავსად, რეალობის შეულამაზებლად, ყოველგვარი ზედმეტი გარეგნული მწიფებისა და შეფერადების გარეშე გადაწყვიტეს არსებული რეალობის ეკრანზე გადმოტანა, მათ უარი თქვეს უკვე დამკვიდრებულ მხატვრულ - ესთეტიკურ კანონზომიერებებზე. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს ინდივიდუალური, ერთმანეთისაგან განსვავებული შემოქმედებითი და მხატვრული ნიშნები ჰქონდა, მათი შემოქმედებისათვის ერთნაირად სახასიათოა „ფსკერიდან“ წამოსუ-

ლი ადამიანის სამყარო ან ის გარემო, რომელიც „ფსკერისაკენ“ მიდის. 80-90-იანთა ყურადღებების ქვეშ აღმოჩნდა ის თემები, პრობლემები და გმირები, რომლებიც მანამდე ერთგვარად ტაბუირებული იყო; ნარკომანიის ჩვენება ეკრანზე, დამნაშავეთა სამყაროს წინ წამოწევა, მეტყველების ახლებური მანერა, გარემო ძალზე შეულამაზებელი, მკაცრი და „უფერი“. ამასთან, ამ „უფერი“ სამყაროს „გმირები“ დაბალი სოციალური ფენის, უფრო მეტიც, სოციალური ფსკერის წარმომადგენლები არიან. ინერტულები, ხშირად უიდეალო, უმოქმედო ადამიანები, რომლებსაც დაკარგული აქვთ ცხოვრების საზრისი „მზე“... და გზა „ტაძრისაკენ“...

ახალი თაობის ავტორთა შემოქმედებაში ადგილი დაეთმო თანამედროვეობის პრობლემებსა და გმირთა ხასიათების დრამატულ გააზრებას. ეს იყო მცდელობა ცალკეული პიროვნებების „კვლევისა“ და იმ ტოტალური სულერი კრიზისის ეკრანზე გადმოტანისა, რომელიც ჩვენს გვერდით არსებობდა და შემოქმედთაგან მხატვრული სიცოცხლის შექმნას ელოდა.

ამ პერიოდში შექმნილი ფილმებიდან აღსანიშნავია: თიმურ ბაბლუანი „ბედურების გადაფრენა“ 1980, „ქმა“ 1982, „უძინართა მზე“ 1992), გოდერძი ჩოხელი („ადგილის დედა“ 1978, „ბაკურხვეული ხევსური“ 1980, „ადამიანთა სევდა“ 1984, „ცოდვის შვილები“ 1989, „სამოთხის გვრიტები“ 1997, „ბუკას სახარება“ 1998, „მარტოობის ორდენის კავალერი“ 1999), დიტო ცინცაძის (დახატული ნრე“ 1988, „სტუმრები“ 1991. „ზღვარზე“ 1993, „უიბლო მკვლელები“ - გერმანია), ლევან ზაქარეიშვილის („მამა“ 1983, „თემი“ 1987, „ისინი“ 1992, „თბილისი-თბილისი“ 2005), დათო ჯანელიძის („დედუნა“ 1984, „მდგმურები“ 1990, „ციხისმიმგრები“ 1993, „მეიდანის სამყაროს ჭიპი“ 2004), ტატო კოტეტიშვილის („ანემია“ 1987), გიო მგელაძის („არა, მეგობარო“ 1993, „ატუ - ალაბა“ 1995, „ტიმეტი“ 2001), ლევან ანჯაფარიძის („ორმაგი სახე“ 1997, „არის ასეთი ქვეყანა“ 2004, „მათვის, ვინც მამამ მიატოვა“ 1991, „აქ თენდება“ 1998), გიორგი თავაძის („ხვეული კიბით“ 2001), ერეკლე ბაღურაშვილის („ავტოპორტრეტი“ 1983, „ცოდვის დღეისასწაული“ 1990, „თბილისი ჩემი სახლი“ 1994, „კიდევ ერთი ქართული ისტორია“ 2004), ლევან ლონტის („დედ“ 1990, „ახავის ცრემლები“ 2004), გიორგი ხაინდრავას („ოცნებების სასაფლაო“ 1997), ლევან თუთბერიძის („ნაზარეს უკანასკნელი ლოცვა“ 1989, „ნარსულის აჩრდილები“ 1996, „მოგზაურობა ყარაბაღში“ 2005).

ჩამოთვლილ რეჟისორთა შემოქმედებაში თუ ცალკეულმა სურათებმა უშელო ფართო მავრებელის ყურადღების მიპყრობა, რაც ძირითადად ალბათ განპირობებული იყო გარკვეული სახის „ოქროს შუალედის“ პოვნითაც. ეს კი მათ დაახლოებით, გიდე მოპასანის მოსაზრების მსგავსად მოახდინეს „შექმნა ცხოვრების სიმაართე - ეს ნიშნავს, შექმნა სინამდვილის სრული ილუზია“. და აქვე რეჟისორ თათარ იოსე-



„უძინართა მზე“. (გადაღების პროცესი)  
თემურ ბაბლუანი, გუჯა ბურდული და დათო კახიშვილი

ლიანის შეხედულებაც „მაყურებელმა რაიმე ნაცნობი თუ არ დაინახა ფილმში, არაფრის სჯერა“.

ის თუ რამდენად მხატვრულად და მაღალ დონეზე მოახერხეს ამ ტენდენციის განვითარება ახალგაზრდა რეჟისორებმა, ეს შეიძლება მუდმივი კამათის საკითხად იქცეს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, უცხოური ფილმების მძლავრ ექსპანსიას ზემოხსენებული ფილმების გარკვეულმა ნაწილმა გაუძლო და აღსანიშნავია ისიც, რომ აღიარება არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოიპოვა. ამასთან რაც ყველაზე მთავარია, თუ ქართულ კინოში მიმდინარე მოვლენებს განვიხილავთ და გაეხსენებთ, თუნდაც ფილმს „გასეირნება ყარაბახში“, ჩვეთვის ნათელი გახდება ის, რომ თემურ ბაბლუანის შემოქმედებაში („ბელურების გადაფრენა“, „უძინართა მზე“) გამოკვეთილ პრობლემებსა და გმირებს აქტუალობა დღევანდელ რეალობაშიც არ დაუკარგავს. რეჟისორმა არა მხოლოდ მისთვის ნაცნობი გარემოს „მარადიული გმირების, დაპირისპირებების, პრობლემების რეპროდუქცირებით შექმლო თავისი, როგორც შემოქმედის სათქმელის ფართო მაყურებლისათვის მიწოდება, არამედ მან კინოარსენალში არსებული და მისთვის ხელმისაწვდომი ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, მათ შორის უმოკრესად აღსანიშნავია სამსახიობო დასი, რითაც მან ზემოხსენებული სამყარო მისაღები და „დამაჯერებელი“ გახადა მაყურებლისათვის...

„მატარებელი თვლემს, როგორც ლავა, მატარებელი ხუთ ნუთში გავა...“

აბა, დაძრა რკინის ბორბლები  
მივსდეგ ვაგონებს მახრჩობს გრძნობები “...“

გალაკტიონ ტაბიძე

მატარებლის „შემოჭრა“ კინემატოგრაფში კინოს დაბადებისთანავე მოხდა („მატარებლის შემოსვლა...“ ლუმიერები) მაგრამ მისი მხოლოდ ფორმალური გამოჩენა შემდეგ სხვადასხვა სიმბოლური თუ აუცილებლობით გამოწვეულ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. თემურ ბაბლუანმა „ბელურების გადაფრენაში“ „შებენდრის ადგილად“ მატარებელი აირჩია. მაგრამ ამ „ტრანსპორტს“ თუ განვაზოგადებთ ის გარკვეული სახით ქვეყნის ან სულაც სამყაროს დედელად შეიძლება აღვიქვათ, „სამყაროსი“, რომელმაც ყველა გმირი „დაიტია“.

საერთო ვაგონში ყველა განსხვავებული და ამასთან ყველა „ერთია“: უხეში სამყაროს უკომპრომისო შეილები, არაფრისმთქმელი გამომეტყველების მქონე მგზავრები, რომელთა ნაწილიც სიამოვნებით, საკუთარი სურვილით გაურბის სინამდვილეს და სურათის ერთ-ერთ მთავარ „საინტერესოდ ნიჭიერ“ ტრიფონას ზღაპრებს უსმენს.

ტრიფონას მოსკოვის მატარებელზე „დაავციანდა „თუმცა, ამ „სამყაროშიც“ მოიძებნა მისი მსმენელი აუდიტორია. ყოველდღიური ყოფით დაღლილ ადამიანებს ხომ ასე მოსწონთ ლამაზი ისტორიები თუნდაც ტყუილი, მაგრამ მაინც „წარმატების ფორმული“.

„ენაშოქარგული“, საოქრო მომღერლის კარიერაზე მეოცნებე ტრიფონა, მასში ჩამალული ოცნებისა და სურვილის რეალიზებას ინტელექტუალი ვოკალისტის როლის თამაშით ცდილობს, ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის პიროვნებას, მით უმეტეს, თუ ფილმის ფინალსაც გავითვალისწინებთ, სადაც მისი ქმში მარიტი „კარიერის“ ამბავიც გამყვანდება

და ისეთივე აღმოჩნდება, როგორც გუჯაა. იმ განსხვავებით, რომ თუ რეალობას ტრიფონა სამოსით, საუბრის მანერით და იმპროვიზაციის ანკრად გამოხატული ნიჭით ნიღბავს, გუჯა, რომელიც დაუოკებელი აგრესიით ხვდება სიყალბის ნებისმიერ გამოვლინებას ამას უბეჭი ჩაბაღული პატარა ჩიტით ახერხებს. სწორედ იმ ჩიტით, რომლითაც რეჟისორმა გუჯას სულიერ სიფაქტზე ვააბახივლა ყურადღება. ერთი შეხედვით ეს შტრიხი თითქოს ზედმეტი მხატვრული ელემენტის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ გუჯას არ აქვს ის „ნიჭი“ გარეგნობა და მანერები, რითაც ასე გამოირჩევა ტრიფონა. თემურ ბაბლუანს კი არ ახასიათებს მიდრეკილება ინერტული თხრობისადმი, ერთგვარი განდგომა იმისაგან, რაც ეკრანზე ხდება მისი დამოკიდებულება და ხშირად კეთილგანწყობა გმირების ან მათი სათქმელის მიმართ, ყველგან და ყველგან იგრძნობა. თუნდაც პატარა ბელურამი, იგრძნობა გუჯასა და მჭერმეტყველ ტრიფონას სიტყვაყუნდ დაპირისპირებაში, მათ მზერაში, რითაც გუჯა ბურდულის გმირი აშკარად ებრძვის ახლად გაღვივებულ პირველად ზიზზს, ილუზიებისა და მათ ტყვეობაში მყოფი უცნობის მიმართ. თუმცა, საბოლოო ფაზაში შეიძლება დაისვას კითხვა, ვინ არიან ისინი? უცნობები თუ „მონათესავე სულები“, არარეალიზებული ადამიანები, რომლებიც თავისებურად ცდილობენ ამ „ფსკელში“ თავის დამკვიდრებას.

ერთი შეხედვით გუჯა ავტორის რჩეულია, მაგრამ სინამდვილე ცხოვრების ნესი, ექსტრემალურ სიტუაციაში გარდაქმნის ინსტინქტი ტრიფონას და გუჯას „ერთი ხის ნაყოფად“ აქცევს.

მინაყრილი, რომელიც მასურებელში უდაბნოს ასოციაციას ტოვებს, ასეთივე ცარიელი სამყაროს სიმბოლო ხდება. არენა, არა მხოლოდ ფოლმის გმირებისათვის, არამედ ფილმში „ჩართული“ თითოეული მასურებლისათვის. ეს არენა ფაქტია, რომ საბოლოოდ არავის დაინდობს და ყველა „შიფრდება“. ეკრანზე ირონიანარევი რეჟიკა ისმის „მალიარი ხარ ბიჭო“ — მხარე სიმართლე, მხარე ღმირი და გრძელი გზა...

ეს ორი „უსუსური ბელურა“, რამდენად „თბილ ქვეყნებში“ „გაფრინდება“ ეს სხვა საკითხია. . . . ან იქნებ და არა? . . .

აღსანიშნავია, რომ თემურ ბაბლუანი არ მიმართავს გმირების უბემ განსჯას, „კარგი“ და „ცუდი“ ცხოვრების ნესის გამოკვეთას. მისი გმირები უბრალოდ ცხოვრობენ და თვითდამკვიდრებისათვის იბრძვიან მძაფრი კონფლიქტებით (ხშირად შინაგანი) გაჯერებულ სასტიკ სამყაროში, სადაც აშკარად შეიმჩნევა გრძნობების დეფიციტი.

ეს კიდევ უფრო მძაფრად იკვეთება თემურ ბაბლუანის მიერ 1992 წელს გადაღებულ კინოსურათში „უძინართა მზე“.

მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები მატარებელში ან მინაყრილზე არ ვითარდება, ელგუჯა ბურდულის გმირთან პირველი შეხვედრა ისევე, როგორც „ბელურების გადაფრენაში“ სადგურში ხდება, მაგრამ ამჯერად, ტყავის ქურთუკში გამოწყობილი უბემი გარეგნობის მამაკაცის ნაცვლად, მასურებლის წინაშე სანდომიანი გარეგნობის შუახანს გადაცლებული ექიმი გელა ბენდელიანია.

არაერთხელ აღინიშნა, რომ „უძინართა მზე“ ბიოგრაფულ მოტივებზე შექმნილი სურათია, რეჟისორის მიერ განცდილი ტვივილით და მის გარემოში მიმდინარე მოვლენებით. აქ ყველა გმირი ნაცნობია და ამასთან მთავარი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი გარკვეულწილად რეჟისორის ხელში დამხმარე „ინსტრუმენტები“ არიან გელა და დათო ბენდელიანების პიროვნული შტრიხების შესაქმნელად.

„უძინართა მზე“ — თითქოს ორი სამყაროს ნაერთია. ერთი ახლოს არის იდეალებთან, მაგრამ ამასთან რეალურად განწირულია, თითქმის მუდმივად დამარცხებული. მეორე — მინიერი, რთული და დაუწორობილებელი, იმ ფსკერის დაუნდობელი ნაწილია „ბელურების გადაფრენაში“ რომ გამოიწვია.

სურათში „პირველი სამყარო“ ოცნებითა და იმედებით აღსავსე გელა ბენდელიანს ეკუთვნის, ხოლო მეორე მის ვაჟს დათოს — „სასტიკ“ გატანჯულ ყმანვილს, საოცარი სვედიანი თვლებით, მამინაც კი, როცა მასში მინიერი აგრესია ქაბობს. აქვე აღვნიშნავ, რომ დათოს, როგორც გუჯას „ბელურების გადაფრენიდან“ გარეგნული, მანერული უბემობა სულაც არ განსაზღვრავს ადამიანთა მიმართ მის დამოკიდებულებას. ის თავისი არსით „კეთილი“ მოზარდია, რომელსაც მარადიული შინაგანი ბრძოლა აქვს საკუთარ თავთან და „მარადიულ ბავშვთან“ — მამასთან.

აღსანიშნავია, რომ ფილმის სიუჟეტი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ მძიმე პერიოდში ვითარდება. ეს იყო „დაკარგული თაობების“, „ოცნებების სასაფლაო“. დრო, რომელმაც შეუბრალებლად „დააბნელა“ გარემო, და მასთან ერთად „გააშავა“, დაეაინა ადამიანები... და სწორედ ამიტომ გელას სვედიანი, მაგრამ იმედია, „რიმ-დარი-რო“, (შამინ, როდესაც მთელი ფოლმის განმავლობაში მისი ჩაგვრის დემონსტრაცია ხდება), რწმენა და ერთგულება იდეალისა და მიზნის მიმართ, რწმენა საკუთარი ვაჟისა ის არის, რაც არა მხოლოდ მამინ, არამედ დღესაც ასე გვეჩრდება და გვაკლია. გვეაკლია ის ოპტიმისტი, იდეალისტი ნატურები, რომლებსაც უყვართ ადამიანები და, რაც მთავარია, სუერათ მათი.

ფილმის ყურებისას, რჩება განცდა იმისა, რომ ადამიანები საექსპერიმენტოდ გალიაში გამოწყვედილი თავების მსგავსნი ვართ. („პოპულარული“ სახელებით, აქ გარკვეულ

წილად ირონიაც იგრძნობა ავტორის მხრიდან) და ერთი მხრივ თუ „გადავრჩით“ მიზანი ნაპოვნია. ეს კი, არა მხოლოდ „გელა ბენდელიანის“ გამარჯვება იქნება, არამედ ახალი თაობის ვაჟის მოხდა მამების წინაშე.

თემურ ბაბლუანმა ფილმში ეს ჩვენს მაგივრად, დათოს პიროვნებით მოახერხა, რეალობაში კი არჩევანი ჩვენზეა — ქვაზე დადებული მადლი“ შეგვერგება თუ არა.

როდის „გადარჩა“ დათო? როდის მოხდა მასში გარკვეული სახის გარდატეხა, შეიძლება ითქვას, შეცნობა თავისი მისიისა?...

მამინ, როდესაც მამა „მოკლა“ თუ როდესაც ძველი მტერი მცირეწლოვანი შვილის ცხედართან არ გაწირა? ან იქნებ მამინ, როცა აღმოაჩინა, რომ „პელე“ ცოცხალია. ანუ მამინ, როცა ის ექსტრემალურ სიტუაციაში ხასიათის ვისთვის სუსტ და ვისთვის ძლიერ მხარეებს ამჟღავნებს?

ძირითადი პათოსი რეჟისორისა ფილმის დასასრულს გაფლანგული ფრაზაა, რომელსაც ის (დათო) კომისიის მიერ დანუნებული ნაშრომით ხელში ამბობს „ეს გენიალური ნაშრომია. დრო მოვა და მე დავამტკიცებ ამას“. თემა ღია რჩება, შეძლებს დათო ამას თუ არა? ალბათ, მაინც შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, მაყურებელი მისგან ამას ელოდება, ელოდება იმედს, იმედს — მზის საბოლოო „არ დაბნელებისა“.

უნდა აღინიშნოს, რომ თემურ ბაბლუანი თანმიმდევრულად მიმართავს ხელოვნების მარადიულ და ზოგადთემას-ადამიანისარსებობის აზრის საკითხს, რომელთანაც ასე მჭიდროდ

არის დაკავშირებული მრავალი სხვა თემა და პრობლემა: დროის პრობლემა მისი უწყვეტობა და სწრაფმავლობა, დროის ფუჭი ფლანგვა, უაზრო ფუსფუსი, ადამიანის გარეგნული ვითომ აქტიურობა, მაგრამ შემჯეუბლობა და შინაგანი ამორფულობა, ღირებულებათა ორიენტაციის გაშრულება. ადამიანთა შორის ცოცხალი ურთიერთობების დაკარგვის საფრთხე, „დომ-დარი-როც“ ხომ ძლიერი გრძნობაა ნოსტალგიისა, რალაც ნაღდის, ჭეშმარიტისადმი, იმ ფასეულობებისადმი, რომელიც ჩვენს თვალწინ უფასურდება. ეს უმნიშვნელოვანესი თემები კი მის ფილმებში ვითარდება თანამედროვეობის კონკრეტული სოციალურ - მორალური ზნეობრივი შინაარსით. . .


მიუხედავად იმისა, რომ დღეს გარემო შეიძლება ლამაზად „შეეფუთოთ“, განვსაჯოთ ფილმის გმირთა მსგავსი ადამიანები, მაინც არ უნდა დავავიწყდეს, რომ თუ „ფსკერი“ არ ამოვავსეთ, ჩვენც „დაცარიელებული“ ადამიანები აღმოვჩნდებით „ფსკერიდან“.

„რიმ-დარი-რო, რამ-დარი-რო, დარი-დარი-დარი-რო“ . . .

ბაბლუანმა დროის გამონევა მიიღო, „ფსკერიც“ ნახა და მასში დარჩენილი და „დაკარგული ადამიანებიც“.

დათო მამის ლაბორატორიაში დაუნდობლად მოწინავე საათის რიტმს უნდა აჰყვეს.

თანამედროვე რეჟისორები კი მუშაობას ახალი დროის ადამიანებთან აგრძელებენ, ხშირად ძველი პრობლემებით, მაგრამ მაინც ცხოვრების ახალი რიტმით...



„უძინართა მზე“. გუჯა ბურდული და დათო კაზიშვილი



ნანა გეხასიმოვა



© ამარტა

# ნინო ხუნდაძე

## ნანა გეხასიმოვას შემოქმედებითი სამყარო

„ნი, ქეთის დედის გამოფენის გახსნაზე ვართ დაპატივებული“, - ნინოს მოგებით მითხრა ერთ დღეს საკლიდან გამოყვანისას ჩემმა შეილა, რომელსაც შევატყვე, თავი მოსწონდა, მხატვრის გამოფენაზე ოფიციალურად მინვეული სტუმრის სტატუსი რომ შეიძინა... ასე აღმოვჩნდი 2000 წლის 5 აპრილს გალერეა „ვერნისაჟში“, მხატვარ ნანა გეხასიმოვას პერსონალურ გამოფენაზე...

ეს არ იყო ნანასათვის პირველი და, შესაძლოა, არც ყველაზე წარმატებული აქცია (მჯერა, მას წინ კიდევ უამრავი წარმატება ელის), თუმცა, ჩემთვის დღემდე ერთ-ერთი გამორჩეული ვერნისაჟთაგანია. ცოტა მიჭირს ზუსტად გადმოვცე ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი, თუმცა შევეცდები სათ-

ქმელი — განცდილი მკითხველამდე ისე მივიტანო, მიმიხედეს... უფაქიზესი, მგრძობიარე ადამიანის ნიჭით, პროფესიონალიზმით და შინაგანი სილამაზით მოხიბლულს გამოფენის დათვალერებისას რაღაც უცნაური განცდა და შეუფლა, ეს არ იყო მხოლოდ ნანახით აღტაცება. უცნობი სურათები თითქოს ისეთი ნაცნობი და საოცრად ახლობელი იყო ჩემთვის... აველდეო... რომელიღაც ლექსის რითმი ამეკვიტა, რაც, ვხვდებოდი, ჩემი შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. მანამ ვათვალერებდი სურათებს, სანამ რითმი არ გაცოცხლდა სტროფებად — „ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მენყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარავს“. გამეზარდა. ბავშვობაში ჩემს მეხსიერებაში ჩაარჩენილი ტიციან ტაბიძის ეს სიტყვები ზუსტად ასახავდა ბედნიერების იმ განცდას, რაც ნანას ნამუშევრებმა მომანიჭა — მე, სრულიად „ურჩი ხელის“ პატრონმა, რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ერთგვარი შემოქმედებითი პროცესი განვიცადე. სურათები თითქოს ჩემს ენაზე, უფრო სწორად კი, ჩემივე ენით საუბრობდნენ. ასეთი რამ ცხოვრებაში იშვიათად ხდება. მხოლოდ ქეშმარიტ ხელოვნებას, განცდისმიერსა და ნიჭიერებით ნიშნულსაშუალებას, შეუძლია მსგავსი რამ აგრძნობინოს ადამიანს.

ნანას მიერ შექმნილ მშვენიერების სამყაროს, დახვენილს, ნაზსა და მგრძობიარეს, ჩემ გარდა, შინ და გარეთ უამრავი ქომაგი ჰყავს — აფასებენ და აღიარებენ, ისევე როგორც თვითონ ნანას — მომხიბვლელს გარეგნობით და ყველა ღირსებით შემკულს შინაგანად.

მაშ ასე, შტრიხები პორტრეტისათვის...

ნანა გერასიმოვა ცნობილი და წარმატებული ქიმიკოსებისა და ფიზიკოსების ასევე საკმაოდ ცნობილი და წარმატებული შთამომავალია (ნანას რუსი თუ ქართველი წინაპრების ისტორია, იძიებ რომ საინტერესოა, შესაძლოა ლიტერატურული ნაწარმოების, ან სულაც, მხატვრული ფილმის სიუჟეტად გამოიყენოს თავიანთი. აქ კი თავს შევიკავებ ამ თემაზე საუბრისაგან, მხოლოდ ერთი მიზეზით — შეგვიტყუებს).

მხატვრობით ნანას ვატაცება მისსავე ბავშვობაში იღებს სათავეს და იმთავითვე დალოცულია, რადგან პირველი ნამუშევრები, თანატოლების ნამუშევრებთან ერთად, ელენე ახვლედიანის მიერ საკუთარ სახლში მოწყობილ ბავშვთა ნახატების ვერნისაჟზე იფინდება.

გულუბრყვილო მიზეზები იყო საფუძველი რამდენიმეხანის შემოქმედებითი პაუზისა მის ბავშვობაში, რომელსაც თბილისის

სამხატვრო აკადემიაში სტუდენტობის საინტერესო ნლები მოპყვა. ამავე პერიოდში გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობის სრულიად ახალი სფერო — პოდიუმი. ამ საქმის ნოვატორები — თავად ნანა და მისი თაობის უმწვერვლესი გოგონები, მოდელირების ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრებს წარმოაჩენდნენ ხოლმე. აღსანიშნავია, რომ აკადემიის დამთავრებიდან დღემდე იგი მოდის დიზაინის დეპარტამენტის ერთ-ერთი ნამყვანი პედაგოგია და, რაც მთავარია, სტუდენტებისთვის თავადაა დახვეწილი გემოვნებისა და ქალღრთ მომხიბვლელობის საუკეთესო ნიმუში. საოცრად გულწრფელია ურთიერთობაში, გულისხმიერია დამოკიდებულებაში ადამიანების მიმართ, მისგან შორსაა ამპარტავნება, მით უფრო, საკუთარი პროფესიონალიზმის გამო, ნამდვილი ინტელიგენტი და არაჩვეულებრივი მოსაუბრეა, გამორჩეულად უყვარს საქართველო. არაფერი სჯობს მის მოსმენას, როდესაც აღფრთოვანება გამოხატავს სენათისა თუ კახეთის ნაკრძალების გამო, სასიამოვნო იუმორით აჯერებს და ხატოვნად ყველა ამბებს, რომლებიც მას და მისი ოჯახის წევრებს, ასევე მის სტუმრებს გადახდენიათ თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას. ამგვარ მომენტებში ფიქრებო ხოლმე, რომ ჩემს ვაერმოცვაში საქართველოზე უფრო მეტად შეყვარებული ადამიანი ძნელად თუ მოიძებნება.



ნატურმორტი

ნანასა და მისი მამის, ბატონი ალექსი გერასიმოვის უშუალო მონაწილეობით ამერიკელი ფოტოგრაფებისა და მწერლების ჯგუფმა ჩვენს ქვეყანაზე სპეციალურად ამერიკელთათვის 2000 წელს ინტერნეტში საიტი შექმნა (oneworldjourneys.com). ამ საიტმა კონკურსზე New Media Invision ოქროს მედალი მოიპოვა.

ამ ფაქტს წინ უსწრებდა (1990 წ.) ქართულ-ამერიკული საბავშვო ფილმის „მომინოს“ გადაღებები. სრულიად ახალგაზრდა შემოქმედი, ნანა გერასიმოვა ამ ფილმის დამდგმე-

ლი მხატვარი და კოსტიუმების დიზაინერი. თავდაუზოგავი შრომა ამერიკის ტელევიზიის ფილდითი — „ემი“, აღინიშნა.

სწორედ ამ ფილმზე მუშაობისას დაუშვებობდა ნანა ფოტოგრაფ პეტ ჰიშარას და ისე მოხიბლა საქართველოსა და ქართველების მშვენიერებით, რომ პეტი არაერთხელ დაბრუნდა ჩვენს ქვეყანაში. ბოლოს კი ხსენებული საიტის შექმნა მთავრდა თავის ამერიკელ კოლეგებს.

მეგობრის შრომისმოყვარეობითა და პროფესიონალიზმით მოხიბულმა პეტმა იგი ამერიკაში მიიწვია. კუპილის ხელოვნების ცენტრში მხატვარს workshop-ების ჩატარების შესაძლებლობა მიეცა. აქვე მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. სამუშაო ვიზიტით, ოღონდ უკვე თვით ხელოვნების ცენტრის მიწვევით, ნანა ამერიკაში კიდევ რამდენჯერმე ჩავიდა. შეერთებულ შტატებში მან სამი პერსონალური გამოფენა გამართა.

ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა, რითაც აღბეჭდილია მისი მოღვაწეობა, წარმატების ქვეშაირიტი გარანტია. ამ მხრივ კი ნანა ბედის ნებიერია. დიზაინი, კინო, გრაფიკის სხვადასხვა დარგია, პირველ რიგში, დაზგური მხატვრობა — რომელ სფეროშიც არ მოსინჯა ძალა ახალგაზრდა შემოქმედმა, ყველგან შეძლო თავის დამკვიდრება. ქეთი (ნანას შვილი, დედასავით მომხიბვლელი) თვლის, რომ დედამისს უბრალოდ ძალიან გაუმართლა, მან ცხოვრებაში საკუთარი თავისა და ადგილის ძიება სწორი მიმართულებით წარმართა...

ნანა გერასიმოვა XX საუკუნის 60-იანელთა შვილების თაობის წარმომადგენელია, რომლებიც 1980-იანი წლების მსოფრე ნახევარში გამოვიდნენ სამოღვაწეო ახარეზზე. ძველი თუ თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილ ახალგაზრდებს შემოქმედებითი განვითარებისთვის ცხოვრებამ შეუფერებელი პირობები გაუშადა. საბედნიეროდ, მათმა გარკვეულმა ნაწილმა საყოველთაო დეპრესიას თავი დააღწია. თავდაუზოგავი შრომა და შინაგანი ღირსი შემოქმედებითი ძიების გზაზე მათ მიერ მიღწეული სერიოზული წარმატებების საფუძველი. ნანა გერასიმოვამ, ეკა აბულაძემ, გიკა მირზაშვილმა, დიმა ანთაძემ და მათი თაობის კიდევ სხვა წარმომადგენლებმა საკუთარი, ინდივიდუალური ხელწერა დაიმკვიდრეს, მათი შემოქმედება თვითმყოფადობით, მრავალფეროვნებითა და სპეციფიკური თავისებურებით გამოირჩევა, სწორედ ამიტომ შეუძლებელია, ამ თაობის მხატვართა ნამუშევრები მხოლოდ ერთ კონკრეტულ მხატვრულ მიმდინარეობას მივაკუთვნოთ.



სიზმარი

თავად ნანა გრაფიკოსია — მონოტიპიის ოსტატი. თუმცა, იგი ერთნაირი წარმატებით მუშაობს სხვადასხვა მასალაში. მხატვრული ძიების პროცესში მან საინტერესო ხერხებსა და საშუალებებს მიაგნო, რაც საბოლოოდ მისი შემოქმედების თავისებურების განმსაზღვრელ ნიშნად იქცა — ტიპოგრაფიული საღებავით ოფსეტურ ქაღალდზე იგი სხვადასხვა ფერის რამდენიმე ფენას ადებს და მასტექსინით არაჩვეულებრივად დახვეწილი ნახატი ამოჰყავს. დამუშავების ასეთი მანერა სურათის ზედაპირზე საინტერესო მხატვრულ ეფექტს ქმნის. თავისებურ ეს-თეტიკურ დატვირთვას იძენს ფერი და ხაზი, რომელთა საშუალებით მხატვარი გამოსახულებას ექსპრესიასა და მოცულობას ანიჭებს. განზოგადებული, რეალისტური ფორმებისა და დეკორატიული (ორნამენტულ-აბსტრაქტული) ნახატის პარამონიული ურთიერთობით კომპოზიციები ერთგვარ მონომენტურობასა და გამომსახველობას იძენენ. ფერის ცხოველხატული თამაში, რაც ხან სასიამოვნო ტონალურ გრადაციებში, ხან კი მკვეთრ კონტრასტებში იკვეთება, სურათის ზედაპირს სპეციფიკურ ულერსადობას ანიჭებს და განათების თავისებური ეფექტის შექმნას ემსახურება — სიღრმიდან აშუქებს მას, რაც ერთგვარი იდუმალეობით აგსებს კომპოზიციებს.

ფერთა ოსტატური შეხამება კომპოზიციებში შესაბამისი განწყობილების შექმნის ძირითადი საშუალებაა. თბილი და ცივი ტონების ოსტატური მონაცვლეობა საინტერესო მხატვრულ ეფექტს იძლევა და გარკვეულ დეკორატიულობასთან ერთად სიერცისა და პაეროვნების, ასევე დინამიზმის მკვეთრ შეგრძნებას ბადებს. განსაკუთრებით ეფექტური და გამორჩეულად დამახასიათებელია ნანას ხელწერისთვის ყავისფერის, ყვითლის, ცისფერისა და ლურჯის ერთდროული გამოყენება. ოსტატურად უხამებს რა მხატვარი ლურჯს თბილ ტონებს, ის სურათებში განსაკუთრებულ ელერადობასა და სითბოს იძენს.

ნანას ნამუშევრების მხატვრული ენა შემოქმედის მიერ სამყაროს ხედვისა და აღქმის თავისებურებებთან სრულ პარამონიაში. სწორედ ესაა სურათებში იდეურ-კომპოზიციური მთლიანობის საფუძველი, რაც, თავის მხრივ, მხატვრული სახისადმი ავტორის დამოკიდებულების შეცნობას, მისი გრძნობებისა და განცდების სიცხადეს განსაზღვრავს. ნანას შემოქმედება სამყაროს სილამაზითა და ცხოვრების მიმართ ოპტიმისტურ-რომანტიკული დამოკიდებულებითაა შთაგონებული. მასთან მუდამ „გაზაფხულია“.

უშუალობითა და ლირიზმითაა გაჯერებული ნანას მიერ შექმნილი არაჩვეულებრივად



ცეკვა

საინტერესო შორტრენტები („ალიკა“, „ქეთი“, ავტოპორტრეტი „მუშკა“, „თაკო“, და სხვ.), მეტყველი ნატურმორტები — ყვავილებისა და მისთვის საყვარელი ირიგინალური მიწის ჭურჭლის თემაზე, ქართული ეროვნული ცეკვების ამსახველი დინამიური სიუჟეტები, პეიზაჟები, ასევე მრავალფეროვანი კომპოზიციები (მიშველი ტორსი, „ოცნება“, „ვეროპის მოტაცება“ და სხვ.), რომლებიც დაუფინყარ ემოციებს აღძრავენ. ნანა ასევე სერიოზულად მუშაობს ილუსტრაციებზე. მის მიერ 4 ათეულზე მეტი ნიგნია გაფორმებული. უკანასკნელ ხანს გააფორმა ჯანსუღ ჩარკვიანის ოთხტომეული, სადაც ძირითად თემად ორნამენტის ეროვნული მოტივები აირჩია და თავისებურად გადაამუშავა. მის მიერ ბოლო დროს შექმნილი დიზაინისა თუ მხატვრობის ნიმუშებიც ქართული ორნამენტული მოტივებითაა შთაგონებული, უფრო სწორად, არა მხოლოდ ქართული ორნამენტით, არამედ ზოგადად ქართულია მათი საფუძველი.

უპილოვის ნაცვლად: საბედნიეროდ, ჩვენს რეალობაში არიან პიროვნებები (და მათი რიცხვი არ არის მცირე), რომლებშიც ერის საუკეთესო თვისებები ცხადდება. ეს თვისებები ადამიანში თავს ყველაფრისაგან დამოუკიდებლად იჩენენ ხოლმე და ამ გზით თაობები ღმერთის მიერ ამა თუ იმ ერისათვის მიმადლებულ თავის-თავადობას ინარჩუნებენ. ნანა გერასიმოვასთან ურთიერთობა, მისი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ და კონკრეტულ შემთხვევებში მისი სტუმარ-მასპინძლობის ნყალობით საქართველოსადმი უცხოელების გულწრფელი აღფრთოვანება განამტკიცებს ჩემში რწმენას, რომ ქართველებს სამშობლოს სიყვარულისა და ადამიანებს შორის ურთიერთობების სხვათაგან გამორჩეული ნიჭი ნამდვილად შემოგვრჩა.

ამას წინათ საინტერესო კრებულს ვკითხულობდი — „დათუნა მაჭავარიანი. დაბრუნება.“ მოკლედ გეტყვით, რომ ესაა მოგონებათა ნიგნი მოსკოვში მოღვაწე თბილისელ პუბლიცის-

ტსა და მწერალზე, XX ს. 60-იანელთა თაობის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელზე. ამ მცირე ზომის კრებულში მეგობრების ამალელებელ წერილებთან ერთად, თავად დათუნა მაჭავარიანის ღრმა ადამიანურობით გამსჭვალული მოთხრობები და პუბლიცისტური წერილებია თავმოყრილი, რომლებიც სრულად ასახავენ სულიერ ფასეულობებზე დამყარებული უშუალო ურთიერთობების სიფაქიზეს, რაც განუმეორებელ ხიბლს სძენდა და სძენს საქართველოს, ქართველებს კი ნაზდენის საშუალებას მომავალშიც არ მისცემს. ქალბატონი ანაიდა ბესტავაშვილის წერილის კითხვისას უღებოდე ნანა გერასიმოვა და საქართველოში მოხიბლული „მისი ამერიკელები“ და ბევრიც ქართველი გამახსენდა. იმ წერილში საუბარია ბატონ დათუნაზე — ქართველების საუკეთესო მასპინძელზე რუსეთში, ხოლო რუსებისა კი საქართველოში, მოსკოვსა და თბილისში გამართულ თეატრალურ თუ ლიტერატურულ საღამოებზე. აქვეა წარმოდგენილი ამ მასპინძლობისა და ურთიერთობების შემოქმედებითი შედეგი — ნანყვეტები ევგენი ვეტუშენკოსა და ბელა ახმადულიანას ლექსებიდან:

“О Грузии! Нам слезы вытирая,  
Ты русской музы колыбель вторая,  
О Грузии забудь неосторожно,  
В России быть поэтом невозможно.”

(ე.ე.)

“...среди теплиц и льдин.  
Чуть-чуть южнее рая,  
На детской дудочке играя,  
Живет вселенная вторая  
И называется — Тифлис...”

(ბ.ა.)

იმედია, ჩემსავით ისამოვნეთ ამ სიტყვების ნაიკითხვისას. სხვაც ბევრი გვსმენია და გვინახავს — უფრო ძველი და ზოგიერთი ახალი, თუნდაც, გერასიმოვების მონაწილეობით შექმნილი საიტი. თუმცა, ერთს ნამდვილად ვისურვებდი, ასეთივე მომხიბვლელი იყოს საქართველო — ჩვენი შვილების მიერ წარმოჩენილი.



გახიერება



# პირველი გვერდი

## ძვირფასო ძედა!

მე მესამეს ვაგზავნი, თქვენგან კი, მხოლოდ ერთი წერილი მივიღე. მე არ შემიძლია, მე მწყინდება წერილების ლოდინში.

აი, ახლა გარეთ თბილა და ზაფხული დგას გარეთ. თბილისში უკვე აყვავილდებოდნენ აღრეული ხეები და ამიტომაც მინდა, რაც შეიძლება ხშირად მომდიოდეს წერილები თბილისიდან.

მე მომიწერია, რომ აქ ბევრი ნაცნობები მყავს უკვე. ზოგმა ჩემში გარკვეული პატივისცემა მოიპოვა და დასვენების დღეებში მიხარია ქალაქში წასვლა. მივდივარ იქ, სადაც ვიცი, მელოდებიან და როცა მშვენიერი საღამო დამავიწყებს ყველაფერს, მე არ მავიწყდება, რომ თქვენს მეტი არავინ მელოდება საქართველოში.

დღეს დასვენების დღეა და არ მივდივარ არსად, მე მინდა მოგწეროთ თუნდაც სხვა რამეზე.

ამას წინათ მოწერილ წერილში, სხვათა შორის, გწერდით, ბავრატონზე და რამდენადაც არ ვიცი, ოდესმე თუ დაინტერესებულხართ

მისი ვინაობით, წარმოშობით, მისი გასაოცარი ბრძოლებით, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მასზე. მე მანუხებს მისი პიროვნება და ამაზე მინდა მოგწეროთ.

დედა, იცი ვინ იყო ბავრატონი?

იგი დაიბადა 1766 წელს. ლარიბი პოლკოვნიკის ოჯახში. ოჯახში, რომელიც ხელმოკლეობის გამო იძულებული იყო პროტექცია ეძებნა პეტერბურგელ ნაცნობებში. მისი აღზარდა და ჭკვიანი მზერა მოენონა პოტიომკინს და პატარა პეტრე 1782 წელს სერუანტად იქნა ჩარიცხული კავკასიურ მუშკეტერთა პოლკში.


17 წლის ჭაბუკის წინ გაიძაბა წლები სამხედრო სამსახურისა, ლაშქრობებისა და მრისხანე ბრძოლებისა. პირველ ომშივე გამოჩნდა მისი მებრძოლური გამჭრიახობა და რაც ყველაზე ძნელია ახალგაზრდა სარდლისათვის, სიმშვიდე, თვით უდიდეს ვაჭირებებაშიც კი.

კავკასიის ექსპედიციის დროს ჩვენებთან ბრძოლაში, სასიკვდილოდ დაჭრილს, მკედრებს შორის უძრავად მხოლიარეს, სიცოცხლის ნიშანწყალი შეატყვეს ჩენებმა, გაოცებულნი მისი ვაჟკაცობით, უვლიდნენ და განკურნებულნი, კარგად ვაჟკაცობისათვის, გაათავისუფლეს ტყვეობიდან.

ისევე დაიწყო სამხედრო ცხოვრება და აი, ის მთელი ფიგურით გამოჩნდა პოლონეთის ველებზე. მრისხანე შეტაკებებში, შემდეგ ოსმალეთში და ბოლოს, ის შენიშნა დიდმა სარდალმა სუფოროვმა. უფრო სწორედ, იგი დიდხანს უკვირდებოდა ბავრატონს. ხოლო, როცა ვარშავასთან კონტრშეტევაზე გადმოსულმა პოლონურმა კავალერიამ ლამის წალეკა რუსული არმიის მთავარი ძალა, სუფოროვმა საკუთარი თვალით დაინახა, როგორ მრისხანედ ეკეთა მათ ბავრატონის ესკადრონი. საოცარი სიმარჯვით დალუნა მტრის წინააღმდეგობა. სუფოროვი მოეხვია ახალგაზრდა გმირს და სამუდამოდ დაიახლოვა იგი. ამის შემდეგ ისინი თითქმის მეგობრები და თანასწორები იყვნენ: 1799 წელს მათ ერთად გადაიტანეს იტალიური ლაშქრობა, რამაც ასე გააოცა ქვეყნიერება.

სასწაულები მოახდინა ბავრატონმა ისეთი გენერლების წინააღმდეგ, როგორიც იყვნენ მასენა, მორო, მაკდონალდო (ნაპოლეონის მარშლები). ის ისე ეცემოდა მტერს, ისე მოხერხებით და ისე შეუშინებლად, როგორც „თოვლი თავზე“. ხელჩართული ბრძოლით მან აიღო ქალაქი ბრეშო. ოცსაათიან ბრძოლაში ქალაქი ლეგკოსთან ის დიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუძღვებოდა. წინ მიუძღვებოდა ავანგარდის გასაოცარ მარშში (80 ვერსი 30 საათის განმავლობაში).

ალეპზე ასვლისას, ჯარს ხელით მიჰქონდა ზარბაზნები, საკვები და ყველაფერი, რაც ასე საჭიროა ომში. მიფოფაჰედნენ ზეითი და ზევით. უფროსკულებსა და პირბასარ კლდეებს შორის ავანგარდში და გრძელბუნება ნაბადში, საკუ-



თარ გულს დანდობილი ბაგრატიონი, უბრალო ჯარისკაცოვით უხმარებოდა მებრძოლებს.

ვინ იცის, ეგზე კავკასიის მთები ავონდებოდა უსამშობლოს!

ყველაზე საშინელ ადგილას, სადაც ერთადერთი გასასვლელი გზა იყო, ფრანგებისაგან ჩაკეტული „ქუჩის ხიდი“, ბაგრატიონი ისე ჩუმად ჩაუხტა ფრანგებს, როგორც ბატარა კახმა იცოდა მუდამ, გააქცია ისინი და რუსის არმიამ გადაიარა ხიდზე. ამ დროს სუფოროვის ზურგს დაენია მარშალი მასენა 60000 კაცისაგან შემდგარი არმიით, 20000 დაღლილი, განანაშები რუსი ჯარისკაცის წინააღმდეგ. სუფოროვმა ისიც მას მოუხმო. მხოლოდ მან, არივგარდად ქვეულში, საოცარი სიმარჯვით შეასრულა სუფოროვის დავალება და მკერდით აჩერებდა მტერს, ვიდრე რუსის არმიამ გადაარჩენილად ის იგერძო თავი.

1805 წელს რუსეთი ინგლისთან და ავსტრიასთან ერთად ჩაება ბრძოლაში ნაპოლეონის წინააღმდეგ. კუტუზოვის სარდლობის ქვეშ მყოფს 220000 არმიას ყოველმხრივ მოუჭერს გზა ნაპოლეონის მარშლებმა. საჭირო იყო უკან დახევა. ბაგრატიონმა მცირე რაზმით შეაჩერა მტერი და კუტუზოვს შესაძლებლობა მისცა, დაეხია და განოლილიყო დუნაის გამოღმა.

მაინც იდროვა ნაპოლეონმა, მისმა მარშლებმა და კუტუზოვი მოწყვიტეს რეზერვს (ზურგს). ყველასათვის ცხადი გახდა აუცილებელი დაუღუპა. კუტუზოვმა კვლავ იხმო ბაგრატიონი. დააყენა ზუთიათასიანი რაზმის უფროსად და უბრძანა შეეჩერებინა მარშალთა იერიში, ვიდრე, რუსის არმია გადავიდოდა სამშვიდობოს. ეს იყო სივდლითან გაგზავნა. ბაგრატიონმა იცოდა და მაინც წავიდა. კუტუზოვი კი, შეფეხსა სწერდა: რომ „საჭიროა გადლო წანილი, რათა გადაარჩეს მთელი“.

შემოდგომის ღამით ბაგრატიონი წარუძღვა რაზმს. სწორედ ისე, როგორც მისი წინაპრები მიუძღოდნენ ქართველ უმზუნარადო ვაჟკაცებს. უბილიკოდ, უზნოდ გაიარა ტყვეობა, მთები და წინ გადაუდგა ძლევაშოსილ არმიას ფრანგებისას. მიურატის, სულთნის, ლანის 30000 ავანგარდს. ზუთიათასიანი რაზმით ეკეთა მათ და სოფელ შენგაბენთან შეაჩერა იგი. მარშალი სულთნის იერიშებს, კიევის დრაგუნთა და ჩერნიგორსკის პოლკები შეეხდნენ. მარშალმა ლანმა ალყა შემოარტყა პოდოლსკისა და აზოვის პოლკებს, მაგრამ იმარჯვებს რუსის ჯარებმა და კვლავ შეუერთდნენ ბაგრატიონს. ამ ბრძოლის შემდეგ მისი მებრძოლები ატარებდნენ ბრძოლის ნიშანს, „5-30-ის წინააღმდეგ“. ხელმოკარულ მარშლებს მთავარი ძალები მიახმარა ნაპოლეონმა, მისი მთელი არმია ეკვეთა ბაგრატიონის განახევრებულ რაზმს, ირგვლივ შემოტყუნენ და წინააღმდეგა მისცეს დანებებულ იყვნენ. ბაგრატიონმა არ უპასუხა, წყნარად, უცნაური სიმშვიდით ჩამოიარა პოლკები, გას-

ცა ბრძანებები, მთელი დღე და ღამე ებრძოდა ეს მცირე რაზმი ნაპოლეონის არმიას, თვითონ ბაგრატიონი ხმალ ამონადილი გადადიოდა იერიშზე. ღამით ხელჩართულ ბრძოლაში გაარღვია ალყა, შეიპყრო ორმოცდაათი ფრანგი ჯარისკაცი, მთ შორის სამი წარჩინებული და დანია კუტუზოვს, რომელიც მას უკვე მკვდრად სთვლიდა. რუსის არმია გადაარჩა.

აუსტერლოცთან ნაპოლეონმა ბაგრატიონის პირისპირ ყველაზე წარჩინებული მარშალი ლანი დააყენა, რომელსაც ნაპოლეონი ლომს უწოდებდა.

როცა ბრძოლა ავსტრიიდან პოლონიდში გადამოვიდა, რუსეთის ჯარის მთავარსარდლოდ ბატონი ბუნივიერი დაინიშნეს, რომელიც ბაგრატიონის ხმალადაც არ ღირდა, მაგრამ ბაგრატიონი იყო დაბალი ჩინის და ქართველი!

ის ისევე ავანგარდში მხოვდა, მერე გენერალი დობტუროვი დაიჭრა და მას მიანდეს არმიის ტენეტრის სარდლობა. მისმა ვასალკარმა შეტყვევებმა შეაშფოთა გამარჯვებებს შერყეული ნაპოლეონი. ბაგრატიონმა მთლიანად მოსრისა მარშალ ოუეროს კორპუსი ერთი ბატალიონით, ბაგრატიონი პირდაპირ მიეჭრა ადგილს, სადაც შტაბითურთ იდგა თვით იმპერატორი, რომელიც ძლივს გადაარჩა დატყვევებას.

მერე 1807 წელს, რუსეთ-შვეციის ომში ბაგრატიონმა ბრძოლით გადალახა ფინეთი, გატეხა შვედთა წინააღმდეგობა, გადაიარა ვაჟიწილი სრულტე და დაიპყრო ალიანდის კუნძულები.

შვედებთან ომის დამთავრების შემდეგ, ის დაინიშნეს თურქეთის წინააღმდეგ მომქმედებ არმიის მთავარსარდლოდ. მაგრამ ზამთრის გამო შეაჩერეს ეს ოქერისა.

1812 წელს რუსეთის საზღვარს მიაღწა ნაპოლეონი უდიდესიარმიით. ორად გაყოფილ რუსეთის არმიას სარდლობდნენ ბარკლაი დე ტოლი და ბაგრატიონი. ნაპოლეონმა პირველად ბაგრატიონის მიაშურა. მის წინააღმდეგ ბაგრატიონმა და მარშალი დავუ გაგზავნა. ბარკლაიმ დაიწყო უკან დახევა. ბაგრატიონი წინააღმდეგი იყო უკან დახევისა, მაგრამ ბოლოს მაინც ის შეუერთდა ბარკლაის.

ბოროდინოს ველზე გამართულ რუსებს მთელი დღე ზეგრავდა ფრანგი გენიოსი იმპერატორი. ომი თითქოს მისი მოგებით უნდა დამთავრებულიყო.

სწორედ ამ პერიოდში თიანეთში დაიწყო ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც მოიცვა მთელი აღმოსავლეთ საქართველო. აღექსანდრე ბაგრატიონი ვეფხვიეთი მოვარდა საქართველოში და ალაზანი შეღება სისხლმა. ხომ ხედავთ დედა, ერთი ბაგრატიონი რუსებს იცავდა, მეორე კი რუსეთის წინააღმდეგ აღვიტებდა მთელ კავკასიას, იფიცავდა თამარისა და ერეკლეს სხოვნას და სისხლს ღერიდა, რომ ბოლოს დამარცხებულს დაეტოვებინა სამშობლო და გადაკარგულიყო, როგორც ვეფხვი, რომელმაც

ვერ გაიგო, რატომ არის ამო, კლანჭებდაცვე-  
თლი ტორების ქნევა.

ბოროდინოზე არის სოფელი სემონოვკა.  
აქ სახელდახელოდ განწყობილ სიმბარეს ნაპო-  
ლეონმა დაუყენა მთავარი ძალები, საუკეთესო  
კორპუსები, იმპერატორის გვარდია, რათა  
მარცხენა ფლანგის გატეხვით მოეწყო ცენ-  
ტრისა და მარჯვენა ფლანგისათვის. ძირითადი  
დარტყმა მიიღო ბაგრატიონმა. 7 სექტემბერს,  
ნისლიანში დაძრა თავისი კორპუსი მარშალმა  
დავუმ და მთავლო ბაგრატიონზე. სასტიკად  
შეებნენ მომხდურებს რუსები. სასიკვდილოდ  
დაიჭრა გენერალი კომპანი. თვით დავუ კი,  
ილბაღმა გადაარჩინა. მისი ცხენი უსულოდ ჩა-  
იყვცა მუხლებზე, მაგრამ ბრძოლებში გამონ-  
რთობილი მარშალი ფეხით გაუძღვა ჯარს შეტე-  
ვაზე. ბაგრატიონმა შემოტყუას ოცდამეშვიდე  
დღივზია შეახვედრა და სანგრებიდან განდევნა  
მონინაღმდეგი. ნაპოლეონმა დავუს, ნეისა და  
ეიუნოს კორპუსები მიამეღა. კუტუზოვმა ბაგ-  
რატიონს რეზერვის პოლკები დაახმარა, მაგ-  
რამ ისინი შორს იყვნენ ბრძოლის ველიდან და  
ფრანგები მესამედ გადავიდნენ შეტევაზე.

გორონცოვის დღივზა დიღუპა თითქმის  
მთლიანად. ბაგრატიონმა ისევ ოცდამეშვიდე  
დღივზია გადაავდო ბრძოლაში, რომელმაც  
ივაჟაკა და უკუაქცია ნაპოლეონის განთქმუ-  
ლი ნაწილები. ნაპოლეონმა შენიშნა ფრანგების  
უნერგო უკანდახევა და მიურატის უბრძანა  
შეჩერება, რომელმაც დღივზიები მესამედ წაიყ-  
ვანა შეტევაზე. ბაგრატიონმა მესამე ფეხისან-  
თა დღივზია მიაჯახა მიურატის გამოჭუნებას.  
უკანასკნელი კონაღმ შეტყუდ ჩავარდა და ხარა-  
ლით დაიხია. დიდი მარშლების მიურატის, და-  
ვუს, ნეის, ეიუნოს ყველა იერიშები მსუბუქად  
დადუნა ბაგრატიონმა. ეს ნაპოლეონის გვემე-  
ბის ჩაშლას ნიშნავდა. ნაპოლეონმა ისევ გადა-  
ისროლა ახალი კორპუსები შეტევაზე. მეხუთე-  
ჯერ, მეექვსეჯერ, მერე მეშვიდეჯერ.

მერე შეტევა პირდაპირ არტილერიის ცეცხ-  
ლის ქვეშ მოხდა. მაგრამ ნაპოლეონის რაზმები  
მაინც მიინდენენ წინ და წინ, ცეცხოდან, დგე-  
ბოდნენ და ისევ მიინდენენ... ბაგრატიონმა  
პირველად ნახა ასეთი თავგანსწრვა „ბრავო,  
ბრავო“, იყვინა მან და რეზერვის დღივზია გა-  
დააგდო შეტევაზე. სწორედ ამ დროს ყუმბარის  
ნაშხერემა მძიმედ დაჭრა იგი.

რამდენიმე ხანს ის თავს იკავებდა, მერე  
ნელ-ნელა დაიხარა უნაგირზე და ცხენიდან  
გამდობარდნილი დაცვა საკუთარი ადიუტან-  
ტის ხელებზე. ის იწვა, სისხლისაგან იცლებო-  
და. მოითხოვა მალა აენიათ, რათა დაეხახა,  
როგორ ნავიდა შეტევაზე დღივზია...

მოსკოვი ფრანგებმა დაიპყრეს, ავადმყოფს  
უმაღლედნენ ამას. ერთ დღეს მან უბრძანა  
შოკრის პაკეტი წაეღო მოსკოვში. შოკრისმა  
გულუბრყვილოდ გასცა მოსკოვის აღების სა-  
იდუმლო. ის აღულებული საწოლიდან წამო-

იჭრა, დაცვა და გონება დაჰკარგა. 12 სექტემ-  
ბერს, 1812 წელს ის გარდაიცვალა.

აი, ასეთი იყო მისი ბედი. საქართველოს აღ-  
ბათ სწიწიდა მისი ქართველობა. საქართველოს  
მტერთა ხმლით მომსახურესია. ალექსანდრე  
ბაგრატიონი არ ითაკილებდა პეტრეს სისხლით  
შეელება ლეკური ხანჯალი და მე მწყინს, რათ  
არის ეს ასე. რატომ გაუცხოვდა დიდი გულისა  
და ვაჟაკობის მქონე ქართველი.

და დედამეო, როცა ნაწევანდები ქართველ სა-  
ხელებს სხვათა წარსულში, გულმტკენი ვფიქ-  
რობ, გაქსუბულ რაინდებზე და იმაზე, რასაც  
საქართველო შევიწროვებდა იმაზე, რამაც მათ  
თი ცხოვრება სხვა გზაზე დააყენა და გააყოლა  
სხვათა გზას.

მე მინდა ნავიდე ბოროდინოზე და ბაგრატიონ-  
ის ვაჟაკობას პატივი მივაგო.

მოსკოვში არის ადგილი, სადაც ღონდაცლი-  
ლი წევანა საქართველოს ხელმოცარული დი-  
ლომატიები, მწერლები და რაინდები. ო, რამდენი  
იყვნენ!.. რამდენი იყვნენ კონსტანტინოპოლში  
და პარიზში, საბერძნეთსა და სპარსეთში, ძველ  
ბიზანტიაში და ვინ იცის, სად აღარ მშედიობა  
მათ!

მკვლევარი რომ ვიყო, მოვნახავდი და მათ-  
ზე დავეწერდი წიგნს.

თქვენ არ იფიქროთ, რომ მე რაღაც უხალი-  
სოდ ვიყო გულგატეხილი. ო, არა, ახლა შეიძლე-  
ბა სადმე შორეულში ან დასავლეთში დავტოვო  
სიცოცხლე, უჩივლულად, რადგან საქართველო,  
როგორც ასეთი, უსათუოდ არის და შვილების  
დაძახილზე აიშლებიან მძლიონები, ისევე, რო-  
გორც სააკაძე წამოშლიდა საკუთარ ლაშქარს  
მშალამეშო და გაუძღვებოდა თავდადებულებს.  
იყავით კარგად.

თქვენი შვილი მირზა,  
22 მარტი. 1941 წელი. ქ. ხარკოვი


### მირზას დედის, ევა მაჩხრეპოვილის პარათიდას

„მივიღე შენი წერილი, გენაცვალე, რო-  
მელმაც მწერ ბაგრატიონზე და იმის ბრძო-  
ლებზე... ამბობ, როცა ის ბრძოლებში მონი-  
აღმდეგეს, მტერს ჰკვითავდა და თავის მოქმე-  
დებით ანციფურებდა ყველას, საქართველო  
გულში ალბათ მას უსაყვადურებდაო...“

რას იზამდა კაცი, როცა მეტი ვასაქანი არა  
აქვს და აწვალეებს კი ის გენია, რაც მასში ბუ-  
ღბლი... ამიტომ უქმად ვერ დაჯდება...“

არსებობს ფრაზები, რომელთა დაწერის თა-  
რილებს სულიკეთების მიხედვით ამოიკნობ...  
თითქოს ამ სიტყვებს მასები და არა, ინდივი-  
დები წერენ, რადგან არის სიტუაციები, როცა  
ერთმანეთში ირევა კოლექტიური და პიროვნუ-  
ლი...

1941.



ფიცი  
ნიძნისთავენი

\*\*\*

სიმართლისათვის ჯვარზეც კი მაცვეს ხელთ შემრჩა მხოლოდ დაცლილი ჯამი, ზამთარში ჭადრებს თბილ ჩოხას ვაცმევ, რომ ვერ შეიგრძნონ სიბერის უამი.

არ ამიგდია არეინ აბუჩად თუ სიყვარული გულით უგვრძნია, კბილს არ ვუსინჯავ იმ ცხენს ნაწუქარს, სიზმარში ფრენა თუ შეუძლია.

### ენების მორევები

ენების მორევში ისე ჩავეშვი, რომ გამოჟონა ოფლმა ნეკნიდან, ანგელოზებს კი ლექსის ჭალებში ასაფრენ ფრთებზე ცვეცხლი ეკიდათ. ნეტავ ცხოვრება საით გამისვრის, გული სხვის გულთან რას იტიტინებს.

კრწანისის ველზე დაღვრილი სისხლი სამაჩაბლოში გამოვიტირე. დიდგორი არ მსურს რომ გავისხენო ან ბაზალეთი ცრემლით ჩაგრეცხო, ახლაც პირში მაქვს იმ თაფლის გემო, ცოტნე დადიანს ტანზე რომ ეცხო. ნუ გამიკითხაეთ ასე მომზირაღს, რალა დროსია ჩემი ანცობა, ოცნების გობზე ლექსებს მოვზილავ სულის თონეში გამოსაცხობად.

\*\*\*

— ღამე მშვიდობის! — მითხარ და ნადი,  
— ღამე ნებისა! — მეც ჩუმად გითხარ,  
ხეც თითქოს შეერთა,  
შეირხა დარდით,  
მე იმ ხის ძირას ვიდექი დიდხანს,  
მერე წინ ნავეფი ნაბიჯი წყნარად,  
(დედისთვის ძილი დაეფრთხო ლოდინს)...  
და შინისაკენ მე შენი "არა,"  
მხრებით მიმქონდა ვით მძივი ლოდი.

### მაგულს დავლოცავ

ნუ მემდურები ცოტაც მადროვე როგორმე უფალს სიმაართლე ვუთხრა, ივრის ქალებში ფირხს შევავროვებ, იმით აგინებ გამოქრალ ბუხარს. არ მოვეშვები იცი ამ ნუნუნს, მე სიყვარულის მომლოდინე ვარ, დაველოდები ქვევრში ჩანურულ ფეხძიმე ვაზის მოლოგინებას. და მერე, ალბათ, ვედარ მისხნიან ტალღები შლეგი, გიჟი რიონის... სულის უწმინდეს ჯამში მისხია ქართული ჯიმის წმინდა მირონი.

### გაფანტული ენკალები

განგება უფლის აღმართს შეუსვია, ვერ შემცივალა ამან გუნება, მთებს თივის ზეინი მხრებზე შეუდგამს და ღრუბლებს ასე ელამუნება. ფიქრები დგანან გაუზიზნავი, თითქოსდა ბედმა გამამზეურა... და მიმაცილებს მღელით სიზმარი უსიერეთში, ანაზდეულად. შევებმინე გულმართალ ქმედებს, როცა უცრად მოვეაღლე თვალი, მე კი გაფანტულ ენკალებს ვეძებ და ამერიხა ძებნაში კვალი.

## ბაობნება

ნეტავი ასე როდემდე ვივლო,  
რათ მომისრულა იღბალმა გვერდზე,  
ქალიშვილებმა მაცდურ ღიმილით  
ქინძისთავები შეისხნეს მკერდზე.

და სიჭაბუკემ უცბე იბარტყა,  
სიბერეს შევხსენ აპეურები,  
განგებამ მხარი მხარზე მიმარტყა,  
რალა დროსია საყვედურები.

ვილას ჭირდება სინდისის ქენჯნა,  
უადგილოა გრძნობა დაღვრილი...  
ლექსი ოცნების ტაიქზე შევჯდა  
და შემატოვა ხელში აღვირი.

## ამოხანელი

უნატრობდი ნეტაე ცოტა დამცლოდა,  
ველარ ვუსწორე ცხოვრებას თვალი,  
ვერ მოვესწარი თოფის გასროლას,  
ბიჭიანობის ახლაც მაქვს ვალი.

ყამიანობა თავის გზას ადვას,  
ველარ ისევენებს თითქოს მერანიც,  
ნეტაე ვიციოდე ჩემს უკან რა დვას,  
რომ ვერ გამკიცხოს ქვეყნად ვერავინ.

არ მომიხრია არვისთვის ქედი,  
მავანს — მავანის დიდი რიდი აქვს,  
ბევრჯერ ბუხართან მიძინარე ბედი  
ძალღივით გარეთ გამომიგდია.

უგულოდ გუნდას ვერავინ მესვრის,  
ვეგრძნობ, რომ სიცოცხლე ახლა იწყება,  
უსიყვარულოდ რა არის ლექსი  
თუ არ უგერძენია თავდავიწყება.

## სამგობლო ჩემო

ქარი დააბებს თითქოს ქალაში,  
ნეტაე ვენახი რად მომიხრეს,  
დრო იკარგება უქმად დავაში,  
გულს კი, ვერაფრით ვერ მოვიხებ.  
ნისქელიში ფიქრებს ჭორებად ფქვავენ,  
ჭემმარიტება ზეცას შეუკივის,  
წელის გულურაში კანკალებს მთვარე  
ჩემი სახლის წინ,  
მცივან ლეკვივით.  
ეგ არაფერი.  
მავას რას ეჩივი,  
ტკივილი მუხას ერგო ნუფრებად,  
ეს ჩემი ლექსიც  
მორცხვი ბაეშვივით,  
შენი სახნის ქვეშ შეიყუყება.

## რა იძნაობდა

სიცოცხლე მიყვარს, არც სიკვდილს ეუფრთხი —  
და პასუხს ჩემი გული იძლევა,  
მინა ქართული, სისხლით ნაკურთხი,  
რომ არ მიყვარდეს, არ შეიძლება.  
შეეყურებ მთვარეს,  
დავდივარ,  
მიკვირს,  
ვით არ გადადნეს ოცნება ლექსად,  
საქართველოში ნატრობენ სიკვდილს,  
რომ ჩვენი მინის სურნელი შესვან.  
თბილია მისი ბალახის ჩეროც,  
მისი მზის ცეცხლიც, ქარათ ანცობაც,  
შენ რომ არ იყო, მამულო ჩემო,  
რა იქნებოდა ჩემი კაცობა?!

## მოფრება

განა საყვადურს ვეტყვი გულიდან,  
თუნდ დამემალოს ეს სიყვარული,  
თითქოს უსიერ ტყის ჯურღმულიდან  
მესმოდა მისი ეფენის ფლარუნი.  
მთაზე ნისლები გადმოდგებიან,  
ჩამოშლება ჩანჩქერს ნანავეი,  
მეგონა კლდის ქიმს ნამოსდებია  
მზის სხივი ღანვებ დაუკანრავი.  
ნეტაე რად ვეძებ რალაც მიზეზებს  
გული ამან თუ დამიჭიანა,  
სასიყვარულოდ მივდივარ მზეზე  
მთვარემ რალატომ იეჭვიანა.  
ახლა ისეთი სახშილი მძლავს  
იქნება მთები მართლა გასწორდეს,  
დაუნერული კანონი კრძალავს  
იღბალს, აწონილს ბედის სასწორზე,  
უსასრულობას დრო ვერ ერევა,  
დრო ჯიუტია და ხანაც ურჩი,  
მე სიყვარულის მოსაფურებლად  
მზად ვარ, განგებას თუ გადაეურჩი.

## რაზე მირჩიით

დღეებთან ედგავარ მგონი პირისპირ,  
ეს თუ მამაღლებს, ალბათ, ზეცამდე,  
ვინ დამიჯერებს, რომ სიკვდილის წინ  
სიცოცხლისათვის რა არ ვეცადე.

და განა ღირდა ამდენ წვალებად,  
უაროოდ რაზე მალაპარაკებთ,  
ნუთუ ეს ჩემი გარდაცვალება  
არ მოგიყვებათ ჩემზე არაფერს.



XX საუკუნის 30-იან წლებში გადაღებულ ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილი არიან:  
ალ. აბაშელი, გრ. რობაქიძე, ნ. ლორთქიფანიძე, გრ. რობაქიძის მეუღლე, ი. გრიშაშვილი,  
ს. ჩიქოვანი, შ. რადიანი, ს. შანშიაშვილი, ტ. ტაბიძე, მის. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, სამსონაძე,  
შენგელია, გ. ტაბიძე, ნ. მინიშვილი, ი. ვაკელი და სხვ.  
ფოტოსურათი საოჯახო არქივიდან მოგვანოდა ქალბატონმა მერი გომართელ-რადიანისამ,  
რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

**ყურადღება!**

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“  
ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით; ხოლო თბილისში რუსთაველის №31,  
„სახალხო ბანკი“, მთაწმინდა №2 სერვის-ცენტრი.

3 თვით 9ლ.  
6 თვით 18ლ.

ჟურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს“ პუნქტებში.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:**  
ამირან ჭანტურია

**რედაქციის მისამართი:**  
რუსთაველის გამზ. 42  
ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.  
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge



დაისი



ზამბახები



ალიკა



ლურჯი ბოთლები

ბ 52/22

საქართველოს  
საქართველო